N27 (578) 7/VII-13/VII-2011 ფასი 1 ლარი

ჩემი რჩეული

გალაკტიონ ტაბიძე

ხუთტომეული
ტომი III

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
გალაკტიონ ტაბიძე
ტომი IV

ექსკლუზივი

ვინ გახდა
ბერა
ივანიშვილის
რჩეული

სტინგის პოლიტიკური დემარში

ნინი ბადურაშვილი:

„იმ დღეს
მეტყველების
უნარიც დავკარგე“

„მინდა, ჩემი გრძნობები გაგიზიარო“

ინდიელები რუსთაველზე

„ინკების ტომის
შთამომავლები ვართ“

რატომ ეშინია ნიგერიელ ჯონსონს პატრული

„თბილისში ლამაზი
გოგონები დადიან“

„აბორიგენებმა
შემაშინეს...“

ქართველი მსახიობი
პოპულარულ ავსტრალიურ
სერიალში მიიწვიეს

ვინ ჩაუშალა საზეაფხულო გეგმა ნიკა არაბიძეს

დასვენება
სიდედრთან
ერთად

ISSN 1987 - 5029

ბადაბერის აჯანყების საიდუმლოებით მოცული ამბავი

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

ფასი: 32.99

გვ. რაოდ.: 620
ფორმატი: 20X30.5
ყდა: მაგარი

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში განხილულია 250-ზე მეტი დაავადების აღწერილობა, დაწვრილებით არის ახსნილი მათი გამომწვევი მიზეზები, განვითარების, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები. წიგნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს ამა თუ იმ დაავადების შესახებ.

ტკბილეული ჰატარებისთვის

ფასი: 15.99

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ფორმატი: 21.5X27.5
ყდა: მაგარი
წაიკითხეთ ეს ჰატარა დიასახლისისთვის შექმნილი წიგნი, მარტივი, სახალისო რეცეპტებით და დარწმუნდებით, რომ ნაირ-ნაირი ნუგბარისა და სასუსნავის მომზადება უფროსების დახმარების გარეშეც იოლად შეიძლება.

ორსულობა და უსაფრთხო წამალი

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 240
ფორმატი:20X26
ყდა: რბილი
ამ წიგნში განხილულია ათასობით წამალი, ასობით პრობლემა და ერთი უდავო ჭეშმარიტება – უსაფრთხო წამალი არ არსებობს, თუმცა შეუძლებელია დედისა და ბავშვის უსაფრთხოება წამლის სათანადოდ გამოყენების გარეშე.

სამი გოჯი

ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 12 გვ.
ფორმატი: 22X27
ყდა: ბალიშა
ეს ძალზე პოპულარული და ყველასათვის საყვარელი ზღაპარი სამ გოჯზე, რომელიც ექვსი, მოძრავი ილუსტრაციით არის გაფორმებული, უთუოდ გაახარებს ჰატარა მკითხველს.

საოცარი თვითმფრინავები

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 22.5X26
ყდა: მაგარი
თქვენ წინაშეა საოცარი წიგნი ავიაციაზე **5 ასაწყობი თვითმფრინავის მოდელით**. ააწყვეთ ეს საოცარი თვითმფრინავები და თვალწინ გადაგეშლებათ ავიაციის შთამბეჭდავი ისტორია.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

გონიერი ბეჯო

თქვენი პროდუქტი ყოველთვის ახალივითაა!

უამრავი სიახლე, რომელიც ბეჯოს მაცივარს ხდის გონიერს

ოჰმაგი გაგრილების ტექნოლოგია

ევოლუცია No-Frost ტექნოლოგიაში! ბეჯოს ახალი ოჰმაგი გაგრილების სისტემის წყალობით მაცივრისა და საყინულის განყოფილებებს აქვს ჰაერის დამოუკიდებელი ნაკადი, რის შედეგადაც საკვები პროდუქტი ორივე განყოფილებაში ოპტიმალურ პირობებშია.

ბეჯოს მაცივარში პროდუქტი ზედმეტად აღარ იყინება:

ბეჯოს ახალი სისტემის წყალობით მაცივრის განყოფილებაში ჰაერის ტემპერატურა შეადგენს დაახლოებით 1/-10°C ჩვეულებრივ No-Frost -18°C შედარებით. მოცემული ტემპერატურა მაცივრის განყოფილებაში შენარჩუნებულია.

სხვადასხვა არომატი ერთმანეთში არ ირევა:

ბეჯოს ოჰმაგი გაგრილების ტექნოლოგიის წყალობით მაცივრისა და საყინულის განყოფილებებს აქვს ჰაერის დამოუკიდებელი ნაკადი, რის შედეგადაც სხვადასხვა არომატი ერთმანეთში არ ირევა.

ახალი სისტემის დადებითი მხარე:

საკვები პროდუქტი უფრო დიდი ხნით ინარჩუნებს სიახლის თვისებას: გაცივებისა და გაყინვის დამოუკიდებელი სისტემები უზრუნველყოფს დატენიანების გაცივებით მაღალ დონეს ხილისა და ბოსტნეულის შენახვის ვადის გასაგრძელებლად.

BEKO

„როდენი“ — წონის კორექტორი

წონაში დაკლების თემა წლის ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია. ზაფხულში, როდესაც შილიფად ჩაცმა გვიწევს, რამდენიმე ზედმეტი კილოგრამიც კი შესაძლოა თვალში მოსახვედრი იყოს, ამიტომ წონის კორექტირებისთვის ზოგი დიეტას მიმართავს, ზოგიც — ვარჯიშსა და სხვა ათასგვარ საშუალება. საქართველოს ბაზარზე ცოტა ხნის წინ ადგილობრივი წარმოების, აბსოლუტურად ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული პრეპარატი გამოჩნდა, რომელიც ეფექტიანად მოქმედებს ზედმეტი წონის წინააღმდეგ.

„როდენმა“ კლინიკური კვლევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური საშუალებების კვლევის ცენტრში გაიარა. პრეპარატის მახასიათებლებზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელს, ნუგზარ ჯოგლიძეს ვესაუბრეთ.

— „როდენი“ წონაში დასაკლები და წონის შესანარჩუნებელი პრეპარატია. ამ პრეპარატის მიღებისას, წონაში მატების პროცესი ჩერდება, ამიტომ მისი მიღება პროფილაქტიკური მიზნითაც მიზანშეწონილია. მნიშვნელოვანია, „როდენის“ მიღების შემთხვევაში რის ხარჯზე ხდება წონაში დაკლება, წონის კორექტირება და დაკლებული წონის შენარჩუნება. ამ პრეპარატის მოქმედების მექანიზმი ითვალისწინებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას, ანუ ებრძვის იმ მიზეზებს, რისი მოშლაც წონაში მატებას იწვევს. ეს არ ეხება ენდოკრინოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ ნივთიერებათა ცვლის მოშლას. „როდენი“ ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას; ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაშლას; აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე, ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი. ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და წიდები, ასევე აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას.

ეს არის ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი, რომელშიც არავითარი ქიმიური ნივთიერება არ შედის. ძირითადად მზადდება წითელი ღვინის, ყურძენ საფერავის სქელ ექსტრაქტზე. „როდენში“ შედის მწვანე ჩაი, თირკმლის ჩაი, სიმინდის ყვავილი, რომელიც გამოირჩევა შარდმდენი თვისებებით. შესაბამისად, ხდება თირკმლის ფუნქციის გაუმჯობესება და ორგანიზმში კალიუმის შენარჩუნება. პრეპარატის შემადგენლობაში შედის ჭნავი, ანუ ცირცველის ნაყოფი, რომელიც ასევე აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას. პრეპარატში დაახლოებით შვიდი მცენარე შედის, რომელთა კომბინირებული მოქმედება იწვევს სწორედ იმ შედეგებს, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ.

— „როდენის“ მოქმედების ეფექტიანობა ინდივიდუალურია?

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ სიმსუქნე გამოწვეულია რამე სერიოზული ენდოკრინოლოგიური პათოლოგიით, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ძირითადად დაავადებას უნდა ვუმკურნალოთ. ყველა სხვა შემთხვევაში პრეპარატი ეფექტიანია. როდესაც მადის დაქვეითებაზე ვსაუბრობდით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მადის დამაქვეითებელი სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით, „როდენის“ მიღებისას მადის დაქვეითება ფიზიოლოგიურად ხდება და გამოწვეულია მიღებული საკვების სრულყოფილად ათვისებით.

— რა დოზით უნდა მივიღოთ პრეპარატი?

— უზმოზე (ან დილით, საუზმის დროს). დღის დანარჩენ ნაწილში კი — ჭამამდე 15 წუთით ადრე. ეს არის სიროფი, რომლის ერთი სუფრის კოვზი ერთ ჭიქა წყალში იხსნება, ძალიან სასიამოვნო დასალევია და დღეში სამჯერ ხდება მისი მიღება. რეკომენდებულია ორთვიანი კურსის ჩატარება და სასურველია, რომ წლის განმავლობაში ეს კურსი სამჯერ მაინც განმეორდეს. არის შემთხვევები, როდესაც ერთი კურსის ჩატარების შემდეგ პაციენტი 9 კილოგრამს იკლებს. ზოგს ერთი თვის განმავლობაში 4-5 კილოგრამით შეუმცირდა წონა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთი თვის განმავლობაში ყოველგვარი დიეტისა და საკვების შეზღუდვის გარეშე 7 კილოგრამიც კი დაუკლია პაციენტს.

— ასაკობრივი შეზღუდვა თუ არსებობს „როდენის“ მიღებისას?

— როგორც წესი, ბავშვებში სიმსუქნე 7-8 წლამდე ენდოკრინოლოგიური პრობლემებით არის გამოწვეული. 7 წლიდან კი შეგიძლიათ ზუსტად იმავე დოზით მისცეთ ბავშვს პრეპარატი, რა დოზითაც მას მოზრდილი იღებს. ეს არის სუფთა საკვები პროდუქტი, რომელსაც აქვს კარგად გამოხატული თერაპიული ეფექტი.

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. 28 ან მიმართეთ “ჯი პი სი”-ს სააფთიაქო ქსელს და სხვა ქალაქის აფთიაქებს.

დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე:
293 19 87; 230 97 52; მობ. 595 30 84 05
E-mail: promoita@mail.ru; nikosani@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

№27 (578)
7 – 13 ივლისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

ქვეყანა

როგორი იქნება ახალი სამარშრუტო ტაქსი და რა ელირება მგზავრობა?

„ხომ ხედავთ, საწვავი როგორ გაძვირდა?! ვფიქრობ, მგზავრობის საფასური ეტაპობრივად, საწვავის ფასის ზრდის პარალელურად გაიზრდება და იმედი მაქვს, მოსახლეობა ამას გაგებით შეხვდება“.

7

სახე



ბერა ივანიშვილის რჩეული

„ვგიჟდები, ბერა ისე მომწონს. ის არა მხოლოდ კარგი მუსიკოსი, არამედ კარგი ადამიანიცაა, საოცრად თავმდაბალია“.

20

■ მინიატიურები 5

ჰასკაცარ?

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7

■ რეპორტაჟი 13

■ ფესტივალი 16

შოუბიზნესის ჩაკეტილი წრე და უცნობი მუსიკოსების ტრიუმფი

■ დასვენება 18

ამერიკაში „ქართულად“ გატარებული დღეები

■ რეპერი 20

ბერა ივანიშვილის რჩეული

■ შემოქმედი 23

როცა ქართველი „მრავალჟამიერს“ მღეროდა, მაშინ სხვები ხეებზე დადიოდნენ...

■ პოდიუმი 25

„2 წელია, ქართველებს საპრიზო ადგილები არ დაუკავებიათ“

■ ემიგრანტი 26

„ყველა სიახლის“ სპეციალური კორესპონდენტი ავსტრალიაში წიგნის წერას შეუდგა

■ თემა 28

სად იმოსებიან ქართველი ცნობილი მამაკაცები

ცხოვრება

ამერიკელი, რომელიც ნიუ-იორკში ქართულ საქმეს აკეთებს

„ისინი მადლობას გვეუბნებიან იმისთვის, რომ არსებობს ნიუ-იორკში ქართული თეატრი; ამაყობენ, ამერიკაში, სცენიდან ქართული სიტყვა რომ ისმის...“

35

გზა ინილები

ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება

„ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთმა დაკარგულმა შვილმა იპოვა მამა, ისიც მახარებს, რომ ეს „გზის“ მეშვეობით მოხდა და, რაღა თქმა უნდა, ისიც, მცირე წვლილი მეც რომ მიმიძღვის ამაში“.

64

■ **კრიმინალი** 30

ცოლქმრული ღალატის ნიადაგზე
მომხდარი მკვლელობა

■ **სტუმრები** 33

- რუსთაველზე, ინდიელების დაკრულზე
  აცეკვებული ქართველები
- ნიგერიელი ჯონსონის გასაჭირი

■ **ოკეანის გაღმა** 35

ამერიკელი, რომელიც ნიუ-იორკში
ქართულ საქმეს აკეთებს

■ **თინეიჯერული პონტები** 37

სიზმრად ნანახი საბედო და უცნაური ხილვები

■ **ისტორიის ლაბირინთები** 40

უსახელო ქართველ აჯანყებულთა გმირობა

■ **ავტო** 43

■ **საკითხავი ქალებისათვის** 44

■ **ერუდიტი** 46

ონისე ონიანის „უბედურება“

■ **ანტიდეპრესანტი** 48

■ **ტაძარი** 48

■ **ჯანმრთელობა** 50

ორსულთა საზაფხულო პრობლემები

■ **საგანძური** 53

■ **რეალური** 54

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ **მისტიკური დეტექტივი** 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64

ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება

■ **წვეთი პოეზია** 52

■ **ქართული სპორტის ლეგენდები** 74

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **საფირმო კროსვორდი** 82

სამყარო

საზაფხულო ნიღბები

მწიფე ბანანი დასრისეთ, წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მაწონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

45

ბიბლუსი

ხაფანგი

— გლები მქვია. თქვენ?

— ნატა, — მამაკაცის ხელის შეხებაზე ოდნავ გააჟრჟოლა გოგონას...

მამაკაცმა გოგონას ხელი უცერემონიოდ გადმოუბრუნა და ხელისგულის დათვალიერებასაც შეუდგა.

56

ტაიმ-აუტი

ინდოელი ქალის სილამაზის სიმბოლოები

ინდოელი ქალი ლამაზად მიიჩნევა, თუ მას სილამაზის 16 ნიშანი ამშვენებს, რაც მთვარის ფაზებთანაა დაკავშირებული (თანაც, ინდურ მითოლოგიაში ნახევარღმერთები 16 წლისანი არიან).

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ჰასკაცარ?*

შესავლის ნაცვლად წინა პროვოკაციაში უკვე ვისაუბრეთ ხელისუფლებ-ის მიერ ოპოზიციისთვის შეთავაზებული წინადადე-ბების სიკეთეზე. ჩვენ კი ვისაუბრეთ, მაგრამ ოპოზ-იციური პარტიებიდან, მხოლოდ ახლებმა და ქრის-ტიან-დემოკრატებმა გაათვითცნობიერეს, რაოდენ სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის, რომ ამიერიდან ბევრი უსაქმურის ნაცვლად, უფრო მეტ უსაქმურს უნდა ვუხადოთ ხელფასი (მომავალი პარლამენტის წევრებს ვგულისხმობ); პლუს — სამსახურში ყოველდღე ფრენის (თბილისიდან ქუთაისში და უკან) ფული...

როგორც იტყვიან, „ეს ყველაფერი — არაფერი“, მაგრამ — რეფერენ-დუმი რომ ჩატარდა 2003 წელს, რომელ-მაც პარლამენტის წევრთა რაოდენო-ბის შემცირება გადაწყვიტა, მაგაზე რას იტყვითო? — ინტრიგანმა ოპო-ზიციამ და ჟურნალისტებმა!

მეც და ჩვენი საყვარელი „ნა-ციონალური მოძრაობაც“ უკვე დავიღალეთ, მაგრამ კიდევ ერთხ-ელ, მოთმინებით აგიხსნით: ეგ რეფერენდუმი ჩატარდა 2003-ის გაზაფხულზე, ამიტომ „არ ითვ-ლება“, რადგან საქართველოს ის-ტორია დაიწყო 2003 წლის ნოემ-ბერში. ჰასკაცარ?

კაცო, სომხურზე გამახსენდა: ძალიან დიდ პატივს ვცემ საქართველოს საპატრიარქოს და, ცხადია, მის წინამძღოლსაც, მა-გრამ ეტყობა, პატრიარქიც შეც-დომაში შეიყვანეს საქართველოს მტრებმა — მისი უწმინდესობა თავის მიმართვაში ხე-ლისუფლებას მოუწოდებს, შეაჩეროს იმ კანონის მიღება, რომლის ძალითაც რამდენიმე რელიგიურ მიმდინარეობას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენი-ჭება; სამწუხაროა, რომ სრულიად საქართველოს კათოლი-კოს-პატრიარქს არავინ შეახსენა, რომ ის „კონკორდატი“, რომლის ძალითაც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლე-სიას განსაკუთრებული სტატუსი აქვს მინიჭებული და რომელსაც ეწინააღმდეგება დასამტკიცებლად გამზადე-ბული კანონი, 2002 წელს არის მიღებული — ანუ ისევ და ისევ „ისტორიამდელ ეპოქაში“. ამიტომ, როგორც უკვე მოგახსენეთ, „არ ითვლება“!

მართლა გულდასაწყვეტია, რომ საპატრიარქოში ამ კანონპროექტის (როცა ამას წაიკითხავთ, შეიძლება, უკვე კანონიც იყოს) პრეამბულაც კი არ წაუკითხავთ, თორემ იქ ისეთ „არგუმენტს“ ამოიკითხავდნენ, რომ თვითონ მოსთხ-ოვდნენ პარლამენტს, დაეჩქარეთ ამ კონფესიებისთვის ჩვენ-ნაირი სტატუსის მინიჭებაო: თურმე ნუ იტყვით და, მათ ეს სტატუსი ენიჭებათ იმიტომ, რომ „გააჩნიათ მჭიდრო ისტორიული კავშირი საქართველოსთან“(?!)

ამაზეა ნათქვამი, — სწავლა სიბერემდეო! ბაპტისტურ-ევანგელისტურ ეკლესიას თუ საქართველოსთან „მჭიდრო ისტორიული კავშირი“ ჰქონდა, არ ვიცოდი... ისე, მე არ ვიცოდი — არ ვიცოდი, ჯანდაბას, მაგრამ საპატრიარქოს მაინც ხომ უნდა სცოდნოდა, პროტესტს რომ გამოთქვამს უსაფუძვლოდ?..

არა, მართლა მოვიკოჭლებ „ჭეშმარიტ ისტორიაში“ — ეტყობა, ბაპტისტებთან მჭიდრო ისტორიული კავშირი 2003-ის ნოემბრის მერე დამყარდა და მე ვერ შევამჩნიე.

ალბათ, რაც აქამდე დავწერე, ყველა შეამჩ-ნევდით, რომ ხელისუ-ფლების გადაწყვეტილე-ბაზე ირონიულად ვლა-პარაკობ — ანუ ასეთი ფორმით ვაკრიტიკებ (თუ ვცდილობ) „უახლეს“ (უფრო ზუსტად — „ცინცხალ“) ისტორიას, მაგრამ რაც მართლა მო-მწონს და აღმაფრთოვა-ნებს ამ ჩვენს ეპოქაში, ეს არის დამთხვევები! დიახ, დამთხვევები — მოვლენათა შემთხვევით თანხვედრას ვგულისხმობ და არა „დამთხვეულებს“ (ასეთე-ბი 2003-მდეც ოხრად გვყავდა და ისეთი პირი უჩანს, ამათ მერეც ბლომად გვეყოლება). აი, ახლაც — როგორ „შემთხ-ვევით დაემთხვა“: ჩამოვიდა სომხეთის პატრიარქი და ჩვენს პატრიარქს „სომხური“ ეკლესიების გადაცემა მოსთხოვა, პასუხად კი ის მიიღო, რაც უნდა მიეღო.

ჰოდა, უცებ, ერთ კვირაში, „შემთხვევით“, საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს კანონს, რომლის მიხედვითაც სა-ჯარო სამართლის იურიდიული პირი — სომხეთის სამო-ციქულო ეკლესია — ადგება და კანონიერად იყიდის საპრივატიზაციოდ გამოტანილ პარლამენტის შენობას (მისი გაყიდვა უკვე ოფიციალურად გადაწყდა) ან მის წინ მდე-ბარე მიწას რუსთაველის გამზირზე; კანონიერად ააშენებს იქ სომხურ სამონასტრო კომპლექსს და კანონიერად გვიჩვენებს შუა თითს! ჰასკაცარ?! (ამ სიტყვის განმარტება იხილეთ სქოლიოში და საერთოდ, ჯობს, სომხური ისწავ-ლოთ, გამოგადგებათ).

P.S. სისხლის სამართლის კოდექსში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ამ დღეებ-ში; ცხადია — „შემთხვევით“: პოლიციელს ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს, მისი ოჯახის წევრს, მის ძმაკაცს, სიდედრს თუ გარე-ბიძაშვილს, ამიერიდან კანონი განსაკუთრებულად იცავს — მათ თუ აწყენინებთ, შვიდწლიანი ციხე გელით, თუკი ძალიან აწყენინებთ — სამუდამო პატიმრობა...

ენის ტლიკინზეც მიიღებენ მალე რამე ამდაგვარ კანონს და დაგრჩები უმუშევარი...

P.P.S. ნეტავ, პოლიციელი ქალის ცოლად მოყვანა თუ შეიძლება?.. გაუპატიურებაზე ხომ არ „გაგ-სროკავენ“?..

პროვოკატორი

ჰასკაცარ? — გაიგე? (სომხ.) ეს მათთვის, ვინც სომხური ჯერ არ იცის.

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

ქალმა მეათე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა

31 წლის უ ცზიუპინი სახლიდან გამოვიდა თუ არა, დაინახა, როგორ გადმოვარდა გოგონა ფანჯრიდან და მის დასაჭერად ხელები გაიშვირა. მიუხედავად იმისა, რომ მან გოგონას დაჭერა მოახერხა, პატარას ფილტვები, ტვინი და ნაწლავები მაინც დაუზიანდა. ბავშვის მხსნელს მარცხენა ხელის მრავლობითი მოტეხილობა აქვს. როგორც ექიმები ამბობენ, მის გამოჯანმრთელებას ნახევარი წელიწადი მაინც დასჭირდება. „მე ვიცი, რა ძნელია ბავშვის გაჩენა და ვერ დავუშვებდი, რომ გოგონა ჩემ თვალწინ მომკვდარიყო“, — განაცხადა უ ცზიუპინმა. როგორც გაირკვა, ბებიას ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი 2 წლის შვილიშვილი რამდენიმე წუთით დაუტოვებია და ოთახიდან გასულა.

რაში ეხმარება მესიჯი მწეველებს

ბრიტანელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ მწეველებს სიგარეტის გადაგდება გაუადვილდებათ, თუ მობილურ ტელეფონზე მოტივირებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მიიღებენ. მათ ჩაატარეს კვლევა სახელწოდებით — „txt2stop“, რომლის დროსაც პირველად გამოიყენეს ბიომეტრიული ტესტირება.

კვლევაში მოწევისთვის თავის დანებების 5800 მსურველი მონაწილეობდა. მათი ნაწილი მოტივირებულ, რჩევების შემცველ „ესემესებს“ იღებდა. შედეგად, მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატებმა სიგარეტს უფრო იოლად დაანებეს თავი, ვიდრე მათ, ვისაც მესიჯები არ მიუღიათ.

პრეზიდენტის ვაჟი გინესის რეკორდსმენი გახდა

საქართველოს პრეზიდენტის უფროსი ვაჟი, 15 წლის ედუარდი გინესის რეკორდსმენი I-Pad-ზე ინგლისური ანბანის სწრაფად აკრეფაში გახდა — მარჯვენა ხელით ანბანის სრულად ასაკრეფად 5,26 წამი დასჭირდა.

ედუარდმა წინამორბედი რეკორდსმენის, ბრიტანელი თინეიჯერის — ჩარლი ჟოზეფ მაკდონელის შედეგი 1,5 წამით გაუუმჯობესა. ბათუმში, იუსტიციის სახლში გამართულ პროცესს გინესის მსოფლიოს რეკორდების მსაჯი, შეიდა სუბასი გენიჯი აკვირდებოდა და მსაჯობდა. პრეზიდენტის ვაჟს საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი — ლადო ვარძელაშვილი გულშემატკივრობდნენ.

ალენ დელონის სახლში გოგონა დაჭრეს

ფრანგი მსახიობის — ალენ დელონის შვეიცარიაში მდებარე სახლში გამართულ წვეულებაზე 16 წლის გოგონა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. მსახიობის გარდა, წვეულებას მისი ვაჟი, 17 წლის ალენ-ფაბიენი და 10-მდე სტუმარი ესწრებოდა. მომხდართან დაკავშირებით ალენ დელონი კომენტარს არ აკეთებს. ცნობისათვის, მსახიობმა შვეიცარიის მოქალაქეობა 12 წლის წინ მიიღო და ამჟამად ჟენევაში ცხოვრობს.

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

როგორი იქნება ახალი სამარშრუტო ტაქსი და რა ელირება მგზავრობა?

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ

უახლოეს მომავალში თბილისის ქუჩებში ახალი სამარშრუტო ტაქსები გამოჩნდება — პირველ ეტაპზე 350 მანქანა შემოვა. როგორც ქალაქის მერიაში აცხადებენ, ახალი სამარშრუტო მიკროავტობუსები აღჭურვილია კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემით, სავარძლებს შორის სტანდარტული დაშორება 65 სანტიმეტრია, აქვს ხელის მოსაკიდებელი სავარძელსა თუ ჭერზე ანუ მგზავრის ფეხზე დგომაც დასაშვებია. ეს არის ტრანსპორტი, რომელიც საერთაშორისო ნორმებს პასუხობს, სადაც მგზავრი კომფორტულად იგრძნობს თავს. მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანიების („თბილკარის“, „თბილლაინის“, „ფაბლიქ ქარის“ და „ქეფითალ გრუფის“) წარმომადგენლები ამბობენ, რომ მგზავრობის საფასური საწვავის ფასებზე იქნება დამოკიდებული; მძღოლები კი ირწმუნებიან, რომ მგზავრობის საფასური უკვე განსაზღვრულია და მისი ოდენობა 80 თეთრს შეადგენს. ისინი მგზავრობის ღირებულების გაზრდას არა, მაგრამ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ შეთავაზებულ პირობებს აპროტესტებენ. მათი თქმით, ახალ სამარშრუტო ტაქსიზე მუშაობის დასაწყებად კომპანიის ანგარიშზე 500 ევრო უნდა შეიტანონ. გარდა ამისა, დაწესებულია ყოველდღიური შენატანიც — 18 ევროს ოდენობით. მძღოლები ამბობენ, რომ კომპანიები თავდაპირველად, მათ ყოველთვიურ ხელფასს შეჰპირდნენ. ვინაიდან 500 ევროს გადახდის საშუალება არც ერთ მძღოლს არა აქვს, შესაბამისად, მათ უმუშევრობა ემუქრებათ. ამ საკითხებთან დაკავშირებით საავტომობილო ტრანსპორტის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, ***ლავრენტი ალანია*** *გვესაუბრება.*

— **ბატონო ლავრენტი, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ მგზავრობის ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ მძღოლებზე დაკისრებული გადასახადები და როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების ფონზე, არის თუ არა ლოგიკური მგზავრობის ღირებულების 80 თეთრამდე გაზრდა?**

— ხელშეკრულების პირობები ჯერ კიდევ დამუშავების ეტაპზეა. მძღოლების მოთხოვნით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა ხელშეკრულების გარკვეულ მუხლებში კორექტივები შეიტანეს — მძღოლების მხრიდან საუბარი იყო საშეღავათო დღეების გათვალისწინებაზე და კომპანიებმაც წელიწადში 28 ისეთი დღე დააწესეს, როდესაც მძღოლები ყოველდღიურ შენატანს არ გადარიცხავენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მძღოლიც და მანქანაც დამსაქმებლის ხარჯზე დაეზღვევა. გარდა ამისა, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან იმაზეც შევთანხმდით, რომ ყოველდღიური მოსაკრებლის დაწესება დიფერენცირებულად, კონკრეტული სამარშრუტო ხაზის, მისი დატვირთვისა და ქრონომეტრაჟის გათვალისწინებით მოხდეს. მოგეხსენებათ, არის მარშრუტები, რომლებიც ფაქტობრივად, სულს ღაფავენ და ძალიან მცირე შემოსავალზე მუშაობენ, ზოგიერთს კი გაცილებით უკეთესი სამუშაო პირობები აქვს... დამსაქმებელი ამბობს, რომ 500 ევრო, რომელიც მუშაობის დაწყების მსურველმა უნდა გადაიხადოს, დეპოზიტზე დაიდება — ვინაიდან მძღოლს 18 ათასი ევროს ღირებულების მანქანას მისცემენ, შესაბამისად, რაღაც გარანტიები სჭირდებათ. რაც შეეხება მგზავრობის ტარიფს, არ ვიცი, მძღოლებმა 80 თეთრი საიდან მოიტანეს. მგზავრობის საფასურს მხოლოდ შესაბამისი ქრონომეტრაჟისა თუ ხარჯების დათვლის შემდეგ განვსაზღვრავთ. გასათვალისწინებელია, რომ სამარშრუტო ტაქსის კონკურენციას მუნიციპალური ავტობუსები და მეტრო უწევს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ მგზავრთა ნაკადმა სწორედ ამ მიმართულებით გადაინაცვლოს და ამან რამდენიმე სამარშრუტო ხაზის გაჩერებაც კი გამოიწვიოს. მოკლედ, ძალიან ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და დასათვლელი. ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება.

— **ეი. ნებისმიერ შემთხვევაში მგზავრობის ღირებულება 50 თეთრზე მეტი იქნება.**

— აბა, 50 თეთრი როგორ იქნება? ხომ ხედავთ, საწვავი როგორ გაძვირდა?! ვფიქრობ, მგზავრობის საფასური ეტაპობრივად, საწვავის ფასის ზრდის პარალელურად გაიზრდება და იმედი მაქვს, მოსახლეობა ამას გაგებით შეხვდება.

— **საწვავის ფასი ზოგჯერ იკლებს კიდეც, მაგრამ ამას რატომღაც, არავინ ითვალისწინებს. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები თუ გაითვალისწინებენ საწვავის ფასის მერყეობას?**

— საწვავის ფასის მერყეობას მართლაც, ბევრი სათავისოდ იყენებს. მე ეს გავითვალისწინე და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს მოვუწოდე, შექმნან დოკუმენტი, რომელშიც სრულად იქნება გაწერილი, თუ რამდენი პროცენტით დააზარალა საწვავის ფასის მატებამ მძღოლი. იქვე უნდა გაუკეთონ მინაწერიც, რომ საწვავის გაიაფება მგზავრობის ღირებულებაზეც აისახოს.

— **ახალი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობისას სოციალურად დაუცველები და დევნილები თუ ისარგებლებენ შეღავათით?**

— როგორც ქალაქის მერიასთან, ისე დამსაქმებლებთან უკვე შევთანხმდით, რომ მძღოლი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუჯდება ახალი მანქანის საჭეს, თუ იქ ელექტრონული საგადასახადო აპარატი იქნება დამონტაჟებული და სოციალურად დაუცველი ფენები, დევნილები შეღავათებით ისარგებლებენ. ■

Dzintars- ᲫᲘᲜᲢᲐᲠᲡᲘ
ნატურალური ჯოსმეტიკა
რომელიც არ შეიცავს
ქიმიურ დანამატებს
ᲑᲘᲝᲙᲝᲡᲛᲔᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ
ᲞᲐᲠᲤᲘᲣᲛᲔᲠᲘᲐ ᲠᲘᲒᲘᲓᲐᲜ,
ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲓᲐᲜ!
+ ოდეკოლონები;
+ სუნამოები
+ მზისგან დამცავი კრემები,
+ თმის ბალზამი,
+ ტონალური კრემები,
+ პომადები და ა.შ.
ᲘᲐᲘᲗᲮᲔᲗ ᲢᲘᲚᲝᲡᲘ, ᲑᲚᲓᲐᲜᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘᲡᲘ.
ᲛᲝᲑ: 857 47 12 36
www.dzintars.lv
dzintarge@gmail.com

რა გველის პოლიციელზე თავდასხმისას ანუ რა მიზანს ემსახურება ახალი კანონპროექტი

პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმისთვის უვადო პატიმრობის სანქცია უკვე დამტკიცებულია პარლამენტის მიერ და მის ასამოქმედებლად, ახლა მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერაა საჭირო.

„სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილმა ცვლილებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, — ნაწილი შიშობს, რომ ეს კანონი ჩინოვნიკების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებას შეუწყობს ხელს და სულ მალე საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება... განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს იურისტი სევდია უგრეხელიძე, რომლის მტკიცებებითაც, ახალი კანონპროექტი ქვეყანაში წესრიგის დაცვას ემსახურება.

ლალი პაპასკირი

— მსგავსი კანონი საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში აღიარებულია და საქართველოზე მეტად განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებშია მიღებული... ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა ან თანამდებობის პირი ვალდებულია, უფრო მეტი მოითმინოს; მას არ შეუძლია იჩივლოს, როცა მის პირად ცხოვრებაში ერევიან; პრესის მუდმივი ყურადღების ცენტრში იმყოფება. ამიტომაც იგი დაცული უნდა იყოს სიტყვიერი შეურაცხყოფისგან, ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის ხელყოფისგან... ქართველი საზოგადოებისთვის ასეთი კანონები უჩვეულოა, მაგრამ დემოკრატია მხოლოდ უფლება კი არა, ვალდებულებაც არის. საქართველო ტოტალიტარიზმის შვილია და ამიტომაც, სისხლის სამართლის კოდექსში ბევრი რამ უფრო დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს ვუწოდებთ. რაც შეეხება უფლებამოსილების გადაჭარბებას: 1995 წელს გამოცემული კონსტიტუციის 42-ე მუხლში ძალოვანი უწყების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობა დეტალურად იყო გაწერილი, რადგან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მილიციის თანამშრომლები კანონს მაშინ მოირგებდნენ სათავისოდ, როცა ეს მოესურვებოდათ: ეს „მენტალიტეტში ჰქონდათ გამჯდარი“... ამ შემთხვევაშიც ასე ხდება: პოლიციელის უფლებამოსილება მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, რადგან მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და პოსტსაბჭოური მენტალიტეტი ამ თაობაშიც იგრძნობა... გარდა ამისა, კანონმდებლობაშიც იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც დეტალურად არ იყო ჩამოყალიბებული და მისი გამოყენება ყველას სათავისოდ შეეძლო, მაგალითად: არ შეიძლება, ორმა ადამიანმა რკინის საკნით მთელი რუსთაველი რამდენიმე თვით ჩაკეტოს. საქმე ის არის, რომ ასეთი რაღაცები მანამდე მოხდება, ვიდრე კანონში არ აისახება. ეს არის რეალობა. ქართველებს — ხელისუფლებას, ოპოზიციას, ძალოვნებს თუ უბრალო საზოგადოებას, კანონისადმი კულტურული დამოკიდებულება არ გაგვაჩნია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქართველო ტრაციდიული დემოკრატიის ქვეყანა არ არის. დემოკრატიული ჭეშმარიტებები, რომლის ცალკე პუნქტად განსაზღვრა სხვა ქვეყნებში აუცილებელი არც არის, აქ კანონში უნდა შეიტანონ. რადგან საქართველოში კანონის დაცვა იძულებითი მეთოდებით ხდება, აუცილებელია, პირველ რიგში, კანონის დამცველის უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი.

დემოკრატიული ჭეშმარიტებები, რომლის ცალკე პუნქტად განსაზღვრა სხვა ქვეყნებში აუცილებელი არც არის, აქ კანონში უნდა შეიტანონ

P.S. პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მათ სამსახურებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე, ან სატრანსპორტო საშუალებაზე, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით — თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით დაისჯება. ■

ᲡᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲐᲥᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

ᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲫᲘᲚᲝ ᲦᲐᲛᲔ

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ. ᲯᲔᲠ ᲨᲔᲠᲝᲜ ᲡᲢᲝᲣᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲓᲘ ᲒᲐᲠᲘᲡᲘᲐᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲠᲘᲚᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ — ᲙᲠᲘᲡ ᲑᲝᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲜᲒᲘ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲜ. ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲡᲔ ᲔᲚᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲐᲜᲣ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲦᲔᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲐᲠᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲫᲘᲕᲘᲫᲔ

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“ ᲓᲐᲒᲒᲞᲘᲠᲓᲐ, ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲗᲝ. ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐ ᲒᲖᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ — ᲛᲝᲕᲙᲐᲚᲐᲗᲓᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲡ ᲑᲝᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲕᲘᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔ. ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲢᲘᲜᲒᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲒᲕᲘᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ ᲛᲝᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲠᲔᲙᲙᲕᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲜᲣᲠᲐᲡ ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ — ᲐᲠᲪ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲘᲜᲣᲮᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ, — ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲣᲪᲮᲝ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲒᲕᲐᲢᲧᲣᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ?.. ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ.

ᲔᲙᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ:

— ᲐᲛ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ ᲓᲐᲛᲞᲐᲢᲘᲟᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲘᲥ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔ. ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲛᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ. ᲙᲠᲘᲡ ᲑᲝᲢᲘ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘᲐ. ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲑᲔᲜᲓᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲔᲕᲘᲝᲚᲘᲜᲔ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲮᲘᲑᲚᲔ. ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲐᲠ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲗ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲣᲙᲠᲔᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ.

ᲐᲛ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲒᲔᲤᲘᲪᲔᲑᲘᲗ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲫᲘᲜᲔ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ

ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲦᲐᲠᲡᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲓᲐ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲘᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ. ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲙᲣᲚᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲘᲧᲝ. ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐ�გᲐᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲔᲑᲐᲗ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ.

— **ᲡᲢᲘᲜᲒᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲥᲝᲜᲘᲐ?**

— ᲐᲠᲐ. ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲘᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ

ჩემმა მობილურმა ამაში ხელი არ შემიწყო. არც ერთი ფოტო არ გამომივიდა...

ნინი ბადურაშვილი:

— ძალიან მაგარი კონცერტი იყო. მახსოვს, ძალიან ადრე, თბილისში გამართულ ჯაზფესტივალს „თეიქ სიქსი“ სტუმრობდა, მოგვიანებით კი რეი ჩარლზის კონცერტსაც დავესწარი და ამ ორი კონცერტით ძალზე აღფრთოვანებული ვიყავი. ახლა მათ რიგს სტინგი და კრის ბოტიც შეემატნენ. მოკლედ, ასეთი ხარისხის კონცერტებზე იშვიათად ვხვდები. ამ ორი მუსიკოსის ფანი ნამდვილად არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მათ შემოქმედებას პატივს ვცემდი. ახლა პოზიცია შევიცვალე, ისეთი ენერგეტიკა მოდიოდა სცენიდან, გავგიჟდი. მიუხედავად იმისა, რომ მათი აბსოლუტურად ყველა კომპოზიცია ჩემთვის ნაცნობი იყო, მაინც იმდენად აღფრთოვანებული ვიყავი, მეტყველების უნარიც კი დავკარგე. სტინგი დიდი პროფესიონალი და გემოვნებიანი ადამიანია. ახლა ნამდვილად ვარ მისი ფანი. ასეთი კონცერტები საქართველოში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს, რადგან ასეთი ხარისხის მუსიკის მოსმენით ადამიანი დიდ განათლებას იღებს. გარდა ამისა, ეს ყველაფერი ქვეყნის განვითარებისა და მეტი ტურისტის მოზიდვისთვის არის აუცილებელი...

სტამბოლშიც გახლდით კრის ბოტის კონცერტზე და იქ გადავიღე მასთან ფოტო

— თუ საიდუმლო არ არის, შენ და შენი ოჯახი ვინ დაგპატიჟათ ამ კონცერტზე?

— მერიიდან მოგვივიდა მოსაწვევები...

კონცერტს ჩემი არაერთი მეგობარიც დაესწრო. ისინი საზოგადოებისთვის ცნობილები არ არიან, მაგრამ ვფიქრობ, მათი აზრის შეტყობაც მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

ეკატერინე ქავთარაძე:

— ერთ-ერთ ბანკში ვმუშაობ და რამდენიმე თანამშრომელს ამ კონცერტის მოსაწვევი გვაჩუქეს. რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა და მაშინვე დავიწყე მზადება ბათუმში წასასვლელად. ვერ წარმოიდგენთ, იქ რა ხდებოდა. არც ერთ სასტუმროში ადგილი არ იყო. გარდა იმისა, რომ ნახევარი თბილისი იქ გაემგზავრა, უამრავი უცხოელი ტურისტიც იყო. ძლივს ვიშოვეთ ბინა. მართალია, არცთუ ისეთი სახარბიელო პირობებით, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა?!. შარშან მსგავსი ბინის დაქირავება 10 დღის განმავლობაში 200 ლარი ჯდებოდა, წელს კი ორ ღამეში გადავიხადე იგივე თანხა. გაორმაგებული ფასებია ყველაფერზე, თუმცა ამას საწუწუნოდ არ ვამბობ. სტინგის მოსასმენად, ნამდვილად ღირდა ამ „მსხვერპლის“ გაღებაც. მართლაც, არაჩვეულებრივი კონცერტი იყო. მეც და ჩემმა თანამშრომლებმაც ძალიან ვისიამოვნეთ. ისეთი აჟიტირებულები ვიყავით, მთელი ღამე არ დაგვიძინია და სულ სტინგზე ვსაუბრობდით... კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა: როგორც შევიტყვე, კონცერტის ბილეთი 380 ლარი ღირდა და ამ ფასმა გამაოგნა, რადგან რამდენიმე წლის წინ საბერძნეთში სასწავლებლად გახლდით წასული და იქ სტინგის კონცერტზე ბილეთების ფასი 20-25 ევრო გახლდათ. საქართველოში რატომ ღირს ყველაფერი ასე ძვირი, ჩემთვის გაუგებარია...

თიკა კახნიაშვილი:

— როგორც კი შევიტყვე, რომ ეს ორი მუსიკოსი უნდა ჩამოსულიყო მეგობრებთან ერთად, მაშინვე გადავწყვიტე, ამ კონცერტს უეჭველად დავსწრებოდი. ბილეთები ფილარმონიის სალაროებში 25 მაისს შემოიტანეს. რატომღაც გული მიგრძნობდა, რომ შეზღუდული რაოდენობით იქნებოდა და მეგობარს ვთხოვე, სალაროს გახსნამდე მისულიყო. ასეც მოიქცა. სალარო გახსნეს თუ არა, გამოაცხადეს, 10 დასაჯდომი ბილეთია და 10 — ფეხზე დასადგომიო. დასაჯდომი 380 ლარი ღირდა, ფეხზე დასადგომი — 90. ჩვენ დასაჯდომი ბილეთები შევიძინეთ, მაგრამ ძალიან ბევრ ადამიანს ბილეთი საერთოდ არ შეხვდა, არადა, კონცერტს ბევრი ისეთი ადამიანიც ესწრებოდა, რომელმაც არც იცოდა, ვინ არიან სტინგი და კრის ბოტი. ბევრი მუსიკისმცოდნე და მოყვარული ადამიანი კი გარეთ დარჩა და კონცერტს ვერ დაესწრო. ეს ძალზე გულდასაწყვეტია. რაც შეეხება კონცერტს, ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიამოვნება იყო მასზე დასწრება. მართლა მეშინოდა, ემოციებისგან გული არ გამხეთქოდა. განსაკუთრებით ემოციური მეორე განყოფილება გახლდათ, რომელიც ტელემაყურებელს არ უჩვენეს. ამ განყოფილებაში სტინგმა სამი სიმღერა შეასრულა, მევიოლინემ სოლო დაუკრა, კრის ბოტი კი დარბაზში ჩამოვიდა და ერთი კომპოზიცია იქვე შეასრულა. რომ ვლაპარაკობ, ახლაც კი თავიდან განვიცდი ამ ყველაფერს. ეს მუხტი, ეს განწყობილება ალბათ ძალიან დიდხანს გამყვება.

— ფოტოები არ გადაიღეთ?

— არა. სამწუხაროდ, ვიდეოაპარატი არავის შეგვატანინეს. შესასვლელთან ყველას ჩხრეკდნენ, ამიტომ იძულებული გავხდით, ჩვენი აპარატი ახლომდებარე პურის მაღაზიაში დაგვეტოვებინა. ისე, იქ მგონი, რაღაცის გაჩხაკუნების სურვილი არც არავის გაუჩნდებოდა. ყოველ წამს ისეთი რაღაც ხდებოდა სცენაზე, რომ მთელი დარბაზი გასუსული იჯდა. მოკლედ, ძალიან მაგარი იყო... ისე, მე სტამბოლშიც გახლდით კრის ბოტის კონცერტზე და იქ გადავიღე მასთან ფოტო... ■

სტინგის პოლიტიკური დემარში

როგორც ცნობილია, 4 ივლისს, ყაზახეთში, დედაქალაქის დღის აღსანიშნავად (ამავე დღეს არის დაბადებული ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი) სტინგის კონცერტი უნდა გამართულიყო. 3 ივლისს, ბათუმის კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, მომღერალმა განაცხადა, რომ ეს კონცერტი გაუქმდა. აღნიშნული ინფორმაცია მის პირად საიტზეც დაიდო, სადაც სტინგი განმარტავს, რომ ეს კონცერტი ყაზახი მენავთობეების საპროტესტო აქციისადმი სოლიდარობის ნიშნად გაუქმდა. უკვე რამდენიმე კვირაა, მანგისტაუს ოლქის მენავთობეები და პროფკავშირების წარმომადგენლები ხელფასის მომატების მოთხოვნით საპროტესტო აქციებს მართავენ. უცხოური მედიის ცნობით, 400 მენავთობე სამსახურიდან სწორედ ამ დემონსტრაციების საფუძველზე გაათავისუფლეს. რამდენიმე მათგანი კი დააპატიმრეს კიდეც. მომღერალმა ისიც განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო ორგანიზაცია AMNESTY INTERNATIONAL-ის რეკომენდაციით მიიღო. მათ მუსიკოსი გააფრთხილეს, რომ მისი კონცერტი ასტანაში ყაზახეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისადმი მხარდაჭერის ნიშანი იქნებოდა და რომ ამით სტინგი უარს იტყოდა იმ ყველაფერზე, რისთვისაც აქამდე იბრძოდა. ბრიტანელი მომღერალი იმედოვნებს, რომ მისი დემარშის შემდეგ, ეს ფაქტი მსოფლიოს მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება და მენავთობეების პრობლემები მოგვარდება. ყაზახეთის ხელისუფლება და რუსული მედია კი ირწმუნება, რომ სტინგის კონცერტი ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო. ■

ტექნიკური დარგების „მოყვარული“ აბიტურიენტები და დასიცხული გულშემატკივრები“

ქვეყანაში მისაღები გამოცდების „ციებ-ცხელებაა“. თუ ვინმეს აბიტურიენტი ოჯახის წევრი არ ჰყავს, ახლობელი მაინც ეყოლება, რომელიც სტუდენტობაზე ოცნებობს. მოკლედ, ეს თემა თბილისში ისეთი აქტუალურია, სამარშრუტო ტაქსიში 5 წუთით რომ დაჯდეს ვინმე, უეჭველად მოისმენს მგზავრის სატელეფონო საუბარს, რომელიც ან საკუთარ გამოცდებზე ესაუბრება ვინმეს, ან — ახლობლისაზე.

ნათია ჟვანია

როგორც ცნობილია, წელს თბილისში 3 საგამოცდო ცენტრია. აბიტურიენტთა ერთი ნაწილი გამოცდებს აგრარულ უნივერსიტეტში აბარებს, მეორე — ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო მესამე — ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. პირადად მე, ოჯახის წევრიც მყავს აბიტურიენტი და არაერთი ახლობელიც. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, პირველივე გამოცდისას, რომელიც ბავშვებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში უტარდებოდათ, მაღლივ კორპუსს ვწვეოდი.

რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ამ კორპუსის ეზო გულშემატკივრებით გადაჭედილი დამხვდებოდა (ჩემი აბიტურიენტობისას ასე იყო), მაგრამ შევცდი. ალბათ ორასიოდე ადამიანი თუ იქნებოდა, ისინიც აქაიქ მიმოფანტულიყვნენ და თუკი სადმე ჩრდილისთვის მიეგნოთ, იქ ბორდიურზე ან პირდაპირ ასფალტზე მოკალათებულიყვნენ. მორწმუნე მშობლები შუაგულ მზეში დამდგარიყვნენ და ლოცვებს კითხულობდნენ. ასეთი ქალბატონი სულ სამი დავთვალე და გადავწყვიტე, რეპორტაჟი მათთან საუბრით დამეწყო. როგორც აღმოჩნდა, სამივე მათგანის შვილი ეკონომიკურ ფაკულტეტზე აბარებდა, სამივე — ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში. ერთ-ერთი მათგანი იმ ორი მშობლისგან განსხვავებით, უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა:

— ჩემი ვაჟი ძალიან ძლიერი მოსწავლე იყო. მართალია, კერძო სკოლაში ვერ დამყავდა და ჩვეულებრივი სახელმწიფო სკოლა დაამთავრა, მაგრამ ათას საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდა და ამის დამადასტურებელი არაერთი სიგელიც აქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭია, თავის თანაკლასელ გოგონებზე უკეთ სწავლობდა. მართალია, მატერიალურად მყარი ოჯახი არა მაქვს, მაგრამ მთელი წელი გავიჭირვეთ და ოთხივე საგანში მოვამზადეთ. ინგლისურ ენაში მანამდეც სულ ემზადებოდა. რა ვიცი, ოთხივე რეპეტიტორი მეუბნება, რომ ძალიან კარგი ბიჭია და აუცილებლად მაღალ ქულებს მიიღებსო, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. გამოცდა ისეთი რამეა, სადაც მხოლოდ ცოდნა არ კმარა, — იღბალი, განწყობილება და უფლის წყალობაც აუცილებელია... სადმე აუცილებლად რომ ჩაირიცხება, ეს დანამდვილებით ვიცი, მაგრამ მინდა, უნივერსიტეტში მოხვდეს და თანაც, მთლად 100-პროცენტიანი თუ არა, 70-პროცენტიანი გრანტი მაინც მოიპოვოს. რაც გამოცდაზე შევიდა, აქ ვდგავარ და მის სახელზე ფსალმუნებს ვკითხულობ. სხვა არაფრით შემიძლია მისი დახმარება. ჩემი ვაჟიც მორწმუნეა, მარხვას ინახავს და მოძღვარიც ჰყავს. ჰოდა, ღმერთს ვევედრები, რომ გონება გაუნათოს და გააძლიეროს. მგონია, რომ ჩემი ლოცვა მას ძალიან უშველის...

ვიდრე ამ მშობელთან საუბარს დავასრულებდი, ერთი აბიტურიენტი შენობიდან გამოვიდა, რამაც ძალზე გამაკვირვა, რადგან გამოცდის დაწყებიდან მხოლოდ ერთი საათი იყო გასული. იმ აბიტურიენტ ბიჭს დავეწიე და ვკითხე, ასე ადრე რატომ გამოხვედი-მეთქი?

— სამხედრო აკადემიაში ვაბარებ. რაც დავწერე, ის ქულებიც საკმარისი იქნება, რომ ჩემთვის სასურველ ფაკულტეტზე მოვხვდე, თემის წერით კი თავი აღარ შემიწუხებია, — ეს მითხრა, სამარშრუტო ტაქსი გააჩერა და დაუმშვიდობებლად წავიდა.

ერთი მშობელი მომიახლოვდა და იმ ბიჭის ამბები გამომკითხა. მასაც სწორედ ის აინტერესებდა, რაც მე ვკითხე. შანსი ხელიდან არ გავუშვი და ამ მშობელსაც გავესაუბრე.

— ჩემი ვაჟი უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე აბარებს. ძალიან ძლიერი და ნიჭიერი ბავშვია. კერძო სკოლაში დამყავდა, მიუხედავად ამისა, რეპეტიტორებთანაც ვამზადებდი...

— რატომ? იმ კერძო სკოლაში სათანადოდ არ ამზადებდნენ?

— როგორ არა?! ბევრ მის თანაკლასელს არც უვლია რეპეტიტორთან და მაინც გადიან გამოცდებზე, რადგან ისედაც მომზადებულები არიან. მე კი მაინც გადავწყვიტე

რეპეტიტორების აყვანა, ვიფიქრე, ასე უფრო მექნებოდა გული საგულეში. მაქვს ამის საშუალება და რატომ არ უნდა მიმეცა ჩემი შვილისთვის სათანადო ცოდნა?!

— იმ კერძო სკოლაში წელიწადში რა თანხას იხდიდით?

— ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?..

— კი, მაინტერესებს, სკოლაში რამდენს იხდიდით და მერე რეპეტიტორებს რამდენი გადაუხადეთ. ამით გავარკვევ, საშუალოდ რა ჯდება ერთი აბიტურიენტის შენახვა.

— არა მგონია, ეს ვინმესთვის საინტერესო საკითხი იყოს. არ მეგულება ადამიანი, საკუთარი შვილის განათლებაში ფულის ჩადება რომ ენანებოდეს.

— კი, მაგრამ ეს ფული ხომ უნდა ჰქონდეს?

— მე ნამდვილად მაქვს, — *მითხრა ქალბატონმა და მერე ზურგი შემაქცია. როგორც ჩანს, ჩემი შეკითხვებით გავანაწყენე... ამ დროს აბიტურიენტებმა გამოცდიდან გამოსვლას მოუხშირეს და მეც მაღლივის კიბეს მივაშურე, რომ მათ გავსაუბრებოდი. ასეთი სიტყვაძუნწი ბავშვები ცხოვრებაში არ შემხვედრიან. არ ვიცი, სტრესის ბრალი იყო თუ აღზრდის დეფიციტის, მაგრამ ჩემს შეკითხვებს მოკლედ პასუხობდნენ, ზოგი საერთოდ არ მაქცევდა ყურადღებას და მშობლებისკენ გარბოდა. ერთ-ერთი მათგანი მაინც „გამოვიჭირე“ და შეკითხვებით „სული ამოვხადე“.*

— ძნელი იყო გამოცდა?

— ძალიან.

— მაინც, რა გაგიჭირდა?

— ფუნქციური წერილის დაწერა. ეგ რას ნიშნავს, საერთოდ აზრზე არა ვარ.

— რეპეტიტორებთან არ გივლია?

— მხოლოდ უნარ-ჩვევების მასწავლებელთან დავდიოდი ბოლო ერთი თვე, დანარჩენ საგნებში მომზადება არ მჭირდებოდა.

— რატომ? მასწავლებელთან რომ გევლო, ხომ გეცოდინებოდა, ფუნქციური წერილი რას ნიშნავს?

— არ მჭირდება. რომელ შეკითხვებზეც გავეცი პასუხი, მასში აღებული ქულები მაინც მეყოფა ჩასარიცხად.

— კი, მაგრამ რა ფაკულტეტზე აბარებ, დაბალი ქულებიც რომ იკმარებს?

— შვიდივე ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი მაქვს შემოხაზული და იქ იმაზე მეტი ცოდნა არ არის საჭირო, ვიდრე მე მაქვს.

— მაშინ, უნარ-ჩვევებში მომზადება რაში დაგჭირდა?

— საერთოდ, „გაგებაში“ არ ვიყავი, რა იყო უნარ-ჩვევები და იმიტომ. რამდენიმე შეკითხვას ხომ მაინც უნდა ვუპასუხო...

კიდევ ვაპირებდი მისთვის შეკითხვების დასმას, მაგრამ ვინ გაცადა — დედამისი მოვარდა, შვილი გულში ჩაიხუტა და სულ „ჩემი ნიჭიერი შვილი“-ს ძახილით წაიყვანა. სხვათა შორის, გამოცდიდან გამოსული აბიტურიენტების პირველ ნაწილს არც ფუნქციური წერილი დაუწერია და არც „ისე თემა“. არადა, პირველი — 15-ქულიანია, ხოლო მეორე — 25-ქულიანი, რაც ნიშნავს, რომ თუ აბიტურიენტს მაღალი შეფასება სჭირდება, ეს ორი თემა აუცილებლად უნდა დაწეროს. ერთმა ყმაწვილმა ისიც კი მითხრა, — არც ვიცი, რა თემა შემხვდა, რადგან იმის დამწერი მაინც არ ვიყავიო. შესაბამისად, გამოცდიდან ადრე გამოსული ახალგაზრდების უმეტესობას არ ჰყავდა რეპეტიტორი და აბსოლუტურად ყველა მათგანი ტექნიკურ უნივერსიტეტში აბარებდა, სადაც, მათივე თქმით, დაბალი ქულებიც კი საკმარისია. რაც შეეხება მეორე ნაწილს — მათ რეპეტიტორები ჰყავდათ და მათი ძირითადი ნაწილი უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე აპირებდა ჩარიცხვას. მართალია, ბევრ მათგანს თემის დაწერა გასჭირვებია, მაგრამ მაინც დაუწერია, რადგან — იმ 15 თუ 25 ქულ-

გაგრძელება იხ. გვ. 32

მოგზაურობა „ბოევიკების საუფლოში“

და ტრაქტორზე „მიბმული“ მადულარათი მომზადებული ყავის გემო

პანკისის ხეობა

ნათქვამია, ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსეო... მართლაც, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ „ჩეჩენი ბოევიკების თავშესაფრად“ (როგორც რუსული მედია მოიხსენიებს) ცნობილ ხეობაში ქისტებთან ერთად ჯიხვის მწვადებს დავაგემოვნებდი და საქართველოს სადღეგრძელოს მოვისმენდი. როდესაც კოლეგებმა პანკისში მოგზაურობა შემომთავაზეს, ვიფიქრე, ხუმრობდნენ. გაგებული მქონდა, რომ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ამ ხეობაში შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლების გადმოსვლის შესახებ იუწყებოდა. რუსული საინფორმაციო წყაროები იმასაც კი წერდნენ, თითქოს პანკისში ვაჰაბიტებს ბანაკები ჰქონდათ მოწყობილი, სადაც ბოევიკებს არაბები ავარჯიშებდნენ. „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა, ნინო ბურჭულაძემ დამამშვიდა, — ძალიანაც რომ მოინდომო და ხეობა გადაატრიალო, ბოევიკებს, თალიბებსა და არაბებს ვერსად ნახავო.

ნათუნა ბახტურიძე

პანკისში ჩვენი მასპინძლობა დუისის გამგებელმა, მერაბ ქავთარაშვილმა ითავა. ქისტებმა ჩვენ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა ჯერ კიდევ მგზავრობისას გამოხატეს: ვიდრე დანიშნულების ადგილამდე მივიდოდით, რამდენჯერმე დაგვირეკეს და გვკითხეს, — გზად რაიმე დაბრკოლებას ხომ არ წააწყდით ან რაიმე ხომ არ გიჭირთო? მასპინძლები ხეობის შესასვლელში ავტომობილებით დაგვხვდნენ. ქისტების სოფელ დუისში შესვლისას ქვით ნაშენი სახლები, მაღალი გალავნები, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი წვერიანი მამაკაცები და გრძელ კაბებში ჩაცმული, თავშებურული ქალები მომხვდნენ თვალში. უცნაური გამოხედვა ჰქონდათ — ერთდროულად ლაღიც და სევდიანიც, ამაყიც და კდემამოსილიც...

სოფელს გავცდით და მთებს შუა გაჭრილ ფართო გზას გავუყევით. ჩვენ თვალწინ ბუნების ულამაზესი ხედები ერთმანეთს ცვლიდა... „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტს, ბექა პატურაშვილს ვეღარ ვაკავებდით, ავტომობილს ყოველ ათ მეტრში აჩერებდა და ფოტოებს იღებდა. ფართო გზა თანდათან შევიწროვდა, დაბურულ ტყეს მივუახლოვდით. მასპინძლებმა გვითხრეს, რომ უკვე ბაწარას ხეობაში ვიყავით.

ქისტებს მდინარე სამყურას პირას (რომელიც რამდენიმე ასეულ მეტრში ალაზანს უერთდება) ხისგან სახელდახელოდ შეკრულ მაგიდაზე გაეშალათ სუფრა, რომელიც ქისტური თუ ქართული ნაციონალური კერძებით იყო დახუნძლული. სუფრის სიუხვეზე მეტად იმან გაგვაკვირვა, რომ უდაბურ ტყეში გაშლილ სუფრაზე მინდვრის ყვავილებით სავსე ორი ლარნაკი დაედგათ... დილიდან ისე გელოდით, არც კი წაგვიხემსებიაო, — გვითხრა მერაბმა და სუფრისკენ გაგვიძღვა. თამადამ, გურამ ხანგოშვილმა პირველ რიგში, საქართველო ადღეგრძელა, ღმერთს მადლობა შესწირა იმისთვის, რომ ამ კურთხეულ მიწაზე ცხოვრების ბედნიერება მისცა და დასძინა, — აქედან ჩვენი გაყრა რომც მოინდომონ, პოლიტიკურ თავშესაფარს მოვითხოვ და არ წავალო. ქისტები ერთიმეორის მიყოლებით ადღეგრძელებდნენ ჩვენს ქვეყანას, ქართველ და ქისტ მებრძოლებს, გმირებს... 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულების მოსაგონარი ფეხზე ადგომით დალიეს. გამაოცა ჩვენი მასპინძლების განსწავლულობამ საქართველოს ისტორიაში, ლიტერატურაში, ქართული ენის ფლობის დონემ... ბატონმა თამადამ ხან ვაჟას პოეზია გაიხსენა, ხანაც ილიას ბრძნული გამონათქვამები... მერაბი ერთ საინტერესო ამბავსაც მოგვიყვა: თურმე აგვისტოს ომის დროს, რუსების შეტევისას ერთი ქისტი მებრძოლი დაჭრილა, მაგრამ მასზე უფრო მძიმედ დაჭრილი ქართველი არ მიუტოვებია და ზურგზე

მოკიდებული გამოუყვანია სამშვიდობოს. მასპინძლები იმასაც შემპირდნენ, რომ ამ მამაც ქისტს გამაცნობდნენ და მასთან ინტერვიუს ჩამაწერინებდნენ, ოღონდ — მომავალი სტუმრობისას. დარწმუნებული ვარ, თავის სიტყვას შეასრულებენ კიდეც.

შეიძლება, მკითხველმა გვისაყვედუროს, — აფხაზეთის ომში მათი მონაწილეობის შესახებ რატომ არაფერი ჰკითხეთო? მართლაც, არაფერი გვიკითხავს, რადგან დაგვასწრეს და თავადვე თქვეს, რომ ამ ამბავს დღემდე განიცდიან... მათ არც კადიროვის პოზიცია მოსწონთ, ფიქრობენ, რომ პრეზიდენტმა საკუთარ ხალხს უღალატა... არაერთხელ გაიმეორეს, — მოღალატეები ყველა ერს ჰყავს, მათ შორის, ჩვენც და თქვენცო...

საუბრისას ერთ-ერთმა ქისტმა, ჯარაფ ხანგოშვილმა გამოგვიცხადა, — ჟურნალ „გზისა“ და „კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველი ვარ, გვარ-სახელით ყველა ჟურნალისტი ვიცი, მაგრამ სახეზე არ გიცნობთ, ერთი მითხარით, რომელია თქვენ შორის რუბრიკის — „თქვენთვის, ქალბატონებო“ — ავტორი? უნდა გამოგიტყდეთ, რომ „კვირის პალიტრის“ კითხვას ამ გვერდიდან ვიწყებო. ამ „აღმოჩენამ“ (რომ თურმე ქისტი მამაკაცები ქალების საყვარელ რუბრიკას კითხულობენ) ძალიან გაგვამხიარულა. ერთ-ერთ მათგანს, ალექსი ქავთარაშვილს გულმა არ მოუთმინა და რუბრიკის ავტორს, მარინა ბაბუნაშვილს თავისი პირველი სიყვარულის ამბავს მოუყვა. თურმე, 15 წლის ასაკში, საჩხერეში სტუმრობისას იმერელი გოგონა — ნელი შეჰყვარებია, მაგრამ გულისნადები დიდხანს ვერ გაუმხელია. გოგონა ამასობაში გათხოვილა... ალექსი იმაშიც გამოგვიტყდა, რომ პირველ სიყვარულს დღემდე ვერ ივიწყებს და მის ამბებს შორიდან კითხულობს. ბოლოს გულდაწყვეტილმა თქვა, — ნელი ახლა უკურნებელი სენითაა დაავადებულიო, — და თავი ჩაღუნა.

ბატონმა ალექსიმ თავისი ამბის თხრობა რომ დაასრულა, ჩემმა კოლეგებმა სასხვათაშორისოდ თქვეს, — ახლა ყავას დალევდა კაციო. ამის თქმა იყო და, ჯამბულ ქავთარაშვილი („ხადორ-2“-ის ჰესის მთავარი მენეჯერი) სუფრიდან წამოდგა, ახლავე დავბრუნდებიო, — თქვა და წავიდა. ნახევარ საათში ყავა, ჩაი, შაქარი, ტკბილეული და ელექტრომადუღარა მოიტანა. გაგვიკვირდა, — ამ შუაგულ ტყეში, ნეტავ, როგორ უნდა აადუღოს წყალი-თქო? კიდევ უფრო გაოცებულები დავრჩით, როდესაც ტრაქტორიც მოიყვანეს, მისი მაშუქებით სუფრაც გაგვინათეს და აკუმულატორის საშუალებით ჩაი და ყავაც მოგვიხარშეს.

ქერიმ ბაღაკაშვილი

სევდიანი საუბრის შემდეგ პოეზიაზე საუბრის დრო დადგა... ლექსებს სიმღერა მოჰყვა... მასპინძლებმა ქართული სიმღერებიც იმღერეს, ლექსიც თქვეს და ჩეჩნური „ლეზგინკაც“ იცეკვეს. ზურა ბაღაკაშვილის პატარა ბიჭმა, 9 წლის ქერიმმა თავისი ცეკვით ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ სტუმრებიც აგვიყოლია და ჩვენი საერთო ყიჟინა მთელ ხეობაში გაისმა...

ბაწარას ხეობა უსაზღვროდ ნასიამოვნებმა დავტოვეთ. 15 წუთში უკვე დუისში ვიყავით. გამგებლის ავტომობილი ქვის მაღალი გალავნით გარშემორტყმულ ეზოში შეგვიძღვა. ყოველ კუთხე-კუნჭულში წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. საზამთროდ გამზადებული შეშა ლამაზად იყო დაწყობილი. საცხოვრებელი სახლის კარი შევაღეთ თუ არა, საოცრად უჩვეულო სამყაროში ამოვყავით თავი. ხალიჩებით მორთულ, ერთდროულად აზიურად და ევროპულად მორთულ დიდ ოთახში მერაბ ქავთარაშვილის მეუღლე, მარინა შემოგვეგება, თბილად მოგვიკითხა, სუფრა გაგვიშალა და გვერდით მოგვიჯდა.

გამაოცა ჩვენი მასპინძლების განსწავლულობამ საქართველოს ისტორიაში, ლიტერატურაში, ქართული ენის ფლობის დონემ... (სტუმარ-მასპინძელი)

მეორე დღეს მერაბის ძმის ცოლი, მადინა გავიცანით. მიუხედავად იმისა, რომ ქისტი ქალები ადრეულ ასაკში თხოვდებიან და თავს მთლიანად ოჯახს უძღვნიან, საკმაოდ განათლებულნი და სასიამოვნოდ მოსაუბრენი არიან. მე და ჩემი კოლეგები მარინასა და მადინას პიროვნული თვისებებით ძალიან მოვიხიბლეთ. ამ ქალების თითოეული სიტყვა თუ მოძრაობა აზრიანი და მოზომილი იყო. მადინას პატარა გოგონამ, ფატიმამ ძალიან შეგვაყვარა თავი, გვერდიდან არ გვცილდებოდა და უფროსებთან ერთად, დიდი სიამოვნებით დიასახლისობდა. თავადაც ძალიან შეგვეჩვია, რომ გაიგო, თბილისში ვბრუნდებოდით, საოცრად განიცადა, ეზოს კარამდე ცრემლიანი თვალებით გამოგვყვა...

პანკისი წარუშლელი შთაბეჭდილებით დავტოვეთ, მასპინძლებმა ხეობის გამოსასვლელამდე გამოგვაცილეს, მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვეს და სამუდამო მეგობრობა შეგვფიცეს... ■

პლაჟზე ქუსლიანი ფეხსაცმლით და „ზაგარი“ წყალში ჩაუსვლელად

ანუ როგორ ისვენებენ თბილისის ზღვაზე?

უკვე რამდენიმე კვირაა, ქალაქის სიცხეს გარიდებული ადამიანები თბილისის ზღვაზე ისვენებენ. ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე „ვიზიტორების“ ნაკადი არ წყდება და გვიან საღამომდე გრძელდება მიმსვლელ-მომსვლელთა ფუსფუსი.

ელენე ბასილიძე

ახალგაზრდები, ვისაც ძალა ერჩოდა, სანაგვე ყუთზე მკლავჭიდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ბავშვიანი დედები ცალკე, ყველასგან მოშორებით აჭყუმპალავებდნენ პატარებს, შეყვარებული წყვილები ალაგ-ალაგ განმარტოებულიყვნენ, მამაკაცები ხის ჩრდილში ლუდით იგრილებდნენ გულს, ნაწილი კი, ვისაც მეტი კომფორტი სურდა, სახელდახელოდ მოწყობილ ღია კაფეში ისვენებდა. მოკლედ, რას და ვის აღარ შეხვდებით თბილისის ზღვაზე... დიახ — „რას“ შემთხვევით არ მიხსენებია: მიუხედავად იმისა, რომ ნაგვის ყუთები ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ, სანაპიროზე პლასტმასის ბოთლებს, ნაყინისა და ჩიფსის ქაღალდებს მაინც შეამჩნევთ. თბილისის ზღვას ერთი „თვისებაც“ აქვს — აქ „მოსიარულე მაღაზიები“ წყალს, მიწის თხილს, ხაჭაპურსა და გამაგრილებელ სასმელებს ადგილზე მიტანით სთავაზობენ კლიენტებს; უფრო მეტიც — აქ აქსესუარებსაც იყიდით. ასე რომ, თუ გაგრილებას გადაწყვეტთ, „მომსახურების სრული პაკეტი“ გარანტირებული გექნებათ.

წელან კი აღვნიშნე, ზღვაზე ხალხი გასაგრილებლად დადის-მეთქი, მაგრამ ალბათ უფრო მართებული იქნებოდა, მეთქვა, ზოგი — გასაგრილებლად, ზოგიც — „გასაცხელებლად“! რატომ?.. რატომ და, რამდენიმე ისეთ უცნაურ რესპონდენტს გადავეყარე, ვერაფრით მივხვდი, რა მიზნით წამოვიდნენ თავიანთი სახლებიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ადგილზე...

ქეთუშა:

— მე და ჩემი მეგობრები თბილისის ზღვაზე უკვე მეოთხედ მოვედით. მართალია, აქაურობა დიდი კომფორტით არ გამოირჩევა, მაგრამ მეგობრებთან ერთად ვერთობი და ძალიან აუტანლად არ მეჩვენება.

— **წყალი სუფთაა?**

— წყალი სუფთა იყო? — *გასძახა თავის მეგობარ ბიჭს, რომელიც ისის იყო, წყლიდან ამოვიდა და უარის ნიშნად, ხელი გადააქნია და ქეთუშაც ისევ მომიბრუნდა:*

— **არაო. როგორც წესი, დილაობით სუფთაა, მაგრამ ახლა მაგ წყალში რა შემიყვანს?!**

— კი, მაგრამ ნამზეურს როგორ იღებთ წყლის გარეშე? ასე ხომ დაიწვებით!

ამ დროს საუბარში ქეთუშას დაქალი, ნინიკო ჩაგვერთო:

— წყალი სახლიდან მოგვაქვს ბოთლებით და როცა ნამზეურს ვიღებთ, შიგადაშიგ ვისხამთ და ვგრილდებით. აბა, ზღვა ისეთი ჭუჭყიანია, შესვლის სურვილიც არა მაქვს.

— **მაშინ, აქ რაღას მოდიოდით? აივანზე ვერ დაწექით?**

— აივანი არა გვაქვს (*იცინიან*).

— **არც სახურავი?**

ქეთუშა:

— სახურავი კი გვაქვს, მაგრამ ჩაკეტილია და გასაღები არ გვაქვს.

გოგონებს დავემშვიდობე და პლაჟს ფეხით გავუყევი. ცოტა ხანში ისე დამცხა, გულწრფელად გამიკვირდა იმ ადამიანების, რომლებიც წყალში ჩასვლისგან თავს იკავებდნენ...

როგორც იქნა, სამაშველო პუნქტს მივაღწიე.

ვერაბ პარანოვსკი, *მაშველი:*

— უკვე 4 წელია, მაშველად ვმუშაობ. საკმაოდ რთული პროფესია გვაქვს — ყოველდღიურად უამრავ ადამიანთან გვიწევს ურთიერთობა და მათთვის ხასიათის შეწყობა არც ისე იოლია. ამასთან ერთად, თითოეულს თავის ენაზე უნდა „ესაუბრო“, რომ არ გააღიზიანო და ის გააკეთებინო, რაც საჭიროა. ხშირად ხდება, მოწოდებისა და თხოვნის მიუხედავად, დამსვენებლები მაინც არ გვიჯერებენ. ნასვამ მდგომარეობაში წყალში ჩასვლა არ შეიძლება და საკმაოდ რთულია, მთვრალს ეს გააგებინო.

— **ამ შემთხვევაში რა ზომებს მიმართავთ?**

— თუ ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდებით, მაშინ პოლიციას ვურეკავთ და მისი ძალით ვცდილობთ, ადამიანს გარდაუვალი საფრთხე თავიდან ავაცილოთ. მსგავსი შემთხვევა კი საკმაოდ ხშირია 4-5 საათის შემდეგ, როცა აქაურობა ნასვამი ადამიანებით ივსება. სულ ყურადღებით ვართ, რომ სადმე არავინ გაგვეპაროს.

— **ალბათ სახალისო ამბავიც ბევრი გექნებათ მოსაყოლი...**

— უჰ, რამდენიც გინდათ!.. ამას წინათ, მეგობრები ლუდს სვამდნენ და ერთ-ერთი მათგანი წყალში ჩასულა. ცოტა ხანში მისი მეგობრები მოგვადგნენ, — *ძმაკაცი დავკარგეთ, მთვრალი იყო, წყალში ჩავიდა და აღარ გამოჩენილაო... ავწრიალდით, ყველას შევატყობინეთ, მთელი სანაპირო ავაფორიაქეთ, ვეძებეთ, მაგრამ ვერაფრით ვიპოვეთ. მოვიდა სამაშველო სამსახური აკვალანგებით, ძმაკაცებმა კი მეგობრის მეუღლეს დაურეკეს,* — ცუდი ამბავი დაგვემართა, თქვენს ქმარს ველარ ვპოულობთო. ცოლი ეუბნება, — *თქვე არანორმალურებო, ჩემი ქმარი წელან „ტრუსიკიანი“ მოვიდა სახლში, რა უქენით, ასეთი რა დაალევინეთ, რომ საკუთარ თავს ვერ ცნობსო?! თურმე, წყალში რომ შესულა, ზღვის მეორე მხარეს გადასულა, გაუჩერებია ტრანსპორტი და შიშველ-ტიტველი წასულა სახლში... კიდევ იყო მსგავსი შემთხვევა* — ჩვენ კაცს ვეძებდით, ის კი მეორე ნაპირზე გადასულიყო, სკამზე წამოწოლილიყო და „გემრიელად“ ეძინა.

მაშველს დავემშვიდობე და მიუხედავად იმისა, რომ მზეზე გასვლას

ჩრდილში ყოფნა მერჩივნა, ისევ ნაპირს გავუყევი. ბავშვებს ჩავუარე, რომლებსაც ქვიან პლაჟზე ქვიშა მაინც ეპოვათ და ციხესიმაგრეს აშენებდნენ. იქვე ბიჭების ოთხეული კარტის თამაშით იქცევდა თავს. მათთან გასაუბრება ვცადე, მაგრამ ჩემთვის ვერ მოიცალეს. სამაგიეროდ, გოგონამ არ მითხრა უარი შთაბეჭდილებების გაზიარებაზე.

ნინიკო:

— მეგობრებთან ერთად თბილისის ზღვაზეც კარგია გართობა. მართალია, აქაურობა შავი ზღვის სანაპიროს არ ჰგავს, მაგრამ იქაც და აქაც ერთი მზე ანათებს და სანამ ზღვაზე წასვლას მოვახერხებ, მანამდე აქაური ნამზეურით მოვიწონებ თავს.

— ზღვაზე საკმაოდ ბევრი ხალხი დადის, ხალხმრავლობა დისკომფორტს ხომ არ გიქმნით?

— არა, მთავარია, ჩვენ არ შეგვაწუხონ და ხანდახან ხალხმრავლობა სახალისოც კია.

— რას გულისხმობ?

— რას და, პლაჟზე მოსულ გოგოს რომ დაინახავ, რომლის ფეხსაცმელსაც 12-სანტიმეტრიანი ქუსლი აქვს და ამასთანავე, ისეთი კაბით მოდის, როგორსაც ბალზე იცვამენ, არ გახალისდები?

— მართლა?! აქ ასეთებიც ჩნდებიან ხოლმე?

— კი, აბა! იმხელა ქუსლებზე არიან „ამხედრებულები“, ძლივს „დაიხლართებიან“...

ნინიკოს დავემშვიდობე და სამაშველო იახტისკენ გავემართე — მინდოდა, კატერით ზღვაში გავსულიყავი და იქიდან პლაჟი გადამეღო. მაშველმა, ბექა ბოღაშვილმა კატერში ჩამსვა, სანაპიროს გადაღების საშუალება მომცა და თავისი პრაქტიკიდან ერთი სახალისო ამბავიც გამიზიარა:

— ხშირად, ცოტა არ იყოს რთულ ადამიანებთან გვიწევს ურთიერთობა... ისე, მათ რომ ჰკითხოთ, ჩვენ ვართ რთული და აუტანელი ხალხი... მოკლედ, რას გაიგებ (*იცინის*)... ამას წინათ, მამამ შვილი გაშლილ ზღვაში გაიყვანა საცურაოდ და ბოლოს, ორივე იხრჩობოდა. მისაშველებლად რომ მივცურე, მამას შვილი არც გახსენებია, მას ხელი უშვა, ჩამეჭიდა და ლამის დამახრჩო. აი, ასეთი ამბებიც ხდება ჩვენთან, — *დაასრულა საუბარი „კაპიტანმა“ და შუა ზღვაში მოტივტივე ადამიანისკენ მიმახედა,* — აი, ეს კაცი მთელი დღე ასე წევს წყალზე, მგონი, სძინავს კიდეცო... როცა მივუახლოვდით, „მძინარე მოცურავემ“ ხელი დაგვიქნია და, — თბილისის ზღვა მაგარიაო! — საყვარელი ადგილი „დაარეკლამა“.

შოუბიზნესის ჩაკეტილი წრე და უცნობი მუსიკოსების ტრიუმფი

„ნეტავ, არ მოჰბეზრდათ ფონოგრამა და ერთი და იგივე სახეები?!“

„ათონელის თეატრში“ ჯგუფი „სანდას“ ინიციატივით, ქართული მუსიკის ფესტივალი — „MUSIC FOR MUSIC“ 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მასში არაერთი ბენდი მონაწილეობდა და როგორც მსმენელებისგან შევიტყვე, წარმოდგენილმა მუსიკამ არათუ გაამართლა მოლოდინი, გადააჭარბა კიდეც. რამდენიმე კონცერტს დავესწარი და მსმენელებთან ერთად, მეც გამიჩნდა კითხვა — სად იყო ამდენი ნიჭიერი ადამიანი აქამდე?.. საკონცერტო დღეებისა და ახალი წამოწყების შესახებ ფესტივალის ორგანიზატორს, ჯგუფ „სანდას“ წევრ ირაკლი ლომსაძეს ვესაუბრე.

ელენე გასილიძე

— საიდან გაგიჩნდათ იდეა, თავისუფალი მუსიკის ფესტივალი ჩაგეტარებინათ?

— ეს იდეა დიდი ხანია, მე და ჩემი ჯგუფის წევრებს გაგვიჩნდა. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, მაშინ, როცა საქართველოში ღამის კლუბები იშვიათი მოვლენა იყო, ქობულეთში, ღამის კლუბ „კოტონში“ ვუკრავდით და ძალიან ცუდ პირობებში გვიწევდა ცხოვრება. მაშინ ხშირად ვსაუბრობდით — მოვა კი ოდესმე დრო, კონცერტები და ფესტივალები საკუთარი სახსრებით ჩავატაროთ-თქო?! დღეს კი იმ ჯგუფებს, რომლებიც ისეთივე დღეში არიან, როგორშიც მაშინ ჩვენ ვიყავით, მიეცათ საშუალება, დაუკრან, საზოგადოებას თავისი შემოქმედება გააცნონ და ამით თავადვე ისიამოვნონ.

— როგორც ჩანს, ფესტივალში მონაწილე ბევრ ჯგუფს არ ჰქონია აქამდე შესაძლებლობა, საკუთარი მუსიკა ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა...

— სამწუხაროდ ასეა. ეს ფაქტი კი, მუსიკისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულებისა და „ჩაკეტილი წრეების“ ბრალია.

— „ჩაკეტილ წრეებში“ რას გულისხმობთ?

— მართალია, საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს, მაგრამ შოუბიზნესის იმიტაცია ხომ იქმნება?! ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები კი ჩაკეტილ წრეს ქმნიან, სადაც მხოლოდ ერთსა და იმავე სახეებს შეუძლიათ ტრიალი. მოსახლეობის უმრავლესობას კი ჰგონია, რომ ამ ადამიანების გარდა, საქართველოში არავინ არაფერს აკეთებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ფესტივალის ჩატარება, რომ საზოგადოებისათვის ძალიან ნიჭიერი ადამიანები წარგვედგინა. ყოველგვარი სპონსორის გარეშე, შიშველი ხელებით ფესტივალის ჩატარება არც ისე იოლი ყოფილა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ თუ უბრალოდ მუსიკოსი ან ხელოვნების ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი ხარ და „ქვენააზრების“ გარეშე გინდა, შენი საქმე აკეთო — არ შეეხო პოლიტიკას, არც სოციალური აქციის სახელი დაარქვა კონცერტს და არც საქველმოქმედო აქციის ნიღაბს ამოაფარო, ძალიან რთულია სპონსორის მოძიება. ჩვენში ფინანსური მხარდაჭერის გარეშე საქველმოქმედო აქციაც კი არ იმა-

ჯგუფი „კანუდოსი“

ჯგუფი „სანდა“

რთება და ბოლოს ვხედავთ, რომ აქციასა თუ კონცერტის სცენაზე ან რომელიმე პოლიტიკური მიმართულების ბანერია გამოკრული, ან — საეჭვო დაჯგუფების, რომელიც ისევ და ისევ პოლიტიკას უკავშირდება. ამიტომაც, უარი ვთქვით სპონსორზე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მონაწილე ჯგუფებს, რომლებმაც მუსიკისა და ხელოვნებისადმი ერთგულებით მოიზიდეს მაყურებელი. დავრწმუნდით — თუ კარგი საქმის გაკეთება გსურს, ამას მილიონები სულაც არ სჭირდება.

— **როგორც ვიცი, პირველივე დღეებიდან ფესტივალს საფრთხე დაემუქრა...**

— ალბათ საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ იყო და პირველი 2 დღის განმავლობაში მსმენელი არ მოვიდა. ფესტივალის შეჩერების საშიშროების წინაშე დავდექით, რადგან ფაქტობრივად, ყოველდღიურ ხარჯებსაც კი ვერ ვანაზღაურებდით. მაგრამ მაყურებელმა მალე შეიტყო ჩვენ შესახებ და კონცერტებიც წარმატებით გაგრძელდა. იცით, როცა გასაშუქებლად „თბილისი ლაივს“ დავუკავშირდით და ჩვენი ფესტივალის გაშუქება შევთავაზეთ, პროდიუსერმა გვკითხა, — რამე სკანდალი თუ გაქვთო? უარყოფითი პასუხი რომ გავეცით, — ჩვენთვის ეს ჯგუფები „არაფორმატულიაო“ — გამოგვიცხადეს. ალბათ „ფორმატული“ მაშინ იქნებოდა, თუ რომელიმე ბასისტი აღიარებდა, რომ ცხოველები იზიდავს... ნეტავ, არ მოჰბეზრდათ ფონოგრამა და ერთი და იგივე სახეები?! დარწმუნებული ვარ, საზოგადოებისთვის რომელიმე პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება რომ გვეუწყებინა, კამერებს ვერ მოვიშორებდით... გორიდან ჩამოვიდა ჯგუფი „კანუდოსი“, რომლის წევრებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ და საოცარ მუსიკას ქმნიან. ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი სარეპეტიციოდ ერედვიდან გორში დადის. არაერთ ქვეყანაში ვყოფილვარ არაჩვეულებრივი მუსიკოსების კონცერტზე და თამამად შემიძლია ვთქვა — ჩვენს ფესტივალში მონაწილე ნებისმიერი გუნდი რომელიმე „გრანდის“ გვერდით რომ დავაყენოთ, თავს არ შეირცხვენს. არის ასეთი ჯგუფი — „ფლეი პარანოიკი“, რომელიც დაშლის პირასაა მისული. მათი ლიდერი გერმანიაში მიფრინავს, სადაც ძიძად უნდა იმუშაოს. წესით, ამას დიდი პროტესტი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მათ შესახებ არც კი სმენიათ ადამიანებს. ბევრი კარგი ჯგუფია, მაგრამ ისე იშლება, რომ მისი ჩანაწერიც კი არ რჩება. ფესტივალზე ჯგუფების კომპოზიციებიც ჩავიწერეთ: თუ ოდესმე ვინმე დაინტერესდება, ჯგუფებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი შემოქმედების ჩანაწერი მოასმენინონ. მიხარია, რომ საქართველოს ამდენი კარგი მუსიკოსი ჰყავს, მაგრამ ამავე დროს გული მწყდება, რომ უყურადღებობის გამო მათი ნიჭი შესაძლოა, დაიკარგოს.

— **ფესტივალს სახელწოდება „Music for Music“ რატომ შეურჩიეთ?**

— იმიტომ, რომ ჩვენი კონცერტები მხოლოდ მუსიკის გადასარჩენად და მუსიკის მოყვარულებისთვის ტარდებოდა.

— **ფესტივალზე რომელიმე ჯგუფის დებიუტი თუ შედგა?**

— კი, არის ასეთი ჯგუფი — „ალტრუიზმი“; ძალიან საინტერესო დუეტია. 19-20 წლის ახალგაზრდები გადასარევად მღერიან. ასრულებენ შოტლანდიურ-კელტურ მუსიკას ბით-პოპის ელემენტებით...

— **შეგიძლიათ ჩამოთვალოთ, რამდენი ჟანრის მუსიკა ჟღერდა ამ 10 დღის განმავლობაში?**

— რეგი, პოპი, ფოლკი, როკი, ალტერნატიული მუსიკა, მეტალი, ელექტრონული მუსიკა და ა.შ. სამწუხაროდ, მსგავსი მუსიკალური ფესტივალები ზოგიერთი მსმენელისთვის უცნაურ რამესთან ასოცირდება — მაგალითად, ჰგონია, რომ აუცილებლად უნდა დალიოს ლუდი და ბოთლი თავზე გადაიმტვრიოს, — მაგრამ ფესტივალმა დაგვარწმუნა, რომ ასეთი ადამიანები ბევრნი არ არიან. ჩვენთან ის მსმენელები მოდიოდნენ, რომლებიც ცოცხალ მუსიკას მონატრებულები უსმენდნენ. იმედია, სამომავლოდ მათ გახარებას კიდევ შევძლებთ.

ნინო ისაკაძე, *ჯგუფ „ვინდოუს“ წევრი:*

— ჩვენი ჯგუფი უკვე 2 წელია, რაც შეიქმნა და ამ დროის განმავლობაში სახლში ვმუშაობდით (*იღიმის*). დღეს ჩვენი მეოთხე გამოსვლაა მაყურებლის წინაშე. ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომ თუ რაიმეს მოვინდომებთ, ამის განხორციელებას აუცილებლად შევძლებთ. მთავარია, გრძნობდე და გიყვარდეს მუსიკა. ნიჭიერ ადამიანს ადრე თუ გვიან, ვინმე აუცილებლად შეამჩნევს. სამწუხაროდ, დღეს თუ კომერციულ მუსიკას არ ქმნი, სხვაგვარად, შენს ნამუშევარს საზოგადოების ყურამდე ძნელად მიიტან.

დათო ზუბიაშვილი, *ჯგუფ „ელსინორის“ წევრი:*

— მსგავსი ფესტივალები იმდენად მნიშვნელოვანია, ზედმეტიც კია ამაზე ლაპარაკი. თქვენ ჯგუფი „კანუდოსის“ გამოსვლას ესწრებოდით და დარწმუნებული ვარ, ისეთივე აღფრთოვანებული ხართ, როგორიც მთელი დარბაზი იყო — „მხეცებივით“ დაუკრეს. ისინი არაჩვეულებრივ მუსიკას კონფლიქტის ზონაში ქმნიან!.. მსგავსი ფესტივალები თანდათანობით, ნიჭიერი ბენდების წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

— **თავად კმაყოფილი ხარ ფესტივალით?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ, როგორც ფესტივალის ტექნიკური მხარით, ასევე მსმენელებითაც: ჩვენს მოსასმენად საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა და იმედი მაქვს, მომავალში კიდევ შევძლებთ საზოგადოების გახარებას. ■

სახე

ამერიკაში „ქართულად“ გაჭარებული დღეები

და დასვენება სიდედრთან ერთად

ბავშვობაში ზაფხულის არდადეგები იმიტომ უხაროდა, რომ გაკვეთილები აღარ ექნებოდა მოსამზადებელი. მთაში დასვენებას ზღვაზე წასვლა ურჩევნია, რადგან წყალი უყვარს. დასვენების თემაზე სასაუბროდ „კომედი ჯგუფის“ მსახიობს, ნიკა არაბიძეს შევხვდი. რატომ გაიარა ფეხით 28 კილომეტრი, რა ნიშნით არჩევდა პლაჟზე გოგონებს და ვინ ჩაუშალა წლევანდელი საზაფხულო გეგმა, ამის შესახებ ნიკა თავად გვიამბობს:

თამუნა ქვინიკაძე

მერე რა, რომ ერთ ოთახში 5 და 6 ადამიანს გვეძინა?

— ნიკა, ის ზაფხული გაიხსენე, მშობლების გარეშე, ძმაკაცებთან ერთად პირველად რომ წახვედი დასასვენებლად.

— ჩემი სტუდენტობის წლები ცუდ პერიოდს დაემთხვა — მიუხედავად იმისა, რომ ფული არ გვქონდა, დასასვენებლად წასვლასაც ვახერხებდით და მაინც კარგ დროს ვატარებდით. მერე რა, რომ ერთ ოთახში 5 და 6 ადამიანს გვეძინა? ერთ ზაფხულს ჯგუფელები ბათუმში წავედით, 2 ოთახი ვიქირავეთ, რომლებსაც პირობითად ბიჭებისა და გოგონების ოთახები დავარქვით. ჩვენს „ხაზეინს“ უკვირდა, იმ ორ ოთახში როგორ ვეტეოდით. სიმართლე გითხრა, დილით რომ გამოვლაგდებოდით, ეს ჩვენც გვიკვირდა ხოლმე. იმის საშუალება არ გვქონდა, რომ რესტორანში გვესადილა. კიტრს, პომიდორს, ყველს ვყიდულობდით; საჭმელს ზოგჯერ გოგონები ამზადებდნენ. ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო. მშვენიერ დროს ვატარებდით. ზღვაზე ყოფნას ჩემთვის ერთი მინუსი აქვს — ძალიან მალე ვიწვები, ამიტომ ქოლგით დავდივარ (*იცინის*).

— შარშან სად დაისვენე?

— ჩემს მეუღლეს გურიაში სახლი აქვს, ზღვიდან 15 წუთის სავალზეა.

— ეი. სიდედრთან ერთად დაისვენე.

— (*იცინის*) კი, შვებულების დღეები იქ გავატარე. საქართველოში, სადაც უნდა ვიყო, დასვენებას არ მაცლიან. მომადგებიან და — წამო, დავლიოთო. — არა, არ ვსვამ-მეთქი, ვპასუხობ. — არა უშავს, ისე წამოდიო. ამდენი შემიძლია? შარშან გურიაში ჩემი დასვენების დღეები ასე დაიწყო: როცა მინდოდა, ვიღვიძებდი, ვდგებოდი, ზღვაზე გავდიოდი, ვსეირნობდი, ვიძინებდი... ეს იდილია 2 დღეში დასრულდა — მერე მომაგნეს.

— ვინ მოგაგნო?

— ნათესავებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა...

— ფეხით სიარული, ლაშქრობა არ გიყვარს?

— სტუდენტობის დროს ე.წ. „ახალგაზრდული დღეები“ ტარდებოდა. ამ საქმეში აქტიურად ვიყავი ჩართული — ვიკრიბებოდით და ჩვენი თაობის პრობლემებზე, მნიშვნელოვან საკითხებზე ვმსჯელობდით. „ახალგაზრდული დღეების“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ლაშქრობაზე წასვლა, მაგრამ ეს ძალიან ცუდად მახსოვს.

— რატომ?

— 28 კილომეტრი ფეხით ვიარე. ტაბაწყურის ტბაზე წავედით და გიდმა არ გვითხრა, ასე დიდი მანძილის გავლა თუ მოგვიწევდა. მისთვის ეს მანძილი არაფერი იყო, მთაზე ისე აირბენდა და ჩამოირბენდა, როგორც პირველიდან მეორე სართულზე ასულხარ და ჩამოსულხარ. დავიხოცეთ ხალხი, ის კი გაიძახოდა, — შეხედეთ, რა სილამაზეაო. მე რომ იმ სილამაზის აღქმის თავი მქონოდა, რაღა მიჭირდა? უკან დაბრუნება ხომ გვინდოდა? ფეხით სიარულის თავი აღარავის ჰქონდა, ამიტომ „ურალი“ დავიქირავეთ, 100 დოლარი გადავუხადეთ და ბაკურიანში (სადაც ჩვენი ბაზა იყო) ჩაგვიყვანა. იქ განხილვა მოაწყვეს, გვკითხეს — ლაშქრობა როგორ მოგეწონათო? მე ვთქვი, საქართველო ლამაზი ქვეყანაა, ქართველმა კაცმა ფეხდაფეხ უნდა შემოიაროს, მაგრამ ამის გაკეთება 1 დღეში არ შეიძლება, ცოტა რომ გადაგვენაწილებინა, კარგი იქნებოდა-მეთქი.

— რა თქმა უნდა, სხვა დროს ლაშქრობაზე აღარ წახვიდოდი...

— არა. მანქანით კი წავალ; ფეხით სიარული მაქსიმუმ, 1 კილომეტრზე გავქაჩო.

— ექსტრემალური გართობა თუ გიზიდავს?

— ძალიან. ბაგირით გადახტომის სურვილი მაქვს, უბრალოდ, წონა მიშლის ხელს. ყველაზე საშიშ კარუსელებზე კი ვჯდები და არ მეშინია. ერთხელ, მეგობრებთან ერთად მოსკოვში ვიყავი. „კამიკაძეზე“ დავსხდეთო, ავიჩემეთ. ერთ-ერთს ამის სურვილი

საღამოს სუფრას მივუსხედით და ისე დავთვერით, ყველაფერი ჩაგვეშალა

არ ჰქონდა, მაგრამ შევაგულიანეთ და გაბრიყვდა. კარუსელი რომ ჩაირთო და დატრიალდა, ყვირილი ატეხა. ჩამრთველს ქართულად გინება დაუწყო. ცუდად გავხდი, ოღონდ — სიცილით. ექსტრიმი ძალიან მომწონს. პირველად თხილამურებზე რომ დავდექი, შპაგატზე ჩავჯექი, 2 დღე ცუდად ვიყავი.

— **საკურორტო რომანების თემას უნდა შევეხოთ.**

— (*იცინის*) ზღვაზე რომ ხარ, მეტი რა უნდა გააკეთო? ყველა ბიჭი გოგოს გაცნობაზე „ჩალიჩობს“. ერთხელ ძმაკაცები შევიკრიბეთ, ლამაზი გოგონები გავიცანით, გეგმები დავაწყვეთ... საღამოს სუფრას მივუსხედით და ისე დავთვერით, ყველაფერი ჩაგვეშალა. დილით რომ გავიღვიძეთ, დაძმებივით ვიყავით — შვილი უნდა მოგანათვლინო-თქო, ერთმანეთს ვეუბნებოდით და ა.შ. ეს ცუდი მოგონება იყო, მაგრამ კარგებიც მაქვს.

— **„კარგები“ მომიყევი. ძმაკაცები ერთმანეთს ნაშუბს „აწერდით“?**

— კიი! ყველაფერი დასწრებაზეა. კარგი, მეტს ნულარ მალაპარაკებ.

— **როცა მარჩელო მასტროიანი შვებულების დღეებს ზღვაზე ატარებდა, პლაჟზე ისეთ გოგოს არჩევდა, რომელიც ნაკლებგარუჯული იყო. ფიქრობდა, ამ ადამიანს მთელი შვებულება წინ აქვსო.**

— ყოჩაღ მასტროიანს (*იცინის*)! უჩვეულო მეთოდი ჰქონია, არ ვიცოდი.

— **თავად რა ნიშნით ირჩევდი?**

— რომელიც ჩემთან ახლოს იყო.

— **ანუ შორს სიარული ამ შემთხვევაშიც გეზარებოდა.**

— ჰო, სიცხეში სიარული კარგი არ არის.

— **ქოლგით უნდა გევლო.**

— (*იცინის*) და მოხარშული სიმინდით.

— **რომელ ქვეყანაში მოგზაურობაზე ოცნებობ?**

— ბევრი ქვეყნის ნახვა მაინტერესებს, განსაკუთრებით — იტალიის. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე ვიყავი. ეგვიპტე და ავსტრალიაც მაინტერესებს. ამ ქვეყნების სიაში იყო ამერიკაც, მაგრამ იქ ცოტა ხნის წინ ვიყავი და სიიდან ამოვშალე.

— **როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?**

— „კომედი ჯგუფის“ წევრები 10 დღე ვიყავით. დღე-ღამის განმავლობაში 3-4 საათი გვეძინა, მაგრამ მაინც დავისვენე. თბილისიდან თურქეთში ჩავედით, თურქეთიდან ნიუ-იორკში გადავფრინდით. იქ უამრავი უცხოელია. სასტუმრომდე ისე მივედით, არც ერთი ამერიკელი არ შეგვხვედრია. სასტუმროს ადმინისტრატორიც კი მექსიკელი იყო. ფოიეში შევედით თუ არა, შენ გენაცვალეო, იყვირა ვიღაცამ და ჩვენკენ გამოემართა. ამერიკაში მცხოვრები ქუთაისელი აღმოჩნდა. — აბა, ყველანი რესტორანში უნდა დაგპატიჟოთო! — არა, შენი ჭირიმე, დაღლილები ვართ, ნომრებში შევალთ, ცოტას დავისვენებთ, მოვწესრიგდებით-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ, ფოიეში სიგარეტის მოსაწევად გამოვედი. ის ისევ იქ დგას. — კაცო, რას შვრები, არ მოდიხარო?! — არა, გენაცვალე, სად უნდა წამოვიდე-მეთქი... — სიტყვის დამთავრება არ მაცალა: — რას ამბობ, რესტორანში ადგილი მაქვს დაჯავშნილიო. მაინც თავისი გაიტანა, იმ დღესვე აღმოვჩნდით რესტორან „ბაქოში“. რომ შევედით, ერთ მხარეს აზერბაიჯანელები ქეიფობდნენ, მეორე მხარეს მაგიდა ჩვენთვის იყო გაშლილი. ამერიკელი კვლავ არსად ჩანდა. მერე სხვა ქართველებმა გაიგეს, რომ ნიუ-იორკში ვიყავით. მოგვაკითხეს და რესტორან „ფიროსმანში“ წაგვიყვანეს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვი, რომ ამერიკაში პირველი დღე და ღამე „ქართულად“ გავატარეთ. მწვადი, ხაჭაპური, ქართული საჭმელები მივირთვით. მე კი მინდოდა, მანჰეტენზე გავსულიყავი, ჰამბურგერი მეჭამა, იქაური „კოკა-კოლა“ დამელია...

— **იშოპინგე? ალეკო მალხაზიშვილმა მითხრა, 2 დღე „ლილოს“ ჩანთებით დავდიოდითო.**

— ამ სიტყვაზე ტანში მბურძგლავს. ეს პროცესი არ მიყვარს. ტასაცმლის შერჩევა ჩემთვის მიჭირს, ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის — მით უმეტეს. იქ ვეებერთელა სავაჭრო ცენტრებია. ერთი დღე ვიარე და მაინც ვერაფერი ვიყიდე. ვინერვიულე, მაგრამ მეორე დღეს უფრო გამიმართლა. ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩნენ.

— **წელს დასასვენებლად წასვლას სად აპირებ?**

— საზღვარგარეთის რომელიმე კურორტზე მინდოდა წასვლა, მაგრამ გეგმა ჩემმა შვილმა ჩამიშალა — დედამისის გარეშე არსად ჩერდება. იმედია, ამ სურვილს მომავალ წელს ავისრულებ. ამ ზაფხულს კი ისევ იმერეთსა და გურიას ვესტუმრები. შეიძლება, რამდენიმე დღით მთაშიც წავიდე. ვცდილობ, ისეთი ადგილი შევარჩიო, სადაც ხალხმრავლობა არაა. უმეტესად, სათვალითა და ქუდით დავდივარ, მაგრამ ზღვაში „ავეჯით“ ხომ ვერ შევალ? უმეტესობა ჩემთან ერთად სურათის გადაღების სურვილს გამოთქვამს, ზოგი საქეიფოდ მეპატიჟება. ამ შემთხვევაში ვცდილობ, უარი ზრდილობიანი ფორმით ვუთხრა. ზღვიდან რომ ამოვალ, ქოლგის ქვეშ ვწვები. ჩემთვის წყნარად და ჩუმად ვარ, ქოლგა დაბლა მაქვს დაწეული. ამ ზაფხულს თავს რაც გადამხდება, ყველაფერს კარგად დავიმახსოვრებ და თუ დაინტერესდები, შემდეგ ინტერვიუში გიამბობ. ■

სათვალითა და ქუდით დავდივარ, მაგრამ ზღვაში „ავეჯით“ ხომ ვერ შევალ?

ბერა ივანიშვილის რჩეული

„არ მინდა, მიუწვდომელი ვიყო"...

ჩვენს ქვეყანაში ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის სახელი და გვარი არ იცის, მისი ქველმოქმედების შესახებ არ სმენია. ბიზნესმენისა და მისი ოჯახის წევრებისადმი საზოგადოების ინტერესი ყოველთვის დიდია, ცნობილი — ბევრი არაფერი. ცოტა ხნის წინ, საზოგადოების წინაშე მისი ვაჟი — მუსიკოსი, ბერა ივანიშვილი წარდგა. ის მამისგან განსხვავებით კამერების წინ რამდენჯერმე გამოჩნდა. ამბობს, რომ მუსიკა მისი ცხოვრებაა. 1 წლის იყო, სიარული არ იცოდა, მაგრამ რადიოს ჩართვას ახერხებდა. ვიოლინოზე დაკვრა 5 წლიდან დაიწყო, ფორტეპიანოსაც მალე დაეუფლა. მუსიკის წერა ჯაზის სიყვარულმა დააწყებინა.

თამუნა კვინიკაძე

ცოტა ხნის წინ ბერა ივანიშვილით ლედი გაგასა და მაიკლ ჯექსონის პროდიუსერები დაინტერესდნენ. ბოლო პერიოდში ის ლოს-ანჯელესში ცხოვრობს და მუშაობს. ბერას საქართველოში დიდი ფან-კლუბი აქვს. რამდენიმე დღის წინ ქართველ თაყვანისმცემლებს საჩუქარი გაუკეთა — კინოთეატრ „რუსთაველში" კლიპის „იპ-ოპ ვალსი" ექსკლუზიური ჩვენება მოაწყო, გულშემატკივრებს შეხვდა და გაესაუბრა. ფანებს შორის გოგონები ჭარბობდნენ. ფოიეში მათ ბერასგამოსახულებიანი მაისურები დაურიგდათ, რომლებიც სიამოვნებით მოირგეს.

მარი, *14 წლის:*

— თითქმის ერთი წელია, ბერას მუსიკას ვუსმენ. ჩემი ოცნება იყო, რომ ის ახლოდან მენახა. მგონი, დღეს ეს ოცნება ამისრულდება. აქამდე მხოლოდ სიზმრებში ვხედავდი, მისკენ მივდიოდი და ვერ მივდიოდი...

— **ეს ადამიანი რით გხიბლავს?**

— რამდენჯერმე ტელევიზიით მის გამოსვლას მოვუსმინე და ბევრი კარგი თვისება დავინახე. როცა ისეთი პოპულარული და მდიდარი მამის შვილი ხარ, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, შეიძლება, ზედმეტად არ შეიწუხო თავი, ბერა კი ბოლომდე იხარჯება. როცა დამირეკეს და მითხრეს, ბერა ფანებს ხვდებაო, ისე ავღელდი, მთელი უბანი მაწყნარებდა. 13 წლის ვიყავი, პირველად ნაწნავებიანი ბერა რომ ვნახე და ჩემი გული დაიპყრო. არა მგონია, მას ჩემზე დიდი გულშემატკივარი ჰყავდეს.

გვანცა, *15 წლის:*

— ბერას ფანი ვარ. ვცდილობ, მისი ცხოვრების შესახებ ყველაფერი ვიცოდე.

— **დაბადების დღე როდის აქვს, იცი?**

— (*იცინის*) როგორ არ ვიცი?! 23 დეკემბერს არის დაბადებული.

— **ბერას შესახებ მეც ბევრი რამ ვიცი! — საუბარში გვანცას მეგობარი, ნინი ჩაგვერთო.**

გვანცა:

— ერთმანეთს ინფორმაციას ვუცვლით ხოლმე. ყველა ტექსტს, რომელსაც რეპავს, თავად წერს. უამრავი ლექსი აქვს დაწერილი. მისი საყვარელი პოეტები — გალაკტიონი და მუხრან მაჭავარიანი არიან.

ნინი:

— ბერა საფრანგეთშია დაბადებული. საქართველოში არდადეგებზე ჩამოდიოდა. მიუხედავად ამისა, ქართულ კულტურასა და ტრადიციებს კარგად იცნობს. ვფიქრობ, ეს მისი მშობლების დამსახურებაა.

გვანცა:

— ისინი არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ სულიერადაც მდიდარი ადამიანები ყოფილან. ბერამ თქვა, რომ მამა ეუბნება, თავმდაბალი უნდა იყოს და რისი გაკეთებაც დღეს შეუძლია, ხვალისთვის არასდროს გადადოს. მგონი, ეს რჩევა ყველას გამოგვადგება. უნდა, ქართველი გოგო მოიყვანოს ცოლად. მისი და ჩემი სეხნიაა. ძმებს უტა და ცოტნე ჰქვიათ.

ანა, *16 წლის:*

— ვგიჟდები, ბერა ისე მომწონს. ის არა მხოლოდ კარგი მუსიკოსი, არამედ კარგი ადამიანიცაა, საოცრად თავმდაბალია.

— **რას ეტყვი მას?**

— ძალიან მიყვარს, მისი ახლოს გაცნობა ჩემი ოცნებაა. თავადაც ვმღერი და დუეტის ჩაწერა მინდა.

მარიამი, *14 წლის:*

— ბერა უნიჭიერესი მუსიკოსი, ძალიან თავმდაბალი და საყვარელია. რა თქმა უნდა, მას ოჯახის სახით დიდი ზურგი აქვს, მაგრამ მჯერა — მდიდარი მამის შვილი რომ არ ყოფილიყო, ცხოვრებაში მაინც დიდ წარმატებას მიაღწევდა. შრომისმოყვარე ადამი-

ბერასგამოსახულებიანი მაისურები დაურიგდათ, რომლებიც სიამოვნებით მოირგეს

ანია. ბევრი მის ადგილზე ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ისე იცხოვრებდა, ბერა კი ნახეთ, რამდენს შრომობს.

2010 წელს ბერა ივანიშვილმა საკუთარი ლეიბლი — „ქართული ოცნება“ შექმნა. ამბობს, რომ ბუნებით მეოცნებე ადამიანია. ყველაფერი, რასაც სიმღერით ამბობს, რეალობიდან მოდის. მისი შთაგონების წყარო სიყვარულია. ცდილობს, სიმღერით მოხიბლოს ის გოგონა, რომელიც მუშაობის დროს, მის წარმოსახვაში ჩნდება. სიმღერას სწორედ მას უძღვნის. მისთვის სიყვარული მაშინაც კი მთავარია, როცა ტკივილზე წერს.

თამთა ასლანიშვილი, *„ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი:*

— დღევანდელი საღამო „ქართული ოცნების“ ორგანიზებით ტარდება. ბერამ გადაწყვიტა, იმ გულშემატკივრებისთვის, რომლებიც ძალიან აქტიურობენ, მადლიერება ამ ფორმით გამოეხატა და დღეს მათთვის კლიპის ექსკლუზიურ ჩვენებას მართავს. კლიპი ტელეეკრანზე ჯერჯერობით არ გასულა და გარკვეული პერიოდის მანძილზე არც გავა.

— როგორც ვიცი, დღეს ბერას მიერ გამოცხადებული კონკურსის — „შენსავით ლამაზი სიმღერა დავხატე“ — გამარჯვებულიც გამოვლინდება.

— დიახ, „შენსავით ლამაზი სიმღერა დავხატე“ — ეს არის სიტყვები ბერას სიმღერიდან — „სიზმარი“. ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, საკუთარი ნამუშევარი გამოეგზავნა.

— გამარჯვებული ბერამ გამოავლინა?

— დიახ. პროფესიონალურ დონეზე იყო ნახატი შესრულებული თუ არა — ამას ყურადღება ნაკლებად მიექცა; მთავარი იყო, მისგან ემოცია წამოსულიყო. გამარჯვებული უკვე გამოვლენილია და მას დღეს ბერა დააჯილდოებს.

ბერას ფანებს შორის, ყველა თაობის ადამიანები იყვნენ. ჩემი შემდეგი რესპონდენტი — ქალბატონი მაია გახლავთ.

მაია, *52 წლის:*

— რა თქმა უნდა, ბერას შესახებ მანამდეც ვიცოდი, მაგრამ განსაკუთრებით, „ნანუკას შოუში“ გამოსვლის შემდეგ დავინტერესდი. აღფრთოვანებული დავრჩი. მისი საუბარი, კულტურა, განათლება ძალიან მომეწონა. ჩემი ახლობელი „ქართუ ბანკში“ მუშაობს. მისი გადმოცემით ვიცოდი, რომ ბატონ ბიძინას ძალიან კარგი შვილები ჰყავს. დღევანდელ ცხოვრებაში ასეთი ახალგაზრდები იშვიათად თუ შეგხვდებიან. ამ ადამიანში განსაკუთრებით იცით, რა მომეწონა? დედისადმი დამოკიდებულება. ისე ლაპარაკობდა, თვალზე ცრემლი მომადგა. ადამიანი (მით უმეტეს — ბიჭი), რომელიც დედას ასე ეფერება და აფასებს, ცუდს არაფერს გააკეთებს. პატარა ასაკის მიუხედავად, ბერა „შემდგარი“ ადამიანია.

— ბიძინა ივანიშვილის შვილი რომ არ იყოს, მისდამი, როგორც მუსიკოსისადმი, ასეთი ინტერესი იქნებოდა?

— ვფიქრობ, რომ იქნებოდა.

ფანებით გაჭედილი დარბაზი კერპის გამოჩენას მოუთმენლად ელოდა. სამწუხაროდ, ბერას ჩაწერისა და გადაღების უფლება არ მოგვცეს. ფანების ჩაწერის ნება მხოლოდ დარბაზის გარეთ დაგვრთეს. საღამო დიჯეი გაგა ბატკუაშვილს მიჰყავდა. ბერას გამოჩენას დარბაზში ფანები ტაშითა და ოვაციით შეხვდნენ. მომღერალმა გულშემატკივრობისთვის ყველას მადლობა გადაუხადა. მისალმების შემდეგ თქვა, რომ სამშობლოში 10 დღით არის ჩამოსული, ამერიკაში 10 ივლისს უნდა დაბრუნდეს. წელიწად-ნახევარია, სტუდიიდან არ გამოსულა. 150-მდე სიმღერა აქვს ჩაწერილი. ამ სიტყვების შემდეგ, ბერა საღამოს წამყვანმა თავმდაბლობაში „დაადანაშაულა“ და გვაცნობა, რომ მას 200-მდე სიმღერა აქვს ჩაწერილი. მალე ახალი, ქართულენოვანი ალბომის გამოცემას აპირებს, რომელსაც „ქართული ოცნება“ ერქმევა. პარალელურად მუშაობს ინგლისურენოვან ალბომზეც. მის ერთ-ერთ სიმღერას უცნაური ისტორია აქვს: ბერა სიზმარში უსაყვარლეს რეპერს — თუფაქს შეხვდა და უთხრა, მე შენი ყველაზე მაგარი ფანი ვარ, ამას დაგიმტკიცებ, შენი სიმღერა ზეპირად ვიციო. მერე რაღაც სიმღერა უმღერია და გაღვიძებისთანავე მიმხვდარა, რომ ეს თუფაქის სიმღერა არ იყო. მელოდია ახსოვდა და დაწერა.

მალე ფანებს საშუალება მიეცათ, ბერასთვის კითხვები დაესვათ. როგორც მოსალოდნელი იყო, დარბაზიდან პირველად შემდეგი წინადადება გაისმა:

— ბერა, შეყვარებული გყავს?

— მე თქვენზე ვარ შეყვარებული, ყველაზე, — არავის დასწყვიტა გული მომღერალმა.

იყო საყვედურნარევი სიტყვებიც: — ქართველები ლოს-ანჯელესში უნდა ჩამოვიდეთ, რომ შენი სიმღერები მოვისმინოთო?!. კითხვა-პასუხიდან გაირკვა, რომ ბერას სურვილი აქვს, საქართველოში ტურნე მოაწყოს, მაგრამ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება. დუეტი მსოფლიოში ცნობილ, არაერთ ვარსკვლავთან აქვს ჩაწერილი, მაგრამ მათ ვინაობას ჯერჯერობით არ გვიმხელს — სასურპრიზედ ინახავს.

ბევრი მის ადგილზე ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ისე იცხოვრებდა

სპორტის სახეობებიდან ყველაზე მეტად ფეხბურთი უყვარს. საქართველოს ნაკრების დიდი გულშემატკივარია. იმედი აქვს, რომ ჩვენი ფეხბურთელები მისი და სხვა ქართველი ქომაგების იმედს გაამართლებენ.

ბერას უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა. საქართველოში რომ ჩამოდის, ქართულ მიწასთან შეხებისას ფეხები უკანკალებს, — ამას ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გვეუბნება და დასძენს, რომ ასეთი ლამაზი ქვეყანა არსად უნახავს. აქ ცაც კი სხვანაირია.

მალე კონკურსის — „შენსავით ლამაზი სიმღერა დავხატე“ — გამარჯვებულის დასახელების დროც დადგა. უკვე გითხარით, რომ სიტყვების ავტორი ბერაა. წამყვანის მიერ დასმულ კითხვაზე, — ვის მიუძღვნა ეს სიტყვები? ღიმილით უპასუხა — გიგა, რა გინდა?..

ბერამ აღნიშნა, რომ საქართველოში ასეთი კონკურსების პრაქტიკა მწირია. აინტერესებდა, როგორ დაინახა მსმენელმა ეს სიმღერა. ბედნიერია, რომ ბევრი კარგი ნამუშევარი გაუგზავნეს. მათ შორის ყველაზე მეტად ერთი მოეწონა. მასზე იმ ემოციამ იმოქმედა, რომელიც ნახატიდან „მოდიოდა“. კონ-

გამარჯვებულად ამ ნახატის ავტორი, 17 წლის ანი ვერულაშვილი დაასახელა

კურსის გამარჯვებულად ამ ნახატის ავტორი, 17 წლის ანი ვერულაშვილი დაასახელა. მას საჩუქრად აიფონი გადასცა და სთხოვა, რომ ნახატი სტუდიაში დაუტოვოს.

საღამოს წამყვანმა ერთი პატარა კონკურსი მოაწყო — ვისაც სმენა გაქვთ და ბერას რომელიმე სიმღერის ტექსტი იცით, მობრძანდით, წაიმღერეთ და საუკეთესოს, პრიზად ბერას სტუდიაში სტუმრობა ერგებაო. სახელდახელო კონკურსში 4 წლის ბიჭუნამ გაიმარჯვა.

კლიპის ჩვენების დროც დადგა. ბერამ აღნიშნა, რომ რეჟისორი მისი ფრანგი მეგობარია, კომპოზიტორი — ავთო ბადუაშვილი. კომპოზიტორისა და მომღერლის თანამშრომლობა 3 წლის წინ დაიწყო. მისი ქართული ალბომი თავიდან ბოლომდე ავთო ბადუაშვილის გაკეთებულია. კლიპში ქართული ხასიათი დევს. „საზაფხულო“ სიმღერაა.

კლიპის ჩვენების შემდეგ, ფანებს ბერასთან მიახლოების, ავტოგრაფის ჩამორთმევისა და სურათის გადაღების შესაძლებლობა მიეცათ. ყველა ძალიან აქტიურობდა.

მის წინ ცოცხალი რიგი დადგა. ბერა მოშორებით მდგარ ფანებს ამხნევებდა — არ მეჩქარება, მე თქვენი ვარო. დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ, კონკურსის გამარჯვებულს, ანი ვერულაშვილს ინტერვიუ ვთხოვე. მანამდე კი მისი ბერასთან ერთად გადაღებაც მოვახერხე.

— ანი, გამარჯვებას გილოცავ!

— გმადლობთ. ამ კონკურსში მონაწილეობა იმიტომ მივიღე, რომ ვეძებდი გზას, რომლითაც ბერასთან დაკავშირებას შევძლებდი. გამიმართლა.

— შენს ნახატს რა ჰქვია?

— „სიზმარი“. ბავშვობაში ვხატავდი. მერე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე პაუზა მქონდა. ერთი პერიოდი ყველაფერზე ხელი მქონდა ჩაქნეული, არაფრის გაკეთება აღარ მინდოდა. მაგრამ ბერას გამოჩენის შემდეგ შევიცვალე. ყველაზე დიდი ოცნება ამისრულდა. ძალიან ვღელავ.

— რატომ ტირი? სიხარულის ცრემლებია?

— კი. ემოციით ვარ სავსე.

— რა განცდა გქონდა, როცა ბერა ჩაგეხუტა?

— არ მახსოვს (*იცინის*)!.. არა, როგორ არ მახსოვს?! ეს წუთები არასდროს დამავიწყდება. ბედნიერი ვარ. მგონია, რომ დაბადებიდან ვიცნობ. არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა — ამას ბერას გარდა არავისთვის გავაკეთებდი.

— როდის გაიგე, რომ ბერას არჩევანი შენს ნამუშევარზე შეჩერდა?

— მე ქუთაისში ვცხოვრობ. რამდენიმე დღის წინ, თამთა ასლანიშვილმა დამირეკა და მითხრა: შენთვის რაღაც გვაქვს სათქმელი, როგორ გირჩევნია, ახლა დაგელაპარაკო თუ თავად ბერამ გითხრასო? ვარჩიე, ბერას ეთქვა.

— სათქმელი რა იყო, ვერ მიხვდი?

— მივხვდი, მაგრამ მეგონა, II ან III ადგილზე თუ გავიდოდი. ადგილს არ ველოდი. ბერამ აიფონი მაჩუქა. აქ რომ მოვდიოდი, ვამბობდი, ჩემთვის მთავარია, ბერა ვნახო, შორიდან მაინც დავინახო-მეთქი. უზომოდ ბედნიერი ვარ.

— სხვა შემსრულებლის მიმართ თუ გქონია მსგავსი დამოკიდებულება?

— არა.

— შეყვარებული გყავს?

— არა.

— შენი დახატული ვიოლინოს გასაღები მეც ძალიან მომეწონა. შევნიშნე, რომ ბერას რაღაც გადაეცი. თუ საიდუმლო არ არის, რა იყო?

— ჩემი ლექსები.

— მას ეძღვნება?

— იმ რვეულში 12 ლექსი მიწერია; 10 — ბერას ეძღვნება, 2 — ჩემს მშობლებს.

დაბოლოს, ბერას სიტყვებს მოვიტან: „არ მინდა, ვიყო სუპერვარსკვლავი, არ მინდა, მიუწვდომელი გავხდე. როდესაც ვინმე ჩემზე ან ჩემს მუსიკაზე ფიქრობს, მსურს, იღიმოდეს... მინდა, უბრალოდ გგავდეთ თქვენ, შეიგრძნოთ ჩემი მუსიკა და ჩემთან ერთად ისიამოვნოთ ამ მუსიკით. მე მხოლოდ მინდა, ჩემი გრძნობები გაგიზიაროთ“... ■

ფანებს ბერასთან მიახლოების, ავტოგრაფის ჩამორთმევისა და სურათის გადაღების შესაძლებლობა მიეცათ

როცა ქართველი „მრავალჟამიერს“ მღეროდა, მაშინ სხვები ხეებზე დადიოდნენ...



ალბათ ბევრმა არ იცის, რომ გენიალური ქართული ფილმის, „ჯარისკაცის მამას“ გადაღების დროს, კომპოზიტორ სულხან ცინცაძეს, მამა-შვილის ტრაგიზმით აღსავსე შეხვედრისთვის შესაფერისი მუსიკა ვერ უპოვია. სცენის ემოციური ფონი უნდა შეემზადებინა სიმღერას, რომელსაც გოდერძი მახარაშვილის პერსონაჟი მღეროდა. კომპოზიტორს უამრავი ადამიანისთვის მოუსმენია, მაგრამ იმ ეპიზოდისთვის სასურველი ხმის პატრონს ვერ მიაკვლია. ბევრი ფიქრის შემდეგ, თემურ ქევხიშვილი გახსენებია, რომელიც მაშინ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იყო დაბინავებული. იმავე ღამეს მისულა მომღერალთან და სიმღერის ჩასაწერად წამოუყვანია. „თემურ ქევხიშვილმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იმპროვიზაციით შეასრულა „ურმული“. ბატონი სულხანი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. რეზო ჩხეიძემ კი მისი პირველივე ნამღერი ფილმის საბოლოო ვარიანტში შეიტანა“, — იგონებს მისი ახალგაზრდობის მეგობარი, ანზორ ერქომაიშვილი და იქვე სიამაყით დასძენს: დიახ, იმ „ურმულის“ ერთადერთი შემსრულებელი თემური აღმოჩნდა; ერთადერთობა მას, როგორც მომღერალსა და ჭეშმარიტ შემოქმედს, განგების ძალამ დაანათლაო...

ლალი პაპასკირი

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ქართველ (და არა მარტო) მსმენელს თემურ ქევხიშვილის იშვიათი და მკერდისმიერი ხმის ტემბრი ატკბობს... ამ საოცარი ხმის პატრონს, თავის მეგობრებთან ერთად, ქართული ოჯახებიდან „გამოდევნილი“ ფოლკლორის მსმენელისთვის დაბრუნებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. საზოგადოებამ იგი კონსერვატორიის სტუდენტური ანსამბლიდან — „გორდელადან“ გაიცნო, რომელიც მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა. მას შემდეგ, საქართველოს სახალხო არტისტის, ქართული ფოლკლორის ამაგდარის, თემურ ქევხიშვილის თაოსნობით არაერთი ანსამბლი დაფუძნდა. უამრავი თაობა აღზარდა და საყვარელ საქმეს დღემდე ემსახურება.

მასთან ინტერვიუზე მიმავალი ვღელავდი, რადგან ვიცოდი, დამსახურებული მომღერალი უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა. მის მოკრძალებულ სამუშაო ოთახში სხვადასხვა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტს ნახავთ. კედელზე კი ერთადერთი — ვაჟა-ფშაველას სურათია. ღიმილით მითხრა: „ვაჟასტი“ ვარ, სიტყვა „პოეტი“ ჩემთვის მხოლოდ მასთან ასოცირდება; სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და სატრფიალო ლირიკით ჩემს სულს ეხმიანებაო.

— სიბერე ცოტა ადრეა ჩემთვის, მაგრამ როცა ეს დრო მოვა, ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ უკან მოხედვის არ მრცხვენია... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე, ამ გაზაფხულს ოპერაცია უნდა გამეკეთებინა და როცა გამოკვლევაზე მივედი, გოგონებმა ასაკი მკითხეს. თქვენ რამდენსაც მომცემთ, ის ჩაწერეთ-მეთქი... 52 წელი ჩაწერეს... ისე კი, 70 შემისრულდა, მაგრამ თავს გაცილებით უმცროსად ვგრძნობ. ესეც — ხუმრობით...

— ვიცი, რომ ბავშვობიდან მღერით. ეს ნიჭი გენეტიკურად მოგდგამთ?

— დიახ, ოჯახში ყველა მღეროდა — მშობლები, აწ გარდაცვლილი ჩემი და-ძმაც. პროფესიონალურ მუსიკასთან ურთიერთობამ მოგვიანებით მომიწია. 18 წლის ვიყავი, ნოტების შესწავლა რომ დავიწყე. შემდეგ კი სწავლის გაგრძელება კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში გადავწყვიტე, სადაც ქორეოგრაფიულ და თეატრალურ ხელოვნებას სწავლობდნენ. რამდენიმე გამოცდა იყო ჩასაბარებელი, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მისაღები გამოცდა ჩავაბარე სიმღერაში — ფანდურზე ვიმღერე. იცით, საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს, მეუხერხულება, მაგრამ რახან საზოგადოება ჩემით დაინტერესდა, გულღიად მოვყვები ყველაფერს... მოკლედ, როცა სიმღერა დავასრულე, კომისიის თავმჯდომარემ, კონსერვატორიის პრორექტორმა, გივი ლორთქიფანიძემ თქვა, ეს მომღერალი ამ დარგის ვარსკვლავიაო... ამ სიტყვების შემდეგ, მორალური უფლება არ მქონდა, ამ საქმეს არ გავყოლოდი. 4 წელი მუსიკალურ ტექნიკუმში ვისწავლე, 6 წელი — კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟოროზე... ტექნიკუმში ჩემთან ერთად, ანზორ ერქომაიშვილი სწავლობდა და დღემდე ერთად მოვდივართ. მაშინ, ჩვენს ახალგაზრდობაში, ქართველი საზოგადოება ხალხური სიმღერებისადმი პატივისცემასა და ინტერესს არ იჩენდა... ძალიან ცუდად მახსენდება ერთი შემთხვევა: ვაკის პარკში საზაფხულო დარბაზში კონცერტს ვმართავდით. უნდა გვემღერა გურული სიმღერა — „შავი შაშვი“, რომელსაც გადმოცემის თანახმად, მონადირე ასრულებს. ნადირობის სურათი გვქონდა შექმნილი — სიმღერის დაწყებამდე ძაღლების ყეფა და ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა... როგორც კი მუსიკალური ნომერი დაიწყო, დარბაზიდან დაგვისტვინეს და სიცილ-ხარხარი ატყდა. შეურაცხყოფისგან გაოგნებული ვიდექი სცენაზე. ენა ჩამივარდა და თვალზე ცრემლი მომადგა. მას შემდეგ ამდენი წელი გავიდა, მაგრამ ის დღე ახლაც მწარედ მახსოვს... მაშინ მე და ჩემმა მეგობრებმა ვთქვით, ქართველი მსმენელი თავის ფესვებს უნდა დაუბრუნდეს და ეროვნული განძი დაუფასოს-თქო. დროთა განმავლობაში, თავდადებული შრომის შემდეგ, „გორდელამ“ ეს შეძლო. გომარ სიხარულიძესთან ერთად ძალიან ბევრი მივიწყებული სიმღერა და საგალობელი მოვიძიეთ და „გავაცოცხლეთ“...

— ეს დრო ალბათ ძალიან ლამაზად გაგონდებათ...

— დიახ, არაერთი ლამაზი და საინტერესო დღე დამამახსოვრდა. IV კურსზე ვიყავი, როცა თელავის სახელმწიფო ანსამბლის წევრთა რეპეტიციას დავესწარი. რეპეტიციის შემდეგ, ანსამბლის ხელმძღვანელმა, ფირუზ მახათელაშვილმა მომღერალ კახელებს ჩემი თავი წარუდგინა. მკითხა, რომელი სიმღერის მოსმენა გინდაო? მხრები

ავიწურე, მათთან შედარებით პატარა ბიჭი ვიყავი და მომერიდა, დაღლილები იქნებიან-მეთქი, მათ კი კახურად მიპასუხეს, — მიდი, კაცო, დაღლილი არა, ისა, გვითხარი, რა გინდაო... როგორც იქნა, შევბედე, „მრავალჟამიერი“ მინდა-მეთქი. დასცხეს და აგუგუნდნენ. როცა დაასრულეს, კიდევ მკითხეს. თელავურ „ჩაკრულოს“ სხვა მადლი აქვს და ამჯერად არჩევანი მასზე შევაჩერე. ისე მღეროდნენ, როგორც კონცერტზე, მთელი გულითა და სულით. ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ამ ხნის კაცი მოვიყარე და მსგავსი არაფერი მომისმენია... როგორ შეიძლებოდა ასეთი განძის დაკარგვა, ამაზე უკეთესი რა გვაბადია ქართველებს?!

— რით ხსნით მაშინდელი ქართველი მსმენელის გულგრილ დამოკიდებულებას ფოლკლორის მიმართ?

— არ ვიცი, შეიძლება, ეს დასავლური მუსიკის მოძალებამ გამოიწვია. ვატარეთ: ვაჟთა გუნდ „დარიალს“, რომლის ხელმძღვანელიც გახლდით, 10 წელი შეუსრულდა. დარბაზი გადაჭედილი იყო. სიტუაციით ვისარგებლე, სცენაზე გამოვედი და ვთქვი, — რეი ჩარლზის ჩამოსვლის შესახებ ისეთი განცხადებები გაკეთდა, არ შეიძლება, უპასუხოდ დავტოვო; ბედნიერი ჩვენ კი არ ვართ მისი ჩამოსვლით, არამედ ის არის, რადგან „მრავალჟამიერისა“ და „ჩაკრულოს“ სამშობლოში ჩამოვიდა-მეთქი... მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და იქაურობა ტაშით დაინგრა...

— თქვენს ხელში ბევრმა თაობამ გამოიარა. ალბათ სატელევიზიო მუსიკალურ გადაცემებსაც თვალყურს ადევნებთ. როგორ ფიქრობთ, ნიჭიერი თაობა მოდის?

— ქართველ კაცს ნიჭის დეფიციტი არა აქვს, მაგრამ მისი სწორად წარმართვა არ უნდა და ამაში ტელევიზიებიც „ეხმარება“. მართლაც, მუდ-

ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა თაობამ ასე აიტაცა ფოლკლორი

იმ წლებში განსაკუთრებით შავკანიანების ფოლკლორი იყო მოდაში, მაგრამ ხმამაღლა შემიძლია ვთქვა და ვისაც უნდა, დავუმტკიცებ, — როცა ქართველი „მრავალჟამიერს“ მღეროდა, მაშინ სხვები ხეებზე დადიოდნენ... 90-იან წლებში საქართველოში მსოფლიო დონის უსინათლო ჯაზმენი, რეი ჩარლზი ჩამოვიდა. მაშინ რამდენიმე ადამიანმა აღფრთოვანება ვერ დაფარა და თქვა, — ბედნიერია საქართველო, რომ რეი ჩარლზი ესტუმრაო. ცოტა ხნის შემდეგ, ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტი ჩამივად თვალს ვადევნებ იმ მუსიკალურ გადაცემებს, რომლითაც დღევანდელი ტელეეთერია გადატვირთული და ერთი რამ მაოცებს: რატომ ენიჭება უპირატესობა ყოველთვის უცხოურს? და კიდევ, ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა თაობამ ასე აიტაცა ფოლკლორი, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და ერთ რჩევას მივცემ — თუ ვერაფერს შემატებენ, არც დააკლონ... 80-იანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა პასპორტები იცვლებოდა, ჟურნალისტებმა ამასთან დაკავშირებით აზრი მკითხეს. ვუპასუხე, — მოქალაქის გვარის, სახელის, მამის სახელის, დაბადების თარიღისა და ეროვნების გრაფის ქვემოთ კიდევ უნდა იყოს გრაფა, სადაც ჩაიწერება, რომელ ხმას მღერის-მეთქი. — თუ საერთოდ ვერ მღერისო?! — მაშინ, ქართული სიმღერა უყვარს თუ არა-მეთქი. — იქნებ არც უყვარს და არც უსმენსო?! — ასეთ კაცს რად უნდა პასპორტი-მეთქი?!

— ბატონო თემურ, ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდი, როცა არ ემღერება. ასეთი დრო თქვენც გქონდათ...

— დიახ, როცა ჩემი ვაჟი გარდაიცვალა... მაშინ მეგონა, ცხოვრებას ვეღარ გავაგრძელებდი. მაგრამ ქართული სიმღერა ისეთი ფენომენია, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი მონაკვეთის, ტკივილისა თუ სიხარულის გამოხატვა შეუძლია. ჩვენი წინაპარი დაბადებაზეც მღეროდა, ქორწინებაზეც, ომზეც, სიბერეზეც, სიკვდილზეც. მასში ყველა ადამიანური ემოციაა გადმოცემული და ამან გადამარჩინა. სიმღერა რომ არ შემძლებოდა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი... როცა „ჯარისკაცის მამას“ პერსონაჟისთვის „ურმული“ ვიმღერე, მელოდიაში ტრაგიზმი უნდა ჩამედო. ეს არ იყო ადვილი, მაგრამ შევძელი. ამ ტრაგედიის შემდეგ, ხშირად მახსენდებოდა ის პერსონაჟი და ვფიქრობდი, თუ რა ძალა აქვს ქართულ სიმღერას... ახლა ჩემი პატარა შვილიშვილიც მღერის, ოღონდ მან სხვა მიმართულება აირჩია. მთავარია, რომ მუსიკა მისთვისაც ძვირფასია.

— ახლახან კონცერტი გქონდათ, სადაც თქვენი კიდევ ერთი ანსამბლის, „ოროველას“ პრეზენტაცია გაიმართა...

— მუსიკა ჩემთვის ყველაფერია. მთელი ჩემი ცხოვრება, გული და სული მასში ჩავდე და ამის სანაცვლოდ, ყველაზე მთავარი — ხალხის სიყვარული მივიღე, რაც ჩემთვის ყველაფერია, ისევე, როგორც მუსიკა. „ოროველა“ პროფესიონალი მომღერლებით დაკომპლექტებული ანსამბლია და მიხარია, რომ მაყურებელი ასეთი სიყვარულით შეხვდა... იმედი მაქვს, ეს ბოლო კონცერტი არ იქნება და ჩემს საყვარელ საქმეში კიდევ შევძლებ რამის გაკეთებას... კომპოზიტორობის ამბიცია არა მაქვს, მაგრამ გავბედე და რამდენიმე საავტორო სიმღერაც დავწერე, რომელიც შესულია ჩემს წიგნში — „ხმა გულისა“. მხოლოდ ხალხურ და ვაჟა-ფშაველას ლექსებზე ვწერ სიმღერებს და როგორც ინტერვიუს დასაწყისში აღვნიშნე, სანამ უკან მოხედვის დრო დამიდგება, მინდა, კიდევ ბევრი გავაკეთო.

■

„2 წელია, ქართველებს საპრიზო ადგილები არ დაუკავებიათ“

ახლახან, ფოტომოდელებისა და მანეკენების სტუდია „ფავორიტის“ (ხელმძღვანელი — მაია ზაალიშვილი) ორგანიზებით ჩატარებულ სილამაზის კონკურსზე გამარჯვებულები 2 ნომინაციაში გამოვლინდნენ: „მის ბიკინი“ 19 წლის თეკო ლაგვილავა გახდა, „მის იუნიორი“ — 21 წლის ნათია როზამაშვილი... ფინალამდე ჩვენება თბილისში გაიმართა. გოგონებმა ავანგარდული და საღამოს კაბები წარმოადგინეს. კონკურსი გრიგოლეთში ჩატარდა, სადაც გოგონები ჟიურის წინაშე კოქტეილის კაბებსა და ბიკინიში გამოწყობილები წარდგნენ...

წლევანდელი „მის ბიკინი“ ჩეხეთში, „მის მსოფლიოს პრინცესას“ კონკურსზე სექტემბრის ბოლოს გაემგზავრება, „მის იუნიორი“ კი — ტაილანდში, „მის დედამიწის“ კონკურსზე.

თეონა ლაგვილავა

ნათია როზამაშვილი

ეთო ყორღანაშვილი

თეკო ლაგვილავა, *19 წლის, „მის ბიკინი 2011“:*

— 2009 წელს, „მის იუნიორის“ კონკურსში ვმონაწილეობდი. მაშინ საპრიზო ადგილი ვერ დავიკავე. გადავწყვიტე, ბედი წელსაც მეცადა და გამიმართლა.

— **შარშან რატომ არ სცადე?**

— აბიტურიენტი ვიყავი, ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადებოდი.

ნათია როზამაშვილი, *21 წლის, „მის იუნიორი 2011“:*

— უნივერსიტეტში ვსწავლობ. ლექციას ვესწრებოდი, როცა აუდიტორიის კარი მაია ზაალიშვილმა შემოაღო და გოგონებს გვთხოვა, ფეხზე ავმდგარიყავით. სამი გოგონა შეგვარჩია. აგვიხსნა, რომ კონკურსი ტარდებოდა და მასში მონაწილეობა შეგვეძლო. როგორც გაირკვა, იმ 3 გოგონადან 2 გათხოვილი იყო — მხოლოდ მე დავრჩი (*იცინის*)... თავდაპირველად, კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით ვყოყმანობდი. დედას რომ ვუთხარი, მირჩია: წავიდეთ, ვნახოთ, როგორი სიტუაციაა. სტუდიაში მისულს იქაურობა ძალიან მომეწონა. პირველივე დღეს ვარჯიში დავიწყე, კლუბებში ჩვენებები გვქონდა... შემდეგ კასტინგი ჩატარდა, სადაც სილამაზის კონკურსისთვის 18 გოგონა შეგვარჩიეს.

სიმართლე რომ გითხრათ, გამარჯვებას არ ველოდი

— **გოგონებო, თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რომელ ნომინაციაში გაიმარჯვებდით?**

ნათია:

— მინდოდა, „მის იუნიორი“ გავმხდარიყავი. „მის ბიკინის“ იდეალური ტანი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ, კონკურენტები მყავდა (*იცინის*).

თეკო:

— სიმართლე რომ გითხრათ, გამარჯვებას არ ველოდი. ჩემთვის ორივე ნომინაცია სასურველი იყო. რაც „მის ბიკინი“ გავხდი, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ: სახლიდან მოწესრიგებული უნდა გავიდე, სულ ფორმაში ვიყო... ეს მარტივი ნამდვილად არაა.

ნათია:

— „მის იუნიორის“ ტიტული ჩემთვისაც საპასუხისმგებლოა. ვეცდები, მსოფლიო სილამაზის კონკურსზე საქართველო ღირსეულად წარვადგინო, რადგან 2 წელია, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ.

— **თქვენს საკონკურსო სამოსზე ვინ იზრუნა?**

— კოლეჯ „გეორგიას“ სტუდენტებმა, ქეთი მეძმარიაშვილისა და ლიზი ზაკაშვილის ხელმძღვანელობით.

— **საცურაო კოსტიუმებზე?**

თეკო:

— ვიყიდეთ.

— **რატომ?**

— დიზაინერები სხვადასხვანაირ ბიკინებს ქმნიან: ზოგი ფეხს მაღალს აჩენს, ზოგი — „ადაბლებს“ და ა.შ. კონკურსისთვის ერთი ფერისა და სტილის საცურაო კოსტიუმები გვინდოდა. ამიტომ ყიდვა ვარჩიეთ.

— **მოსამზადებელი პერიოდი როგორ გაიარეთ?**

— 1 კვირის განმავლობაში აუზზე დავდიოდით, ვირუჯებოდით, „ვრეპეტიციობდით“... მოკლედ, კარგად ვხალისობდით.

— **მზეზე გარუჯვისას რომელიმე კონკურსანტი ხომ არ დაზარალდა?**

— გარუჯვამ რამდენიმე გოგონაზე ცუდად იმოქმედა. მათ დამწვრობაც კი მიიღეს.

ნათია:

— ეს ამბავი ერთ-ერთმა განსაკუთრებით განიცადა. ეგონა, კონკურსზე გასვლას ვეღარ შეძლებდა, მაგრამ დამწვრობამ მეორე დღესვე გაუარა, რის გამოც ძალიან ბედნიერი იყო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— **კონკურსზე ვინ გგულშემატკივრობდათ?**

— კონკურსში მონაწილეობის შესახებ მხოლოდ მეგობრებმა და ოჯახის

წევრებმა იცოდნენ. სხვებისთვის არაფერი მითქვამს, ვიდრე არ გავიმარჯვე. ჩემი წარმატება ყველას ძალიან გაუხარდა.

თეკო:

— ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო: ეს ამბავი მხოლოდ ახლობლების ვიწრო წრემ იცოდა.

— გამარჯვების შემდეგ თქვენი თაყვანისმცემლების რაოდენობა გაიზარდა?

ნათია:

— რომ გითხრათ, მათი რაოდენობა გაორმაგდა-მეთქი, მართალი არ იქნება. ისევ იმდენია — არ მაწუხებენ (*იცინის*).

თეკო:

— თაყვანისმცემლები ყოველთვის მყავდა, მაგრამ უფლებას არ ვაძლევ, რომ შემაწუხონ.

— რამდენი ხანია, რაც სამოდელო სფეროში ხარ?

— დაახლოებით, 2009 წლიდან. XI კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა კონკურსში — „მის გაზაფხული" — ვმონაწილეობდი. კულისებში ნუკრი ჯიოშვილს შევხვდი, რომელმაც ფოტოგადაღებაზე დამიბარა. შემდეგ სააგენტოში სიარული დავიწყე. ამას რამდენიმე ჩვენება მოჰყვა...

— მოდელობის გარდა, რას საქმიანობ? შარშანდელი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარე?

— კი, მეორე კურსის სტუდენტი ვარ. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ჟურნალისტიკაც ძალიან მაინტერესებს. მგონი, ეს საქმეც გამომივა.

— ნათია, შენ სად სწავლობ?

— გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მეოთხე კურსზე გადავედი. იურიდიული განათლებაც მაქვს, მაგრამ ამ პროფესიით არასოდეს მიმუშავია. ჟურნალისტობა ძალიან მომწონს, თუმცა ჯერჯერობით, სამოდელო სფერო უფრო მაინტერესებს. ამ საქმეს სერიოზულად ვეკიდები. პოდიუმზე სიარული, ხალხის ყურადღება ძალიან მსიამოვნებს, მით უმეტეს — ახლა, როცა გავიმარჯვე (*იცინის*).

თეკო:

— სწავლის პარალელურად, მოდელობასაც გავაგრძელებ. ვეცდები, ამ სფეროში ჩემი შანსები ბოლომდე გამოვიყენო.

— უცხოეთში გასამგზავრებლად მზადება უკვე დაიწყეთ?

— კი, მაგრამ დიდი მომზადება არ მინდა — ფორმის შესანარჩუნებლად დიეტის დაცვა, ვარჯიში არ მჭირდება.

ნათია:

— ფსიქოლოგიურად ვემზადები. მაქსიმალურად ვეცდები, რომ მსოფლიო კონკურსზე ჩვენი ქვეყანა კარგად წარმოვაჩინო.

— წარმატებას გისურვებთ!..

■

„ყველა სიახლის" სპეციალური კორესპონდენტი ავსტრალიაში წიგნის წერას შეუდგა

თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მამის კვალს გაჰყვა და თეატრისა და კინემატოგრაფიის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობისას „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველ არხზე ჯერ სპორტული გადაცემა „გოლი" მიჰყავდა, შემდეგ — დილის პროგრამის „ამინდი". ისე ხალისიანად შეგატყობინებდა თუნდაც ქარიშხლის ამბავს, რომ დილიდან საუკეთესო ამინდს შეგიქმნიდა და კარგ გუნებაზე დაგაყენებდა. ლამაზი გოგონა ნათელი სახითა და კეთილი ღიმილით აუცილებლად დაგამახსოვრებდათ თავს, თუმცა მაინც მოუწია ტელევიზიიდან წამოსვლამ...

ირმა ხარშილაძე

მერე „თავისუფალ თეატრში" მივიდა, ერთ სპექტაკლში მონაწილეობდა, მაგრამ მალევე დედასთან ერთად, ავსტრალიაში, მამასთან გაემგზავრა. სხვათა შორის, ავსტრალიაში მცხოვრებ გიორგი ბართაიაზე რამდენჯერმე გიამბეთ „გზის" ფურცლებზე, ამჯერად კი მის ქალიშვილს, უკვე „პალიტრა მედიის" ერთ-ერთი გამოცემის, გაზეთ „ყველა სიახლის" სპეციალურ კორესპონდენტს ავსტრალიიდან — თათული ბართაიას წარმოგიდგენთ, რომელიც მანამდეც ხშირად ჩადიოდა სიდნეიში და ერთხანს, „პუმის" სახეც გახდა, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვანი მისით წავიდა — ოცნების ასახდენად და... აიხდინა კიდეც: რამდენიმე თვეა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის, სიდნეის დრამატული ხელოვნების ნაციონალური ინსტიტუტის, NIDA-ს კინოსამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტია.

თათული მამასთან — გია ბართაიასთან ერთად

— ჯგუფში თორმეტნი ვართ — 11 ავსტრალიელი და 1 ქართველი. თავიდან რომ გაიგეს, Georgia-დან (საქართველოდან) ვარ, ჯორჯიას მეძახდნენ, შემდეგ — თამარს, რადგან NIDA-ში ასე ვარ დარეგისტრირებული. ერთმა პედაგოგმა, რომელიც კინოს ისტორიას გვასწავლის და ძალიან მკაცრია, ჩემი სახელი ვერაფრით დაიმახსოვრა და სია რომ ამოიკითხა, თემურა მიწოდა. მომერიდა, შემესწორებინა, ისიც მიეჩვია, რომ „თემურა" ვარ და მეც სიის ამოკითხვისას, თემურას დაძახებაზე ყოველთვის ვპასუხობ, — ვარმეთქი. ჩემი ჯგუფელები ვერ ხვდებიან, რაშია საქმე, მე კი გულში მეცინება: ეს რომ ქართველებმა გაიგონ, რას იხალისებენ-მეთქი (*იცინის*)!.. ძალიან დატვირთული ვარ. კვირაში ერთხელ, ცნობილი დრამატურგების პიესებიდან ეპიზოდებს ვიღებთ. გადაღებაში ყველანი ვმონაწილეობთ. ერთმანეთს ვუკეთებთ გრიმს, ვზრუნავთ ერთურთის ჩაცმულობაზე. შემდეგ ინიშნება „კრიტის დღე" ანუ — ერთად ვუყურებთ ჩვენს ნამუშევრებს და ვაფასებთ. NIDA-ს სტუდენტებს გვაქვს ბედნიერება — მასტერკლასი ჰოლივუდის ვარსკვლავებთან გავიაროთ. ამას წინათ სასწავლებელს სახელგანთქმული მსახიობი კეიტ ბლანშეტი სტუმრობდა, მანამდე — ცნობილი ტელეწამყვანი და ჟურნალისტი ანტონია კიდმანი (ნიკოლ კიდმანის და) გვეწვია. NIDA-ს აქვს „ოქროს სკივრი", სადაც სტუდენტები, ტრადიციულად, ერთმანეთის შესახებ ჩანაწერებს ათავსებენ. სკივრი მხოლოდ NIDA-ს დაბადების დღეს იხსნება და სტუდენტები ჩანაწერებს ხმამა-

ღლა კითხულობენ. ჩვენც განვაგრძობთ ტრადიციას და მიხარია, რომ „ოქროს სკივრი“ ჩემი ჩანაწერებითაც ივსება. ძალიან მეგობრული ჯგუფი მაქვს. ბავშვები დასვენების დღეებში ვიკრიბებით ხოლმე და ქალაქში ვსეირნობთ, ვესწრებით გამოფენებს, კონცერტებს; ყველას გვიყვარს სუში და ხშირად ვსტუმრობთ „სუში ბარს“. აქაურები სულ მეკითხებიან ქართველ მეგობრებზე, ჩემი უახლოესი მეგობრების სახელებიც კი იციან. ქართველი მეგობრები ძალიან მომენატრნენ, თუმცა ვიცი, საქართველოში რომ დავბრუნდები, ავსტრალიელი მეგობრებიც უზომოდ მომენატრებიან და აუცილებლად მოვიწვევ საქართველოში.

— **თათული, სიდნეიში ბევრი ქართველია?**

— დიდი დიასპორა არა გვაქვს. ქართველები ერთმანეთს კვირაობით, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვხვდებით. ყველაზე ხშირად, მძლეოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და ერთგზის ვერცხლის პრიზიორის — ვიქტორ სანეევის ოჯახს ვსტუმრობ. იქ ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით მხვდებიან. სუფრასთან საკუთარი ადგილიც კი მაქვს. ამ ოჯახში ყველა სადღეგრძელო საქართველოსა და ქართველ ხალხს ეთმობა. რამდენიმე დღის წინ სანეევებმა ავსტრალიელი მეგობრები მიიწვიეს შინ და ქართული სუფრაც გავშალეთ. სტუმრებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რა არის ღომი და იკითხეს, რატომ იყო ფაფაში ყველი? როგორც ჩანს, მოერიდათ, ეკითხათ, რატომ იყო სადღესასწაულო სუფრაზე ფაფა (*იცინის*). მაგრამ როცა გასინჯეს ჩვენი კერძები, ისე აღფრთოვანდნენ, რომ ღომისა და საცივის რეცეპტები ჩაიწერეს.

— **ერთი წელი გავიდა, რაც სიდნეიში ხარ, არა?**

— უკვე მეათე თვეა და ამ პერიოდში ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია, რომ მსოფლიოს პრესტიჟულ სასტუმროთა ქსელის, Hilton-ის სახე გავხდი. ეს ჩემთვის დიდი გამარჯვება იყო. გადაღებები იახტაზე მიმდინარეობდა. მომიწია შუა ოკეანეში იახტიდან გადახტომამ, არადა, საშიშია — იქ ზვიგენებიც არიან. ჩემი ჯგუფელები ძალიან მგულშემატკივრობდნენ, უნდოდათ, გადაღებას დასწრებოდნენ, მაგრამ ამის ნება არ მისცეს. Hilton-ის ახალი სარეკლამო რგოლი მზად არის და როგორც რეჟისორმა ტროი ჰაუსმა მითხრა, ის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სექტემბერში გავრცელდება. მოუთმენლად ველოდები ახალ პოსტერებს, საკუთარი თავი იახტიდან წყალში გადახტომის პროცესში რომ ვნახო. სიდნეიში ვთანამშრომლობ სამოდელო სააგენტოსთან MCTV. სწორედ ამ სააგენტომ შემომთავაზა მონაწილეობა კონკურსში, რომელიც Hilton-ისთვის მოეწყო. Hilton-ის გადაღებების შემდეგ პოპულარული გავხდი. ცოტა ხნის წინ სიდნეიში ჩატარდა კარნავალი, რომელსაც აქაური შოუბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მე მოდების ჩვენებაში მონაწილეობა შემომთავაზეს. ეს დიდი პატივი იყო. მიხარია, რომ სიდნეიში ბევრი მეგობარი შევიძინე. ამ ქალაქში, გარკვეული დრო ადრეც ვცხოვრობდი, მაგრამ ახლანდელი ცხოვრება სულ სხვანაირია. სამოდელო და სამსახიობო საქმიანობასთან ერთად თქვენი მედიასახლის გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ვთანამშრომლობ და ყოველ ოთხშაბათს ექსკლუზიურ და საინტერესო ამბებს ვაწვდი ავსტრალიიდან. ჩემი პირველი ინტერვიუ, მახსოვს, ვიქტორ სანეევთან ჩავწერე. ამას მოჰყვა ინტერვიუები სხვა საინტერესო ადამიანებთან. ერთხელ სასაცილო მდგომარეობაშიც აღმოვჩნდი. აბორიგენისგან ინტერვიუს ვიღებდი და ვკითხე, — ძველად მართლა ჭამდნენ აბორიგენები ადამიანის ხორცსმეთქი? ინტერვიუს სხვა აბორიგენებიც ესწრებოდნენ და ერთმა მათგანმა ჩამჩურჩულა, — სასწრაფოდ გაეცალე აქაურობას, თორემ ეგენი შეგჭამენო. ჩემს რესპონდენტს ისეთი სახე ჰქონდა, ვიფიქრე, მართლა მიპირებს რაღაც მაგდაგვარს-მეთქი და ისე დავიბენი, ლამის ინტერვიუ შევწყვიტე. შიში რომ შემატყვეს, დამამშვიდეს, გეხუმრეთო. ბოლოს ისე დავმეგობრდით, ქართული ენის სწავლაც კი მოუნდათ. ჩემთვის გაზეთი „ყველა სიახლე“ ხიდივით არის საქართველოსთან. მანდ, ახლობლებსა და მეგობრებს ძალიან უხარიათ ჩემი სტატიების ხილვა, აქაური ქართველები კი ინტერნეტით ეცნობიან. სიახლეც მაქვს: დავიწყე მუშაობა წიგნზე — „საქართველო-ავსტრალია“. აღვწერ ჩემი თვალით დანახულ ავსტრალიას, პარალელებს გავავლებ საქართველოსთან. ბევრმა არ იცის, რომ მსოფლიოში ცნობილი ავსტრალიელი ტარზანი, რომელიც ჯუნგლებში ცხოვრობს, ქართველი თავადიშვილის, ელისაბედ მაჩაბლის შვილია; სიდნეის ცნობილი მღვიმე Jenolan Caves ძალიან ჰგავს ჩვენს სათაფლიას; როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ავსტრალიის კვინსლენდში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ, წყალდიდობამ საქართველოში შაქრის ფასის ზრდა გამოიწვია. წიგნში ასევე აღვწერ ჩემს ავსტრალიურ თავგადასავალს, კურიოზებს, შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან, სამშობლოს ნოსტალგიას. მინდა, ეს წიგნი საქართველოში დაიბეჭდოს. იმედი მაქვს, მკითხველს დააინტერესებს ჩემი „საქართველო-ავსტრალია“.

— **ისე საინტერესოდ ცხოვრობ, დარწმუნებული ვარ, „გზისთვისაც“ შემოინახავდი ექსკლუზიურ ინფორმაციას.**

— (*იცინის*) ამას წინათ, მიმიწვიეს პოპულარულ ავსტრალიურ ტელესერიალში — Packed to the Rafter. რამდენიმე ეპიზოდისთვის სჭირდებოდათ მომხიბვლელი ექთანი, რომლის გამოც პაციენტს საავადმყოფოდან გაწერა აღარ მოუნდებოდა. ჩემს გმირს ნინდა უორდი ერქვა. გადაღება სენ-ვინსენტის საავადმყოფოში მიმდინარეობდა. ამ როლისთვის ნემსის გაკეთებაც კი ვისწავლე. ამ სერიალს უკვე

რამდენიმე ეპიზოდისთვის სჭირდებოდათ მომხიბვლელი ექთანი

წლებია, ავსტრალიაში უჩვენებენ და ძალიან რეიტინგულია. ჩემი პერსონაჟი ისე მოეწონათ, შემპირდნენ, რომელიმე გმირს კიდევ მოვახვედრებთ საავადმყოფოში და ექთანის როლზე დაგაბრუნებთო.

— **ამდენ საქმეს ალბათ მშობლების მხარდაჭერის გარეშე ვერ აუხვიდოდი.**

— გია და მაკა მუდამ მხარში მიდგანან, მამხნევებენ. მყავს ერთგული ძაღლი ჯიბა, რომელიც ძალიან ნიჭიერია — ქართულიც ესმის და ინგლისურიც. მინდა, სპორტულ შეჯიბრებაში მიიღოს მონაწილეობა და იმედი მაქვს, მასახელებს. მინდა, სექტემბერში ახალ ზელანდიაში, რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრო, ქართველ მორაგბეებს ვუგულშემატკივრო. იმედია, გადაღება არ შემიშლის ხელს. ■

სად იმოსებიან ქართველი ცნობილი მამაკაცები და რას ანიჭებენ უპირატესობას

ქალების უმეტესობა გარეგნობას და ჩაცმულობას რომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ, ცნობილი ფაქტია. ამ მხრივ არანაკლებ ინტერესს იჩენენ მამაკაცები და საპირისპირო სქესის ყურადღების მისაპყრობად არც ძვირად ღირებული ბრენდებისთვის იშურებენ თანხებს. თუმცა ზოგიერთს ეს ნაკლებად აღელვებს და ბრენდომანია აღიზიანებს კიდეც.

თამთა დადეშელი

დათო გომართელი, *მომღერალი:*

— ჩემს გარდერობში უფრო მეტად აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილის ფერადი და ჭრელი საზაფხულო სამოსი ჭარბობს. ტანსაცმელს ძირითადად, საზღვარგარეთ ვყიდულობ, რადგან იმის გარანტია მაქვს, რომ იქ რასაც შევიძენ, მსგავსს თბილისში ვერ ვნახავ. აქ შეიძლება დიდი თანხა გადაიხადო ტანსაცმელში და მეორე დღეს ზუსტად ისეთი სხვას ქუჩაში ეცვას... იმის გამო, რომ თბილისი პატარა ქალაქია, ვცდილობ, ექსკლუზიური სამოსი მეცვას. ყოველდღიურად უფრო სპორტულ, თავისუფალ სტილს ვანიჭებ უპირატესობას. ხოლო თუ ვთქვათ, სადმე წვეულებაზე მივდივარ, წინასწარ ვემზადები იმისთვის, რომ შეიძლება იქ „დრეს-კოდი“ მოითხოვონ და შესაბამის სამოსს ვარჩევ.

აჩი სოლოლაშვილი, *მსახიობი, ტელეწამყვანი:*

— ვცდილობ, ზაფხულში თხელი და ბუნებრივი ქსოვილისგან შეკერილი სამოსი ჩავიცვა, სინთეტიკას ვერიდები.

მიხარია, როცა კარგი ამინდებია და ფერადი ტანსაცმელი მაცვია. გემოვნება სეზონურად მეცვლება. მომწონს თხელი ჯვალოს ნაჭრის პერანგები და შარვლები. გამხდარი ვარ და ტანზე კარგად ვირგებ. როცა ჩვეულებრივ მაისურს ვიცვამ, იატაკის ჯოხზე ჩამოცმულ ტილოსავით მაქვს. თბილისში არის ერთი მაღაზია, რომელიც აკმაყოფილებს ჩემს გემოვნებას როგორც საცვლებზე, ასევე, საცურაო შორტებზე და იქ ვყიდულობ, მაღალი ხარისხისაა და ფასიც ხელმისაწვდომია. აქსესუარებიდან ძალიან მიყვარს სათვალე და უკვე ბევრიც დამიგროვდა. რაც შეეხება ფეხსაცმელს, ხშირად „ტაპკები“ მაცვია...

— თქვენს საეკრანო ჩაცმულობაზე რას იტყვით?

— ვცდილობ, ჩემი საეკრანო ჩაცმულობა არც ძალიან სპორტული იყოს, არც — ზედმეტად კლასიკური; ისე, ეკრანს მიღმაც ისევე ვიქცევი.

— თუ არის მამაკაცის ისეთი სამოსი, რასაც კატეგორიულად არ ჩაიცვამთ?

— პიჯაკის ჩაცმა არ მიყვარს, რადგან მასში თავს შებოჭილად ვგრძნობ. ლამაზი მაისური, ხარისხიანი ჯინსის შარვალი და ფეხსაცმელი თავდაჯერებულობას მმატებს...

ვიშა მეფილდაძე, *პროდიუსერი:*

— ჩემს გარდერობში უფრო მეტად სპორტული სამოსი ჭარბობს — ჯინსი, რამდენიმე შორტი და ტილოს შარვალი.

— თქვენი ზომის ტანსაცმლის შეძენა ხომ არ გიჭირთ?

— კი, მაგრამ თბილისში რამდენიმე მაღაზიაა, სადაც დიდი ზომის ტანსაცმელი იყიდება, მათთან ისე ახლოს ვარ, რომ ჩემი ტელეფონის ნომერიც იციან და ახალი კოლექცია რომ ჩამოდის, მირეკავენ.

— სამოსი, რომელსაც იცვამთ, ცნობილი ბრენდების არის?

— განებივრებული არ ვარ ასეთი ტანსაცმლით, „ბრენდულ“ მაღაზიებში ჩემი ზომა ტანსაცმელი არ იშოვება. მაგალითად, ამწუთას ნაღდი „ლევისის“ ჯინსი და „ადიდასის“ ბოტასი მაცვია, მაისური — ჩვეულებრივი ფირმისაა. ბოლო დროს ფერადი მაისურები მომწონს, ტილოს პიჯაკი და ჯინსი.

— თქვენთვის ფეხსაცმლის შეძენაც პრობლემას წარმოადგენს?

— არა, ამ მხრივ უკეთესად მაქვს საქმე. ძირითადად, სპორტულ ფეხსაცმელს ვხმარობ.

გია ცინაძე, *მსახიობი:*

— თითქმის მთელი 3 თვეა, „ჩუსტები“ მაცვია და იმდენად კომფორტულად ვგრძნობ თავს, რომ შემიძლია, ყველგან ამით ვიარო და რაღაც ეტიკეტებსაც ვარღვევ ხოლმე, რაც ნაკლებად მაღელვებს. ტანზე კი შორტები და მაისური მაცვია.

— **ესე იგი, როგორი ჩაცმულობაც პერსონაჟ მყუდროს ჰქონდა სერიალში („ჩვენი ოფისი“), ცხოვრებაშიც დაახლოებით ასე დადიხართ?**

— შორტებს თუ ვიგულისხმებთ, — კი.

— **ტანსაცმელს სად ყიდულობთ?**

— თბილისის იმ მაღაზიებში, სადაც კარგი ტანსაცმელი იყიდება, ან საზღვარგარეთ თუ რომელიმე ნაცნობი მიდის, ვაბარებ ხოლმე, რადგანაც იქ ხარისხიანი სამოსის შეძენა იაფად შეიძლება... მახსოვს, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში საკმაოდ კარგი „რამეები“ იყიდებოდა, ისეთი, რასაც ქალაქში სხვის ტანზე ვერ ნახავდი... თუმცა მე დიდი ხანია იქ არაფერი შემიძენია.

— **როგორ ფერებსა და ქსოვილს ანიჭებთ უპირატესობას?**

— სინთეტიკა არ მიყვარს, ბამბა და ბუნებრივი ქსოვილები მირჩევნია, მაგდენს კი ვხვდები (*იცინის*). ყველანაირი ფერი მომწონს.

სამორი ბალდე, *ტელეწამყვანი:*

— სამოსს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ამიტომ ჩემი გარდერობი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ამოჩემებაც ვიცი, ერთი შარვალი 10 წელია მაცვია, ჯიბეები დაეხა, მაგრამ შევაკერინე. სულ 2 შარვალი მაქვს, მაისურები კი — უფრო მეტი, თავისუფალი და დიდი ზომის ტანსაცმელს ვხმარობ, მოტკეცილები არ მომწონს. ყველაფერი 2-3 ზომით დიდი მაქვს, რადგან პრაქტიკულია. სამოსი ადამიანის შინაგან სამყაროს გამოხატავს. კაშკაშა ფერები არ მიყვარს, უფრო — წყნარი ტონები. თუ კლუბში სამუშაოდ ან სტუდიაში ჩაწერაზე ვარ, მაშინ შეიძლება, კაშკაშა ჩავიცვა. სასურველია, თუ სამოსი ბამბის ან კოტონის იქნება.

— **ცნობილი ბრენდების სამოსს თუ ანიჭებთ უპირატესობას?**

— არა. ერთი რამ მაღიზიანებს, რაც საქართველოში უფრო თვალსაჩინოა — რატომღაც არსებობს ბრენდის კულტი, რაც ჩემი აზრით, ადამიანის უინტელექტობაზე მიუთითებს. თუ ცნობილი ბრენდია, „მინდა-მინდას“ და „მაგარიას“ გაიძახიან; მსგავსი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი უცნობი ბრენდის რომ იყოს, არ მოსწონთ. ეს ცუდია!

— **თვითონ სად ყიდულობთ ტანსაცმელს?**

— ბოლო დროს ყველაფერს ინტერნეტით ვყიდულობ, უფრო იაფიც ჯდება და ახალიცაა. ფეხსაცმელი ყველანაირი სტილის მაქვს. ისე, მაინც ფეხსაცმელს შარვლის შესაბამისად ვიცვამ.

— **აქსესუარებიდან სათვალეს თუ იყენებთ?**

— სათვალე სასტიკად არ მიყვარს, ვერ ვეგუები. ადამიანს რომ ველაპარაკები და თვალები დაფარული აქვს, არ მსიამოვნებს. სათვალეს მხოლოდ მაშინ ვიკეთებ, როცა პლაჟზე ან ზამთრის კურორტზე ვარ.

ვიკი რევიკი, *ფოტოხელოვანი:*

— წელს საქმიანი საზაფხულო სეზონი მელის — საზღვარგარეთ შეხვედრები მაქვს დაგეგმილი და ამიტომ გარდერობზეც ვფიქრობ. ვცდილობ, სამოსი უფრო ღია ფერებში გადაწყვეტილი შევარჩიო. სხვადასხვა ფერის „ესპადრელები“ მაქვს. კოჭზე გადაჭრილი ღია ფერის შარვლების შეძენას ვაპირებ, რომლის ჩაცმა უწინდოდაც შეიძლება, ზემოდან კი ჩვეულებრივი მაისურებით შემოვიფარგლები. აქცენტს შემდეგ აქსესუარებზე გავაკეთებ — სქელჩარჩოიანი, გამჭვირვალე მინებიანი სათვალე და სხვადასხვანაირი ჩანთა. რაც შეეხება „ბრენდულ“ სამოსს, ჩემს გარდერობში ასეთებიც მოიძებნება. ისე, დიდი ბრენდომანი არ ვარ. ტანსაცმელს ძირითადად, საზღვარგარეთ და თბილისის 1-2 მაღაზიაში ვყიდულობ, ან დიზაინერებთან ვიკერავ.

ბიჭოლა, *დიზაინერი:*

— ტანსაცმელს უმეტესად საზღვარგარეთ ვყიდულობ, საქართველოში დიდი ხანია, არაფერი შემიძენია. ზოგჯერ მეორად მაღაზიებშიც დავდივარ.

— **თქვენს ქართველ კოლეგებთან არ ყიდულობთ სამოსს?**

— არა.

— **რატომ? არ მოგწონთ?**

— არა.

— **აბა, რა მოგწონთ? როგორი სტილის სამოსი?**

— გააჩნია, სად მივდივარ. ყოველდღიურად უფრო მეტად თავისუფალი, სპორტული სტილი მომწონს, თუ რამე ღონისძიებაზე ან საღამოზე მივდივარ, კლასიკურად ვიცვამ, ყელზე კი ექსტრავაგანტურ დეტალებს ვიკეთებ.

— **კლასიკურში რა იგულისხმება, სტანდარტული კლასიკური კოსტიუმი?**

— დიახ, ჩვეულებრივი პიჯაკი, შარვალი და შავი ფეხსაცმელი, მაგრამ ვცდილობ, არაორდინარული ფერი შევარჩიო. აქსესუარებიდან ვხმარობ — ჩანთას, ბეჭედს, კაშნეებს...

— **ფეხსაცმელსაც საზღვარგარეთ ყიდულობთ?**

— ფეხსაცმელიც ყოველთვის ძვირფასი მაცვია და მას საზღვარგარეთ ვყიდულობ.

— **თბილისის რომელიმე მაღაზიაში ან ბაზრობაზე ტანსაცმელი რომ მოგეწონოთ, არ იყიდით იმის გამო, რომ ის ცნობილი ბრენდის არ არის?**

— როგორ არა, როგორც აღვნიშნე, „სექენდ ჰენდშიც“ მიყიდია და „მშრალ ხიდზე“ რამე ძველი ნივთიც კი. ერთი 2,5-ლარიანი პერანგი მაქვს, რომელსაც ძალიან გემრიელად ვხმარობ. ■

ცოლქმრული ღალატის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა

2011 წლის 13 იანვარს, ძველით ახალი წლის ღამეს, თბილისში, გლდანში, „თეთრი ტბის“ დასახლებაში შემზარავი დანაშაული მოხდა. 50 წლის ბორია კამიშევამ, მეზობლის სახლში ცოლს საყვარელთან შეუსწრო და ორივეს ხის ჯოხით თავი გაუჩეჩქვა. მიყენებული დაზიანებები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ 45 წლის გოჩა გამსახურდია ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო თამარ (თამილა) ნიკურაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. დამნაშავეს გაქცევა არ უცდია. შემთხვევის ადგილზე მისულ ძალოვნებს იგი ადგილზე დახვდა და დანაშაული აღიარა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 108-ე და 19-109-ე მუხლებით აღიძრა. აღნიშნული საქმე, ამჟამად, თბილისის საქალაქო სასამართლოში იხილება.

თეა ხურცილავა

საქმის მასალების მიხედვით, ბორია კამიშევა და თამილა ნიკურაძე 1987 წელს სიყვარულით შეუღლდნენ. 3 შვილი შეეძინათ. დაახლოებით 2 წლის წინ, ოჯახი სამტრედიიდან საცხოვრებლად თბილისში, გლდანის მერვე მიკრორაიონში გადმოვიდა და ახლობლის ბინაში შესახლდა. ბორია კამიშევა მეუღლეზე 2010 წლის აგვისტოდან ეჭვიანობდა; მიიჩნევდა, რომ მეზობლად მცხოვრებ გოჩა გამსახურდიასთან ღალატობდა.

ბორია 13 იანვარს, სამსახურიდან დაბრუნდა და საკუთარი დაბადების დღე სტუმრებთან ერთად აღნიშნა. დასაძინებლად დაახლოებით ღამის 2 საათზე დაწვა. გვიან ღამით კი გამოეღვიძა, სახლში ცოლი ვერ იპოვა და მას ქუჩაში დაუწყო ძებნა. ეზოში გასვლისას ეჭვი გაუჩნდა, რომ მეუღლე გოჩა გამსახურდიასთან ერთად მის დროებით საცხოვრებელ სახლში იყო. ამიტომ, მეზობლის ეზოში შევიდა, თან ცოლის სახელს გაიძახოდა. კიბეზე გამსახურდია გამოჩნდა. კამიშევამ მის ზურგს უკან ამოფარებულ საკუთარ ცოლსაც მოჰკრა თვალი და მეუღლის ღალატში დარწმუნდა. ხელჯოხი აიღო და ორივეს მოკვლა გადაწყვიტა — გოჩა გამსახურდიას და თამარ ნიკურაძეს სხეულის სხვადასხვა არეში ხელჯოხით დაზიანებები მიაყენა... ასეთია დანაშაულის ფაბულა.

ექსპერტიზის დასკვნით, გამსახურდიას სახისა და ქალა-ფუძის ძვლების მრავალი მოტეხილობა აღენიშნებოდა, ასევე — სისხლჩაქცევები, ფილტვების შეშუპება, ჰეპატიტის და ღვიძლის ფიბროზი. სიკვდილის უშუალო მიზეზად, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმა დასახელდა.

სასამართლომ ბრალდების მოწმეთა ნაწილი უკვე დაკითხა. დაკითხულია მოკლულის და — მარიამ გამსახურდია. ბრალდებულის ინტერესს ადვოკატები — ნინო ლალიაშვილი და ნინო თამაზაშვილი იცავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ საქმე გამოძიებამ არასწორად დააკვალიფიცირა, რადგან აშკარაა — აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული. სხვას ამტკიცებენ ექსპერტები: სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ბორია კამიშევა დანაშაულის ჩადენის დროს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

ადვოკატი ნინო ლალიაშვილი:

— საქმეში რომ ჩავერთე, კამიშევა უკვე დაკითხული იყო. ცოლ-ქმარი შვილებთან ერთად სიდუხჭირეში ცხოვრობდა. საკუთარი ჭერიც არა აქვთ, ბინა მეგობარმა დაუთმო. ბორია კამიშევა ავტოპროფილაქტორიუმში მუშაობდა და ოჯახს ასე არჩენდა. ყველა დადებითად ახასიათებს. მშვიდი, გაწონასწორებული პიროვნება იყო, კონფლიქტი არავისთან ჰქონია. გარდაცვლილი გამსახურდია გლდანში გაიცნო და ოჯახებით მეგობრობდნენ, ჭირსა თუ ლხინში ერთად იყვნენ. განსასჯელი ამბობს, — ვერ დავუშვებდი, 3 შვილის დედა, რომელიც სიყვარულით შევირთე და რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, ასეთ რამეს თუ გამიკეთებდაო. ბუნებით მოღალატე არ არის; დაკოჟრილი ხელები აქვს, დილიდან საღამომდე შრომობდა და სახლში გვიან ბრუნდებოდა. 13 იანვარს მეზობლის სახლშიც იყო სუფრა გაშლილი, სადაც გოჩა გამსახურდია იმყოფებოდა. მათთან ერთად ქეიფობდა კამიშევას 23 წლის ვაჟიც. თამილა ნიკურაძემ ღამით იქ შვილს მიაკითხა. გამსახურდიასთან შეხვედრაზე წინასწარ შეთანხმებული იყო თუ არა, საქმიდან ეს არ ჩანს. 5 წუთის ინტერვალით ნიკურაძე და გამსახურდია გავიდნენ. სხვებმა კი ქეიფი განაგრძეს (დანაშაულის ადგილი — კამიშევების სახლის მოპირდაპირედაა). გამოძიებას უჩნდება კითხვა, — თუ ეჭვი არ ჰქონდა კამიშევას, მაინცდამაინც იმ სახლში რატომ მივიდა ცოლის მოსაძებნად? კამიშევა ამბობს, მეზობლის ჭიშკარში შესულს, ცოლის ვნებიანი კვნესის ხმა შემოესმა. ეზოში შესული ცოლს ეძახდა... ამის შემდეგ მისი მეხსიერება ფრაგმენტულია, რაც აფექტს ახასიათებს. კიბესთან გამსახურდია შეხვდა, წინ გადაეღობა და სახლში შესვლის საშუალება არ მისცა; დაეკითხა: შენ აქ რა გინდაო? ვერ იხსენებს, რა უპასუხა, — ვუთხარი, — დამღუპეთ, დამაქციეთო?! არც ის ახსოვს, ჯოხი საიდან გაჩნდა მის ხელში და მერე რა მოხდა. კამიშევა სახლში რომ დაბრუნებულიყო, იქიდან დანა წამოეღო და დანაშაული მერე ჩაედინა, აფექტის საკითხი შესაძლოა, ეჭვქვეშ დამდგარიყო, მაგრამ მან იქვე დაგდებული ჯოხი აიღო და გამსახურდიას თავში ჩაარტყა... ამბობს, ცოლის შიშველ მხარს გამსახურდიას ზურგს უკან მოვკარი თვალი და მერე არაფერი მახსოვსო. არც ის ახსოვს,

ცოლს ჯოხი რამდენჯერ ჩაარტყა, — გონზე რომ მოვედი, მიწაზე ვეგდე და ვკანკალებდიო. როგორც ჩანს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ცოლის გადარჩენას ცდილობდა და მოსასულიერებლად წყალს ასხამდა. ეს შეცოდების მომენტიც აფექტისთვისაა დამახასიათებელი. სიკვდილისთვის გაწირა, მაგრამ მერე შეეცოდა. შემდეგ, როგორც ჩანს, ძალა გამოეცალა და წაიქცა. ძალა არ ჰქონდა, მაგრამ როგორღაც ტელეფონი აიღო და ბოლოს განხორციელებულ ზარზე დარეკა. შვილმა უპასუხა, რომელსაც უთხრა, — მგონი, დედაშენი და გამსახურდია მოვკალიო. შვილმა სუფრასთან, რომელთანაც იჯდა და ქეიფობდა, ხმამაღლა გაიმეორა მამის მიერ ტელეფონში ნათქვამი სიტყვები და მასთან წამოვიდა. ბიჭი ამბობს, — ჭიშკარში შესვლა ვერ გავბედე, იქვე ძაღლის ყმუილის მსგავსი ხმა შემომესმა; როგორც გავარკვიე, ძაღლი კი არა, ის მამაჩემი იყოო. ესეც აფექტის ნიშანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპერტმა ყურადღება ამ დეტალებს არ მიაქცია და მიიჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს კამიშევა არ იყო აფექტის მდგომარეობაში. მაშინ, რა შეიძლება გამხდარიყო ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველი? კაცმა ცოლი საკუთარი თვალით ნახა საყვარელთან, ეს ფაქტი არ არის აფექტის გამომწვევი?! არ ვითხოვთ კამიშევას დარბაზიდან გათავისუფლებას, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. მიყენებული მუხლებით ამ ადამიანის გასამართლება მის გაწირვას ნიშნავს. მას გული აწუხებს, სტენტი აქვს ჩადგმული. მართალია კამიშევაა გვარად, მაგრამ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი კაცია. არანორმალურად უყვარდა ცოლი, ცოლმა კი გაწირა. ძალოვნებს იგი იქვე მოკუნტული, მიწაზე დამხობილი დახვდა. ნანობს ჩადენილ დანაშაულს.

წინასწარი გამოძიების დროს ცოლმა აღნიშნა, გამსახურდიასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონიაო. მართალია, იგი მოკლულთან სქესობრივ კავშირს უარყოფს, მაგრამ ექსპერტიზით დადგინდა, რომ იმ ღამით მათ ერთმანეთთან კავშირი ნამდვილად ჰქონდათ. ისინი საყვარლები რომ იყვნენ, ამას მოკლულის დაც ადასტურებს. ძმის მკვლელობის შემდეგ გოჩას უბის წიგნაკში ნიკურაძის სასიყვარულო წერილები აღმოაჩინა. მარიამ გამსახურდია დამნაშავისა და ასევე მისი ცოლის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. საშინლად განიცდის ძმის სადისტურ მკვლელობას. ის შინ თვალცრემლიანი დამხვდა.

დაზარალებული მარიამ გამსახურდია:

— გოჩა მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა და ცოლის ნათესავის სახლში, კამიშევების მეზობლად, მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. მათთან რომ მივდიოდი, კამიშევების მთელი ოჯახი იქ მხვდებოდა ხოლმე. მიკვირდა, რძლისთვის მიკითხავს კიდეც, — არ მოგბეზრდა, ეს ხალხი სულ აქ რომ გიზის-მეთქი? თავი მომაბეზრეს, მაგრამ გოჩას ხათრით ვერაფერს ვეუბნებიო. ჩემი რძალი სამუშაოდ რუსეთში წავიდა, გოჩა მარტო დარჩა და ამის შემდეგ დაიწყო ეს უბედურება. ეჭვის საბაბი გამიჩნდა, რადგანაც ის ქალბატონი ჩემი ძმის სასთუმალთან ჩამომჯდარი, საწოლზე წამოწოლილიც მინახავს, თვალებში შესცინებდა გოჩას. ჩემს ძმას რომ ვკითხე, — რა ხდება-მეთქი? — გაიცინა და მიპასუხა: სახლში წყალი და შუქი არა აქვთ და ჩემთან ამიტომ გადმოდისო. ქალი საჭმელს იქ ამზადებდა. ერთხელ ჩემს შვილს დაურეკა, — გოჩა ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადმოვიყვანეთო. ბავშვი საავადმყოფოდან გაოგნებული დაბრუნდა: იმ ქალის მეუღლე გარეთ იდგა, ის კი ბიძაჩემს ეფერებოდა, ქმარი არაფერს ამბობდაო... სამშვილიანი ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, რატომ იჯდა 24 საათის განმავლობაში სხვის სახლში?! მე თუ მივხვდი, მეზობლები თუ მიხვდნენ, ქმარი ვერაფერს ხვდებოდა?! დანამდვილებით ვიცი, რომ მისმა ქალიშვილმაც იცოდა ყველაფერი და ბოლოს ბიჭმაც გაიგო... ჩემი ძმა სამეგრელოში წავიდა, უსიამოვნო სიტუაციისთვის თავი რომ აერიდებინა... შემიძლია დავიფიცო, ამ ქალს რომ არ ეაქტიურა, გოჩა თბილისში ხელმეორედ დამბრუნებელი არ იყო. სოფელში ცხოვრება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ქალი მოსვენებას არ აძლევდა — სისტემატურად ურეკავდა. უფრო მეტიც: მოულოდნელად, სოფელშიც ჩააკითხა. ცივად რომ შეხვდნენ, იქიდან მალე წავიდა. მერე ავადმყოფობა მოიმიზეზა და იმდენი მოახერხა, რომ ჩემი ძმა მასთან სამტრედიაში ჩაიყვანა.

— ქალი სამტრედიაში იყო?

— ჩემი დის ხელოსანია მოწმე, გოჩას გაუთავებლად როგორ ურეკავდა, — ავად ვარო, — და გოჩამ სამტრედიაში ჩააკითხა. სახლში ნიკურაძის და და სიძეც დახვდნენ. სუფრა გაუშალეს, მეორე დღეს კი გოჩა ზუგდიდში დაბრუნდა. ნიკურაძის ქმარმა რომ იცოდა ღალატის შესახებ, ეს დადასტურებულია. მან გოჩას დაურეკა კიდეც და მოკვლით დაემუქრა, ეს ჩემმა დისშვილმა მოისმინა... აი, აუსრულა კიდეც დანაპირები, ჩასაფრებული იყო. ეს სასასტიკით ჩადენილი მკვლელობაა. გარდაცვლილი ძმის მოფერება ვერ შევძელი, იმდენად დასახიჩრებული იყო. მთელი სხეული დამსხვრეული ჰქონდა. გოჩა ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი იყო. ვფიქრობ, დამნაშავე მას მარტო ვერ მოერეოდა და მას თანამზრახველი ჰყავდა. სამტრედიაში უთქვამს, — ეს ჩემი ცოლი კი არ არის, გოჩა გამსახურდიას საყვარელიაო... ქალს დაზარალებულის სტატუსი აქვს, — არადა, ისიც ქმრის გვერდით უნდა იჯდეს. დარწმუნებული ვარ, კამიშევა ჩასაფრებული იყო და შურისძიებისთვის მომენტს ელოდა. თქვას, რატომ არ მოკლა თავისი ცოლი? პირველ რიგში ის უნდა მოეკლა...

შვილები სასამართლო სხდომებს ესწრებიან. აპატიეს თუ არა დედას ასეთი საქციელი, ამაზე კომენტარს ადვოკატი არ აკეთებს. ფაქტია, თამილა ნიკურაძე შვილებთან ერთად, ისევ გლდანში, იმ სახლში ცხოვრობს, სადაც ადრე ცხოვრობდა. სასამართლოზე დაკითხულმა ვაჟმა თქვა, რომ მშობლებს შორის ფიზიკური დაპირისპირება არასოდეს მომხდარა. თამილა ნიკურაძე შემთხვევიდან მეათე დღეს გაწერეს საავადმყოფოდან, დაზიანება თავი არეში ჰქონდა.

მარიამ გამსახურდიას ხელთ აქვს რამდენიმე წერილი, რომელიც მისი ძმისა და ქალის სასიყვარულო ურთიერთობას ადასტურებს.

■

დასაწყისი იხ. გვ. 11

იდან, რომელიც თემაში იწერება, რაღაცას ხომ მაინც ავიღებთ და რა-

ისე ცხელოდა, რომ ალბათ ბევრი ადამიანი დაისიცხა (მათ შორის მეც ვარ)

ტომ უნდა დავკარგოთ ეს ქულებიო?!.

ასე დამთავრდა პირველი გამოცდა და მაღლივ კორპუსს სულ რამდენიმე დღით დავემშვიდობე. ორშაბათს, 4 ივლისს გამოცდა უნარ-ჩვევებში ტარდებოდა. წინა გამოცდის დღისგან განსხვავებით, თაკარა მზე იყო და ამჯერად გულშემატკივრები უფრო მობილიზებულნი მოსულიყვნენ. ქოლგებითა და გასაშლელი სკამებით იყვნენ შეიარაღებულნი და მოლოდინით გამოწვეულ მოწყენილობას მზესუმზირისა და ნაყინის ჭამით იქარვებდნენ. რამდენიმე ახალგაზრდას პირდაპირ ბალახებში გაეშალა სახელდახელოდ სუფრა და ვიდრე მათი გულშემატკივრობის ობიექტი გამოცდაზე იტანჯებოდა, ლუდის ჭიქებით ხელში სადღეგრძელოებს ამბობდნენ. მართლაც ისე ცხელოდა, რომ ალბათ ბევრი ადამიანი დაისიცხა (მათ შორის მეც ვარ). ერთი გოგონა კიბის წინ იდგა და დედამისს ეჩხუბებოდა, — გასწიე ეგ ქოლგა, მზეს მიჩრდილავო! მეორე გოგონა წუწუნებდა, — მზის აბაზანების მისაღები ზეთი მაინც წამესვა, ნორმალური „ზაგარი“ მექნებოდა, ახლა ვენახში ნამუშევარივით ვიქნებიო. დაქალმა უპასუხა, — ეს ფაქტი გავითვალისწინოთ და შემდეგ გამოცდაზე შეზლონგებით მოვიდეთ, მაინც აქ ვართ მთელი 3 საათი და უქმად ჯდომას, „ზაგრაობა“ სჯობიაო. განცალკევებით, ქოლგის ქვეშ მდგომი ქალი შევნიშნე, რომელიც საკმაოდ მოწყენილი ჩანდა და მასთან გასაუბრება გადავწყვიტე.

— **ვის გულშემატკივრობთ, ქალბატონო?**

— ჩემი შვილი აბარებს.

— **რომელ სასწავლებელში?**

— საზღვაო აკადემიაში.

— **კი, მაგრამ ეგ ბათუმში არ არის?**

— ჩვენც ბათუმელები ვართ, შვილო, მაგრამ ჩემმა შვილმა იყოჩაღა და ჩაწერა, რომ გამოცდების ჩაბარება თბილისში სურდა. ახლა აქ მთელი ოჯახი ჩამოვედით, ბინა ვიქირავეთ, ჭამა და ტრანსპორტის ფულიც ხომ გვჭირდება და წარმოიდგინეთ, რამხელა ხარჯი გვაქვს! იქ კი ცხვირწინ მაქვს ეს საზღვაო აკადემია და რა საჭირო იყო, თბილისში ჩამოსვლა, ვერ გეტყვი...

იქვე კიდევ ერთი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც ადგილს ვერ პოულობდა, გამოცდიდან გამოსულ ყველა აბიტურიენტს ეძახდა და ეკითხებოდა, რთულია თუ არაო?.. ზოგი ამბობდა, რომ მათემატიკური იყო რთული, ზოგს კი — ვერბალური ნაწილი მოეჩვენა განსაკუთრებით რთულად. ერთ-ერთმა გოგონამ უპასუხა: „ვერბალური ადვილი იყო და მათემატიკის აზრზე არა ვარ, ამიტომ რა შეკითხვები ეწერა, არც კი წამიკითხავს, პირდაპირ შემოვხაზე, ვიფიქრე, იქნებ „მოვარტყა“-მეთქი?..“ ამ პასუხმა ეს ქალბატონი აღაშფოთა, მომიბრუნდა და მითხრა:

— ეს ხალხი სულ გადარეულია. მათემატიკა თუ არ იცის, აბა, გამოცდებს როგორღა აბარებს?

— **ალბათ ისეთ ფაკულტეტზე აბარებს, სადაც მათემატიკა არ არის საჭირო.**

— მასეთი ფაკულტეტი კიდევ არსებობს?

— **ჰუმანიტარული ფაკულტეტები, ქალბატონო.**

— ჰო, მართალი ხართ. ჩემი შვილიშვილი საავიაციო ინსტიტუტში აბარებს, მფრინავი უნდა გამოვიდეს და მას მათემატიკის ცოდნა აუცილებლად სჭირდება. კი, ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. თან, ამ ფაკულტეტზე წელიწადში 9 ათასი ლარია გადასახადი. ვეხვეწებოდი, ისეთზე ჩააბარე, სადაც 3-4 ათასს გადავიხდი, ეს ჩემთვის პრობლემა არ იქნება-მეთქი, — მაგრამ არ დამიჯერა. ახლა ოთხ წელიწადში 36 ათასი უნდა გადავიხადო.

— **ალბათ მაგ ფაკულტეტზე კონკურსი არ იქნება.**

— როგორ გეკადრება?! 15 ადგილია და 300 ბავშვი აბარებს.

— **მაშინ, წარმატებას გისურვებთ!**

ასე დამთავრდა მეორე გამოცდაც. აბიტურიენტებს წინ კიდევ ორი აქვთ. მერე, აგვისტოს დასაწყისამდე უნდა იცადონ, რომ შედეგები შეიტყონ. აგვისტოს მეორე ნახევარში კი იმასაც გაიგებენ, თუ რომელ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ და აქვთ თუ არა სახელმწიფო დაფინანსება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, წელს სახელმწიფო დაფინანსება, ე.წ. გრანტი საკმაოდ შემცირდა. ზოგ ფაკულტეტს საერთოდ აღარ აქვს, ზოგს კი — ნაწილობრივ. ალბათ ამის გამოა ყველაზე პოპულარული ტექნიკური უნივერსიტეტი — იქ გრანტებიც არის და დაბალი ქულებითაც შესაძლებელია სასურველ ფაკულტეტზე მოხვედრა... ■

აქ მთელი ოჯახი ჩამოვედით, ბინა ვიქირავეთ, ჭამა და ტრანსპორტის ფულიც ხომ გვჭირდება და წარმოიდგინეთ, რამხელა ხარჯი გვაქვს!

რუსთაველზე, ინდიელების დაკრულზე აცეკვებული ქართველები...

რამდენიმე დღის წინ, მეტროს სადგურ — „რუსთაველთან“ ერთი ეგზოტიკური და უცნაური სანახაობის მომსწრე გავხდი. თავდაპირველად მუსიკის ხმა გავიგონე და ისიც შევამჩნიე, რომ ხალხი ძალიან მხიარულად ატარებდა დროს. რა თქმა უნდა, დავინტერესდი (ჟურნალისტები ხომ ზედმეტად ცნობისმოყვარეები ვართ) და მათ შეკუერთდი. მინდოდა გამერკვია, რა ხდებოდა და ვის დაკრულზე ცეკვავდა დიდი თუ პატარა ან რატომ ჰქონდა მომარჯვებული ყველას ფოტოაპარატი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა — ხალხის შუაგულში სამი შავი (ცოტა არ იყოს, „საშიში“ გარეგნობის, აი, ისეთის, მათ დანახვაზე პირველ რიგში, სკალპის აძრობის „მშვენიერი“ ტრადიცია რომ გაგახსენდება ადამიანს) ინდიელი კაცი იდგა; გვერდით მუსიკალური ინსტრუმენტები ეწყოთ. გოგონებს კი პირდაპირ მიწაზე გაეშალათ საქონელი: მძივები, სამაჯურები, საყურეები, ჩანთები და ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული მუნჯურ ენაზე.

ნინო ჯავახიშვილი

სიმართლე გითხრათ, გავიფიქრე — ამათი არც დაკრული მინდა და არც ნამღერი-მეთქი, მაგრამ ამასობაში ინსტრუმენტები მოიმარჯვეს და საოცრად სასიამოვნო და ტემპერამენტიანი მუსიკა დაუკრეს. ამ ამბავს გიტარისტ გია ფეიქრიშვილთან ერთად შევესწარი და რადგან საკუთარ მუსიკალურ გემოვნებას არ ვენდე, მას ვკითხე, როგორ უკრავენ და მღერიან-მეთქი? კარგად უკრავენო, — მიპასუხა თვითონაც გაოცებულმა და კიდევ უფრო დავინტერესდი, ვინ იყვნენ და საიდან ჩამოვიდნენ. რადგან ესპანური ენა არ ვიცი, ვიკითხე, — ვის შეეძლო დამხმარებოდა მათთან გასაუბრებისას. თარჯიმნობა ერთმა ქალბატონმა იკისრა. სტუმრები — არც მეტი, არც ნაკლები — ეკვადორიდან ჩამოსულები აღმოჩნდნენ (შეგახსენებთ, რომ ეკვადორის რესპუბლიკის დედაქალაქია — კიტო, ოფიციალური ენა კი ესპანური გახლავთ). მათ შორის ასაკით ყველაზე უფროსი — მანუელ ბუიალისი აღმოჩნდა.

მანუელ ბუიალისი, *ეკვადორელი მოხეტიალე მუსიკოსი:*

— მეორე დღეა, რაც თბილისში ვიმყოფებით. მოგზაურობა გვიყვარს. გვინდოდა, როგორც ტურისტები, ისე ჩამოვსულიყავით საქართველოში და აქაურობას უფრო ახლოს გავცნობოდით. დღემდე თქვენს ქვეყანაზე ბევრი არაფერი ვიცოდით.

— მერე, მოგეწონათ აქაურობა?

— მოგვეწონა ქვეყანაც, ხალხიც, გარემოც და თვითონ თბილისიც, თუმცა ჯერჯერობით ბევრის დათვალიერება ვერ მოვახერხეთ. როგორც ჩანს, ძველი ქალაქია. ჩვენ კი სიძველეები გვიყვარს.



მოგვეწონა ქვეყანაც, ხალხიც, გარემოც და თვითონ თბილისიც

— თქვენს ქვეყანაში როგორ ცხოვრობთ, ვინ ხართ?

— ინკების ტომის შთამომავლები ვართ. ძირითადად, სოფლის მეურნეობას მივდევთ. ეს არის ჩვენი შემოსავლის წყარო. ჩვენთან ბევრი გასართობი ადგილია ახალგაზრდებისთვის, მაგრამ უმეტესობა სწავლას ამჯობინებს. ძირითადად, 30 წლამდე ახალგაზრდობა დადის გასართობად სხვადასხვა ადგილას, 30-ს ზემოთ კი 9 საათის შემდეგ სახლიდან აღარც გადის.

— ძველი ტრადიციებიდან რა გაქვთ დღემდე შემორჩენილი?

— ბევრი ტრადიცია შევინარჩუნეთ. ევროპელებისგან განსხვავებული ცხოვრების წესი გვაქვს, მაგალითად — დაოჯახების ტრადიცია. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ, აუცილებლად მშობლებსაც ვახვედრებთ ერთმანეთს და ქალის ოჯახს ოფიციალურად ვთხოვთ ნებართვას. მერე დიდი ქორწილი იმართება, ვკლავთ საქონელს და მისგან ათასგვარ კერძს ვამზადებთ. რაც მთავარია, ძალიან

ძირითადად, ნაციონალურ მუსიკას ვუკრავთ

კარგად ვერთობით — ქორწილი ჩვენთვის საოცარი დღესასწაულია...

— აქ ვისთან ერთად ხართ? ეს თქვენი ანსამბლია? შევამჩნიე, რომ ალბომებსაც ყიდით.

— 1990 წლიდან არსებობს ჩვენი ანსამბლი, რომელსაც „ნოსტალგია“ დავარქვით. ძირითადად, ნაციონალურ მუსიკას ვუკრავთ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, სხვაგანაც. ეს ინდიელების სამოსი კი სპეციალურად ჩვენთვის არის შექმნილი. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, 5 შვილი მყავს. ეს ბიჭი და ეს გოგო (*მანიშნებს. — ავტ.*) ჩემი შვილები არიან. აქ რამდენიმე დღე გავჩერდებით და ჩვენს მოგზაურობას გავაგრძელებთ. ■

ნიგერიელი ჯონსონის გასაჭირი

გამსახურდიას გამზირზე, წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ტაძრის მახლობლად ხშირად შეხვდებით შავკანიან ახალგაზრდა მათხოვარს, რომელიც ღიმილიანი სახით ხელგამოწვდილი დგას და გამვლელებისგან დახმარებას ითხოვს. 35-გრადუსიან სიცხეშიც კი თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი უცნაური ბიჭი ყურადღების მიღმა არავის რჩება. ზოგი ეხმარება, ზოგიერთი ჩაილაპარაკებს ხოლმე, — იმდენი ხელგამოწვდილი ქართველია, რაღა ამას დავეხმაროთო?!.

ჯონსონი 29 წლისაა. როგორც ამბობს, 2 წელია, თბილისშია. იმ დღეს ეკლესიასთან შევნიშნე, ჩემს ერთ-ერთ კოლეგას ელაპარაკებოდა. მივუახლოვდი, ვიფიქრე, ინგლისურად გამოველაპარაკები-მეთქი, მაგრამ გაირკვა, რომ ქართული სცოდნია. თურმე ჟურნალისტებთან საუბარს ერიდება და ფოტოს გადაღებაზეც უარს ამბობს. მაგრამ რატომღაც მე ინტერვიუზე უპრობლემოდ დამთანხმდა და ჩემთან ერთად სამახსოვრო ფოტოც კი გადაიღო...

თამთა დადეშელი

— **გამარჯობა, აქ რას აკეთებ?**

— ფული არა მაქვს და ხალხს დახმარებას ვთხოვ, თავი რომ გავიტანო.

— **მერე, გეხმარებიან?**

— ცოტას. შენ კარგი გოგო ხარ. გინდა, ფული გაჩუქო?

— **არა, გმადლობ. დაიტოვე, შენ უფრო გამოგადგება. საიდან ხარ?**

— აფრიკიდან, ნიგერიელი ვარ.

— **აქ სად ცხოვრობ?**

— სახლი არა მაქვს, ხან სად ვცხოვრობდი, ხან — სად. ადრე აეროპორტში დავდიოდი და იქ მეძინა. ახლა ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში ვათევ ღამეს, დღეს კი ქუჩაში ვატარებ.

— **თბილისში რატომ ჩამოხვედი? ვინ გირჩია?**

— ქვეყნის სანახავად მეგობრებთან ერთად ჩამოვედი, როგორც ტურისტი.

— **მოგწონს თბილისი?**

— ლამაზი ქალაქია და ლამაზი გოგონები დადიან. კარგი ჰაერია, მომწონს.

— **ახლა სად არიან შენი მეგობრები?**

— ისინი წავიდნენ, მაგრამ მე საბუთები აღარ მაქვს და ვერ მივდივარ. გამძარცვეს და ყველაფერი მომპარეს. ახლა ფული უნდა შევაგროვო, ბილეთი რომ ვიყიდო და ჩემს ქვეყანაში დავბრუნდე. აქ სხვა სამუშაო ვერ ვიშოვე. მშენებლობაზე ბევრი უნდა იმუშაო და მაინც ცოტას გიხდიან. ახლა აქ ვდგავარ და მეხმარებიან. პურის ფული მაქვს.

— **აფრიკაში ვინ გელოდება?**

— 2 ცოლი მყავს და შვილები.

ამ დროს, კარგად ჩაცმულ-დახურულმა აფრიკელებმა ჩაგვიარეს, მაგრამ არც კი გამოელაპარაკნენ. ჯონსონმა შორიდან მიაძახა, — გამარჯობაო! მათაც მისალმების ნიშნად ხელი აუწიეს და გულგრილად განაგრძეს გზა...

როგორც ჩანს, სამათხოვროდ გამოსულ ადამიანებს თავიანთთვის განკუთვნილი ადგილები აქვთ და სხვას იმ ტერიტორიაზე დგომასა და მათხოვრობას უკრძალავენ. ნიგერიელი ბიჭიც ასე მოიქცა ამას წინათ. მასთან ახლოს, სამათხოვროდ, 7-8 წლის ბიჭი დადგა. ჯონსონმა კი იქაურობის დატოვება მოსთხოვა... პატრულის ეშინიაო, — ამბობენ; ცდილობს, მოერიდოს, რადგან მოძრაობის შეფერხებისთვის პოლიციელები შენიშვნას აძლევენ...

გაუგებარია, უსაბუთო და უსახლკარო ჯონსონი როდემდე უნდა დარჩეს საქართველოში და შესაბამისი სამსახურები რატომ არ ახდენენ მის დეპორტაციას... ■



ამერიკელი, რომელიც ნიუ-იორკში ქართულ საქმეს აკეთებს

„მთავარია, საკუთარი ფესვები არ დაავიწყდეთ!"

მიმაჩნია, რომ ჩვენი კულტურის პოპულარიზაციისა და დაფასებისთვის, ქართველებმა მას ძეგლი უნდა დავუდგათ (ყოველ შემთხვევაში, იმის შემდეგ, რაც მისი საქმიანობისა და ნამოქმედარის შესახებ შევიტყვე, ასეთი აზრი გამიჩნდა). ამერიკელი ვიქტორ სირელსონი საქართველოზე, მის კულტურასა და ტრადიციებზე უზომოდ შეყვარებული კაცია. ცხოვრობს ამერიკაში და ნიუ-იორკში პატარა საქართველოც აქვს შექმნილი იმ ადამიანებითა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იქ ჩვენი ქვეყნიდან სხვადასხვა დროს ემიგრაციაში წავიდნენ... ბატონ ვიქტორს რამდენიმე თვის წინ, თბილისში, მეუღლესთან — ლია ბახტურიძე-სირელსონთან ერთად შევხვდი, მაგრამ გარკვეული მიზეზით ამ პიროვნების გაცნობა „გზის" მკითხველისთვის ცოტათი დამიგვიანდა. ამ შეცდომას კი ახლა ვასწორებ...

ლალი ფაცია

ვიქტორ სირელსონი:

— გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჭეშმარიტი ხელოვნების შესწავლით ვიყავი დაინტერესებული. განსაკუთრებით მიზიდავდა ფოლკლორული ნიმუშები. თან, ამერიკაში ისეთ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, სადაც ფოლკლორული ხელოვნების მიმართ დიდი ინტერესი გამიჩნდა, მათ — შორის ქართულის მიმართაც.

— ეგ როგორ? მაშინ ხომ საქართველოში საბჭოთა წყობა იყო და აქ ჩამოსვლა ამერიკელებისთვის ლიმიტირებული იყო...

— შემთხვევით სადღაც მოვისმინე ქართული ხალხური სიმღერა და აღვფრთოვანდი, თბილი და სასიამოვნო მოსასმენი აღმოჩნდა. იმის შემდეგ შეყვარებული ვარ ამ კულტურაზე... კალიფორნიაში, ის უნივერსიტეტი, რომელშიც ვსწავლობდი, დაკავშირებული იყო საერთაშორისო კულტურებთან და 60-იან წლებში, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის პირველი სტუდენტური გაცვლა მოხდა და მე იმ პატარა სტუდენტურ ჯგუფში მოვხვდი, რომელიც ამერიკიდან საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოვიდა.

— პროფესიით ვინ ბრძანდებით?

— მათემატიკოსი. ისე, 3 უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული (მაღალი დონის სასწავლებლები). ამასთან, ფოლკლორული შემოქმედების სრული კურსიც მაქვს გავლილი...

ლია ბახტურიძე-სირელსონი,
ბატონი ვიქტორის მეუღლე:

— როგორც ქართველმა და არა მხოლოდ მეუღლემ, მინდა დავამატო, რომ ჯერ არ მინახავს უცხოელი, რომელსაც ასე გულით ეყვარებოდა ჩემი ქვეყანა. საოცარი სითბოთი და მოწიწებით ეპყრობა საქართველოს და მის კულტურას; რაც მთავარია, უანგაროდ ემსახურება მას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აფიშირებას არ უწევს თავის საქმიანობას. მოკრძალებული ადამიანია...

— ქალბატონო ლია, თქვენ რას მომიყვებით საკუთარ თავზე?

— ამჯერად დიზაინერად ვმუშაობ, მაქვს ჩემი კომპანია და ძვირფასი ლითონებისა და ქვებისგან სამკაულებს ვამზადებ. ვაწყობთ გამოფენა-გაყიდვებს...

— სანამ ამერიკაში წახვიდოდით, საქართველოშიც ამ საქმით იყავით დაკავებული?

— არა. პროფესიით ინჟინერი ვარ. „გეპეი" მაქვს დამთავრებული. 25 წელი „გეპეის" თეატრშიც ვმუშაობდი. ამერიკაში ემიგრაციაში დაახლოებით 15 წლის წინ წავედი. იმ დროისთვის ვიქტორს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა კომპანია, რომელშიც მუშაობდა ქართული ცეკვის ანსამბლი. ამერიკაში თავიდან დიდხანს დარჩენას არც ვაპირებდი. რაღაც ერთ წელიწადში უკან უნდა დავბრუნებულიყავი... დავინტერესდი და გავიცანი ვიქტორის ჯგუფიც. მაშინ ანსამბლში ამერიკელები ცეკვავდნენ, მარტო ერთი ქართველი ჰყავდათ. ერთხელაც, ძალიან თბილი და ამაღელვებელი საღამო მოაწყვეს, რომელსაც დავესწარი და ყველანი ახლოს გავიცანი...

— ბატონო ვიქტორ, ამერიკელებს ქართული ცეკვა როგორ ასწავლეთ?

— თავიდან მხოლოდ ერთი ქართველი გვყავდა, დანარჩენები ამერიკელები ვიყავით. ჩვენი ქორეოგრაფი მერაბ წერეთელი გახლდათ. ის სუხიშვილების ანსამბლის წევრი იყო. ჯგუფს ორგანიზებას სწორედ მე და მერაბი ვუკეთებდით და საქმე ნელ-ნელა „დავქოქეთ," რომელმაც მომავალში გაამართლა. ამერიკაში ქართული ცეკვების ანსამბლის შექმნა ჩემი იდეა იყო. თავიდან, ქალებიდან 6 ამერიკელი მოცეკვავე გვყავდა, რომლებმაც დიდი ინტერესითა და სიამოვნებით ისწავლეს ქართული ცეკვები. მათგან 2 ნიუ-იორკის სითი-ბალეტიდან იყო. საუკეთესო ბალერინები გახლდნენ, მაგრამ ქართული ცეკვის არაფერი იცოდნენ. მოცეკვავეები ჩვენთან თავიანთი ინიციატივით მოდიოდნენ და დღემდე ასეა...

— მერაბ წერეთელი ისევ ანსამბლის ქორეოგრაფია?

— წერეთელმა დატოვა ანსამბლი და წავიდა. მის ნაცვლად დათო გოდერიძე მოვიდა, რომელმაც უფრო შეკრა და გააძლიერა ჩვენი ჯგუფი. მერაბიც და დათოც ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტები არიან. ჩვენი კომპანიის სახეები იყვნენ — გია ჯაფარიძე და გენადი მსხილაძე. ულამაზესად ცეკვავდნენ... ანსამბლი 14 წლის წინ შეიქმნა, რომელიც შემდეგ კორპორაციად — „მოცეკვავე წერო" („დანსინგ ქვრეინინგ") ჩამოყალიბდა. წერო სიმართლისა და დიდხანს სიცოცხლის სიმბოლოა. მიყვარს, სიმბოლოებით რომ ვუკავშირდები იმ საქმიანობას, რასაც ვემსახურები. პირველი წლები მოცეკვავეებს ჩემით ვაფინანსებდი და ეს გახდა წინა პირობა იმისა, საქველმოქმედო ორგანიზაციად ჩამოვყალიბებულიყავით. თავიდან სახელმწიფო და ქალაქის გრანტები მივიღეთ, რომელიც მიზერული თანხები იყო, მაგრამ რაღაცაში მაინც წაგვადგა...

— მოკლედ, 14 წლის დაწყებული საქმე დღესაც წარმატებულია, არა?

— დიახ, ახლა მეტი ვართ და უფრო საინტერესო გახდა ჩვენი საქმიანობა. საღამოებს თავიდან ამერიკელებისთვის ვაწყობდით და ძალიან პოპულარულიც იყო. კონცერტების მერე უამრავი მადლობის

წერილს ვიღებდით... კმაყოფილი მაყურებლები გვწერდნენ... გვთხოვდნენ მოგვეთხრო, როგორ გაჩნდა ჩვენი საცეკვაო კოსტიუმები, რამდენი წლისაა და საერთოდ როგორ იქმნება. ჩვენი კონცერტების შემდეგ საქართველოთი ბევრი ამერიკელი ინტერესდება და სურვილი უჩნდება, აქ ტურისტად ჩამოვიდეს.

— ქართული ცეკვებიდან განსაკუთრებულად რომელი მოგწონთ?

— აჭარული და ქართული, ყაზბეგურიც, მაგრამ ყაზბეგური მაინცდამაინც კარგად არ გამომდის. ქართული ცეკვა ზოგადად სწავლის პროცესში ძალიან საინტერესოა, საოცრად გითრევს...

— როგორც გავიგე, ცოტა ხნის წინ ბავშვთა ვოკალური ანსამბლიც ჩამოგიყალიბებიათ.

— ჩვენს კორპორაციასთან დავაარსეთ ბავშვების ჯგუფიც, რომელსაც ჩვენი ერთ-ერთი სოლისტი — შორენა ბარბაქაძე ხელმძღვანელობს... მასში დაახლოებით 80 ქართველი ემიგრანტი ბავშვია გაერთიანებული. საბავშვო ანსამბლს „ფესვებში“ ჰქვია. ესენი ის პატარები არიან, რომლებიც იქ დაიბადნენ. გვაქვს ბავშვთა თეატრიც, მას ხათუნა იოსელიანი და ცუცა კაპანაძე ხელმძღვანელობენ. კორპორაციაში გვყავს მომღერალთა ჯგუფი — „მგზავრული“. ის ლექსო გოდერძიშვილმა ჩამოაყალიბა და ახლა მას ვანო გოდერძიშვილი უძღვება. გვყავს 2 მუსიკის პედაგოგი, რომლებიც პატარებს მუსიკას ასწავლიან.

— როგორც ვიცი, თქვენს კორპორაციაში ქართული თეატრიც ფუნქციონირებს. თეატრის დაარსების იდეა როგორ გაგიჩნდათ?

— სულ მინდოდა, ქართული ცეკვის ანსამბლთან ერთად, ქართული თეატრიც დამეარსებინა, მაგრამ საამისოდ იქ არ არსებობდა შესაბამისი კადრი. მერე კი ჩვენგან დამოუკიდებლად, ნიუ-იორკში, თეატრისთვის შემოქმედებითი ძალა ნელ-ნელა ჩამოვიდა.

ნიუ-იორკში, თეატრისთვის შემოქმედებითი ძალა ნელ-ნელა ჩამოვიდა

ლია:

— თეატრი ქმედებასთან, გრძნობასთან ერთად ხომ სიტყვაა, რომელიც მაყურებელს უნდა მიაწოდო და ამიტომ იქამდეც მივედით, რომ ქართული თეატრიც დავაარსეთ. ჩვენი მიზანია, რომ ემიგრანტ ახალგაზრდებს შევუნარჩუნოთ ყველაფერი ქართული და ხელი შევუწყოთ სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებაში. თუ საქართველოში არ დაბრუნდებიან, ის მაინც არ დაავიწყდეთ, რომ ქართველები არიან... ისინი მადლობას გვეუბნებიან იმისთვის, რომ არსებობს ნიუ-იორკში ქართული თეატრი; ამაყობენ, ამერიკაში, სცენიდან ქართული სიტყვა რომ ისმის...

ვიქტორი:

— დავამატებდი იმას, რომ ქართული თეატრის შექმნის საქმეში დიდი როლი ჩვენმა მეგობარმა — ცუცა კაპანაძემ ითამაშა. მასთან ერთად ჩამოვიდა მსახიობი — ხათუნა იოსელიანიც და ასევე უნიჭიერესი რეჟისორი — რამაზ ზურაბაშვილი. ის დღეს ჩვენი თეატრის მთავარი რეჟისორია. სპექტაკლები, რომლებიც აქამდე დავდგით, მას ეკუთვნის.

— მოკლედ, ბატონო ვიქტორ, ამერიკაში მყოფ ქართველებს არ ავიწყებთ საკუთარ ფესვებს და თქვენივე მაგალითით აჩვენებთ, როგორ უნდა იცხოვრონ უცხო ქვეყანაში...

— ხელოვნება ჩემთვის ადამიანების დაახლოების, თანაგანცდის, ახლის შეცნობის საშუალებაა. ჩვენთვის მთავარია, რომ გვყავს ბავშვები და მათ ჰარმონიულად ვზრდით, ვაყვარებთ ქართულ ხელოვნებას. გაიზრდებიან და ისინიც ისევე მოუფრთხილდებიან იმ საგანძურს, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია. ქართული კულტურა ხომ უკვე წლებია, ჩემიც გახდა. ამერიკას აქვს თავისი კულტურა, მაგრამ ტრადიციები — არა. ქართული ტრადიციები კი გვასწავლის, როგორ უნდა იცხოვრო, რა აკეთო; როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ცოლსა და ქმარს, დედასა და მამას, ბავშვებს... კარგად ვხედავ და ვგრძნობ, რა არის კარგი და ცუდი. ამიტომ მინდა, რომ ამ ადამიანებს დავეხმარო.

— თქვენს ამერიკულ ოჯახზე მიამბეთ.

— მყავს მამა, ძმები, ქალიშვილი, მაგრამ ყველანი სხვადასხვა ადგილას არიან გაფანტულები. ჩვენი ერთად შეკრება შეუძლებელია, საქართველოში კი ეს ოჯახებს შორის შესაძლებელია; დიახ, ოჯახი ერთად რომ შეიკრიბოს, სხვადასხვა თაობა ერთმანეთს შეხვდეს, ან ერთ ჭერქვეშ იცხოვროს, ეს ქართველებისთვის ჩვეულებრივი რამ არის.

ლია:

— გვაქვს ასევე პროექტი, რომელიც ამერიკულ სკოლებში ქართული ცეკვის სწავლას გულისხმობს, ასევე — საქართველოს ისტორიისა და კულტურის ლექციების ჩატარებას. ეს ძალიან დიდი და საინტერესო პროექტია და უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ამერიკელებს მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველოზე.

— ქალბატონო ლია, როგორც ვატყობ, თქვენი მეუღლე მოწოდებით პედაგოგია...

— დიახ, ასეა, რომლისგანაც სწავლობ — როგორ უნდა იცხოვრო, როგორ აღმოაჩინო საკუთარი თავი, როგორ გაერკვე, რა უფრო მნიშვნელოვანია და რას უნდა მიანიჭო უპირატესობა. ოღონდ, ამ ყველაფერს ისე გაწვდის, რომ ლექციას არ გიკითხავს. გამიმართლა, ვიქტორს რომ შევხვდი! ის ყოველთვის ცივი გონებით წყვეტს ნებისმიერ პრობლემას.

ვიქტორი:

— ლიამ იმდენი ილაპარაკა ჩემზე, რომ მეც მინდა, მასზე რაღაც ვთქვა. ჩემი მეუღლე მაღალი ინტელექტის ადამიანია (ქართულად მეუბნება). ბუნებით შემოქმედია, გულახდილია. ეს ის თვისებებია, რამაც მასთან ყოფნა გადამაწყვეტინა. გარეგნულადაც კარგია, მაგრამ მასთან მისმა სილაღემ დამაკავშირა, ეს უფრო მნიშვნელოვანია!

— ხაჭაპურს თუ გიცხობთ?

— კი, ლიას ისეთი სახელი აქვს, რომ ამერიკაში საუკეთესო ხაჭაპურს აკეთებს — როგორც იტყვიან — „დე ბესტ ხაჭაპური!“ საერთოდ აღფრთოვანებული ვარ ქართული სამზარეულოთი. მაგარია ქართული ღვინო!

— თამადობა ისწავლეთ?

ლია:

— როდესაც სახლში სტუმრები გვყავს ან ჩვენ მივდივართ სტუმრად, ყველგან ვიქტორი თამადობს; იმ დროს ყველას უყვება საქართველოზე, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა საოცარი ტრადიციებით. ამერიკელებს თამადობასაც ასწავლის. სხვათა შორის, აქ ქართველ „ჩოხოსანთა საზოგადოების“ წევრიც გახლავთ.

— ბატონო ვიქტორ, ქართული სიმღერაც აითვისეთ?

— ზოგჯერ ბანს ვამბობ, მაგრამ მაინცდამაინც კარგი მომღერალი არ ვარ... მე ქართული ცეკვა უფრო მიზიდავს!

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ■

სიზმრად ნანახი საბედო და უცნაური ხილვები

„ნინის გაცნობის შემდეგ ყველაფერი ვიწამე“

ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ლოგინიდან წამოდგომისთანავე სიზმრების წიგნს მივარდება ხოლმე და მისი დახმარებით ცდილობს, ძილში ნანახი გააანალიზოს, მერე კი აკეთებს ასეთ დასკვნებს: დღეს სახლიდან არ უნდა გავიდე, რადგან შესაძლოა, ვინმეს ვეჩხუბო; ხვალ კარგი დღე მექნება; დიდი ხნის უნახავ ადამიანს შევხვდები და ა.შ. ვინ არიან „სიზმარები“ და შეიძლება თუ არა, რომ ძილში ნანახი სიტუაცია რეალურ ცხოვრებაში განმეორდეს, ამაზე ჩვენი ერთგული მკითხველები თავად ისაუბრებენ.

ლიკა ქაჯაია

ნია:

— 2 წლის წინ ვნახე სიზმარი, რომელიც ახლახან ამიხდა — გავიცანი პიროვნება, რომელიც სიზმარში შინ მესტუმრა და მშობლებს ჩემი ხელი სთხოვა. მართალია, ჯერჯერობით ეს ბიჭი ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს, მაგრამ ფაქტია, ის ჯერ კიდევ მაშინ ვნახე, როცა მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი.

— უკვე უთხარი, რომ წლების წინ სიზმარში ნახე?

— ვუთხარი, მაგრამ არ დამიჯერა, მეტიც — ამაზე ბევრი იცინა... მისთვის არ მითქვამს, ჩემი ცოლად მოყვანის სურვილი გქონდა-მეთქი; მხოლოდ ის გავანდე, რომ სიზმარში მყავდა ნანახი. ჰოდა, ამის გამო ისე დამცინა, სულ თავბედი ვიწყევლე, — ნეტავ, ენაზე ვინ მექაჩებოდა-მეთქი?!

— სიზმარი სხვა დროსაც თუ აგცხადებია?

— არა, არასდროს! საერთოდ, ადამიანთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებსაც სიზმრების სჯერა, მაგრამ... ასეა თუ ისე, ახლა იმასაც ველოდები, როდის მოვა გიგა ჩემს მშობლებთან და როდის ეტყვის მათ, რომ ჩემზე გიჟდება, მერე კი ავდგები და დავცინებ ისე, როგორც არასდროს არავისთვის დამიცინია — სწორედ ასე მოვიქეცი ჩემს ლამაზ სიზმარში.

ჟეთო, *17 წლის:*

— სიზმრად ნანახი ამბები ხშირად მისრულდება. ამიტომაცაა, რომ წინასწარ ვიცი, დღის განმავლობაში ვის შევხვდები და ვისთან მომიწევს ურთიერთობა. ერთხელ მეგობარი დამესიზმრა — ვითომ ძალიან ცუდად იყო და ექიმები ვერ ხვდებოდნენ, რა სჭირდა. ამ დროს კი ყურში იდუმალმა ხმამ ჩამჩურჩულა: ამ გოგოს კუჭის პრობლემა აქვსო... მეორე დღეს სიზმარი მეგობარსაც დაუფარავად მოვუყევი. მან ბევრი იცინა: კუჭის პრობლემა არასდროს მქონია. ასე რომ, ჩემ გამო სულ ტყუილად ნერვიულობო.

— ახდა შენი სიზმარი?

— სიზმარი ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ამიხდა: ჩემს დაქალს კუჭის წყლული აღმოაჩნდა და სასწრაფოდ, ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ურემი რომ გადაბრუნდა, მერე მითხრა: ნეტავ, შენთვის დამეჯერებინა და პროფილაქტიკისთვის ექიმთან მივსულიყავი, ოპერაციის გაკეთება ხომ არ დამჭირდებოდაო?!. ახლა ყველა კუდში დამდევს და მეკითხება: სიზმრად ხომ არ გინახივარ? ხომ არ იცი, მომავალში რა მელისო? მოკლედ, მგონი, წინასწარმეტყველებთან მაიგივებენ და ვინაიდან მორწმუნე ვარ, ეს ამბავი ძალიან მაშფოთებს. ჰოდა, ახლა ჩემი სიზმრების შესახებ არავის არაფერს ვუყვები.

— მაგრამ სიზმრად რომ ნახო, ადამიანს უბედურება ელის და შენ შეგიძლია, ის დაღუპვისგან იხსნა, არც მაშინ გააფრთხილებ? სიზმრად ნანახს არ მოუყვები?

— ნუ, იმედია, ასეთი არჩევანის წინაშე არ დავდგები, მაგრამ თუ ჩემს სიზმარს შეუძლია, ადამიანს ცუდი რაღაცებიც აარიდოს თავიდან, ყველას სიამოვნებით გავაფრთხილებ.

გიო, *18 წლის:*

— ჩემი „ლოვე“ პირველად სიზმარში ვნახე — ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. ჰოდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ის „ლაივში“ დავინახე, პირი ღია დამრჩა. სიმართლე გითხრათ, მანამდე სიზრეებისა და ასეთი რაღაცების არ მჯეროდა, მაგრამ ნინის გაცნობის შემდეგ ყველაფერი ვიწამე. როცა ის გავიცანი, გამომიტყდა: 2 წლის წინ სოფელში გნახე. მეც იქ ვისვენებდი, სადაც შენ და იმდენად მომწონდი, რომ ვცდილობდი, შენი ყურადღება როგორმე მიმექცია, მაგრამ ეს ვერაფრით მოვახერხეო. მერე მეც გამახსენდა, როგორ მეჩხირებოდა თვალში ქერათმიანი გოგონა, რომელსაც მაშინ მართლაც, ყურადღების ღირსად არ მივიჩნევდი, რადგანაც ჩემზე 3 წლით უმცროსია ანუ მაშინ 13 წლის იყო და ისე მომხიბვლელიც არ გახლდათ, როგორიც ახლაა — ნინი უკვე დაქალდა და საოცრად მიმზიდველ არსებად იქცა.

— რომ არა შენი სიზმარი, როგორ ფიქრობ, მას ოდესმე ყურადღებას მიაქცევდი?

— სიმართლე გითხრა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს (*ფიქრობს*)... მისით ალბათ, მართლაც, იმიტომ უფრო დავინტერესდი, რომ სიზმრად მყავდა ნანახი ანუ მიეხვდი, რომ ეს ნიშანი იყო და რომ მხოლოდ მასთან ურთიერთობა მომიტანდა ბედნიერებას, თორემ ჩემ ირგვლივ უამრავი კარგი, შესაძლოა, ნინიზე გარეგნულად ბევრად უკეთესი გოგონა მეგულებოდეს. თუმცა, ჩემი „ლოვე“ ყველასგან გამორჩეულია თავისი ხასიათით — საოცრად მხიარულია და მისი თუნდაც, ერთი წამით ნახვაც კი საოცრად კარგ ხასიათზე მაყენებს; მეტიც — ამას წინათ ნინი დედაჩემს გავაცანი. სადედამთილოს ისე მოეწონა, რომ მაშინვე აღიარა: ეს გოგო მზის სხივივითაა. ბედნიერია ოჯახი, სადაც ის შევა, რადგანაც იქაურობას, რაც არ უნდა სიბნელე იყოს, მაშინვე გააჩახჩახებსო...

ნიკოლო:

„არასდროს მჯეროდა სიზმრების, მაგრამ დედაჩემის თავს გადახდენილმა უცნაურმა მოვლენებმა აზრი შემაცვლევინა. მოკლედ, დილაობით, ვიდრე სახლიდან გავიდოდი, მას ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს: ფრთხილად იყავიო და იმ დღეებში მართლაც, ცუდი რაღაცები ხდებოდა ხოლმე. მაგალითად, ერთხელ ქალაქიდან გავდიოდი და არაფრით გამიშვა: — ცუდი სიზმარი მაქვს ნანახიო. იმავე საღამოს, საინფორმაციო გამოშვებაში მოვისმინეთ, რომ ზესტაფონთან ახლოს საშინელი ავარია მოხდა და რამდენიმე

მგზავრი დაიღუპა. ეგ კიდევ არაფერი: აგვისტოს ომამდე, გაზაფხულზე, დედამ ყველაფერი წინასწარ ნახა (არ ვიცი, ამას სიზმარი ვუწოდო თუ ხილვა): ერთ დილას ის სიზმრად ნანახს ჩემს დაიკოს უყვებოდა, მე კი „ცალი ყურით" ვუსმენდი. მან თქვა: მალე ომი იქნება და ბევრი ქართველი დაიღუპებაო. მაშინ მისი სიტყვებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, მეტიც — სულ დავცინოდი: რომელი ნათელმხილველი მყავხარ-მეთქი, მაგრამ აგვისტოში, როცა საქართველოს უბედურება დაატყდა თავს, დედის სიზმარი გამახსენდა და სწორედ მაშინ ვაღიარე, რომ საოცარი ინტუიცია აქვს... ამ ამბის შემდეგ კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა: საღამოს შინ მისულმა ვნახე, ეკა (დედაჩემი) გაზქურასთან რაღაცას აკეთებდა და თან, ტიროდა. ვკითხე: რა ხდება-მეთქი? მიპასუხა: ძალიან ცუდ სიზმრებს ვხედავ. ჰოდა, ახლა წარმოვიდგინე, რომ ჩემი მშობლები ცოცხლები აღარ არიან და სოფლის სახლი გამოკეტილიაო. ნუ, შეძლებისდაგვარად დავაწყნარე, მაგრამ... რამდენიმე საათის შემდეგ სოფლიდან დაგვირეკეს. თურმე, ბაბუა ცხენს დაუწიხლავს და გარდაცვლილა. დავიზაფრე და ეკა მოვატყუე: ბაბუ ცუდად ყოფილა და უნდა ვინახულოთ-მეთქი. თუმცა, სიმართლეს როდემდე დავუმალავდი?.. რაც შემეხება მე, ამ საკითხში აბსოლუტური ჩლუნგი ვარ... რაღაცები კი მესიზმრება, მაგრამ დილით არაფერი მახსოვს ანუ ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული, რა".

ეკატერინე, *16 წლის:*

— მე მაქვს ხოლმე უცნაური ხილვა — სიზმარშიც და „რეალშიც" ვხედავ ადამიანს, რომელსაც ჩემ გარდა, ვერავინ ამჩნევს. ის მელაპარაკება, მართობს და ჩემზე ზრუნავს — რჩევებით ყოველთვის სწორ გზაზე მაყენებს. მაქვს ისეთი ხილვებიც, როცა წინასწარ ვხედავ, ჩემს ცხოვრებაში (ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში) რა და როგორ მოხდება. თავიდან ეს ყველაფერი მაფრთხობდა, ახლა კი ამას მივეჩვიე.

— ხილვები რომ გაქვს, ეს ვინმემ იცის?

— მხოლოდ მშობლებმა და უახლოესმა მეგობრებმა. თუმცა, ჩემი მხოლოდ ერთ დაქალს ესმის და სჯერა, რომ არ ვიტყუები, დანარჩენები კი მიიჩნევენ, რომ ქალი-მიუნჰაუზენი ვარ.

— ეს არ გწყინს?

— არა, უკვე ამასაც მივეჩვიე... ვინაიდან ჩემი გაგება არ სურთ, ახლობლებს ხილვისას ნანახი ამბების მოყოლით დიდად არ ვაწუხებ, ყველაფერს მხოლოდ იმ დაქალს ვუყვები, ვისაც ჩემი ესმის...

P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: თინეიჯერული გასართობი. თუ გაგიჩნდებათ სურვილი მოგვიყვეთ, თუ სად, ვისთან ერთად და როგორ ერთობით (შეგიძლიათ გაიხსენოთ ერთი დღე, როცა თავი მოიგიჟიანეთ და არაჩვეულებრივად გაერთეთ) ხოლმე, დამიმესიჯეთ ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მომწერეთ მეილზე: lika.qajaia@gmail.com. ■

ერთ-ერთ ფორუმზე Mr-პრეზიდენტ-მა გახსნა თემა: „40 მიზეზი, რის გამოც კაცად ყოფნა ჯობს" და თავადვე ჩამოწერა:

„1. შენი სატელეფონო საუბარი გრძელდება 30 წამი.

2. ფილმებში შიშველ ქალს უფრო ხშირად ნახავ, ვიდრე — კაცს.

3. ერთკვირიანი შვებულების დროს გყოფნის მხოლოდ ერთი ჩემოდანი.

4. არ გიწევს მეგობრების სექსუალური ცხოვრებისთვის თვალყურის დევნება.

5. რიგი საპირფარეშოში 80%-ით „მოკლეა".

6. თავად შეგიძლია ბოთლის გახსნა.

7. შენი წონაში მატება არავის აღელვებს.

8. როცა რთავ ტელევიზორს, თითო არხზე არ ჩერდები 5 წამზე მეტხანს.

9. იმისათვის, რომ სამსახურში მიგიღონ, არავინ ინტერესდება შენი უკანალით.

10. შენი ყველა ორგაზმი ნამდვილია.

11. ნიღბიანი კაცები არ გესხმიან თავს.

12. არ გჭირდება მძიმე ჩანთის თრევა, რომელშიც „საჭირო" ნივთები ყრია.

13. როცა გაკრიტიკებენ, პანიკაში არ ვარდები.

14. ავტოსადგომი და ტელევიზორის პულტი მხოლოდ შენია.

„მიყვარს ადამიანი, რომელზეც ჩემი დაქალი აფანატებს"

მემე:

„ჰაი". თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. შეიძლება ახლა ბევრმა გამკიცხოს, მაგრამ ამის ღირსი გახლავართ და ყველაფერს ავიტან. მერწმუნეთ, ძალიან ცუდად ვარ, რადგანაც მიყვარს ადამიანი, რომელზეც ჩემი საუკეთესო დაქალი აფანატებს... ერთი პერიოდი ამ ბიჭს ვემესიჯებოდი კიდეც, მაგრამ ბოლო დროს ცუდი ურთიერთობა გვაქვს; უკვე ორჯერ ვიჩხუბეთ (ჩემი ინიციატივით), მაგრამ მასთან ყოველი განშორების შემდეგ ვხვდებოდი, რომ ძალიან მჭირდებოდა და შესარიგებლად პირველ ნაბიჯს თავადვე ვდგამდი... სხვათა შორის, მას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს: ძალიან მიყვარხარო, მაგრამ მისი არ მჯერა. გთხოვთ, დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? წინასწარ გიხდით მადლობას!" ■

„მშობლები ჩემს და-ძმას უფრო სწყალობენ"

მარიამი, *18 წლის:*

„ჩემი პრობლემა ისაა, რომ ოჯახის წევრებს ვერ ვუგებ. ასე მგონია, მათგან ძალიან განვსხვავდები და ეჭვიც კი მაქვს, რომ შესაძლოა, აყვანილი ვიყო... ბებია-ბაბუას არ ვუყვარვარ. ისინი გამუდმებით ცდილობენ, დამამცირონ და ჩემი და-ძმისგან განსხვავებით (მე უფროსი ვარ), არანაირ პატივს არ მცემენ. მაგალითად, როცა სოფლიდან ნობათს გზავნიან, ჩემი დედმამიშვილებისთვის საჩუქრის ან ფულის გამოგზავნა არასდროს ავიწყდებათ, მე კი არ მახსოვს, ჩემთვის ოდესმე ლარიანი მაინც ეჩუქებინოთ; ფული კი არა, კევიც არასდროს უყიდიათ. ჰო, მართალია, მათ გამოგზავნილ ყველს და კვერცხს კი ვჭამ, მაგრამ... ხომ იცით, როცა რაიმეს პირადად შენ გიგზავნიან, ეს საოცრად გახარებს. ისე, მშობლებსაც ხომ შეუძლიათ, მათ ამის გამო უსაყვედურონ, მაგრამ ამის გაკეთება თავში აზრადაც არავის მოსდის... დედ-მამა ჩემი და-ძმისთვის ყველაფერს ისე ყიდულობს, რომ მათ არაფრის თქმა არ სჭირდებათ, მე კი, ახალი „შმოტკები" რომ მიყიდონ, ამისთვის მთელი თვე უნდა ვეღრიჯო ჯერ მამას (რათა ფული მომცეს) და მერე დედას, რათა ბაზრობაზე გამყვეს და მირჩიოს, რა მიხდება და რა — არა. ასე მგონია, სახლში მხოლოდ შუათანა ძმას ვუყვარვარ, რომელიც გამუდმებით ცდილობს, მასიამოვნოს. ვფიქრობ, ყველამ იცის, რომ მე ამ ოჯახის ღირსეული წევრი არა ვარ და, მრცხვენია (კაცმა არ იცის, რატომ). უკვე ლაპარაკის კომპლექსიც კი გამიჩნდა, უკონტაქტი გავხდი და შესაბამისად, მეგობრებიც დავკარგე. ვიცი, ჩემი მესიჯიდან ბევრს ვერაფერს გაიგებთ, მაგრამ მაინც, იქნებ რაიმე მირჩიოთ და გზაზე დამაყენოთ. ძალიან მჭირდება რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოვიგო ოჯახის წევრების გული. რადგან უფროსი ვარ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უნდა დამჩაგრონ. P.S. დედის მშობლები ცდილობენ, მასიამოვნონ ხოლმე, მაგრამ ისინიც ჩემს და-ძმას უფრო სწყალობენ". ■

P.S. მაშ ასე, თუ მარიამისა და მემეს წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

„იდეინი“ Mr-პრეზიდენტი და 40 მიზეზი, რის გამოც კაცად ყოფნა ჯობს

როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თურმე, ზოგიერთი კაცი მიიჩნევს, რომ ქალები მეგობრების სექსუალურ ცხოვრებას ადევნებენ თვალს, რომ მხოლოდ მანდილოსნები აგვარებენ ქორწინებისთვის საჭირო დოკუმენტებს (ვითომ კაცებს უღელის დადგმა არ ეჩქარებათ, ქალებს კი პირიქით, ერთი სული აქვთ, როდის გათხოვდებიან), რომ ავტობაზრობაზე მხოლოდ სუსტი სქესის მოტყუებაა შესაძლებელი (სხვათა შორის, ბევრ ისეთ მამაკაცს ვიცნობ, რომელსაც ავტომობილის მართვაც კი არ შეუძლია) და ა.შ.

15. დაქორწინების საქმეები თავისთავად გვარდება.

16. თუ ვინმეს შენი დაპატიჟება ავიწყდება, ის მაინც შენს მეგობრად რჩება.

17. შენი 3 ტრუსი არ ჯდება 6 ლარზე მეტი.

18. არ გჭირდება არაფრის გაპარსვა, რაც კისრის ქვემოთაა.

19. ვერც ერთი თანამშრომელი ვერ მიგიყვანს ტირილამდე.

20. არ მოგიწევს ძილი (თანაც, ყოველი ღამე) ბანჯგვლიან უკანალთან.

21. თუ 34 წლის ასაკში ჯერ კიდევ უცოლო ხარ, ამას დიდ ყურადღებას არავინ აქცევს.

22. რაც გაქვს (სახეზე), ყველაფერი ნატურალურია და ბუნებრივი ფერის.

23. შეგიძლია დაჭკბე სიჩუმით მანქანაში.

24. ყველა პრობლემას მოაგვარებ ყვავილებით.

25. თავისუფალი დროის 90%-ს ატარებ სექსზე ფიქრში.

26. სამი წყვილი ფეხსაცმელი საკმარისზე მეტია.

27. როცა ოთახში შედიხარ, უზრდელური ანეკდოტის მოყოლას არავინ წყვეტს.

28. შეგიძლია გაიხადო მაისური მაშინ, როცა გსურს.

29. ავტობაზარზე გამყიდველები ვერ მოგატყუებენ.

30. არ გაღელვებს, შენიშნა თუ არა ვინმემ შენი ახალი ვარცხნილობა.

31. საათობით შეგიძლია უყურო ფეხბურთს მეგობართან ერთად და არ იფიქრო, ბრაზდება თუ არა ამის გამო ვინმე.

32. მთელი თვის მანძილზე გინარჩუნდება ერთნაირი ხასიათი.

33. არასდროს წახვალ ბენზინის ჩასასხმელად სხვაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ესა თუ ის ადგილი „საზიზღარია“.

34. იცი მინიმუმ, 20 მეთოდი ლუდის ბოთლის გასახსნელად.

35. საუბრისას არავინ აშტერდება შენს მკერდს.

36. ამხანაგთან შეგიძლია, საჩუქრის გარეშეც შეირბინო.

37. მეგობარს დათქმულ დროს თუ არ დაურეკავ, ამის გამო სახალხოდ არ იყვირებს, რომ შენ შეიცვალე.

38. სექსის შანსს ხელიდან არ გაუშვებ.

39. არ გჭირდება ახლობლების დაბადებისა და ქორწინების თარიღების დამახსოვრება.

40. თუ წვეულებაზე ვინმეს ისეთივე კოსტიუმი აცვია, როგორიც შენ, თქვენ შეიძლება, საუკეთესო მეგობრებიც კი გახდეთ“.

გნიდა:

„ამდენის ჩამოთვლა რა საჭიროა? ეს ხომ ისედაც, ნათელია!!!“

სიმპერია:

„ამქვეყნად კაციც საჭიროა და ქალიც. ჰოდა, კაცები დაეტიეთ თქვენს ტყავში და ჩვენსაში ნუ მოძვრებით! ქალებო — თქვენც საკუთარს მიხედეთ!“

მხიარული გოგონა:

„ნამდვილად ასეა: არც ქალი ვარგა უკაცოდ და არც კაცი — უქალოდ“.

სევდიანი:

„ფილმებში შიშველ ქალს უფრო ხშირად ნახავ, ვიდრე კაცსო, — რომ ამბობ, აბა, მითხარი, შიშველი კაცი რა სანახავია? ქალის ლამაზი სხეულის ცქერას რა სჯობს? P.S. დანარჩენი პუნქტები არ წამიკითხავს“.

SUMMER:

„რატომ ჰგონიათ ვიღაცებს, რომ თუ კაცებად გაჩნდნენ, ჩვენზე მეტად გაუმართლათ?..“

გურჯი:

„საერთოდ, ჯობია იყო კაციც და ქალიც ერთდროულად ან მაგალითად, დღეგამოშვებით — ლუწ რიცხვებში — ქალი, კენტ რიცხვებში — კაცი...“

გენიე:

„ის ფაქტი, რომ ქალი და მამაკაცი სხვადასხვა „სამყაროში“ ცხოვრობენ, უამრავჯერ დამტკიცდა და მტკიცდება ყოველდღიურობაზე დაკვირვებითაც (შეადარეთ ინტერესები ან რეაქციები ამა თუ იმ მოვლენაზე), რაც რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე ვინმეს სჯობია ან რაიმეთი უკეთესია. ვფიქრობ, ამ 40 პუნქტის სერიოზულად მიღება და განხილვა არც ღირს. მე ამ „უძლიერეს“ არგუმენტებს იუმორით შევხედე“.

MISS WITCH:

„რამდენი მიზეზიც უნდა ჩამოთვალოთ, მაინც ქალად ყოფნა მირჩევნია! ჩემი მეგობრები ამბობენ ხოლმე, — ნეტა ბიჭად დავბადებულიყავი, ასე არ დავიტანჯებოდიო! ძალიან მიკვირს, რით იტანჯებიან? რა ვიცი, მეც ქალი ვარ, მაგრამ არანაირად არ ვიტანჯები! ერთადერთი, მშობიარობაა რთული, მაგრამ XXI საუკუნეში ეს პრობლემაც მოიხსნა — გაუტკივარებას გაუმარჯოს! აბა, რა შეედრება იმას, როცა გრძნობ, როგორ იზრდება ახალი სიცოცხლე შენში, როცა პატარას გულისცემა გესმის, როცა ის ინძრევა და ამას გრძნობ?! მოკლედ, ფეხმძიმობა ყველაზე დიდი ჯილდოა!.. იყო ქალი, ნიშნავს ცხოვრობდე მრავალფეროვან სამყაროში! მილიონობით კაბა, მილიონობით აქსესუარი, ბრილიანტი, აბრეშუმი, ატლასი და დიდი თეთრი საპატარძლო კაბა — ეს ყველაფერი შენია! კაცი ვერასოდეს აღიქვამს სამყაროს ისე ლამაზად და საოცრად, როგორც მე! იყო ქალი ნიშნავს იყო ევა, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი მამაკაცი, ადამიც კი აცდუნა! მე ბედნიერი ვარ, რადგან ქალი გახლავართ!!!“

LIZ BENNET:

„მდაჰ... გეტყვით ერთ მიზეზს, რის გამოც ჯობია იყო ქალი: არ გჭირდება 40 მიზეზის ყურით მოთრევა საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად“.

გიოლეო:

„ამ ჩამონათვალს რა აკლია, იცით? ის, რის გამოც ახლა ფორუმზე კამათობენ ანუ უნდა გაურეცხო თუ არა ქმარს „ნასკები“. 41-ე მიზეზი: არასდროს მოგიწევს მეუღლის წინდების რეცხვა და არავინ გაგინებს“.

P.S. იქნებ ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების სურვილი თქვენც გაგიჩნდათ? მაშინ დაგვიმესიჯეთ და ჩამოგვითვალეთ მიზეზი იმისა, თუ რით სჯობს კაცად დაბადება ქალის ტვირთის (ან პირიქით) ზიდვას. ■



სამყარო

უსახელო ქართველ აჯანყებულთა გმირობა

მიხეილ ლაბაძე

შემთხვევა, რომლის შესახებაც მოგითხრობთ, დღემდე გამოუკვლეველი და გასაიდუმლოებულია — 1985 წლის 26 აპრილს, პაკისტანში, ქალაქ ბადაბერის ახლოს მოწყობილ ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში დატრიალებული მოვლენების გამოძიება თავის დროზე არც საბჭოთა კავშირს აძლევდა ხელს, არც ავღანელ მოჯაჰედებს და მით უმეტეს — არც პაკისტანს; ამიტომაც, ფაქტების ნაცვლად, მხოლოდ ლეგენდა დარჩა, რომელმაც ჩვენამდე შელამაზებული სახით მოაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ ბადაბერის მოვლენების მოწმეები ამჟამადაც ცოცხლები არიან, მაგრამ მათგან დაწვრილებით რაიმის შეტყობა თითქმის არავის უცდია.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 1983 წელს პაკისტანის ტერიტორიაზე — ქალაქ ფეშავარიდან 10 კმ-ის დაშორებით, ავღანეთ-პაკისტანის სასაზღვრო ზონაში „ხალიდ იბნ ვალიდის სახელობის მოჯაჰედთა მოძრაობამ“ სამხედრო ბაზა მოაწყო, მოგვიანებით კი საბჭოთა სამხედრო ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკიც იქვე გამართა. პაკისტანი არ იყო კონფლიქტის მონაწილე მხარე და რა თქმა უნდა, საკონცენტრაციო ბანაკის არსებობის ფაქტის გახმაურებას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა, რაც ავღანელი მოჯაჰედების იმიჯზეც იმოქმედებდა და პაკისტანსაც მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა; ამიტომაც, მოჯაჰედებმა ხერხი იხმარეს — სამხედრო ტყვეთა ბანაკი „ლტოლვილთა ბანაკად“ მონათლეს და ერთი შეხედვით, უცნაური წესი დაამკვიდრეს: ბანაკში მიყვანილ ყოველ საბჭოთა ჯარისკაცს ანუ მათებურად — „შურავის“ სახელს უცვლიდნენ და თუკი ტყვე ქრისტიანი იყო, ისლამის მიღებასაც აიძულებდნენ. როგორც წესი, მთელ ბანაკს დღეში ხუთჯერ, ისლამურ ყაიდაზე ლოცვა უნდა აღევლინა — ვინც ამას შეეწინააღმდეგებოდა, შეუბრალებლად, ადგილზევე ხვრეტდნენ.



ბადაბერის სამხედრო ბაზის დაცვა; მარჯვნივ — ღულამ რასულ ყარლუყი

ბადაბერის „ლტოლვილთა ბანაკში“, სხვა კავკასიელებთან ერთად, ქართველებიც იყვნენ. დასაწყისში ავღანელები მათ სხვა ტყვეებისაგან არ ასხვავებდნენ და ისევე ექცეოდნენ, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ქართველების დამორჩილება იოლი არ იყო და ამის გამო, ბანაკის იმჟამინდელმა კომენდანტმა — მომავალში ცნობილმა ავღანელმა საველე მეთაურმა, ბურჰანუდდინ რაბანიმ გადაწყვიტა, ყველა გურჯი ცალკე ბარაკში მოეთავსებინა. გადმოცემით, აჯანყების მიზეზად სწორედ ეს გარემოება იქცა: 1985 წლის 26 აპრილს, საღამოს 21 საათზე, როცა მთელ ბანაკს ნამაზი უნდა შეესრულებინა, კავკასიელმა ტყვეებმა მოულოდნელად მცველები განაიარაღეს და ტყვეთა ბარაკებიდან უშუალოდ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე შეიჭრნენ; დაეუფლნენ იარაღის საწყობს, გარნიზონის დიდი ნაწილიც გაანადგურეს და რადიოცენტრში გამაგრდნენ.



ავღანელი საველე მეთაური ბურჰანუდდინ რაბანი

აჯანყების თვითმხილველთა თქმით, აჯანყების წამომწყები, ვინმე ფაზლედინი (ასე ეძახდნენ მას ტყვეობაში) გურჯი იყო ისევე, როგორც მისი თანამებრძოლების უმრავლესობა. მათ რადიოსადგური იმდენად სწრაფად აიღეს, რომ სამხედრო ბაზის დაცვის მეთაურმა — მოჯაჰედმა ღულამ რასულ ყარლუყმა რეაგირებაც კი ვეღარ მოასწრო. თანაც, ნამაზის დრო იყო

და მებრძოლები ლოცულობდნენ. ასე რომ, პირველი შეტევა ტყვეთა სასარგებლოდ დამთავრდა. რადიოცენტრის აღებისთანავე, მათ ცხადია, გარე სამყაროსთან დაკავშირება სცადეს და ეთერში რამდენჯერმე ჯერ SOS-სიგნალი გაუშვეს, მერე კი რუსულად დახმარება ითხოვეს. როგორც მოსალოდნელი იყო, გადაცემები პაკისტანის სასაზღვრო ძალების რადიოსადგურმა დააფიქსირა და სარდლობამაც წამში, პირველი ხარისხის განგაში გამოაცხადა — ტყვეების აჯანყების თაობაზე ავღანეთში დისლოცირებული საბჭოთა ჯარის შტაბში რომ შეეტყოთ, პაკისტანში „წითელი ინტერვენცია“ გარდაუვალი იქნებოდა; ისედაც, საბჭოთა კავშირი მსგავსი ინციდენტებისგან თავს მანამდეც არ იკავებდა და სწორედ ამის ეშინოდა ბურჰანუდდინ რაბანისაც — „მე ვიცოდი, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც სწრაფად მოგვარება სჭირდებოდა... წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსებს პაკისტანთან ომის დასაწყებად უეჭველი საბაბი ექნებოდათ“, — განუცხადა მან შემდგომში ფრანგ დოკუმენტალისტ კრისტოფერ დე პონფილის, რომელიც 1979-1989 წწ. ომზე ფილმს იღებდა. საველე მეთაურმა მაშინ ისიც თქვა, რომ როგორც მეომარი, აჯანყებული გურჯების საარაკო მამაცობით განცვიფრებული და აღტაცებული დარჩა.

შემდგომში ისიც გამოირკვა, რომ ფაზლედინსა და მის ამხანაგებს (რომელთა ნამდვილი სახელები და გვარები ვეღარავინ გამოარკვია) წინასწარ დაემუშავებინათ გეგმა, რომლის მიხედვითაც, თუ მოჯაჰედები მოლაპარაკებაზე არ წამოვიდოდნენ, იარაღისა და ტყვია-წამლის საწყობი უნდა აეფეთქებინათ, რის შედეგადაც, რაღა თქმა უნდა, თავადაც დაიღუპებოდნენ; მანამდე კი უნდა მოეხერხებინათ და დახმარების მოთხოვნის სიგნალი რადიოსადგურიდან ხშირ-ხშირად გაეშვათ. კრისტოფერ დე პონფილის ხელთ არსებული ცნობით, რადისტის მოვალეობას ტყვე ისლამუდდინი ასრულებდა, რომლის სავარაუდო სახელი მიხაილ ვარვარიანი გახლდათ. მის გარდა, რადიოსადგურში იყვნენ ვინმე ქინეთი (მოლდაველი ივან ბელექჩი) და მუჰამედ რასული (უკრაინელი ვიქტორ დუხოვჩენკო). ამ სამის გარდა, ყველა სხვა — 20-მდე კაცი ეროვნებით ქართველი იყო. აჯანყების დაწყებიდან სულ რამდენიმე საათში, ქართველებმა სხვა ტყვეებიც შეაიარაღეს და კოშკურებზე დააყენეს. მოკლედ, საკონცენტრაციო ბანაკიც, რადიოსადგურისა და იარაღის საწყობის მიმდებარე ტერიტორიაც აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა, თუმცა ბადაბერის ბაზას მთლიანად 500 ჰექტარი ეკავა და მის დიდ ნაწილს კვლავაც მოჯაჰედები ფლობდნენ. ტყვეების ერთი ჯგუფი გაქცევასაც შეეცადა. მოჯაჰედებმა ისინი მთლიანად ამოწყვიტეს, გამ-

პაკისტანური ავიაცია ბადაბერს ბომბავს

აგრებულ „გურჯებს“ კი ვერაფერი დააკლეს.

ბურჰანუდდინ რაბანიმ, რომელსაც რადიოსადგურისა და საწყობის დაზიანება ცხადია, არ სურდა, აჯანყებულებს მოლაპარაკებისაკენ თავად მოუწოდა — მათ დანებება შესთავაზა და სანაცვლოდ, სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვა. ფაზლედინმა ასეთი პასუხი გასცა: „კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ და რაც მოგველის, მაგრამ გურჯები ვართ და ტყვეობას მაინც სიკვდილი გვიჯობს!“; ასევე, მან მოითხოვა, რომ ბანაკში საბჭოთა ელჩი ან საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლები შეეშვათ, რაზეც ბურჰანუდდინ რაბანიმ კატეგორიული უარი განუცხადა. ერთი სიტყვით, დათმობა არც ერთმა მხარემ არ ისურვა და მდგომარეობაც უფრო გამწვავდა. 27 აპრილს, ღამის პირველ საათზე, რაბანიმ აჯანყებულების მიერ დაკავებული ტერიტორიების ძალით გასათავისუფლებლად ზომები მიიღო — მოჯაჰედებს უბრძანა, საკონცენტრაციო ბანაკისთვის სამმაგი ალყა შემოერტყათ და პირველსავე ბრძანებაზე შტურმი დაეწყოთ. ამავდროულად, აჯანყებულებს ამცნო, თითქოსდა, ბანაკის მიმართულებით პაკისტანის ავიაცია მოემართებოდა და თუკი გადარჩენა სურდათ, ორ საათში უნდა დანებებულიყვნენ.

ორი საათის შემდეგ, როცა მოთხოვნას კვლავაც არავინ გამოეხმაურა, რაბანის მებრძოლებმა შეტევა წამოიწყეს, რასაც აჯანყებულებმა ეფექტური პასუხი გასცეს — იარაღის საწყობის ფანჯრიდან ბურჰანუდდინ რაბანის ყუმბარმტყორცნით ესროლეს. ავღანელი საველე მეთაური დაღუპვას ძლივს გადაურჩა. „მაშინ მე მივხვდი, რომ თუ ბანაკს მთლიანად არ გავანადგურებდი, ჩვენ გავნადგურდებოდით“, — ასე იხსენებდა შემდგომში რაბანი იმ წამებს. ამასობაში მას პაკისტანის მე-11 არმიის შტაბიდანაც დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ ბანაკისაკენ საარტილერიო ქვედანაყოფი და ორი გამანადგურებელი თვითმფრინავი მოემართებოდა. ავღანელმა საველე მეთაურმა მოჯაჰედებს უბრძანა, ტყვეთა ბანაკი, რადიოსადგური და იარაღის საწყობი გაენადგურებინათ და ისინიც სასწრაფოდ შეუდგნენ ბრძანების აღსრულებას — ინტენსიური ცეცხლი გახსნეს; ბანაკის კოშკურებზე მყოფ ტყვეთა უმრავლესობა განადგურდა, თუმცა იარაღის საწყობსა და რადიოსადგურში გამაგრებულები ისევ აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. საბოლოოდ, დილის 8 საათზე, პაკისტანის არმიამ აჯანყებულთა პოზიციების დაბომბვა დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, მწყობრიდან რადიოსადგური გამოიყვანეს, აჯანყებულებს დახმარების სიგნალის გადაცემა რომ ვეღარ მოეხერხებინათ. სხვათა შორის, მაშინ რადიოსადგურში მყოფ აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა დანებებაც კი გადაწყვიტა — ფანჯრიდან თეთრი ალამი გადმოყო, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოგვიანებით, თავად ბურჰანუდდინ რაბანიმ კრისტოფერ დე პონფილის განუცხადა, რომ რადიოსადგურში გურჯები არ იმყოფებოდნენ: „ისინი იარაღის საწყობში იყვნენ და ბოლომდე გაგვიწიეს წინააღმდეგობა — საწყობი იქამდე ააფეთქეს, სანამ არტილერია შეუტევდათ“, — თქვა მან. ეს ბრძოლის დასასრული გახლდათ — იარაღის საწყობის აფეთქების შემდეგ, ცოცხლად ათამდე აჯანყებულიღა გადარჩა, რომლებმაც იარაღი დაყარეს და მტერს დანებდნენ.

საწყობის აფეთქებამ ბადაბერის

პაკისტანელი ჯარისკაცები ბადაბერის ბაზას უტევენ

ბაზაზე ხანძარი გამოიწვია, რომელიც ვეღარ ჩააქრეს და თითქმის მთელი ინფრასტრუქტურა განადგურდა; პაკისტანელებმა და რაბანის მოჯაჰედებმა ცეცხლმოდებული ბაზა სასწრაფოდ დატოვეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ავღანელი საველე მეთაურის განცხადებით, დანებებული აჯანყებულების მთლიანად გამოყვანა ვეღარ მოასწრეს; ხანძარს გაარიდეს მხოლოდ 3 კაცი — სომეხი მიხაილ ვარვარიანი, მოლდაველი ივან ბელექჩი (ის შემდგომში ჭკუაზეც კი შეიშალა) და უზბეკი ნოსირჯონ რუსთამოვი; რაც შეეხება გურჯებს, როგორც უკვე ითქვა, მათგან ცოცხალი არავინ გადარჩენილა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბადაბერის აჯანყებამ პაკისტანის მესვეურებსა და ავღანელ მოჯაჰედებს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოშვა — მეორე დღესვე ბადაბერის გადამწვარ-გაოხრებული ბაზა პაკისტანის პრეზიდენტმა, მუჰამედ ზია ულ-ჰაკმა მოინახულა, შემდეგ კი ახლომახლო გამაგრებულ მოჯაჰედებსაც შეხვდა და მოსთხოვა, რომ პაკისტანის ტერიტორია დაეტოვებინათ, დატყვევებული საბჭოთა ჯარისკაცები კი მათთვის გადაეცათ. ვითარების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, ბურჰანუდდინ რაბანიმ ზემოთ ხსენებული სამი ტყვე პირადად ზია ულ-ჰაკს იქვე გადასცა, თავად კი ავღანეთში დაბრუნდა. ამის შემდეგ, მას საბჭოთა ჯარისკაცები ტყვედ აღარ აჰყავდა, მათ ადგილზევე ანადგურებდა.

ბადაბერის მოვლენებს გადარჩენილი ტყვეები „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტმა — ოლგა სვინცოვამ და „საერთაშორისო წითელი ჯვრის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა — დევიდ დელანრანცმა მოინახულეს და აჯანყების ამბები პირველად სწორედ მათ შეიტყვეს. მალე დელანრანცი პაკისტანში საბჭოთა საელჩოს ეწვია და დიპლომატებს აჯანყების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალურ მოსკოვს ამის თაობაზე არავითარი განცხადება არ გაუკეთებია — 1985 წლის 11 მაისს საბჭოთა კავშირის ელჩმა პაკისტანში, ვ. სმირნოვმა პრეზიდენტ ზია ულ-ჰაკს საპროტესტო ნოტა საიდუმლოდ(!) გადასცა და ყველაფერი ამით დასრულდა. აჯანყებაზე სიტყვა არც დასავლურ მასმედიას დაუძრავს — ხმა მხოლოდ ავღანეთის პროსაბჭოთა, „დემოკრატიულმა“ მთავრობამ აიმაღლა: მისმა წარმომადგენელმა გაეროში განაცხადა, რომ ბადაბერის ბაზაზე მომხდარი ჯანყი საუცხოო დასტური იყო კონფლიქტში პაკისტანის მონაწილეობის დასამტკიცებლად. ამასთან, ავღანელმა დიპლომატმა გაკვრით აღნიშნა, რომ ტყვეთა შორის საბჭოთა ჯარისკაცებიც იმყოფებოდნენ. 1985 წლის 27 მაისს საბჭოთა სააგენტო „ნოვოსტიმ“ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ავღანელ მოჯაჰედთა კონტროლირებად ტერიტორიაზე, ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში მოხდა აჯანყება და დაიღუპა 40-მდე კაცი, აქედან — 20 აჯანყებული და 20 მოჯაჰედი. მაშინ „ნოვოსტის“ დაწვრილებითი ცნობები აღარ გაუვრცელებია და არც ის აღუნიშნავს, რომ საკონცენტრაციო ბანაკი პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. საქმე ის გახლდათ, რომ იმხანად საბჭოთა კავშირში უკვე საჯაროობა იყო გამოცხადებული და ბევრი დისიდენტი (რომელთაც გორბაჩოვის ხელისუფლება ისე აღარ ავიწროებდა) ავღანეთიდან ჯარის გამოყვანას ითხოვდა; ასე რომ, ბადაბერის აჯანყებაზე აჟიოტაჟის ატეხას ქვეყანაში სერიოზული მღელვარება მოჰყვებოდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გორბაჩოვს სწორედ ამან უბიძგა ავღანეთიდან ჯარის გამოყვანისაკენ.

უსახელო გურჯებზე კი პირველად ბურჰანუდდინ რაბანი ალაპარაკდა, თანაც — 16 წლის მერე, როცა ავღანეთში „თალიბების“ წინააღმდეგ აშშ-მა ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო. რაბანიმ, რომელიც იმ დროს „ჩრდილოეთის ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, ფრანგ რეჟისორ-დოკუმენტალისტს, კრისტოფერ დე პონფილის განუცხადა: „ნამდვილი, ვაჟკაცური თავგანწირვის მომსწრე ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ გავხდი, როდესაც ბადაბერის იარაღის საწყობში ჩაკეტილმა გურჯებმა თავი აიფეთქეს და ამ აფეთქებით მთელი ბანაკი გაანადგურეს... არც თალიბებსა და არც ბინ ლადენს ასეთი ვაჟკაცობის ჩადენა არ შეუძლია“...

მოკლედ, ასეთია ბადაბერის აჯანყების საიდუმლოებით მოცული ამბავი, რაც სხვათა შორის, რუსეთში მრავალი ფილმის, რომანისა თუ სტატიის თემა გახდა და ყველგან სხვადასხვაგვარადაა აღწერილი. ავღანეთის ომის ყოფილ მონაწილეებს კი ვთხოვთ, თუ რაიმე სმენიათ ბადაბერის აჯანყებაზე, აუცილებლად გამოგვეხმაურონ.

■

ბურჰანუდდინ რაბანის მოჯაჰედები დანგრეულ ბადაბერში

Chevrolet Corvette Z06-ის რეკორდი

2012 წლის სამოდელო წლის სუპერავტო Chevrolet Covrette Z06-მა ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟის“ წრის გავლა 7 წუთსა და 22.68 წამში შეძლო ანუ წინამორბედის მიღწევა 20 წამით გააუმჯობესა. ადრე უფრო მძლავრი „კორვეტის“ მოდერნიზებულმა ვერსიამ — ZR1 — ასევე ახალი რეკორდი დაამყარა, როდესაც ტრასა Z06-ზე 3 წამით ადრე დაფარა. რეკორდის დამყარებისას Chevrolet Corvette Z06-ის საჭესთან კონცერნ „ჯენერალ მოტორსის“ ინჟინერი, ჯიმ მერო იჯდა. 2012 სამოდელო წლის მანქანისთვის სპეციალურად შეიმუშავეს პაკეტი Z07, რომელმაც თავის თავში გააერთიანა Michelin Pilot Sport Cup Zero-ს ახალი საბურავები, „ბრემბოს“ კარბონ-კერამიკული სამუხრუჭე მექანიზმები, სტაბილიზაციის სპორტული სისტემა, ასევე — მოდერნიზებული აეროდინამიკა, კარბონის კაპოტი და ნახშირ-პლასტიკური წინა სპლიტერი. ასეთი სუპერავტო 505 ცხ.ძ. მქონე, 8-ცილინდრიანი, 7-ლიტრიანი ძრავათი და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით აღიჭურვება. აღსანიშნავია, რომ ნიურბურგრინგში Corvette Z06-მა მხოლოდ 5/10 წამით წააგო Dodge Viper SRT-10 ACR-სთან, 24/100 წამით — Pagani Zonda F Clubsport-თან და 2 წამზე ოდნავ მცირე დროით — Porsche 911 GT2 RS-სთან. ■

მომავალი თაობის Mercedes-Benz B-Class

ერთ-ერთ გერმანულ გამოცემას მომავალი თაობის Mercedes-Benz B-Class-ის არაოფიციალური ფოტოები ჩაუვარდა ხელში. მასზე ავტომობილი კამუფლაჟის გარეშეა აღბეჭდილი. ამ მანქანის მსოფლიო პრემიერა მიმდინარე წლის სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოშოუზე შედგება. სავარაუდოდ, სიახლეს „სენდვიჩის“ სახელით ცნობილი ორმაგი, მძიმე და ამავე დროს ძვირად ღირებული ძირი არ ექნება. ასევე, ეს „მერსედესის“ პირველ მოდელად იქცევა, რომელსაც კონცერნ „დაიმლერისა“ და ჯგუფ „რენონისანის“ პარტნიორობის შედეგად შექმნილი ახალი მოტორებით დააკომპლექტებენ. B-Class 1,5 და 1,6-ლიტრიანი დიზელის ფრანგული ძრავები ექნება. შესაძლოა, Twingo-ს, Clio-სა და Megane-ს მომავალი თაობის 0,9-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორებიც გამოიყენონ. გარდა ამისა, ავტომობილი აღიჭურვება ბენზინის სხვა მოტორების ფართო გამით, რომლებიც 109-დან 204 ცხ.ძ-მდე სიმძლავრეს განავითარებენ; და კიდევ, ის 122-204 ცხ.ძ. მქონე ტურბოდიზელითა და წყალბადზე მომუშავე აგრეგატითაც დაკომპლექტდება. აღსანიშნავია, რომ მასში ელექტროძრავასთვის საჭირო ელექტრობა წყალბადსა და ჟანგბადს შორის მიმდინარე ქიმიური რეაქციის შედეგად გამომუშავდება. წინასწარი მონაცემებით, სიახლის ფასი გერმანიაში 24.5 ათასი ევროდან დაიწყება. ■

„ლექსუსის“ ჰიბრიდული ფლაგმანი

კომპანია „ლექსუსმა“ ჰიბრიდული ფლაგმანი სედანის — LS 600h — უნიკალური ვერსია — Landaulet — წარმოადგინა. ავტომობილი ერთადერთ ეგზემპლარად მონაკოს პრინც ალბერტ II-ისა და კარლინ უიტსტოკის ქორწინებისთვის დამზადდა. მანქანას „ლანდოს“ ტიპის ძარა აქვს: მყარი სახურავით სალონის წინა ნაწილში (მძღოლის თავზე) და ღია ფრაგმენტით — მგზავრთა მხარეს. ტრადიციულად, ასეთი ძარა ავტომობილებისთვის გამოიყენება დასაკეცი სახურავი მანქანის უკანა ნაწილში. თუმცა, იაპონურმა კომპანიამ სიახლისთვის გამჭვირვალე, ნახევრად კარბონატული სახურავის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც ერთიან ნაჭრადაა დამზადებული. სახურავის სისქე 8 მმ-ია, ხოლო წონა — 26 კგ. უნიკალური სედანის შექმნაზე ბელგიური ატელიე Caral Duchatelet მუშაობდა. სედან Lexus LS 600h-ის „ლანდოდ“ გარდაქმნას 2 ათას საათზე მეტი დრო დასჭირდა. შემქმნელებმა პირველ რიგში, ავტომობილის ძარა გააძლიერეს, რაც აუცილებელი გახდა სახურავის ნაწილისა და დგარების არარსებობის გამო — ამისთვის კარბონის ელემენტები გამოიყენეს, რამაც შასისა და ძარას სიმყარე გაზარდა. საქორწინო ცერემონიის ადგილამდე ჰიბრიდული Lexus მთელ გზას ელექტროამძრავათი გაივლის, ქორწილის შემდეგ კი ღია LS 600h მონაკოს ოკეანოგრაფიის მუზეუმში დაიმკვიდრებს ადგილს. ■

დილით უფრო მომხიბლავი რომ იყოთ...

სახე: გამწმენდი ლოსიონით ცხვირის წვერიდან საფეთქლებისკენ მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ. შემდეგ სახე თბილი წყლით ჩამოიბანეთ და სახესა და ყელზე დამატენიანებელი კრემი წაისვით.

თვალები: ასაკის მატებასთან ერთად, თვალების ირგვლივ წვრილ-წვრილი ნაოჭები ჩნდება. ნაზი კანის სიგლუვის შესანარჩუნებლად, ქუთუთოებისთვის სპეციალური, ანტიმჟანგავების შემცველი კრემი გამოიყენეთ.

ტუჩები: გამომშრალი კანი ასაქერცლი კრემების დახმარებით მოიშორეთ და მკვებავი ბალზამი სქლად წაისვით. დილით თქვენი ტუჩები ვარდის ფურცელივით ნაზი და ხავერდოვანი იქნება.

სხეული: მსუბუქი მოძრაობით სუფთა სხეულზე დამატენიანებელი ლოსიონი შეიზილეთ.

ფეხები და ხელები: ფეხისგულებში ბალახების ექსტრაქტზე დამზადებული, დაღლილობის მოსახსნელი ფეხის საცხი შეიზილეთ და ბამბის წინდები ჩაიცვით. ხელებზე ხელის კრემი წაისვით და ნაზად ისრისეთ — ვიდრე მთლიანად არ შეიწოვება..

თმა: ნატურალური ჯაგრისით ყველა მიმართულებით გულმოდგინედ ივარცხნეთ. ამით სისხლის მიმოქცევა გაგიუმჯობესდებათ. თუ ღამით თმა გეწეწებათ, აბრეშუმის ბალიშისპირი შეიძინეთ.

ძილი: თუ სახის შეშუპებისკენ გაქვთ მიდრეკილება, დაძინებამდე ერთი საათით ადრე ნურაფერს დალევთ. თუ ეს პრობლემა არ გაწუხებთ, ძილის წინ ერთი ფინჯანი გვირილის ან პიტნის ჩაი მიირთვით.

ზოგადად კი კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებთ, რომ მომხიბლავი გარეგნობის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში, ნერვული სისტემის მოწესრიგებაა საჭირო. ეცადეთ, არასოდეს დაკარგოთ წონასწორობა, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოთ სიმშვიდე, შეძლებისდაგვარად აუღელვებლად შეხვდეთ სხვადასხვაგვარ უსიამოვნებას... ამ ყველაფერს იოლად მიაღწევთ, თუკი სიტუაციის საღად შეფასებასა და გარშემო მყოფებთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებას ისწავლით.

კარგი გარეგნობის შესანარჩუნებლად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმალურ ძილს. სასურველია, ადრე დაიძინოთ და შესაბამისად, დილითაც ადრე ადგეთ; რაც შეიძლება, მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე; ხშირად გაანიავეთ ბინა, განსაკუთრებით — საძინებელი ოთახი. საწოლ ოთახში ტემპერატურა 17 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ნუ დაიძინებთ ზედმეტად რბილ ბალიშსა და ლეიბზე; ყოველდღიურად, ჭამამდე, ცოტაოდენი ივარჯიშეთ — ისე, რომ არ გადაიღალოთ; მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენა; ჩაიცვით ყოველთვის ამინდის შესაბამისად; იკვებეთ ერთსა და იმავე დროს, თანაც ისე, რომ კუჭი არ გადაიტვირთოს — ადექით სუფრიდან მანამ, ვიდრე დანაყრდებოდეთ. ■

გვირილის რეცეპტები

ნიღაბი (მხოლოდ ქერა) თმისთვის:

აადუღეთ 2 ჩ/კ გვირილა 200 მლ წყალში, დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი, ოდნავ შეაგრილეთ და შეიზილეთ თმაში. თავზე შემოიხვიეთ ცელოფნის პარკი და შემდეგ — პირსახოცი. დაიტოვეთ 1 საათი, შემდეგ ჩამოიბანეთ.

წონის დასაკლებად:

დღეში 2-ჯერ, დილა-საღამოს დალიეთ თითო ჭიქა გვირილის ნაყენი (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე). გვირილა ძალიან კარგი საშუალებაა ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად და არეგულირებს ნაწლავების მუშაობას.

სახის ტანისთვის:



დილა-საღამოს სახე და ყელი ჩამოიბანეთ გვირილის ნაყენით, ეს ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე — სახის რძე ან გელი. გვირილის მოხმარების შედეგად კანი უფრო რბილი და ელასტიკური ხდება, სახე ბუნებრივ ფერს იღებს და გამონაყარიც ქრება.

თვალების სიწითლის დროს:

აადუღეთ გვირილა (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე), ჩაალბეთ შიგნით საფენი (ბამბა ან მარლა) და დაიფინეთ თვალებზე 10-15 წუთით. სიწითლე გაქრება და თვალების დაძაბულობაც მოგეხსნებათ. ■

ინდივიდუალობის შენარჩუნება – თქვენი წარმატების გარანტიაა...

დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ ხდება, რომ თითქოსდა უნაკლო გარეგნული მონაცემების მქონე ლამაზმანის მიმართ მამაკაცი ხშირად გულგრილი რჩება მაშინ, როცა ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ, უბრალო გარეგნობის ქალს თაყვანისმცემლებისგან მოსვენება არა აქვს?!. სწორედ ეს გახლავთ ქალური შარმის საიდუმლო — ის, რასაც შესაძლებელია თავად ქალი ვერც კი აცნობიერებდეს, მამაკაცის ყურადღების მიღმა არასოდეს დარჩება.

თუმცა არსებობენ მამაკაცები, რომელთაც მხოლოდ ერთი, გარკვეული სტილის ქალები მოსწონთ. თანამედროვე მამაკაცების გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას მხიარულ, კარგად მოვლილ, ამავე დროს უშუალო, გულღია ქალებს ანიჭებს. კიდევ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ სპორტული, მებრძოლი სულის, მატერიალურად ფეხზე მყარად მდგარი, ოპტიმისტი ქალბატონები, რომელთაც მამაკაცისთვის ღირსეული მეგობრობის გაწევა შეუძლიათ და მისგან გადამეტებულ ზრუნვას და ყურადღებას არ მოითხოვენ.

საინტერესოა, რომ გამოკითხვისას ერთი, კონკრეტული თმის ფერისა ან აღნაგობისთვის უპირატესობა არავის მიუნიჭებია. ზოგადად კი მამაკაცებს არ მოსწონთ გარეგნულად (განსაკუთრებით ვერ იტანენ თმის ლაქს და „მრავალსართულიან“, მოუხერხებელ ტანსაცმელს) თუ შინაგანად ხელოვნური, ანგარებიანი, ინფანტილური და მეწვრილმანე ქალები.

ქალური მომხიბვლელობა ძალზე ინდივიდუალურია და არანაირ სტანდარტს არ ექვემდებარება. გამოხედვა და ჟესტები, ღიმილი და ხმის ტემბრი — მამაკაცი ამ ყველაფერს ერთიანობაში აღიქვამს და მისთვის სასურველი ქალიც სახეზეა. ალბათ ამიტომაც არის ასე ძნელი, იპოვო ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩება შენი მცირედი უცნაურობებით და შენი პატარა ფიზიკური ნაკლიც კი ეყვარება.

ასე რომ, სიყვარული მხოლოდ ლამაზმანთა ხვედრი როდია. ნებისმიერ ქალს შეუძლია ვიღაც ერთისთვის იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე — სხვისთვის. ამიტომ, არ ღირს სრულყოფილებასთან მიახლოებულ, იდეალურ ქალთან მსგავსებაზე იოცნებოთ და ძირფესვიანად გარდაქმნათ საკუთარი ნატურა. ამგვარი გზით მიღწეული სრულყოფილება წარმატებას ნაკლებად მოგიტანთ; ის ხიბლი კი, რაც სწორედაც რომ თქვენს ინდივიდუალობაშია, შესაძლებელია სამუდამოდ გაქრეს. ■

ყვავილოვანი კომბოსტოს ჩახოხბილი

მარილწყალში ნახევრად მოხარშეთ 1 კგ ყვავილოვანი კომბოსტო, გადაიტანეთ თუშფალანგზე, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩაუმატეთ დაჭრილი 3-4 თავი ხახვი, ნახევრი ჩაის ჭიქა ტომატი ან ცოცხალი, დაჭყლეტილი პომიდორი, 100 გ მცენარეული ზეთი, დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და მარილი. ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. ■

გარუჯვის შემდეგ სანზე ლაქები რომ არ დაგრჩეთ

ალბათ უკვე არაერთხელ გსმენიათ, რომ გარეგნული სილამაზე ორგანიზმის შინაგან მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ხალხური მედიცინა ორგანიზმის გაჯანსაღების მარტივ საშუალებებს გთავაზობთ:

მზის საჩუქარი

რაც შეეხება მზის აბაზანებს: გარუჯვა სასარგებლოა, მაგრამ — დოზირებულად. მზის აბაზანების მიღებამდე აუცილებლად წაისვით დამცავი კრემი. იმ შემთხვევაში, თუ გარუჯვას სოლარიუმში აპირებთ, კურსი 5 სეანსს არ უნდა აღემატებოდეს. გარუჯვის შემდეგ, სახეზე ჩნდება ლაქები, კანი იწყებს გამოშრობას, აქერცვლას. პრობლემას კი შეგიძლიათ შემდეგნაირად გაუმკლავდეთ:

თუ სახესა და ტანს ყოველდღიურად იბანთ, უმჯობესია, ტანისთვის სპეციალური გელი გამოიყენოთ. მოერიდეთ საპონს.

ყოველი აბაზანის მიღების შემდეგ, როგორც სახეზე, ასევე სხეულზე, სპეციალური დამარბილებელი კრემი წაისვით.

საზაფხულო ნიღბები

მწიფე ბანანი დასრისეთ, წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მაწონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

აიღეთ ყურძენი, კივი და პომიდორი, გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ.

თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.

თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტიანი ნიღაბია.

1 ს/კ შვრიას დაასხით ადუღებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე. ■

ონისე ონიანის „უბედურება“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი — ONISE ONIANI შეხვედრაზე ისე დამთანხმდა, არც კი უკითხავს, რა თემაზე უნდა გვესაუბრა, მაგრამ როცა შევხვდი, თავში ხელი შემოირტყა, — კიდევ გამოცდაზე გასვლა თუ მომიწევდა, არ მეგონა; ეს რომ მცოდნოდა, არ შეგხვდებოდიო. ონისე მხიარული რესპონდენტი აღმოჩნდა. ბევრს ეცადა, მაგრამ ვიდრე მისთვის შედგენილი კითხვარიდან ყველა კითხვა არ დავუსვი, თავიდან ვერაფრით მომიშორა.

„ეს რა დღეში ჩავვარდი...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— **ონისე, კითხვა გიყვარს?**

— კითხვა ყველას უყვარს.

— **დარწმუნებული ხარ, რომ ყველას უყვარს?**

— ჩემი თაობის ადამიანებს უყვართ. ჩვენ წიგნის სიყვარულს ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ, მაგრამ ჩემი უბედურება იცი, რა არის? — ვერაფერს ვიმახსოვრებ. ახლა დაწყებული მაქვს წიგნის — „მე წითელი ვარ“ — კითხვა. ის ირანელი ავტორის (ორჰან ფამუქი) ნაწარმოებია, მაგრამ მთელი დღე რომ ვიფიქრო მის სახელსა და გვარს, ვერ გავიხსენებ. საერთოდ, ინტერესიანი ადამიანი ვარ. ბავშვობაში ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში (დედაჩემი რაჭველია) ვისვენებდი ხოლმე და წიგნები წასაკითხად იქ მიმქონდა.

— **შენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?**

— მიხეილ ჯავახიშვილი და დავით კლდიაშვილი. პირველი ნაწარმოები, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, იყო (*ფიქრობს*)... უი! ვერც ნაწარმოებს და ვერც მის ავტორს ვერ ვიხსენებ, მაგრამ შინაარსი მახსოვს. გიამბო?

— **საჭირო არ არის! მეგობრად რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს აირჩევდი?**

— ჩვენს თეატრში უილიამ უორტონის (*ავტორს საგრიმიოროში გაკრულ პლაკატზე კითხულობს*) პიესის მიხედვით „ჩიტი“ დაიდგა. ამ პიესის მთავარ გმირთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. ის ახალგაზრდაა და ლაღი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ომი იწყება და იძულებულია, საბრძოლველად თავადაც წავიდეს, იქიდან კი დაინვალიდებული ბრუნდება. ამბობს, რომ ჩიტია და ფრენა უნდა — ფრენაში თავისუფლებას ხედავს. მოკლედ, საინტერესო პერსონაჟია.

— **ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავს?**

— არა, მაგრამ გამომირთმევია და უკან აღარ დამიბრუნებია.

— **მერე, წიგნს პატრონს რატომ აღარ უბრუნებ?**

— აღარ მახსოვს, ვისია (*იცინის*). მოკლედ, ყველაფერი მალე მავიწყდება; ისიც კი, ადამიანი ცუდს თუ გამიკეთებს.

— **რას ნიშნავს გერმანული წეს-ჩვეულება ბრუდერშაფტი?**

— არ ვიცი.

— **ქეიფში დამეგობრებას.**

— მართლა?.. გერმანულს სკოლაში ვსწავლობდი. ერთხელ მასწავლებელმა მითხრა: — ადექი, ონიანი და გაკვეთილს მოჰყევი. — მასწავლებელო, მაპატიეთ, მზად არ ვარ. — დაჯექი ონიანი, ორი ორიანი (*იცინის*). — არ შეიძლება ამდენი ორიანის დაწერა, გამოსწორება ხომ უნდა-მეთქი?

— **ქეიფის დროს ვიწმეს თუ დამეგობრებისარ?**

— რა თქმა უნდა! გასულ ზაფხულს რაჭაში ვიყავი, სადაც თურმე, „ქართული ხმები“ (ახალგაზრდა თაობა) ისვენებენ. მათ ერთ ოჯახში, სუფრაზე შევხვდი. ის დღე არასდროს დამავიწყდება. სადღეგრძელოები, სიმღერები, მოგონებები — ეს ყველაფერი ისე ლამაზად აეწყო, სურვილი გამიჩნდა, მეორე დღეს ეს ბიჭები ჩემთან დამეპატიჟა, მაგრამ იმ დღეს თბილისში წამოსვლას ვაპირებდი და ვუთხარი: დროის უქონლობის გამო, ამის საშუალება არა მაქვს. 27 აგვისტოს ვარ დაბადებული და მომავალ ზაფხულს ყველას ჩემთან გეპატიჟებით-მეთქი. მოკლედ, წელს ისევ ერთად ვიქეიფებთ (წინასწარ მიხარია). ქეიფის დროს ადამიანთან დაახლოება ყველაზე კარგია, ამაში ხელს ღვინოც გიწყობს. ხომ იცი, ღვინოშია ჭეშმარიტება!

— **ცეკვაც სიმღერასავით გიყვარს?**

— ჩემთვის ცეკვა არავის უსწავლებია, მაგრამ სულ ვცეკვავ — სპექტაკლში, ცხოვრებაში... ცეკვის მიმართ გულგრილი ნამდვილად არ ვარ.

— **რომელ ჟანრს განეკუთვნება ცეკვა ქართული?**

— სატრფიალოს.

— **რა ჰქვია ევროს ხურდა ფულს?**

— სახლში მიყრია... მადროვე, გავიხსენებ. (*პაუზის შემდეგ*) ევროცენტი.

— **მოგზაურები ძველთაგანვე ცდილობდნენ, სასმელი წყალი ვერცხლის ჭურჭელში შეენახათ. რატომ?**

— იმიტომ, რომ წყალი არ გაფუჭებულიყო. გამიგონია, — თუ გინდა კარგი წყალი დალიო, ჭიქაში ვერცხლის კოვზი უნდა ჩადოო.

— **სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— ფიზიკა მიყვარდა, მაგრამ მაღალ კლასებში გართულდა, ვეღარ გავიგე და მისადმი სიყვარულიც გამიქრა. ჰუმანიტარული საგნები, განსაკუთრებით, მშობლიური ლიტერატურა ყოველთვის მიზიდავდა. ძალიან მომწონს „ჯაყოს ხიზნები“. მიყვარს, როცა ადამიანი ფილოსოფოსობს, ოღონდ — კარგი გაგებით.

— **ვინ არის ფარდობითობის თეორიის ავტორი?**

— არ მახსოვს.

— აბა, ფიზიკა მიყვარდაო? მომატყუე?

— ჯერ ის უნდა გავიხსენო, რომელია ფარდობითობის თეორია და მერე — მისი ავტორი.

— ამ ადამიანზე კიდევ ერთ კითხვას დაგისვამ: როცა ის 72 წლის გახდა, ამ დღის აღსანიშნავად ფოტო გადაუღეს. რა გააკეთა მან კადრში მოხვედრისას?

— მივხვდი, აინშტაინზე ლაპარაკობ!

— ეს პირველი კითხვის პასუხია, მეორე კითხვაზე კი არ გიპასუხია.

— ფოტოგრაფს ენა გამოუყო... ისე, შენ რა ეშმაკი ყოფილხარ. ასეთი კითხვები თუ უნდა დაგესვა, რატომ არ მითხარი?

— თავად რატომ არ მკითხე, თუ რა თემაზე უნდა გვესაუბრა?

— რას წარმოვიდგენდი, გამოცდაზე გასვლა თუ მომიხდებოდა?! კიდევ ბევრი დარჩა?

— საკმაოდ. შემდეგი კითხვა კი ასეთია: რომელი ელემენტია ყველაზე მსუბუქი — რკინა, ჟანგბადი თუ წყალბადი?

— ვაიმე! ახლა რაღა ვთქვა?.. წყალბადი მგონია.

— ნამდვილად ასეა! თუ იცი, როგორ სჯიდნენ ათენელები არასამართლიან მმართველს?

— არ ვიცი.

— 10 წლით ქალაქიდან აძევებდნენ. რა ფერის კოსტიუმი აცვია არლეკინის პოლ სეზანის სურათზე — „პიერო და არლეკინი“?

— იქნებ სავარაუდო პასუხები მითხრა.

— ნარინჯისფერი, მწვანე, თეთრი თუ შავი?

— ზუსტად არ მახსოვს. მგონი, ნარინჯისფერი, არა?

— გამოიცანი. რომელი მეფის დროს მოხდა ბასიანის ბრძოლა?

— თამარის.

— რომელი მხატვრის მიერაა მოხატული პარიზის ოპერის თეატრი?

— არ ვიცი. მიკარნახე.

— რომ გიკარნახო, ჩვენი მკითხველებიც „გაიგონებენ“. მიგანიშნებ, ამ მხატვრის მოპრეულ სურათს დიდი ხნის განმავლობაში, ძვირად ყიდდნენ. როცა ეს ამბავი მის ყურამდე მივიდა, თქვა: ტილოზე სალებავები კატამ დამიქცია.

— მართლა (*იცინის*)? არ ვიცი, რომელი მხატვარი იყო?

— მარკ შაგალი. არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი — ჩემოთვლილთაგან, ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?

— ქვეყნები გამიმეორე, (*გამეორების შემდეგ*) ბრაზილია უნდა იყოს.

— ნამდვილად ასეა! 1898 წელს ინგლისელმა მწერალმა, მორგან რობერტსონმა გამოაქვეყნა ნაწარმოები — „ამაოება“, რომელიც მალე ყველამ მიივიწყა. წლების შემდეგ მწერალი გაზეთ „თაიმსის“ პირველ გვერდზე მოხვდა. სტატიაში ის მოხსენიებული იყო როგორც ნათელმხილველი და ბოროტი გენი. რა აღწერა რობერტსონმა „ამაოებაში“?

— ეს ნაწარმოები წაკითხული არ მაქვს.

— მიგანიშნებ, ეს ტრაგედია რომანის გამოქვეყნებიდან 14 წლის შემდეგ მოხდა.

— ვერ გიპასუხებ და რას შემომიჩნდი (*იცინის*)?

— ტიტანიკის ტრაგედია.

— ვა! ეგ როგორ არ ვიცოდი, ძალით ჩავიჭერი.

— „სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება ხოლმე სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადება“, — რომელი ნაწარმოების ეპილოგში წერს ამ სიტყვებს მიხეილ ჯავახიშვილი?

— „არსენა მარაბდელის“.

— რომელი ქვეყნის დედაქალაქია აბუჯა?

— არ ვიცი.

— ნიგერიის. თავდაპირველი მნიშვნელობით, ეს ტერმინი ტყავის ტომარას ნიშნავდა. ინგლისის ხაზინის კანცლერი, ამ ქვეყნის პარლამენტის წინაშე მოსალოდნელი ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ მოხსენების დროს, ტყავის ტომრით ხელში (მასში საფინანსო დოკუმენტაცია ეწყო) წარდგებოდა ხოლმე. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რა ტერმინია ეს?

— საქართველოშიც ასე ჰქვია?

— დიახ.

— ვერ გიპასუხებ.

— ბიუჯეტი. ამერიკელები ამაყობენ იმით, რომ არც ერთ მათ პრეზიდენტს ეს გარეგნული ნაკლი არ ჰქონდა. რას გულისხმობენ ისინი?

— აბა, რა ვიცი?

— ეს „ნაკლი“ შენ — არა, მაგრამ მსოფლიოში ბევრ მამაკაცს აქვს. თანაც, ზოგს ძალიან უხდება.

— ნაკლი უხდება? ა! მივხვდი, სიმელოტეზეა ლაპარაკი.

— XVI-XVII საუკუნეებში აგებული რომელი ცნობილი ციხეა დუშეთის რაიონში?

— ანანური.

— ვის მიმართავდა ლადო ასათიანი სიტყვებით: „თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“?

— „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,/ თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა,/ შავგოლიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?/ ეს სისხლი არის თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?“

— XV საუკუნეში შედგენილ რუკაზე იქნებოდა თუ არა აღნიშნული ავსტრალია და ამერიკა?

— არა მგონია.

— რა თქმა უნდა, არ იქნებოდა. რომელ საოპერო თეატრშია შესაძლებელი ერთდროულად 4 წარმოდგენის გამართვა — სიდნეის, ლა სკალას თუ მეტროპოლიტენის?

— ლა სკალას.

— სწორი პასუხია — სიდნეის. ფეხბურთი გიყვარს?

— არა, და გეხვეწები, სპორტის ამ სახეობაზე არაფერი მკითხო.

— კითხვებს თავად არ ირჩევ...

— ეს რა დღეში ჩავვარდი. კიდევ ბევრი დარჩა?

— არა, უკვე ვამთავრებთ. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ვინ არის აღიარებული ფანდების დიდოსტატად?

— მაგდენი კი ვიცი — მიხეილ მესხი.

— რომელი ტომის ინდიელები ცხოვრობდნენ მექსიკის, ჰონდურასისა და გვატემალის ტერიტორიაზე?

— ვერ გიპასუხებ.

— მაიას ტომები. როგორ მოკვდა ლუარსაბ თათქარიძე?

— საჭმელი ვერ მოინელა და დაიღუპა.

— რა ამშვენებდა რომში კაპიტოლიუმის ბორცვს საუკუნეების განმავლობაში?

— არ ვიცი.

— გაიხსენე, რომელი ცხოველის წყალობით გადარჩნენ რომის დამაარსებელი ძმები — რემუსი და რომულუსი?

— არ მახსენდება.

— რომში ძუ მგლის ქანდაკება იდგა. ანდაზის მიხედვით, რა არ დაიმალება თივაში?

— ცეცხლი.

— დაბოლოს, დასასრულე ცნობილი ფრანგი პოეტისა და ფილოსოფოსის, პოლ ვალერის გამონათქვამი: „წიგნებს ისეთივე მტრები ჰყავთ, როგორც ადამიანებს — ცეცხლი, წყალი, უმეცრება, დრო და...“

— ვერ დავასრულებ.

— „მათივე შინაარსი“.

■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. უკრაინული გაეროს ერთ-ერთი სამუშაო ენაა.

2. ტაჯ-მაჰალში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.

3. ინგლისელი ფერმწერი ტომას გეინსბორო XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა.

4. პენალტის დარტყმის მომენტში მეკარე აუცილებლად, კარის ხაზზე უნდა იდგეს.

5. რაიხსტაგის აღებისას ბრძოლა კიბეებზე, დერეფნებსა და კაბინეტებში მიმდინარეობდა.

6. მერაბ კოსტავა მთაწმინდის პანთეონში, იაკობ გოგებაშვილის გვერდით არის დაკრძალული.

7. „პოეტი გახლავთ მარადიული ოპონენტი ხელისუფლებისა“, — ამბობს თამაზ კვაჭანტირაძე.

8. ეკლესიამ ექვთიმე თაყაიშვილი 2002 წელს წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.

9. ლადო ასათიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურში 22 წლის ასაკში გაიწვიეს. ჯარში მიმავალ პოეტს მირზა გელოვანმა ხევსურული წინდები გაატანა.

10. გურამ რჩეულიშვილს 26 წელი დაღუპვამდე 2 კვირით ადრე შეუსრულდა. მისი ცხედარი, რომელსაც 4 დღის განმავლობაში ეძებდნენ, ზღვამ გაგრიდან 17 კილომეტრის დაშორებით, სოფელ განთიადთან გამორიყა.

11. ადოლფ ჰიტლერმა 1945 წლის 30 აპრილს, დღის ოთხის ნახევარზე მოიკლა თავი. 1-ელ მაისს მთავრობამ ხალხს გამოუცხადა, — ფიურერი ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ თქვენ მაინც უნდა განაგრძოთ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგო.

12. XX საუკუნის სამოციან წლებში დაბადებულმა ერთადერთმა უბალნო კნუტმა დასაბამი მისცა კატების განთქმულ ჯიშს, რომელსაც მოგვიანებით „სფინქსი“ უწოდეს.

13. „სამალიოტ ლეტიტ, კრილია სტიორლისია, მი ნე ჟდალი ვას, ა ვი პრეპიორლისია“, — წაიღიღინებენ ხოლმე დაუპატიჟებელი სტუმრების გასაგონად რუსები.

14. ლუვრში დაცული მარმარილოს ცნობილი ქანდაკება — „მერკური სანდალს იკრავს“ ფრანგი მოქანდაკის, ჟან ბატისტ პიგალის შექმნილია.

15. ბალეტი — „ზღაპარი მასხარაზე, რომელმაც შვიდი მასხარა გაამასხარა“ კომპოზიტორ სერგეი პროკოფიევის დაწერილია.

16. პაპუა-ახალ გვინეაში მცხოვრებ ზოგიერთ ტომში ღორის ხორცი იმდენად ძვირად ფასობს, რომ ახალდაბადებული გოჭის სიკვდილიც კი დიდ უბედურებად მიიჩნევა. ამიტომაცაა, რომ

„იგავი უსამართლო მსაჯულზე“

იგავი „უსამართლო მსაჯულზე“ მოთხრობილია ლუკას სახარების მე-18 თავში: „ერთ ქალაქში იყო ერთი მსაჯული, ღვთისა არ ეშინოდა და ხალხის არ რცხვენოდა. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქვრივი. მივიდა მასთან და უთხრა: დამიცავი ჩემი მოქიშპეებისგან. დიდხანს უარობდა. ბოლოს იფიქრა, რადგან ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ, რომ აღარ მოვიდეს და თავი არ შემაწყინოს“. იგავის თხრობის დასრულების შემდეგ თქვა უფალმა: „გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული? განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღედაღამ მას შეჰღაღადებენ, და არ იქნება სულგრძელი მათდამი? თქვენ გეუბნებით: მალე დაიცავს მათ. მაგრამ როდესაც კაცის ძე მოვა, პოვებს ნეტავ დედამიწაზე რწმენას?..“ იგავს განგვიმარტავს მამა **დიმიტრი ჯანგულაშვილი**:

— როგორც ლუკა მახარებელი უშუალოდ იგავის თხრობამდე გვაუწყებს, უფალმა ეს იგავი მსმენელთ უთხრა იმასთან დაკავშირებით, რომ „ყოველთვის უნდა ილოცონ და არ მოჰბეზრდეთ“, რითაც ლოცვის ინტენსივობაზე — განუწყვეტელ ლოცვასა და ლოცვის სიბეჯითეზე მიგვანიშნებს. როდესაც ადამიანი ლოცულობს, ლოცვით რაიმეს შესთხოვს უფალს, შესაძლოა, მსწრაფლ არ შეუსრულდეს; ხშირად უფალი გარკვეული პერიოდის შემდეგ გვაძლევს იმას, რასაც ვითხოვთ, მაგრამ ამის გამო ლოცვას თავი არ უნდა დავანებოთ; ვილოცოთ რაც შეიძლება ბეჯითად და მოთმინებით. ლოცვა უნდა იყოს გულმოდგინე და დაუცხრომელი, რათა უფლისგან წყალობა მივიღოთ. სწორედ ამგვარი ლოცვისკენ მოწოდებას მოაყოლა მაცხოვარმა უსამართლო მსაჯულის მაგალითი, რომელსაც არც ღვთის რცხვენოდა, არც ადამიანების და არც არავისი ეშინოდა, მაგრამ როცა შეაჭირვებდა ქვრივი დედაკაცი, ბოლოს უსაჯა ანუ დაიცვა მაჭირვებლებისგან. ამ იგავით უფალს იმის თქმა სურს, რომ თუკი უსამართლო მსაჯულმა გააკეთა ეს, განა შეიძლება, ჩვენმა ზეციურმა მეუფემ არ შეისმინოს ჩვენი გულმოდგინე, დაუცხრომელი ლოცვა და წყალობით არ გვიპასუხოს?! სახარებაში არის კიდევ ერთი ასეთი ადგილი — როდესაც უფალი მიმართავს მის ირგვლივ მყოფთ: არის კი თქვენში ისეთი კაცი, საკუთარი შვილი პურს სთხოვდეს და ის კი ქვას აძლევდეს? ანდა თევზი რომ სთხოვოს, გველი მიაწოდოსო? უფალს ამით შედარება მოჰყავს: თუკი თქვენ, ადამიანებს შეგიძლიათ სიკეთის გაკეთება და გულმოწყალების გამოჩენა, „მეტადრე თქვენი ზეციური მამა მისცემს სიკეთეს იმას, ვინც სთხოვს“ — ე.ი. ჩვენთან შედარებით გაცილებით მეტად, განუსაზღვრელად შეუძლია უფალს გულმოწყალების გამოჩენა ჩვენ მიმართ, ვიდრე ჩვენ — ერთმანეთის მიმართ.

„მალე დაიცავს მათ, მაგრამ როდესაც კაცის ძე მოვა, პოვებს ნეტავ დედამიწაზე რწმენას?“ — ბრძანებს იგავური შეგონების დასასრულს მაცხოვარი. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, როდესაც — უსამართლო მსაჯულის“ იგავს განმარტავს, ბრძანებს: თუკი უფალი ადამიანს მაშინვე მისცემს, რასაც ითხოვს, როდესაც მეორედ მოსვლის დრო დედამიწაზე მობრძანდება, რწმენას ვეღარ პოვებს ადამიანებში, — ე.ი. როდესაც უფალთან მიხვალ და ყოველგვარი გარჯის გარეშე მოგცემს წყალობას, შენ უკვე რწმენას დაკარგავ. ყველა თხოვნას, რაც სასარგებლოა ჩვენი სულისთვის, გულმოწყალე უფალი აუცილებლად აგვისრულებს, მაგრამ ხანგრძლივი ვედრების შემდეგ. უფალი გვასწავლის, რომ მოთმინება უნდა გავიძლიეროთ და ამით განვიმტკიცოთ სულიც და ხორციც. უფალი დროდადრო, ადამიანს დამსახურებულად უგზავნის სხვადასხვა განსაცდელს, ამასთანავე, აძლევს ლოცვის საშუალებას, რათა ზეციური მამისგან თხოვნა-ვედრებით, ლოცვით ითხოვოს მოწყალება. განსაცდელის ჟამს უნდა გვახსოვდეს,

რომ ეს ღვთისგანაა, რათა განსაცდელთა დაძლევით განგვამტკიცოს და როგორმე დაგვიახლოოს. წმინდა მამები, როდესაც გარკვეული პერიოდის მანძილზე რაიმე განსაცდელი არ მიეცემოდათ, მწუხარებდნენ ამის გამო — დაგვივიწყა უფალმაო. განსაცდელში ჩავარდნისას, როგორც ქვრივი დედაკაცი არ დაიღალა უსამართლო მსაჯულისადმი თხოვნით, ასევე არ უნდა დავიღალოთ და დავცხრეთ უფლის მიმართ ლოცვა-ვედრებით. მიწიერადაც რომ გავიღოთ, თუ გასაჭირში ყოფნისას დახმარებისთვის არ მივმართავთ მოყვასს, ვინ გამოგვიწვდის დახმარების ხელს? მან შესაძლოა, არც კი უწყის, რა გვაწუხებს და გვჭირდება.

უფალმა ჩვენი ლოცვა რომ შეისმინოს და თხოვნა შეგვისრულოს, უნდა ვიცოდეთ ღვთის წინაშე მართებული ლოცვა — ადამიანი თავმდაბლობით, მოკრძალებით, საკუთარი უღირსების შეგრძნებით უნდა ლოცულობდეს. გავიხსენოთ მაცხოვრის გეთსიმანიის ბაღში ლოცვა: მამაო, თუ შესაძლებელ არს, ამარიდე ეს სასმისი — განსაცდელიო, — მაგრამ ბოლოს ზეციური მამისადმი კაცობრივი ბუნებით აღვლენილ ლოცვაში, ნებაზე საუბრობს: არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენო. ამასთანავე, სახარებიდან ვიცით, თუ როგორი განცდით ლოცულობს მაცხოვარი გეთსიმანიის ბაღში, როგორც კაცი — ოფლთან ერთად, სისხლის წვეთები სდის... გეთსიმანიის ბაღში ლოცვით უფალმა გვასწავლა, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, ყველაფერი რომ ისე იყოს, როგორც უფალს ნებავს...

ლოცვას უდიდესი ძალა აქვს. გავიხსენოთ, რას ეუბნება იესო თავის მოწაფეებს, როდესაც ეშმაკეულისგან ბოროტის განდევნას ვერ შეძლებენ და ამის მიზეზს ეკითხებიან: ბოროტი სული მხოლოდ მარხვითა და ლოცვით განიდევნებაო. მარხვა სხეულის შემასუსტებელია. როდესაც სხეული სუსტდება, ვნებები ცხრება, ითრგუნება, სული კი ძლიერდება და უფრო მეტად ისწრაფვის ღვთისკენ, რადგან ხორციელი ვნებებისგან თავისუფალი ადამიანის გონება და გული მხოლოდ უფალზე ფიქრითაა დაკავებული და მეტი გულმოდგინებით ლოცულობს ღვთის მიმართ.

„უსამართლო მსაჯულის“ იგავი უფლის მიერ მხოლოდ იგავურადაა თქმული იმისათვის, რომ გვაუწყოს ლოცვის აუცილებლობაზე, გულმოდგინებასა და დაუზარებლობაზე. მთავარია არა ლოცვის სიტყვების სიმრავლე, არამედ გულმოდგინება. შეიძლება ორსიტყვიანი ლოცვა — „უფალო, შეგვიწყალენ“ — თქვას ადამიანმა ისეთი შემუსვრილი გულითა და გულმოდგინებით, რომ მისი ლოცვა მთელი ტაძრის კრებულის ტოლფასი იყოს.

მისი უწმინდესობა, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად ბრძანებს: ყოველგვარ გასაჭირს მოჰყვება სიხარული და ყოველგვარ სიხარულს — მწუხარება; თუკი სულ ბედნიერები ვიქნებით, უბედურების ფასი არ გვეცოდინება და გასაჭირში მყოფი მოყვასის თანაგრძნობასა და შეწევნას ვეღარ შევძლებთ; ხოლო თუ კაცი სულ განსაცდელებსა და გასაჭირში იქნება, შეიძლება, საერთოდ დაგლახაკდეს ადამიანის სული. ამიტომაც უნდა ვთხოვოთ უფალს ის, რაც მის ნებას არ ეწინააღმდეგება. იყოს ყველაფერი ისე, არა როგორც ჩვენ, არამედ როგორც უფალს ნებავს, რაც საჭირო და აუცილებელია ჩვენი სულის ცხონებისთვისო. ■



ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ

ᲒᲖᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲙᲝᲚᲐᲥᲘ

ᲫᲔᲛᲓᲔᲒᲘᲜᲔᲚᲘ ᲝᲛᲔᲚᲘᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ქალები ყველაზე სუსტ გოჭს არჩევენ და თავად აწოვებენ ძუძუს, უკვე წამოზრდილს კი უღეჭავენ შაქრის ლერწამსა თუ სხვა საკვებს და ფაფისებურ მასას პირიდან პირში ასხამენ. როცა ასე, წვალებით გაზრდილი ცხოველის დაკვლის დრო დგება, სოფელში ნამდვილი ტრაგედია ტრიალებს — გამზრდელი ქალი კივილით იკლებს იქაურობას და ღორს ისე დასტირის, როგორც გარდაცვლილ ადამიანს, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ მის ხორცს თავადაც მიირთმევს.

17. პოლონელებმა მოსკოვი 1610 წლის 21 სექტემბერს დაიპყრეს. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სახალხო ლაშქრის გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი ხელმძღვანელობდნენ. დამპყრობლებისგან მოსკოვი 1612 წლის ოქტომბერში გათავისუფლდა.

18. მარლენ დიტრიხი 1992 წელს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელი საწოლზე მიჯაჭვულმა გაატარა და გარესამყაროსთან კავშირს წერილებისა და ტელეფონის მეშვეობით ინარჩუნებდა. მისი სატელეფონო გადასახადი ხშირად 3.000 დოლარს აჭარბებდა. განთქმულ მსახიობს ხანგრძლივი სატელეფონო საუბრები ჰქონდა უამრავ ცნობილ ადამიანთან, რომელთა შორის რონალდ რეიგანი და მიხაილ გორბაჩოვი იყვნენ.

19. „ტი სლავნო სდელალ, მილი მოი,/ შტო ვ რანნეი იუნოსტი სკანჩალსა./ ა ტო ბი სდელალსა სვინიოი,/ ი ტოი ჟე უჩასტი დაჟდალსა!“ — ეს ლექსი XIX საუკუნეში მოღვაწე კომედიური ჟანრის მსახიობმა, ექსპრომტებითა და კალამბურებით განთქმულმა ვასილი კარატიგინმა სუფრაზე მისთვის მირთმეულ შემწვარ გოჭს მიუძღვნა.

20. რაინდთა ასპარეზობაზე დამარცხებული რაინდის ცხენი და აბჯარი გამარჯვებულის საკუთრება ხდებოდა. დამარცხებულ რაინდს ისღა შეეძლო, გამარჯვებულისთვის საჭურველის გამოსასყიდი თანხა შეეთავაზებინა. უოლტერ სკოტის „აივენჰოში“ აღწერილ აშბი დე ლა ზუშის ასპარეზობის პირველ დღეს აივენჰომ ხუთი რაინდი დაამარცხა და ოთხი მათგანის მიერ გაგზავნილ საჭურველმტვირთველებს, რომელთაგან თითოეული გამოსასყიდის სახით 200 ცეხინს სთავაზობდა, მხოლოდ 50-50 ცეხინი გამოართვა. თავისი დაუძინებელი მტრის, ტაძრელი რაინდის — ბრიან დე ბუა გილბერის საჭურველმტვირთველს კი მოკლედ მოუჭრა: შენი ბატონისაგან, სასიცოცხლო სისხლის გარდა, არაფერს მივიღებო.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ორსულთა საზაფხულო პრობლემები

ორსულობისას ქალის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებზე არაერთხელ გვისაუბრია, ზაფხულში კი აუტანელი სიცხის გამო, მომავალი დედის ორგანიზმი ორმაგ დატვირთვას განიცდის: დიდი ქალაქის დახუთული ჰავა აძლიერებს გულისრევას, პირღებინებას, ძილიანობას, მუდმივი წყურვილის გამო ჭირს შეშუპებასთან ბრძოლა...

მაშ, როგორ მოვიქცეთ, ორსულს რომ ზაფხულის ცხელი დღეების გადატანა გავუადვილოთ?

სამსახურებრივი მოვალეობანი

იდეალური იქნებოდა, ქალს ორსულობის მთელი ცხრა თვის განმავლობაში არ ემუშავა. სამწუხაროდ, ასეთი შესაძლებლობა ყველას როდი აქვს, მაგრამ ცხოვრების ამ საპასუხისმგებლო პერიოდში მომავალი დედა აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს ღამის მორიგეობისგან და თავი აარიდოს მძიმე ფიზიკურ დატვირთვას.

ორსულთათვის დაუშვებელია დახუთულ შენობაში მუშაობა — სუფთა ჰაერის უკმარისობა მის მდგომარეობას ართულებს, მით უმეტეს, როდესაც შენობაში სპეციფიკური, უსიამოვნო სუნი დგას — ამან შესაძლოა, გულისრევა გამოიწვიოს.

კვებისა და სითხის რეჟიმი

საჭმლის მონელების დარღვევასთან დაკავშირებული უსიამოვნო შეგრძნებები რომ ავიცილოთ, ორსულობისას უმჯობესია, საკვები მივიღოთ ხშირად და მცირე ულუფებით. ზაფხულობით უპირატესობა მიანიჭეთ ნაკლებცხიმიან საკვებს. მიირთვით უცხიმო ხაჭო და რძემჟავა პროდუქტები (თუ ცხადია, ძროხის ცილის აუტანლობას არ უჩივით), ცხიმიან რძესა და მის ნაწარმზე კი უარი თქვით.

თამამად და შეუზღუდავი რაოდენობით მიირთვით ხილი და ბოსტნეული, მაგრამ არ დაგავიწყდეთ მათი საგულდაგულოდ გარეცხვა, თუნდაც — ის თქვენსავე ბაღ-ბოსტანში იყოს მოწეული.

როგორც უნდა გაწუხებდეთ წყურვილი, წყლის სმის რეჟიმი უცვლელი რჩება — სითხის სადღეღამისო ოდენობა 2 ლიტრს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთანავე, გახსოვდეთ: ამაში შედის კომპოტიც, ჩაიც, წვენებიც, წვნიანიც, ხილსა და ბოსტნეულში შემავალი წყალიც. მაგალითად, კიტრისა და პომიდვრის 80% წყალია, რაც უთუოდ უნდა გაითვალისწინოთ. ერიდეთ გაზიან სასმელებს, ბურახს — ისინი კუჭში დუღილის პროცესებს აძლიერებს. წყურვილის მოსაკლავად მიირთვით შავი მოცხარის ან ალუბლის მორსი, ლიმონის წვენით შეზავებული წყალი. თუ წყურვილმა მეტისმეტად შეგაწუხათ, წყალი ჯერ პირში გამოივლეთ (ასე ზედმეტ ბლანტ ნერწყვს მოიშორებთ) და შემდეგ დალიეთ.

სასეირნოდ მიმავალმა თან წაიყოლეთ უბრალო სასმელი წყალი, ხოლო ხანგრძლივი სეირნობისას — გარეცხილი ხილი.

ჩაცმულობა

ორსულობის დროს ძლიერდება ოფლისა და ცხიმის სეკრეცია, ამიტომ უპირატესობა ნატურალური ქსოვილისგან შეკერილ სამოსს მიანიჭეთ. ასეთი ტანსაცმელი თავიდან აგაცილებთ სხეულის გადახურებას.

ჩაიცვით ბუნებრივი მასალისგან (ბამბის) დამზადებული საცვლები. სინთეტიკური ბოჭკოს შემცველი ქსოვილები საშოს რძიანას განვითარების რისკს ზრდის.

ორსულობისას მკერდი იზრდება და მძიმდება, ამიტომ მოხერხებული ბიუსტჰალტერის ტარება, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია იმისთვის, რომ მკერდი არ ჩამოგეკიდოთ.

სასეირნოდ მოხერხებული, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი შეარჩიეთ. თუ მზეა, არ დაგავიწყდეთ პანამის დახურვა.

გახსოვდეთ: შეშუპების, წონის მატებისა და სახსრების დასუსტების გამო, ფეხის ზომა შესაძლოა, ერთით გაიზარდოს, ამიტომ შეიძინეთ ტყავის ან ტილოს დაბალქუსლიანი, შედარებით ხალვათი ფეხსაცმელი, რომელსაც სრიალა ძირი არ ექნება.

ბუნების წიაღში

როცა აგრილდება, სუფთა ჰაერზე ისეირნეთ იმდენი, რამდენიც გენებოთ, მით უმეტეს, რომ სიარული ქვედა კიდურთა ვენური შეგუბების შესანიშნავი პროფილაქტიკაა, მაგრამ მარტო სეირნობას, განსაკუთრებით ორსულობის მეორე ნახევარში, არ გირჩევთ — ამ პერიოდში ორგანიზმმა შესაძლოა, უსიამოვნო სიურპრიზი ნებისმიერ დროს შემოგვთავაზოს.

შემოდგომამდე ტყის მასივებში ჯერ კიდევ არსებობს ტკიპისმიერი ენცეფალიტით დაავადების საშიშროება, ამიტომ სეირნობისთვის შედარებით უსაფრთხო მარშრუტი შეარჩიეთ. თავის დაცვაზე ორმაგად უნდა იზრუნონ იმ ორსულებმა, რომლებსაც ამ დაავადების საწინააღმდეგო აცრა არ ჩაუტარებიათ. თუ ტკიპამ გიკბინათ, მაშინვე მიმართეთ სამედიცინო პუნქტს, სადაც გადაწყვეტენ, გაგიკეთონ თუ არა იმუნოგლობულინი. ორსულებს მკაცრად ეკრძალებათ ბუნებრივ წყალსატევებში ბანაობა — წყლის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები ჩვენში არცთუ სასურველია. აუტანელ სიცხეში დღეში 2-3-ჯერ, შხაპი მიიღეთ, გაისეირნეთ ბუნების წიაღში, ჩამოჯექით მდინარის ან ტბის ნაპირას. შინ ნუ ჩაიკეტებით — მზის სხივები D ვიტამინის გამომუშავებისთვის აუცილებელია, ეს ვიტამინი კი თქვენს პატარას ძალიან სჭირდება. გარდა ამისა, თუ საშუალება გაქვთ, ყოველდღიურად მიიღეთ 10-15-წუთიანი ჰაერის აბაზანა. მისი მიღება შეიძლება ღია ცის ქვეშაც და გრილ, განიავებულ ოთახშიც.

მგზავრობა

მგზავრობის აკრძალვა შეუძლებელია, მით უმეტეს, ზაფხულში — საგარაკო და საკურორტო სეზონზე. და მაინც, ეცადეთ, შორ მანძილზე მგზავრობას თავი აარიდოთ, მეტადრე — ორსულობის ბოლო თვეებში. განსაკუთრებით ერიდეთ უცხოეთში გამგზავრებას: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფრენა ატმოსფერული წნევის ცვლილებას ნიშნავს, მეორეც — დიდხანს უძრავად ჯდომა მოგიხდებათ, ეს ყოველივე კი თქვენს მდგომარეობაში ნაკლებსასურველია. დაბოლოს, კლიმატური სარტყლის, გარემოსა და რაციონის შეცვლა მოგიწევთ და შესაძლოა, ამის გამო საჭმლის მონელება დაგერღვეთ.

მართალია, ორსულობა დაავადება არ არის, მაგრამ ექიმის მუდმივ მეთვალყურეობას მაინც მოითხოვს. ამიტომ, სადაც უნდა წახვიდეთ, აუცილებლად თან იქონიეთ გაცვლა-გამოცვლის ბარათი და ადგილობრივ მეანს ისეთი სიხშირით მიაკითხეთ, როგორსაც თქვენი ორსულობის ვადა მოითხოვს: 28-ე კვირამდე — თვეში ერთხელ; 28 კვირიდან — ორ კვირაში ერთხელ, ხოლო 36-ე კვირიდან — ყოველკვირა. თქვენ გაგიზომავენ წნევას, აგწონიან, მოუსმენენ ნაყოფის გულისცემას, რაც მეანს საშუალებას მისცემს, განსაზღვროს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და თავიდან აგაცილოთ მოსალოდნელი გართულებები.

პირველი დახმარება გულყრის დროს

ორსულობის პირველ კვირებში გულყრა ძირითადად, დახუთულ შენობასა და ტრანსპორტშია მოსალოდნელი. მის პირველ ნიშნად შეიძლება მოვიჩნიოთ ჰაერის უკმარისობის შეგრძნება, სისუსტე, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, ცივი ოფლი. ზოგიერთს გულყრის თავიდან აცილებაში საკვები ეხმარება — როდესაც თავს ცუდად იგრძნობთ, წაიხემსეთ; ვიდრე სასეირნოდ წაბრძანდებით, კარგად დანაყრდით და ორიოდე ლუკმა თან წაიღეთ.

როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენ თვალწინ ორსულს გული შეუწუხდა?

პირველ ყოვლისა, ჩეროში (გრილ კუთხეში) ისე უნდა დავაწვინოთ, რომ თავი გულის დონეზე ჰქონდეს. სუფთა ჰაერი გულყრის პირველი წამალია, ამიტომ გავუხსნათ საკინძე; თუ შენობაში ვართ, გამოვაღოთ ფანჯარა და გარშემო მყოფებს, ვთხოვოთ შემოგვეცალონ. თუ ნიშადურის სპირტიც აღმოგვაჩნდა, დავასველოთ მასში ბამბის ფთილა ან ცხვირსახოცი და ვაყნოსინოთ, ან უბრალოდ, წყალი მივაპკუროთ. უკვე გონს მოსულს ცივი წყალი დავალევინოთ, ვაჭამოთ და მოვუმზადოთ ტკბილი, ლიმონიანი ჩაი.

თუ გულყრა ქუჩაში მოხდა, აუცილებლად გამოვიძახოთ „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა. საქმე ისაა, რომ ორსულობის ბოლო თვეებში გულყრის მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო ჰაერის უკმარისობა, არამედ ჰიპერტონიული კრიზი და ზოგიერთი სხვა კრიტიკული მდგომარეობა.

■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

თვალი მიჭირავს შენზედა

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა,
ნეტავი შემატყობინა,
შენ რა გული გაქვს ჩემზედა?
იგი რა დღე იქნება,
რო გეხვეოდე ყელზედა,
ქალად ქალი ხარ, ქალალდი
ჯერ ჯალამ მოუსობელი,
უხვი მიწა ხარ, სახნავად
ჯერ სახის მოუდებელი.
მიწა ხარ, ყანა ყამირი,
ჯერ ჯიდევ გაუტეხელი,
სიყვარული მაქვს მე შენი
ანგარიშმიუწვდომელი.

ხალხური

სახსოვარი

გრიგოლ ორბელიანი

◆ **დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით.**

◆ **სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?**
ერი — პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა!

◆ **მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს,**
ცუდ-მეტყველებით ვერ ამაღლდებით!

◆ **რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?**

◆ **თუ არ აღვავლენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშ-**
მცემელად?

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-26, 2011

ლელმა — ყინული ან შეყინული თოვლი, რომელიც დნობას იწყებს.

ლეყეპო — დამდგარი წყლის ზედაპირზე მოყენებული მწვანე ლორწოვანი მასა.

ლეშურა — მრავალწლოვანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა.

ლეშხი — ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები — ჟვავი.

ლეჩაქი — ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი (იხურავენ ჩიხტიკოპთან და ბაღდადთან ერთად).

ლეკჯა — წენგოს ნაპობი (საბა) — კაკალს გაცლილი წენგო.

ლია — 1. ლამი, საფლობი ტალახი; 2. მიშვებული ან მოვარდნილი წყლის ღვარი ან გუბე.

ლიანგი (კუთხ.) — ერთად შეყრილი ხალხი ან საქონელი.

ლიბო (კუთხ.) — შენობის საძირკველი; საძირკვლის ზემო ნაწილი.

ლიბრი — 1. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 2. ლურჯ-მოიისფრო (საბა).

ლიბრეტო იტ. — 1. დიდი მუსიკალური ნაწარმოების (უპირატესად ოპერის) ტექსტი; 2. ოპერის, ბალეტის მოკლე შინაარსი.

ლიგა ფრ. — ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა გაერთიანება, კავშირი.

ლივი — იგივეა, რაც კალკი.

ლივლივი — ტალღისებური რიტმული მოძრაობა, რხევა, ქანაობა.

ლიზღი (ძვ.) — უშვერად მოხუმარი, თავს გასული.

ლიკინა — თონეში გამომცხვარი გრძელი მჭადი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩემი რჩეული

ჩვენს ქვეყანაში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც საყვარელ პოეტებს შორის გალაკტიონს არ დაგისახელებთ. ბევრი მათგანი მისი ლექსიდან თითო-ოროლა სტრიქონს მაინც გეტყვით ზეპირად. აი, „პოეზიის მეფის“ წერილების ცოდნით კი იშვიათად თუ დაიკვეხნის ვინმე. „ჩემი რჩეულის“ სერიით მომზადებული 5-ტომეული ამ თვალსაზრისითაც გაახარებს მკითხველს: მასში წონადი ადგილი აქვს მიჩენილი გალაკტიონ ტაბიძის წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, პირად წერილებს, ჩანაწერებს უბის წიგნაკებიდან, დღიურებს და კიდევ — მოთხრობას „ღამის აკორდი“, რომელიც თავის დროზე გაზეთის ფურცლებზე იყო გამოქვეყნებული და აქამდე არც ერთ კრებულში არ მოხვედრილა.

ამჯერად კი გალაკტიონის მემკვიდრეობის პროზაული ნაწილიდან ერთ წერილს — „ხელოვანის ტრაგედია“ — გთავაზობთ, რომელსაც მე-3 ტომში იხილავთ.

გალაკტიონ ტაბიძე

ხელოვანის ტრაგედია

ხელოვანი, რომელიც ლაბორატორიულ მუშაობას მოსწყდება, თავს ასე ინუგეშებს: „დავუშვებ ამ შეცდომას, რომელიც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული, გადავუხვევ გზას მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ერთხელ... რა დიდი ამბავია თავისთავის წინააღმდეგ წახვიდე და ისიც მხოლოდ ერთხელ... განა ჩემი მომავალი ჩემს ხელში არ არის? განა ხვალვე არ შევუდგები ჩემს სწორი გზით სიარულს, იმ გზით, რომელიც მიყვარს, ვალმერთებ...“ მაგრამ ხელოვანს იმედი არ გაუმართლდა. იგი ერთხელ მოსწყვიტეს რა კერას, წაიყვანეს თავისი გზით, გაცილებით უფრო იოლით და სასიამოვნოთი. იაფი ტაშისცემის გზით, იაფი ყვავილებით, იაფი რეკლამით და როდესაც ხელოვანმა მოისურვა თავის წინანდელ გზას დაბრუნებოდა, იგი ვეღარ იპოვა, დაჰკარგა რა სწორი გეზი, შემოეცალა ყალბი დიდების შარავანდედიც. იგი მოსწყინდათ. იოლი და სასიამოვნო გზაც გაჰქრა, ტაშს აღარავინ უკრავს, იაფი ყვავილებიც დასჭკნენ. ხელოვანი მარტოდმარტოა. და აქ იწყება მისი ტრაგედიაც. დაცალიერებული სულით ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ თავის ლაბორატორიაში და იქ ანონიმური ბარათი ხვდება ლექსად დაწერილი:

კაცს საწუთრო როგორ აბნევს,
იძლეოდი დიდ იმედებს.
ეგონათ, რომ ბედი დაფნებს
მხოლოდ შენთვის გაიმეტებს.
ურემს დიდი სიმწრის ალით
მიათრევდა გზად ყვავარი,
მაინც განვლე იმ ჭრიალით
საუკუნის ნახევარი.
ნდობა გვქონდა მეტისმეტი
და გზას გაგიანკარებდით,
არ გამართლდა ის იმედი,
ჩვენ რომ შენზე ვამყარებდით!

დიდის ჭრიალით, მაგრამ მაინც მიდიოდა ურემი. ბოლოს იგი გადაბრუნდა. ურემი გადაბრუნდა და გზაც მერე გამოჩნდა: ნამდვილი ხელოვნების გზა, მშვენიერზე მშვენიერი გზა. მაგრამ... რა ახლოა და როგორ შორსაა იგი... ხელოვანი უკვე ჭაღარაშერეული კაცია! ეჰ! საბოლოოდ გადაბრუნდა!

2 ნოემბერი, 1948 წელი

მორიგანი

ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-25, 2011

მარი ჯაფარიძე

მე, ლაშამ და ჯონიმ ახალი საქმის გამოძიება დავიწყეთ, მაგრამ ცოტა ხანში მე გამოვეთიშე. სანდრომ ახალი დავალება მომცა, თანაც — სამი ერთდროულად. მოსკოვში გამგზავრება მიწევდა.

მოსკოვში მომუშავე 2 ქართველი — მილიციის მაღალჩინოსანი — ვალერი მენაბდე და გია ფსუტური უნდა გადმომებირებინა; საქართველოდან მოსკოვში გაქცეული ადვოკატის შესახებ ინფორმაცია უნდა მომეპოვებინა (მან 2 წლის წინ რუსეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა და ახლა უკან, საქართველოში დაბრუნება სურდა) და მოსკოვში „მოღვაწე", კანონიერი ქურდის, მეტსახელად — ტოტას მიერ დაგეგმილი „სპეცოპერაცია" უნდა ჩამეშალა.

მილიციის მაღალჩინოსნების შესახებ უამრავი საჭირო ინფორმაცია მომაწოდეს, სურათებით დაწყებული, ყოველდღიური მიმოსვლის გრაფიკით დამთავრებული. ზუსტად ვიცოდი, რომელ რესტორანში დადიოდნენ, სად ერთობოდნენ, ვის საყვარელი ჰყავდა და ვის — არა.

მოსკოვში, ჩემს სახლში, რაღა თქმა უნდა, ვერ ვიცხოვრებდი, რადგან გაქირავებული მქონდა. იმ სასტუმროში გავჩერდი, რომელზეც სანდრომ მიმითითა და ნომერიც წინასწარ იყო დაჯავშნილი.

მეორე დღიდანვე შევუდექი საქმეს. დილით ჯერ იმ კაცს მივაკითხე, ვისაც ჩემთვის მანქანა უნდა დაეხვედრებინა.

არც ისე ახალი, მაგრამ კარგად შენახული „ბე-ემ-ვეს" გასაღები გადმომცეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ვალერის სახლთან ვიდექი და მის გამოჩენას ველოდი. სადარბაზოსთან მანქანა გაჩერდა. სახურავზე დამაგრებული ლურჯი ნათურით მივხვდი, რომ თანამდებობის პირს ეკუთვნოდა, სავარაუდოდ — ჩემთვის საინტერესო ადამიანს. მალე სადარბაზოდან ქართული იერის მქონე მამაკაცი გამოვიდა და მანქანაში ჩაჯდა. უკან არ გავყოლივარ. ამჯერად, მხოლოდ მისამართის დაზუსტება მინდოდა — ნამდვილად იქ ცხოვრობდა თუ არა. თან „ცოცხლად" მინდოდა მენახა: სურათი ადამიანზე სრულყოფილ წარმოდგენას მაინც ვერ შეგიქმნის. აქაური ინფორმატორების წყალობით, ისედაც თითქმის ყველაფერი ვიცოდით იმ ადამიანებზე, ვის გადმობირებასაც ვაპირებდით. ვალერის სუსტი წერტილი ქალები იყო, გიასი — ვალები. ვალერი სიმპათიური მამაკაცი გახლდათ და ქალების ყურადღების ცენტრში იოლად ხვდებოდა. თანამდებობა და მატერიალური მდგომარეობაც ხელს უწყობდა იმაში, რომ ლამაზი ქალები შეერჩია, მაგრამ ხანგრძლივ ურთიერთობას არავისთან ინარჩუნებდა, გარდა ერთისა — თავისი შეფის ცოლისა. ქალი მასზე დაახლოებით 15 წლით უფროსი იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მას წლების განმავლობაში თავს ვერ ანებებდა. სწორედ მისი წყალობით ჰქონდა ვალერის თანამდებობაცა და შეძლებაც.

გია კი, რომ იტყვიან, ვალებში იხრჩობოდა. თითქმის ყოველ საღამოს კაზინოში თამაშობდა და სოლიდურ თანხებს აგებდა, მაგრამ თამაშს ვერა და ვერ ანებებდა თავს. ვალს ვალი ემატებოდა...

იმავე საღამოს მინდოდა, გიას კაზინოში „შემთხვევით" შევხვედროდი და გამეცნო, მაგრამ ან არ მოვიდა, ან უბრალოდ, ვერ ვიცანი. იქიდან საკმაოდ გვიან, ცოტა უხასიათოდ გამოვედი: პირველივე მცდელობა, რომ საქმე ცოტა წინ წამეწია, წარუმატებელი აღმოჩნდა.

მეორე დილით გიას სახლთან დალოდება გადავწყვიტე — სახეზე მაინც ხომ შევხედავდი. არც ამჯერად გამიმართლა, ლამის შუადღემ მოაწია, ის კი სახლიდან გამოსვლას არც აპირებდა. სადარბაზოში შევედი და მისი სახლის კარს მივაყურადე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. როგორც ჩანს, ღამით შინ არ ბრძანდებოდა ვაუბატონი და სულ ტყუილად მოვცდი ამდენ ხანს. იძულებული გავხდი, სამსახურში მიმეკითხა. შესასვლელში დაცვისგან შევიტყვე, რომ ადგილზე არ იყო. გადავწყვიტე, საღამომდე სხვა საქმისთვის მიმეხედა, მერე კი ვალერისთან დაკონტაქტებას ისევ შევეცდებოდი.

რაც შეეხებოდა ადვოკატს — დემეტრე (იგივე დიმა) გვარად ადლეიბა, აფხაზი გახლდათ. თბილისში საცხოვრებლად ომის დროს გადმოვიდა. 2 წლის წინ, ოჯახიანად, აფზახეთის გავლით რუსეთში გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქმე წინასწარ იყო „ჩაწყობილი" და შესაბამისი თანხაც — გადახდილი, აფხაზებმა დააკავეს. დემეტრეს დაჟინებული მოთხოვნით, საქმეში რუსი სამხედროები ჩაერივნენ და „ცენტრს" აცნობეს. ცოლი და შვილები მაშინვე მოსკოვში გადააფრინეს, დემეტრე კი მთელი კვირა აყურყუტეს სოხუმში.

მისი თქმით, საქართველოში გაჩერება აღარ შეეძლო, ვინაიდან წარმომავლობის გამო ავიწროებდნენ, მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ და იძულებული იყო, პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთისთვის ეთხოვა. მზად იყო, საქართველოს მოქალაქეობა დაეთმო და რუსეთის მოქალაქე გამხდარიყო. სოხუმში დარჩენაზე უარი თქვა, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ არც აფხაზები გაახარებდნენ, რადგან აფხაზების მხარეს არ უომია, სახლი მიატოვა და თბილისს შეაფარა თავი... როგორც იქნა, მისი გამგზავრების გადაწყვეტილებაც მიიღეს და მოსკოვში გადააფრინეს.

დიმამ საკუთარი ვებგვერდი შექმნა და იქ ყოველდღე ინფორმაციას აქვეყნებდა. მოსკოვში ჩასვლიდან 2 წლისთავზე კი ასეთი წერილი დადო: „მეგონა, რუსეთში საშველს ვნახავდი, მაგრამ შევცდი. აქაური „კაგებესგან" გამუდმებით განვიცდი ზეწოლას, ჩემს გადაბირებას ცდილობენ. ვიდრე თანამშრომლობაზე დამითანხმებენ, ყველა გზას მიკეტავენ. ფაქტობრივად, ლუკმაპურის გარეშე დავრჩი, მაწანწალად გადავიქეცი.

სლავური გარეგნობისა და მოსკოვური აქცენტის გამო ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ იქაური ვიყავი

აქაური ნათესავებიც კი არ მიკარებენ ახლოს და დახმარებაზე უარს მეუბნებიან. კეთროვანივით ვარ. საქართველოში დაბრუნება მინდა“. ის ოფიციალურ წერილებს გზავნიდა ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელთან, რეკავდა და დაბრუნების უფლებას ითხოვდა.

მე მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება დამევალა, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ ამ გზით რუსებს მისი აგენტად შემოგზავნა სურდათ. თუ ეს არ დადასტურდებოდა, მას დაბრუნების საშუალებას მისცემდნენ, გარკვეული მოთხოვნების სანაცვლოდ.

მისი ცოლ-შვილის ადგილსამყოფელს ვერ მივაკვლიე, მაგრამ დავადგინე, რომ თვითონ მოსკოვის გარეუბანში, სიგარეტის ჯიხურში გამყიდველად მუშაობდა და ამ ჯიხურშივე ცხოვრობდა, საიდანაც, ფაქტობრივად არ გადიოდა. დღის განმავლობაში რამდენჯერმე მხოლოდ ახლოს მდებარე ინტერნეტკაფეში, საპირფარეშოში შედიოდა, გვიან ღამით, 1-2 საათით კაფეში რჩებოდა და ინტერნეტით სარგებლობდა, შემდეგ ისევ ჯიხურში ბრუნდებოდა.

უბანი, სადაც ის მუშაობდა, საკმაოდ პატარა იყო და ყველა ერთმანეთს იცნობდა. ჩემი ხშირი გამოჩენა ეჭვს გამოიწვევდა. ამიტომ, რაღაც უნდა მეღონა, რომ საქმე ბოლომდე მიმეყვანა. იქაური აგენტების დახმარებით, მისი ჯიხურის გვერდით ნაყინის მაცივრის დადგმა შევძელით, სადაც გამყიდველად დავიწყე მუშაობა.

ზაფხული იყო, საკმაოდ ცხელოდა, მთელი დღე ქოლგის ქვეშ გაჩერება ძალიან მიჭირდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. დემეტრე მეორე დღესვე გამომელაპარაკა. ჩემი სლავური გარეგნობისა და მოსკოვური აქცენტის გამო ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ იქაური ვიყავი. ჩვენ შორის საკმაოდ გულითადი საუბარი გაიმართა, მაგრამ თავისი მთავარი საწუხარის შესახებ სიტყვა არ დასცდენია.

დემეტრეს ამბების გამო, ვალერისთან და გიასთან დაკონტაქტება რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ მოვახერხე. როდესაც მათ საქმეს მივუბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ ფსუტური ამ ხნის განმავლობაში არც შინ გამოჩენილა, არც სამსახურში.

ყოველ საღამოს ვალერის სატელეფონო საუბრების ჩანაწერს მაწვდიდნენ. მთელი დღის განმავლობაში მზეზე ნამყოფი, სასტუმროში ძალზე დაღლილი ვბრუნდებოდი, მაგრამ მაინც უნდა მემუშავა. ერთხელ კი სწორედ მისი სატელეფონო საუბრიდან შევიტყვე, რომ იმ საღამოს, მეგობრისა თუ კოლეგის დაბადების დღეზე იყო მიწვეული ერთ-ერთ რესტორანში. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

დარბაზში ხალხმრავლობა იყო. ბართან ჩამოვჯექი, ჩემი პატარა ხელჩანთა იქვე დავდე და იქაურობა კარგად მოვათვალიერე, რომ დავრწმუნებულიყავი, „ობიექტი“ ნამდვილად იქ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, საუცხოო ხასიათზე იყო. სუფრასთან მსხდომთა უმეტესობა ქართველი აღმოჩნდა.

ბარმენს ვისკი დავასხმევინე და წრუპვა დავიწყე. როგორც იქნა, მისი მზერის არეალში მოვხვდი. ერთხელ შემომხედა თუ არა, თვალი არ მოუცილებია. ცოტა ხანში წამოდგა და ბართან მოვიდა.

— ვისკის გაიმეორებთ? — მკითხა ღიმილით, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია, რადგან ვისკი შემოსვლისთანავე შევუკვეთე, ჭიქა გამოცალე და ახლა უკვე ფორთოხლის წვენს ვწრუპავდი.

— დიახ, ყინულით, — გაოცება არ შევიმჩნიე.

როგორც ჩანს, მან თავიდანვე შემნიშნა, თვალყურს ისე მადევნებდა, რომ ვერც კი მივხვდი. გამეცინა, მაგარი პროფესიონალი ხარ-მეთქი, ჩემს თავს დავცინე...

— რა გქვიათ?

— მარგო.

— უცნაური სახელია. უფრო სწორად — იშვიათი. ამ სახელს თუ კიდევ არქმევდნენ, არ მეგონა.

— ყველა ასე იწყებს ჩემს გაცნობას: ჩემი სახელის გაგონების შემდეგ პირველი ფრაზა მუდამ ასეთია — „იშვიათი სახელია“...

— მაპატიეთ, ისე დამაბნიეთ, დამავიწყდა მეთქვა — ვალერი გახლავართ...

ასე გავიცანი ვალერი და ტელეფონის ნომერიც დავუტოვე. დილიდან კი ისევ „პოსტზე“ ვიყავი და ნაყინს ვყიდდი, თან დიმას ველაპარაკებოდი. უკვე მერამდენე დღეა, შევნიშნე, რომ დღის გარკვეულ მონაკვეთში საათზე წარამარა იყურებოდა და მოუსვენრობა იპყრობდა. ამის შემდეგ ერთი და იგივე ადამიანი მოდიოდა სიგარეტის საყიდლად. ის კაცი წავიდოდა, დიმა ცოტა ხნით ჯიხურში შეიყუჟებოდა, შემდეგ ისევ გვერდით მომიჯდებოდა და გაუჩერებლად ლაპარაკობდა.

არასოდეს უხსენებია ჩემთან, რომ ოდესმე საქართველოში ცხოვრობდა და ადვოკატად მუშაობდა.

უნდა გამეგო, ვინ იყო ის კაცი, რომელიც თითქმის ერთსა და იმავე დროს მოდიოდა სიგარეტის საყიდლად და რომლის გამოჩენასაც დიმა ასე აფორიაქებული ელოდა ხოლმე.

— ძალიან ცხელა, ცოტა ხანს შენთან, ჯიხურში დავჯდები, რა, — ვთხოვე ერთ დღეს, როდესაც საათზე ყურებას მოუხშირა.

ჩემი განზრახვა რომ არ ეპიტნავა, არ შევიმჩნიე და ჯიხურისკენ გავემართე.

იძულებული გახდა, შემომყოლოდა.

დაბალ სკამზე ჩამოვჯექი და გახურებული შუბლი ვენტილატორს მივუშვირე. თან იქაურობას ვათვალიერებდი.

ჯიხურის ერთ-ერთ კედელთან მიდგმული, სახელდახელოდ შეჭედილი ტახტის ქვეშ სიგარეტის ცარიელი კოლოფები ეყარა.

— აგროვებ? — თვალით ტახტის ქვეშ ვანიშნე.

— ჰო.

ვატყობდი, ეკლებზე იჯდა, მაგრამ მის ფორიაქს არად ვაგდებდი.

— დიმა, გამარჯობა, — სარკმელში სწორედ იმ კაცის სახე გამოჩნდა, რომელიც დემეტრესთან სისტემატურად მოდიოდა.

შევატყვე, რომ მოსულს ჩემი დანახვა არ გაუხარდა. მასპინძლის მოკითხვის შემდეგ თქვა, — პატარა საქმე მაქვს და მერე შემოგივლიო, — და წავიდა.

ჯიხურიდან გამოვედი და გადავწყვიტე, როგორმე სათვალთვალო კამერის დამონტაჟება მომეხერხებინა — სხვანაირად ვერ შევძლებდი იმის გაგებას, თუ რა საიდუმლოს მალავდა დიმა. მაგრამ კამერის დასაყენებლად, ჯიხურის გასაღების ასლი დამჭირდებოდა. მაშინღა გამახსენდა, რომ როდესაც დიმა სადმე გადიოდა, ჯიხურს საგულდაგულოდ კეტავდა. რამდენჯერმე შევთავაზე, მე გაგიყიდი სიგარეტს, სანამ დაბრუნდები-მეთქი, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №19-26

რუსუდან ბერიძე

— რა ყველგან ეს იარაჯული უნდა გამოეჩხიროს... — თავისთვის ჩაილაპარაკა ორდენიძემ.

— რა ბრძანეთ? — ჩაეკითხა გამომძიებელს ნინო.

— იარაჯულზე მოგახსენებთ: საითაც გავიხედე, ყველგან ეს კაცი დამხვდა. თან, მართალია, ვერავინ იტანს, მაგრამ ვერც ერთ მის საწინააღმდეგო არგუმენტს მაინც ვერ მისახელებენ. იქნებ ამ საქმეშიც თქვენ იყოთ პირველი და იარაჯულის საწინააღმდეგო თუნდაც ერთი ფაქტი მაინც გაიხსენოთ?

— ვერ გეტყვით, ვინ ვის რატომ ვერ იტანს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ თედო იარაჯული ბინძური კაცია.

— უფრო კონკრეტულად?

— მე კი არა, რამდენჯერმე ჩემს გოგონასაც უშნოდ წაატანა ხელი.

— მერე იონამ როგორ აპატია ასეთი საქციელი?

— ვინ გითხრათ, რომ აპატია? რომ ეპატიებინა, იარაჯული დღესაც მისი შეგირდობით მოიწონებდა თავს.

— გამოდის, რომ საკუთარი ნებით არ წასულა იოსებიძისგან.

— რა თქმა უნდა, არა. იონამ გაუშვა. თან, მკაცრად გააფრთხილა, რომ ჩემი და ჩემი გოგონას გვერდით გავლაც კი აღარ გაებედა.

— მართლა აღარ გაუბედავს?

— ჩემთვის ნამდვილად აღარაფერი გაუბედავს, ნატა კი მას შემდეგ მხოლოდ ახლა ჩამოვიდა საქართველოში.

— როგორ? — გაუკვირდა ორდენიძეს. — თქვენი ქალიშვილიც აქ არის?

— დიახ, ერთად ჩამოვედით. აქ აპირებდა ქორწილის გადახდას, მაგრამ ისეთი ამბები დაგვხვდა, რომ უკვე აღარ ვიცი, რას ვიზამთ.

— მოსალოცად გქონიათ საქმე. კარგი სიძე გყავთ?

— დიახ. ნაკითხი და განათლებული, თავმდაბალი და წესიერი ადამიანია. იმ უბედურებიდან, წეღან რომ გიამბეთ, სწორედ მან გამოიხსნა ჩემი გოგონა.

— შეიძლება, თქვენს ქალიშვილსაც გავესაუბრო?

— რა თქმა უნდა, თუ გნებავთ, ხვალ ერთად მოვალთ განყოფილებაში.

— მაშინ ხვალამდე, ქალბატონო ნინო, — საუბრის დასრულების ნიშნად ფეხზე წამოდგა ორდენიძე.

ნატა სტაშკო პეკინის აეროპორტში ვერავინ იცნო, რაც ყურადღებას შეჩვეულ ცნობილ ტოპმოდელს როდი ესიამოვნა. „ისე, როგორ უნდა ვეცნე? — მაინც სცადა თავის დამშვიდება გოგონამ. — მთელ ჩინეთში ხომ ფრინველის გრიპი მძვინვარებს და, ამიტომ, მეც და მოსკოვში მიმავალ ყველა სხვა მგზავრსაც პირბადე გვიკეთია. მაგრამ არა უშავს, ცოტა ხანში ყველაფერს ათმაგად ავინაზღაურებ“. აეროპორტში განცდილი ფიასკოს კომპენსაცია მართლაც მალე ანუ იმ წუთიდანვე დაიწყო, როგორც კი მგზავრები თვითმფრინავში ავიდნენ და მათ პირბადეების მოხსნის ნება დართეს. ნატამ მაშინვე ათობით ადამიანის (ცხადია, ძირითადად — მამაკაცების) აღფრთოვანებული მზერა დაიჭირა და სავარძელში გამარჯვებული სახით ჩაჯდა. ან კი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, თუკი გოგონა ბუნებას იმ კლასიკური სილამაზით დაეჯილდოებინა, რომელსაც ყავლი არასდროს გასდის და, ამიტომაც, ყოველთვის ყველა ასაკის, ეროვნებისა თუ გემოვნების ადამიანს თითქმის ერთნაირად აღაფრთოვანებს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც მთელი ამ ხნის მანძილზე ნატასთვის ერთხელაც კი არ შეუხედავს და, რაც მთავარია, არც გოგონასკენ მომართული მამაკაცების ხარბი მზერა შეუნიშნავს, ტოპმოდელის მეგზური ახალგაზრდა სათვალიანი მამაკაცი იყო. როგორც კი სავარძელში მოხერხებულად მოეწყო, მამაკაცმა მაშინვე გაზეთი მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. მაგრამ ნატამ მას კითხვა დიდხანს როდი აცალა.

— მაქს, აბა თუ გამოიცნობ, ის სქელი, ბებერი დედაკაცი ვინ არის? — ჰკითხა გოგონამ თავის მეგზურს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

— არ გესმის, რას გეკითხები? — ნატამ ახლა გვერდში მუჯლუგუნის წაკვრით სცადა მაქსის ყურადღების მიქცევა.

— რა თქვი?.. — როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა გაზეთს მამაკაცმა და იქითკენ გაიხედა, საითაც გოგონა ანიშნებდა. — რომელი დედაკაცი?

— შეხედე-მეთქი, იმ სქელუას, — გაუმეორა ნატამ.

— შევხედე, მერე?

— აუ, რა მუდო ვინმე ხარ, — გაღიზიანდა გოგონა, — ეს, უბრალოდ, თამაშია. რაღაცით ხომ უნდა გავერთო გზაზე.

მაქსს ოდნავადაც არ აინტერესებდა ეს თამაში და ერთი სული ჰქონდა, თავი ისევ გაზეთში ჩაერგო, მაგრამ იცოდა, რომ გოგონა არაფრით მოეშვებოდა და, ამიტომაც, ერთი ამოიოხრა და ისევ დანებდა:

— სქელი დედაკაცი კი არა, საკმაოდ მიმზიდველი ტანსრული ქალბატონია და არც ბებერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ორმოც წელზე მეტს ნამდვილად არ მივცემდი.

— ჰმ, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ნატამ, — ესე იგი, ძალიან სასიამოვნო, მიმზიდველი და ახალგაზრდაცაა, ხომ?

— თითქმის ასეა, — მშვიდად ჩაილაპარაკა მაქსმა.

— მთელი თამაში ჩამაშხამე. იკითხე ეგ შენი გაზეთი და იყავი, — მამაკაცს ზურგი შეაქცია ნატამ და, უსაქმურობისგან, ახლა თვითმფრინავის სალონის თვალიერება დაიწყო.

200 მგზავრზე გათვლილი ეკონომკლასის სალონი სანახევროდ იყო შევსებული. მგზავრებს მხოლოდ მისი წინა ნაწილი ეკავათ, ბოლოში კი სავარძლების რამდენიმე რიგი ცარიელი იყო და, სურვილის შემთხვევაში, იქ არათუ გადაჯდომა, წამოწოლა და კარგად გამოძინებაც თავისუფლად შეიძლებოდა. „ნეტავ, რატომ ყიდულობენ ადამიანები ბიზნესკლასის ბილეთებს, როცა ეკონომკლასში უფრო მოხერხებულად შეიძლება მოწყობა და მგზავრობა?

— ვერაფრით მიმხვდარიყო ნატა. — ეს მართლა მუდო მაქსი რომ არა, მეც ბოლოში გადავჯდებოდი და მუხლს მაინც გავშლიდი წესიერად“. ნატას რიგში ყველა ადგილი შევსებული იყო. თავად შუა ადგილი ეკავა, მარჯვნივ მაქსი, მარცხნივ კი საკმაოდ სიმპათიური გემრიელად გარუჯული მამაკაცი ეჯდა. მაქსზე გაბრაზებული ნატა უცნობი მეზობლისკენ შებრუნდა. მამაკაცი რაღაც ჟურნალს კითხულობდა, მაგრამ მაშინვე დახურა, გოგონას მოწყალედ გაუღიმა და ხელი ისე გაუწოდა:

— გლები მქვია. თქვენ?

— ნატა, — მამაკაცის ხელის შეხებაზე ოდნავ გააჟრჟოლა გოგონას...

მამაკაცმა გოგონას ხელი უცერემონიოდ გადმოუბრუნა და ხელისგულის დათვალიერებასაც შეუდგა.

— „სიცოცხლის ხაზი“ არაჩვეულებრივად გრძელი და ღრმაა. ასეთი ადამიანი 200 წლამდეც კი მიატანს...

— თქვენ რა, ხელისგულზე მკითხაობა იცით? — გააწყვეტინა მას გაკვირვებულმა ნატამ.

— არა მარტო ხელისგულზე... აი, „ჭკუის ხაზი“ კი ცოტა მოკლე მეჩვენება...

— რა-ა?!

— რა თქმა უნდა, აინშტაინთან შედარებით... მაგრამ ლამაზი გოგონასთვის აინშტაინობა აუცილებელი არ არის, ხომ ასეა?

— ალბათ...

— სამაგიეროდ, გულის ანუ „სიყვარულის ხაზია“ სრულყოფილების ნიმუში!

— მართლა? — მაშინვე ღაწვები აუვარდისფრდა ნატას.

— მართლა. სიყვარული შეგიძლიათ... სიმართლე გითხრათ, პირველად ვხედავ ასე სწორ, ღრმა და გრძელ ხაზს... არანაირი დეფექტი... მოკლედ, პირდაპირ ჩემს კარტოთეკაში შესატანი ხელისგულია... თუ, რა თქმა უნდა, ნებას დამრთავთ...

— ვერ გავიგე, რა კარტოთეკაზეა საუბარი?

— რა არის, იცით? — ისევ მოწყალედ გაეღიმა მამაკაცს. — განსაკუთრებით საინტერესო ხელისგულების კოლექციას ვაგროვებ.

— რაში გჭირდებათ?

— ეს ჩემი ჰობია. იცით, უკვე რამდენი შევაგროვე?

— მაინც რამდენი?

— დაახლოებით, 10 ათასამდე. თანაც, საინტერესო ეგზემპლარიც მრავლად მოვიძიე. მაგალითად, ცნობილი პოლიტიკოსების, მსახიობების და ასე შემდეგ...

— საინტერესოა.

— მართლა გაინტერესებთ, როგორი „წარმატების ხაზი“ გაქვთ?

— „წარმატების ხაზი?“ — გაუკვირდა გოგონას. — ასეთ ხაზის არსებობაზე არაფერი მსმენია...

— არა და ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხაზია და აი, აქედან, აპოლონის ბორცვიდან იწყება... ო-ო, აი, ეს მესმის!

— რა? — საკუთარ ხელისგულს ისე დაუშტერდა ნატა, თითქოს პირველად ხედავსო.

— როგორც ვხედავ, არც თქვენ უნდა იყოთ უბრალო ქალბატონი!.. მოიცა, მოიცა, უნდა გამოვიცნო... ან ფოტომოდელი უნდა იყოთ, ანდა — მსახიობი... თან — ძალიან ცნობილიც... მართალი ვარ?

— დიახ, — თვალებგაფართოებული მიაშტერდა ახალმოვლენილ წინასწარმეტყველს გოგონა, — მაგრამ როგორ მიხვდით?.. ნუთუ მართლა ხელისგულის მიხედვით?

— ხომ გითხარით, ქირომანტია ჩემი ჰობია-მეთქი. ესე იგი, გამოვიცანი, ხომ?

— გამოიცანით!..

ამის გამგონე მაქსმა რამდენჯერმე ისე ხმამაღლა ჩაახველა, თითქოს ნატას რაღაცის შესახებ აფრთხილებსო, მაგრამ გოგონამ მას ყურიც კი არ ათხოვა. მთელი მისი ყურადღება ახლა გლებისკენ იყო მიმართული, რომელმაც მისი ბოლომდე დაინტრიგება შეძლო.

— კიდევ?.. კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?

— რისი და დაახლოებით 1 წლის წინ ზარ-ზეიმით გათხოვდით...

ამ სიტყვებზე გოგონას სახე ისე შეეცვალა, თითქოს უსიამოვნო რაღაც გაახსენდაო.

— მაგრამ ახლა... მშვიდად განაგრძო გლებმა. — არა, ეს შეუძლებელია...

— რა არის შეუძლებელი? — გამტკნარდა ნატა.

— თქვენი ხელისგული მეუბნება, რომ უკვე ქვრივი ხართ... დარწმუნებული ვარ, ხელისგული არ ტყუის, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ ვცდები.

— არა, არ ცდებით, — თავი უკმაყოფილოდ გადაქნია გოგონამ.

მაქსმა კიდევ ერთხელ გამაფრთხილებლად ჩაახველა, მაგრამ ნატამ მას არც ამჯერად მიაქცია ყურადღება.

— ქვრივი ვარ. ქმარი ტრაგიკულად დამეღუპა.

— ვწუხვარ, — გოგონას ხელისგულს გლებმა საკუთარი ფრთხილად დააფარა.

— მადლობა თანაგრძნობისთვის, — ამოიოხრა ნატამ.

— მაგრამ ცხოვრება გრძელდება და თქვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. მეტიც, სრულიად გარკვევით ვხედავ, რომ ბედმა მალე ისევ გაგიღიმათ და საინტერესო ადამიანს შეხვდით, რომელიც ამ რთული პერიოდის გადატანაში დაგეხმარათ.

— დიახ! — შესძახა აღტაცებულმა ნატამ. — ისევ გამოიცანით. მაინც როგორ აკეთებთ ამას?

— ეს ხანგრძლივი პრაქტიკისა და საუკეთესო უცხოელ სპეციალისტებთან სტაჟირების შედეგია. სხვათა შორის, მხოლოდ ხელისგულზე მკითხაობა როდი შემიძლია!

— კიდევ რას აკეთებთ?

— ბევრ რამეს. მაგალითად, თუნდაც იმის თამაში შემიძლია, წელან თქვენს მეგობარს რომ შესთავაზეთ, უფრო სწორად კი შეთავაზება სცადეთ, — მაპატიეთ, მაგრამ შემთხვევით მოვისმინე თქვენი კამათი. მართლა, იქნებ ერთმანეთისთვის წარგედგინეთ?

— რატომაც არა, — მაშინვე თავისი მეგობარი მამაკაცისკენ შებრუნდა ნატა: — მაქს, გაიცანი ბატონი გლები.

მოღუშულ მაქსს გლებისთვის არც კი შეუხედავს, ხელი ისე გაუწოდა და ისევ კითხვა განაგრძო.

— მაქსი ხომ ის ადამიანია,

რომელიც მაშინ დაგეხმარათ? — უცბად ყურში შეთქმულივით ჩასჩურჩულა გოგონას გლებმა.

ნატამ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია და, თან, უკმაყოფილო სახით გადახედა მაქსს, რომლის საქცი-

ელიც უკვე საშინლად აცოფებდა. ამიტომ მისი გაღიზიანებაც მოუნდა და გლებს დაწვრილებით უამბო, თუ როგორ გათხოვდა მამამისის მეგობარ ბიზნესმენზე, რომელიც სტუდენიორი აღმოჩნდა და იტალიის მთებში „თაფლობის თვის“ რომანტიკულად გასატარებლად კი არა, თურმე, სარფიანად გასაყიდად ჩაიყვანა. როგორ არ დასცალდა მას ამის გაკეთება, რადგან ტრაგიკულად დაიღუპა. მაქსმა კი გოგონა იმ საჩოთირო და, რაც მთავარია, საშიში სიტუაციიდან როგორ გამოიხსნა. მართალია, ნატას გლებისთვის ის აღარ მოუყოლია, რომ მიუხედავად ახლო ურთიერთობისა, ჯერ ვერც საკუთარ და ვერც მაქსის გრძნობებში ვერ გარკვეულიყო და ამ ურთიერთობისთვის სახელიც ვერ დაერქმია. მართალია, ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მაქსს უყვარდა. მაგალითად, ასე იყო მაშინ, როცა უთხრა, რომ პეკინის უნივერსიტეტში სტაჟირებაზე მიშვებენ და აუცილებლად უნდა წაგიყვანოო და ასეც მოიქცა. მაგრამ მაქსი ზოგჯერ საკუთარ სამყაროში ისე იკეტებოდა, რომ იქ სხვას არ უშვებდა. ნატა იმ დროს სრულიად მარტო რჩებოდა და იმას ფიქრობდა, რომ ამ მამაკაცთან არაფერი აკავშირებდა.

ქალ-ვაჟი მართლაც ბევრი რამით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ნატა დიდი განათლებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ენერგიული და მოძრავი ადამიანი იყო. ზედმიწევნით განათლებული მაქსი კი ყველაფერს მშვიდ ცხოვრებას და წიგნებში კირკიტს ამჯობინებდა. ეს დისონანსი მათ ურთიერთობას ძირს უთხრიდა და ნელ-ნელა იმ მთავარსაც აცლიდა, რამაც თავის დროზე ისინი ერთმანეთს დააკავშირა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები ურთიერთობას მაინც არ წყვეტდნენ, თუმცა კი ხშირად კამათობდნენ და ზოგჯერ ჩხუბობდნენ კიდეც. ასე მოხდა ამჯერადაც. „რა გაეწყობა, — გაიფიქრა ნატამ, — თუ მაქსს ჩემთან ურთიერთობას რომელიღაც სულელური გაზეთის კითხვა ურჩევნია, მაშინ გლებთან გადავაყოლებ გულს. მით უფრო, რომ ამ კაცს ჩემზე დროის ხარჯვა სულაც არ ენანება“.

— თვითონ რით ხართ დაკავებული? — ახლა გლების საქმიანობით დაინტერესდა გოგონა.

— მე-ე?.. — მხრები აიჩეჩა მამაკაცმა. — ალბათ, ცოტ-ცოტა ყველაფრით. ვასწავლი, ვმკურნალობ, ვვაჭრობ...

— რითი ვაჭრობთ?

— სპეციფიკური საქონლით.

— მაინც?

— ვნებებით.

— ვნებებით? — წამით ჩაფიქრდა ნატა.

— დიახ, — ეშმაკურად ჩაეცინა გლებს.

— მივხვდი! — კინაღამ ტაში შემოჰკრა გოგონამ. — ფილმებს ყიდით, ხომ?

— მართლა მიხვედრილი ადამიანი ხართ, — ვიდეოფილმებს ვყიდი.

— მეკობრულს?

— რატომ მეკობრულს! ლეგალური ფირმა მაქვს და ფილმებსაც ლეგალურად ვყიდი... საკუთარ ფილმებსაც ხშირად ვქმნი. ამიტომაც მაინტერესებს ასე ადამიანის ბუნება. ჰა, რას იტყვით, ვითამაშოთ?

— ჩემს თამაშს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა.

— კარგი. ვინ ავირჩიოთ?

— იქნებ ისევ იმ სქელი დედაკაცით დაგვეწყო?

— დიდი მადლობა, გლებ, რომ თქვენც ასე ფიქრობთ, — მამაკაცს ნაზად გაუღიმა ნატამ, — ზოგიერთი კი არათუ ჩემს შეხედულებს არ იზიარებს, სიმართლესაც ჯიუტად არ უსწორებს თვალს; არაფრით უნდა იმის დანახვა, რომ ის ქალი სქელი და ბებერია.

ნატას გესლიანი შენიშვნა მაქსმა უყურადღებოდ დატოვა და არც გაზეთის კითხვა შეუწყვეტია.

— მაგრამ იმ ქალბატონზე კიდევ რაღაცის მოყოლა შემიძლია, — შენიშნა გლებმა.

— მაინც რის? — მაშინვე დაინტერესდა ნატა.

— ვფიქრობ, რომ ის საგადასახადო ინსპექციის სტაჟიანი მუშაკია. ხოლო ოჯახურ მდგომარეობას რაც შეეხება, უკვე ბებიაა და პატარა შვილიშვილიც ჰყავს.

— დაუჯერებელია... — წამოიძახა ნატამ. — თუ ყველაფერი მართლაც ასეა, მაშინ ნათელმხილველი ხართ. მითხარით, ამას როგორ მიხვდით?

— ეს რთული სულაც არ ყოფილა, — თვალები მორცხვად დახარა გლებმა.

— ამიხსენით, რა, მაინტერესებს...

— ეს არ იყო რთული საქმე, — ჩაიბურტყუნა უცბად მაქსმა, რომელმაც როგორც იქნა, გაზეთი დაკეცა და „სქელ დედაკაცს“ გახედა, — მარტო უტვინო თუ ვერ მიხვდება, რომ ეს ქალი საგადასახადო დაწესებულებაში მუშაობს. იმიტომ, რომ აგერ უკვე რამდენი ხანია, რაც ის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს საგადასახადო დეკლარაციის შევსებაში ზედმიწევნით პროფესიულად ეხმარება.

— გამოდის, რომ სწორედ მე ვარ ის უტვინო, ვინც ამას ვერ მიხვდა, ხომ? — ხმას აუწია ნატამ, რომელსაც უკვე ისიც კი აცოფებდა თუ რა ადვილად ამოხსნა მაქსმა გლების „ნათელმხილველობის“ საიდუმლო.

— ეს არ მითქვამს, — გოგონას ბოლომდე განაწყენება მაინც არ ისურვა მაქსმა.

— მაშინ შვილიშვილზე რაღას იტყვი? ეს საიდან უნდა გაეგო ბატონ გლებს?

— დიდი სირთულე არც ამ საკითხის გარკვევისას შეხვედრია, რადგან ბატონი გლები ის ადამიანი იყო, ვინც ამ ქალბატონს აეროპორტში სამგზავრო ჩანთა დაუჭირა, რომ დამშვიდობებოდა პატარა გოგონას, რომელიც „ბებო-ბებო, კიდევ ჩამოდის“ ძახილით გულში ეკვროდა.

— მართლა რა ადვილი ყოფილა ყველაფერი, — ალალად გაუკვირდა ნატას.

გლებმა კი თავი დახარა და ხმა აღარ ამოუღია. მაქსი კმაყოფილი ჩანდა. მან გაზეთი გამარჯვებული სახით გაშალა და ისევ კითხვას შეუდგა.

— ვაი, ეს რა არის? — ნატამ უცბად ხელზე მსუბუქი ჩხვლეტა იგრძნო, მაშინვე დაიხედა და აღმოაჩინა, რომ მაჯაზე პატარა უცნაური მწერი მიჰკვროდა. ნატას მაჯას გაკვირვებული დააცქერდა გლებიც. — ალბათ, ხოჭოა, ხომ?

— უფრო ტკიპას ჰგავს, — მწერი ძირს ზიზღით მოისროლა ნატამ.

— ტკიპა? თვითმფრინავში? — გაუკვირდა მამაკაცს. — ხომ არ ცდებით? იქნებ ხოჭოა?

— არა, რადგან ასეთი ტკიპები ჩინეთში ხშირად მინახავს. განსაკუთრებით ბოლო დროს მომრავლდნენ. იშვიათი საზიზღრობაა! და თუ კანში ღრმად ჩაგესო, შეიძლება, ვეღარც მოიცილო და კანის მოჭრა დაგჭირდეს, — ნაკბენი ადგილიდან სისხლის ამოწოვა დაიწყო ნატამ.

— მოწევა მომინდა, — ანერვიულდა გლები, — თქვენ თუ ეწევით?

— არა, თავი დავანებე. თანაც, აქ მოწევა არ შეიძლება.

— საქმეც ისაა, რომ არ შეიძლება, — ამოიოხრა მამაკაცმა, — არადა, ისე მინდა, რომ სხვა გზა აღარ მაქვს, თვითმფრინავის ბოლოში უნდა გავიდე და იქ ჩუმად გავაბოლო.

— აბა, თქვენ იცით! — გაამხნევა ნატამ. — ეცადეთ, ფაქტზე არავინ დაგიჭიროთ.

ამის შემდეგ გლები ადგა და გასასვლელისკენ გაემართა.

მამაკაცი უკან მალევე დაბრუნდა.

— ყველაფერი რიგზეა? — ჰკითხა მას ნატამ.

— კი. თქვენთან რა ხდება?

— ჩვენთან საშინელი მოწყენილობაა.

— ახლავე გაგამხიარულებთ.

— როგორ?

— რამეს მოვიფიქრებ.

ამის შემდეგ გლებმა გოგონას საწერ-კალამი და ფურცელი მიაწოდა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

— ეს რაღაა? — გაუკვირდა ნატას.

— ფრაზა, რომელიც ამ ფურცელზე უნდა დამიწეროთ.

ნატამ წერა დაიწყო. რომ დაამთავრა, ფურცელი გლებს დაუბრუნა და, თან დასძინა:

— ძალიან მკაცრად არ განმსაჯოთ. გაითვალისწინეთ, რომ სკოლა ქართულად მაქვს დამთავრებული.

ნატას გაფრთხილების მიუხედავად, გლებმა მის „ნაშრომში“ ათამდე შეცდომა მაინც აღმოაჩინა.

— მთლად ურიგო შედეგი როდია, — გაეღიმა მას, — თქვენ სხვების ნაწერები უნდა ნახოთ.

— ისეთი ვინმე თუ შეგხვედრიათ, ვინც ამ ფრაზის დაწერისას არც ერთ შეცდომას არ უშვებს? — დაინტერესდა ნატა.

— კი, მაგრამ ცოტა. სხვათა შორის ერთ-ერთი ამ წუთში თქვენ გვერდით ზის.

— თქვენ?.. მართლა?.. რა მაგარია! აი, მე კი ოროსანი ვარ...

— დამშვიდდით, ნატალია! ეს ფრაზა დასაკომპლექსებლად კი არ გიკარნახეთ. უბრალოდ, მინდა, კიდევ რაღაც-რაღაცები გავიგო თქვენ შესახებ. მაშ ასე, მაინც რას გვეუბნება ეს სასიამოვნო ნაწერი?

— იმას, რომ მის პატრონს 100 წელია, ხელში კალამი აღარ აუღია.

— სულაც არა. ვხედავ, რომ დამოუკიდებელი, საკუთარ თავში დარწმუნებული და შეუპოვარი გოგონა ხართ. ხომ მართალია?

— კი, — გაეღიმა ნატას.

— ო-ო, აი, ეს განსაკუთრებით საინტერესოა.

— რა?

— ის, რომ სენტიმენტალური, მგრძნობიარე და ნაზი არსება ბრძანდებით. სწორია?

— სწორი კია, მაგრამ ამის თქმა ხომ ყოველგვარი ფრაზის დაწერისა და შემოწმების გარეშეც შეიძლებოდა?

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, — შეცბა გლები, რომელიც მიხვდა, რომ მაქსის სიტყვების შემდეგ გოგონა მას აღარ ენდობოდა, — ცამდე მართალი ხართ. თქვენი გაბრიყვება არც ისე ადვილია. აი, თუნდაც...

— იცით, რა?.. — გააწყვეტინა ნატამ მამაკაცს. — მოდი, მაქსიც შევამოწმოთ!

— მაქსი? — ნატას მეგობარს ცოტა შიშითაც კი გადახედა გლებმა.

— ჰო, რა იყო? ის ხომ პოლიგლოტია.

— მართლა?

— ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობს და თუ ადამიანი ამტკიცებს, რომ სხვა ენები კარგად ვიციო, მაშინ მშობლიური ზედმიწევნით უნდა იცოდეს. ამიტომაც მაქსი ახლა ფურცელს აიღებს და ტექსტს ჩაიწერს.

— არაფერსაც არ ჩავიწერ! — გაჯიუტდა მაქსი. — შემეშვი! ამის შემდეგ მან გაზეთი დაკეცა, სავარძლის ჯიბეში ჩატენა და ფეხზე წამოდგა:

— ცოტას გავივლი.

— მგონი, თქვენი მეგზური გაგვიბრაზდა, — მაშინვე დაიწყო გლებმა, როგორც კი მაქსი იქაურობას გაეცალა.

— ცივი წყალი დალიოს! — გაგულისდა ნატა. — ნამდვილი დათვია. ტლანქი და მოუხეშავი.

— დიდი ხანია, რაც ერთად ხართ?

— თითქმის 1 წელია.

— ო-ო, ეს დიდი დროა, — ირონიულად გაეღიმა მამაკაცს.

— ურთიერთგაგება და პატივისცემა წლებზე სულაც არ არის დამოკიდებული. ნორმალური ადამიანები ამას ხშირად პირველი შეხვედრისთანავე ახერხებენ. აი, თუნდაც ჩვენი შემთხვევა ავიღოთ.

— ჩემი და თქვენი?

— დიახ. როგორც კი დამინახეთ, ხომ მაშინვე გამიგეთ და მიმიღეთ. მე და მაქსი კი ერთმანეთს ვერაფრით ვუგებთ. უფრო სწორად კი ის არ ცდილობს ჩემს გაგებას.

— რა არის იცით, ჩემო გოგონი? — ჩაფიქრდა გლები. — ზოგჯერ შეიძლება, ადამიანთან მთელი ცხოვრება გაატარო და მაინც ვერ გაიცნო.

— ანუ თქვენც ვერ ახერხებთ ხოლმე ვინმეს გაგებას?

— ასეც ხდება.

— მერე ქირომანტიასა და გრაფოლოგიას რატომ არ უხმობთ საშველად?

— სამწუხაროდ, ზოგჯერ ისინიც უძლურნი არიან. ისევე, როგორც, მაგალითად, მედიცინა — ზოგიერთი დაავადების წინაშე.

ამასობაში მაქსი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა და გაზეთიც ისევ დემონსტრაციულად მოიმარჯვა.

— მაინც რამდენჯერ შეიძლება ერთი და იმავე გვერდის წაკითხვა!

— კიდევ უფრო გაღიზიანდა ნატა.

— წავალ ერთს კიდევ გავაბოლებ, — ახლა გლები წამოდგა ფეხზე და თან, გოგონას თავი თავაზიანად დაუკრა.

მისი წასვლის შემდეგ ნატა და მაქსი ერთხანს ერთმანეთის გვერდით უცხოებივით ისხდნენ და დუმდნენ. მერე კი თითქმის ერთხმად წამოიძახეს: „ნუთუ ვერ ხედავ, რომ...“ თუმცა მაქსი პირველი გაჩუმდა და ნატას აცალა აზრის გამოთქმა.

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ საშინლად იქცევი? — ისევ დაიწყო გოგონამ.

— მაინც როგორ?

— როგორც გაუზრდელ-გაუნათლებელი ხეპრე!

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის.

— არა, მაინც რა მოხდება, იმ უცხო კაცთან ცოტა უფრო თავაზიანი რომ იყო? ხომ არ გთხოვ, აუცილებლად საუბარში აგვყევი-მეთქი?

— საუბარშიო? იცი, რომ მთელი ამ სისულელის მოსმენაც კი გულს მირევს? ქირომანტიაო, გრაფოლოგიაო...

— ჰო, რა იყო? არ შეიძლება, რომ მეც რამემ დამაინტერესოს?

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ვერ ხვდები, რომ ეს ტიპი უბრალოდ გეარშიყება და თავისი იდიოტური მკითხაობებით თავბრუს გახვევს?!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გზა №23-26

მეორე დღეს თავის დროზე გამოვცხადდი სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ ღამე საშკასთან ერთად გავატარე, იმდენად ვიყავი დაშოკილი წინა დღის შეხვედრით, რომ დიდად ბედნიერღიმილიანი სახე არ მქონია. ბედნიერი კი არა, ისეთ რამეებში დავაფიქსირე ჩემი თავი, შემეშინდა კიდეც. როგორც ჩანს, ისტერიამ შემიპყრო. რამდენჯერაც ტელეფონმა დარეკა, იმდენჯერ შევხტი. ეს კიდევ არაფერი. კარის ყოველ გაღებაზე დაფეთებული ვიყურებოდი, ვინ შემოდის-მეთქი. თვალწინ გამუდმებით ლევანის ხელი მედგა, ვასიკო რომ შეათრია ჰოლში. განსაკუთრებით საღამოს გამიჭირდა, როცა მუშაობას მოვრჩი და ქუჩაში გამოვედი. კონტუზიანივით აქეთ-იქით ვატრიალებდი თავს, მეგონა, ვიღაც შეუმჩნევლად უკან მომდევდა. არა, ასე გაგრძელება შეუძლებელია! როგორმე უნდა ავიყვანო თავი ხელში, თორემ შეიძლება გავგიჟდე. არადა, ყოველ წამს იმ სახლზე ვფიქრობდი, ვასიკოსა და ბიძამისზე. რატომ, თავადაც არ ვიცი, ახსნა ვერ მოვუძებნე, რატომ არ მშორდებოდა გონებიდან ის კაცი და მასთან დაკავშირებული იდუმალებით მოცული გარემო. რა უნდოდა ბოლოს? რა უნდა შემოეთავაზებინა ჩემთვის? თითქოს ავადმყოფურმა ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა ჩემში. რა დებილი ვარ, რატომ არ მოვუსმინე?

ერთ წამს რომ ასე ვფიქრობდი, მეორე წამს ვცდილობდი, ჩემი ახირების რელაქსაცია მომეხდინა. ჩემი მოკლე ჭკუით, ვითომ ასე უფრო ადვილად შევძლებდი მომხდარის დავიწყებას. ეშმაკსაც წაუღია ლადო და მისი წინადადება. რა თავში ვიხლი? მე შენ გეტყვი, მაცდუნებელი ბიზნესპარტნიორობა უნდა შემოეთავაზებინა თუ რა?! ერთბაშად 1.000 დოლარი არ დაენიშნა ხელფასი!

იმ ღამეს საშკა არ მოსულა, ამიტომ, ძალაუნებურად ისევ და ისევ ვასიკოსა და ბიძამისზე ვფიქრობდი. ვცდილობდი, მეიძულებინა ჩემი თავი, არ მივბრუნებოდი ამ უსიამოვნო თემას, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი.

ალბათ შეეშინდა ჩემი, არ მეჩივლა და თავის დაზღვევა უნდოდა. მე ხომ დავემუქრე. ნეტავ, რას მთავაზობდა თავის დაზღვევის მიზნით? ისევ დამემუქრებოდა თუ „ქრთამს“ შემომთავაზებდა? საინტერესოა... საინტერესო კი არა, ღამისაა, მოვკვდე ინტერესით! იქნებ სხვა რამე იყო სულაც? მაინც რა? ოჰ! ჯანდაბამდის გზა ჰქონია! რაც გინდა იყოს, მაგის არც თავი მაქვს და არც ნერვი. რაც უნდა შემომთავაზოს, მე მასთან მიმსვლელი არ ვარ. მორჩა და გათავდა! ნამდვილი ნეანდერტალელია, რა ზუსტად შევარქვი „დემონი“?! ფიქრიც კი არ ღირს მასზე!

ის ღამე თეთრად გავათენე. მეორე დღეს კიდევ უფრო ცხვირჩამოშვებული გამოვცხადდი სამსახურში და ვერც საქმეს დავუდე გული. რაღაცები ამერია, ციფრები შემეშალა. ფული მქონდა გადასარიცხი და სხვა ანგარიშზე გავუშვი. ამის გამო საშკა მეჩხუბა. მეც ვეჩხუბე... ერთი სიტყვით, დამეძაბა ისედაც დაძაბული ცხოვრება.

არა, ასე გაგრძელება არ შეიძლება. თუ ერთად ყოფნა გვინდა, მაშინ მასთან არ უნდა ვიმუშაო. რაც ურთიერთობა დავიწყეთ, უფრო მომთხოვნი გახდა. ყველა წვრილმანზე შენიშვნას მაძლევს, სულ მებუზღუნება, თან ყველას თანდასწრებით. რას უნდა ამით მიაღწიოს? რისი დამტკიცება სურს? ასე რომ მექცევა, უფრო იქცევს სხვების ყურადღებას. ხანდახან ისე გადახედავენ გოგოები ერთმანეთს, ისეთ მრავლისმეტყველ მზერას ისვრიან თვალებით, ადვილი მისახვედრია, რასაც ფიქრობენ.

ჰოდა, ხუთშაბათ საღამოს, რომ მეწვია, სწორედ ამაზე დავიწყე ლაპარაკი, მოფერება არ ვაცალე. გაღიზიანდა.

— მე არ მინდა, შენს სახელს ჩრდილი მიადგეს, ამიტომაც გიფრთხილდები, გესმის? — ცოტა არ იყოს, უხეშად გამოუვიდა.

— ჩრდილი რატომ უნდა მიადგეს? — გაოგნებულმა ავხედე და დოინჯი შემოვიყარე. — ისე უფრო არ მადგება ჩრდილი, როცა აგდებულად მელაპარაკები და ყველას გასაგონად მლანძღავ?

— მე გლანძღავ? ცილს რატომ მწამებ, ანა?

— გალანძღვა არ არის, მთლად გამოშტერდიო, რომ მეუბნები ლალის და დოდოშკას ცხვირწინ? აბა, გაიხსენე, რომელიმესთვის ასე მიგიმართავს ოდესმე?

ჩემმა ნათქვამმა ცოტათი დააბნია. წარბები ისე აწკიპა, აი, ღრმად რომ დაფიქრდება ადამიანი. ერთხანს შეყოვნდა, მერე კი მომლბალი ხმით მითხრა.

— კარგი, პირობას გაძლევ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება, მაგრამ ერთი პირობით...

— რა პირობით? — ჯიუტად ვაგრძელებდი „დოინჯშემოყრილობანას“.

— ცოტა მობილიზება გაუწიე შენს თავს და ნუ ხარ დაბნეული. აზრებით სხვაგან ნუ დაფრინავ, კარგი?

— ეს ერთხელ მოხდა მხოლოდ და იცი, რატომაც. რას გადამაყოლე ერთ შეცდომას?

— ერთს მეორე მოჰყვება, ვიცი მე, ამიტომაც გაფრთხილებ.

— იცი, რას გეტყვი? — ჩემმა ხელებმა „სადოინჯე“ ადგილმდებარეობა შეიცვალა და ოდნავ ზემოთ აიწია. ახლა დოინჯი წელზე კი არა, ფერდებზე შემოვიყარე და ისე გავიჭიმე, თითქოს სიმაღლეს მიზომავდნენ და უფრო მაღალი მსურდა გამოვჩენილიყავი, — აჯობებს, საერთოდ წამოვიდე იმ შენი დამპალი სამსახურიდან.

— რა-ა? რა თქვი? გაიმეორე, რა თქვი? — ამას კი არ მოელოდა საშკა და მე რომ ქვემოდან შევცქეროდი, იმან ზემოდან დამხედა.

ამწუთას საჩხუბრად გამზადებულ მამლებს ვგავდით, ერთმანეთზე რომ იწევენ ყინწწაგრძელებულნი.

— რაც გაიგონე! აღარ მინდა შენ-

თან მუშაობა! — დავახეთქე და თეძოების ჯიბრიანი რხევით სამზარეულოში გავედი.

უკან არ გამომყოლია. არ მივაქციე ყურადღება. ონკანი მოვუშვი, ჩაიდანი წყალს შევუშვირე და ავსებას შევუდექი. თან წინ გადავხარე, რომ ბოლომდე არ ავსებულიყო და იმდენ ხანს ვაჩხრიალე წყალი, სანამ არ შემოვიდა. მხოლოდ მაშინ გადავკეტე ონკანი და ჩაიდანი გაზქურაზე შემოვდგი.

უხმოდ მადევნებდა თვალს, კრინტი არ დაუძრავს. მე კი მშვიდი, მაგრამ მოღუშული სახით დავავლე ხელი ჩემს გიგანტურ ასანთის კოლოფს, „საოჯახო“ ასანთი რომ ჰქვია, ერთი ღერი გამოვაძვრე, გავკარი და გაზქურა ავანთე.

— სერიოზულად ამბობ მაგას? — ყრუ ხმით მკითხა.

— ჰო, — მოკლედ მივუგე.

— კარგი. ხვალ მოხვალ და განცხადებას დაწერ, — ოფიციალური ტონით განმიცხადა და გაბრუნდა.

როგორ შემეშინდა! ახლა რომ წავიდეს, ყველაფერი დამთავრდება. რა ვქნა? გავაჩერო? მოვაბრუნო? რა ვქნა, რა ვქნა? გონება გამალებით ეძებდა გამოსავალს, რომელიც არ ჩანდა.

გასაღების ჩხაკუნის ხმა შემომესმა. მორჩა, დამთავრდა! ახლა წავა და აღარასდროს მოვა!

სწრაფი ნაბიჯებით გავედი სამზარეულოდან, სასტუმრო ოთახი გადავჭერი და ზღურბლთან გავქვავდი.

— რას შვრები, მიდიხარ? — ვითომც აქ არაფერი, ისე მიმართე.

— ჰო, — მოგუდულად თქვა.

— რატომ? რა გითხარი ამისთანა?

— მეტი რაღა უნდა გეთქვა?

— მოდი, ჩაი დავლიოთ და თან ვილაპარაკოთ.

— არ მინდა შენი ჩაი! — ისევ უხეშად მითხრა. — ხვალ რომ მოხვალ განცხადების დასაწერად, მაშინ ვილაპარაკოთ, თუ გინდა... ღამე მშვიდობისა! — და კარი მსუბუქად გაიჯახუნა, მთლად ვერ გამიმეტა.

თავი გავაქნიე, ღრმად ამოვიოხრე, სამზარეულოში შევბრუნდი და გაზქურა გამოვრთე. მეწყერსაც წაუღია ჩაი საშკას გარეშე!

არც იმ ღამეს მიძინია წესიერად. ეს მერამდენე ღამის გათენება მიწევს თეთრად! რა დავაშავე? მე რატომ უნდა გავუგო ყველას? დავიღალე უკვე! ნუთუ ასე ძნელია მისთვის, ჩემს მდგომარეობაში შევიდეს? ხომ იცის, როგორ მიჭირს ახლა?! აქეთ დედაჩემის პრობლემა, იქით ვასიკო დამემატა კიდევ! არ უნდა ესმოდეს? რატომ არის ყველა კაცი ერთნაირი? რატომ უნდა ველოლიავოთ ქალები მათ? მათი პრობლემა თუ პრობლემაა, ჩვენმა რა დააშავა? იქნებ მას აწყობს კიდეც, ასე მოიქცეს? ცოლთან შერიგებას ხომ არ აპირებს? ამის გაფიქრებამ ერთიანად დამზაფრა. არ არის გამორიცხული! რა სულელი ვარ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი? ამიტომაც არ უნდა, სამსახურში ჩვენზე ვინმემ რამე გაიგოს. ეშინია, მის ცოლს არავინ მიუტანოს ენა!

დამპალი! დამპალი!

გამეხებული მივედი დილით სამსახურში, ცივი გამარჯობა ვისროლე ოთახში შესულმა, თაბახის ფურცელი მოვიმარჯვე, განცხადება დავწერე და მაგიდაზე დავტოვე, მერე დოდოშკას მივუბრუნდი.

— საშკა რომ მოვა, ეს შეუტანე, კარგი? მე მივდივარ!

— აქ არის, ანა, თავის კაბინეტში.

— არ მაინტერესებს, სად არის. უბრალოდ, მე არ მინდა შევუტანო. შენ შეუტანე ცოტა ხნის შემდეგ, ხო? — დაღლილი მზერით ვანიშნე დოდოშკას, პასუხს არ დაველოდე, ხელი დავუქნიე ყველას და სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა.

შინ მისულმა მობილურიც გამოვრთე, ქალაქის ტელეფონიც და ხალიჩაზე გავიშოტე, იატაკზე. არავინ არ მინდა! არაფერი არ მინდა! მარტო მინდა ყოფნა, მორჩა და გათავდა! ვივლი კვირაში ორჯერ დედაჩემთან, დავულაგებ თავის სასახლეს და მექნება 400 ლარი. მერე კიდევ გამოჩნდება რამე. ამ ეტაპზე როგორმე ვიმყოფინებ. მე შენ გეტყვი, ქმარ-შვილი მყავს სარჩენი, თუ რა? თავზე ჭერი მახურავს, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ მაკლია. საჭმლისთვის კი მეყოფა.

ესეც ასე! არც არაფერი დამაკლდება საშკას დაკარგვით. იმან იკითხოს, თორემ მე რა? სექსი? ხომ ვცხოვრობდი ამის გარეშე? რა, მოვკვდი? არა, რა თქმა უნდა! ჰოდა, არც ახლა მოვკვდები. ეგდოს იქ და ელოდოს თავის ნაგავ ცოლს! მეტის ღირსი არც არის!

რაც მეტს ვფიქრობდი საშკაზე, მით უფრო ვცოფდებოდი... და არა მარტო მასზე, მის ცოლზეც. ყოველ მომდევნო წუთზე უფრო მახინჯი და უფრო „ნაგავი“ ხდებოდა ჩემს თვალში და უარესი და უარესი ეპითეტებით ვამკობდი, თითქოს ის ყოფილიყო მიზეზი ჩვენი დაშორების თუ უთანხმოების.

ამასთან, მაინც არ ვკარგავდი იმედს, ანუ მშვიდად ვიყავი შინაგანად. ბოლომდე ვიყავი დარწმუნებული, რომ საშკა ვერ მოითმენდა და მოვიდოდა.

არ გამართლდა ჩემი იმედი. ის კვირა ისე მიილია, არ გამოჩენილა. ავწრიალდი. მოუთმენლობამ შემიპყრო. ნუთუ არ მოვა? იქნებ მირეკავდა? მე ხომ გამოვრთე ტელეფონები? მიდი, ანა, ჩართე და ნახე შემოსული ზარები, შეტყობინებები!

მივედი... ჩავრთე... ვნახე... ნურას უკაცრავად! არც მესიჯი, არც შეტყობინება. მხოლოდ თათიას ერთი ზარი და მესიჯი დამხვდა მობილურში — როგორ ხარ, სად დამეკარგეო. ეს ისეთი მესიჯი იყო, რომელიც არაფერს მაძლევდა. თათიამ ჩვენი ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა. ზუსტად ვიცოდი, რომ საშკა არც ჩვენი უთანხმოების შესახებ ეტყოდა რამეს. თათომ ალბათ ისე მომიკითხა, მეგობრულ „ასპექტში“.

უარესად დავიბოღმე. არასდროს, არასდროს გავცემ ხმას. რომც მოვიდეს, კარს არ გავუღებ. რომც დამირეკოს, არ ვუპასუხებ! ვნახოთ, ვისი აჯობებს.

უნამუსო! უსინდისო!

კვირა გათენდა. ჩემს „დედილოსთან“ უნდა წავსულიყავი, რომ მისი სახლი დამელაგებინა. უცნაურ ხასიათზე დავდექი. ალბათ უკვე ჩამოვიდოდა. როგორი იქნება მასთან შეხვედრა? ნუთუ გული არაფერს უგრძნობს? ნეტავ, თუ ვგავარ? ნანა და მე მაინცდამაინც არ ვგავართ ერთმანეთს. ვერავინ იტყვის, დები არიანო. ნეტავ, ნანა ვის ჰგავს? მას თუ მამას? ან მე? მას თუ მამას? საინტერესოა, ჩემი მამა ვინ არის? იქნებ

მე და ნანას ერთი მამა გვყავს? ჩემი ძმა როგორია? ის ვიღას ჰგავს?

ვის ჰგავს... ნეტავ... საინტერესოა... მხოლოდ ეს სიტყვები რახუნობდა ჩემს დამძიმებულ გონებაში.

წყვეტილად დავრეკე ზარი. თითქოს ნანა ჩასაფრებული იყოო, იმწამსვე გააღო კარი და...

მასთან ერთად, ძაღლის პაწაწინა დრუნჩიც გამოჩნდა ზღურბლზე. ძაღლი? ეს რა საშინელებაა? მე რომ არავის გავუფრთხილებივარ ძაღლების შესახებ?

— მისტერა, გადი იქით! — დაუცაცხანა ნანამ ძაღლს და თბილად გამიღიმა. — მოდი, ანა!

— დილა მშვიდობისა! — მეც ღიმილით მივესალმე.

— დილა მშვიდობისა. არ შეგეშინდეს, არ იკბინება.

— სპანიელია, არა?

— ჰო, თან ისეთი ყაჩაღია, ლამისაა, გადაგვდგას. ვერავის დავუტოვე სახლში და წამოვიყვანე. დედაჩემი ვერ იტანს ძაღლებს და კატებს. მისი არყოფნით ვისარგებლე, — ნანა შინ შემიძღვა.

— კიდევ არ ჩამოსულა?

— კი, ჩამოვიდა, მაგრამ პროფილაქტიკისთვის ორი დღით საავადმყოფოში დავაწვინეთ, ზეგ გამოვიყვანთ. ისეთი დანიშნულება გამოატანეს, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავუტარებთ, ექიმი და საავადმყოფოში ყოფნაა საჭირო.

— გასაგებია.

— შენ ჩემს ძმას არ იცნობ, არა? ახლა გექნება მისი გაცნობის ბედნიერება, — ჩურჩულით გააგრძელა და კვლავ გამიღიმა, ამჯერად იდუმალი სახით.

— აბა, ვინ გვეწვია, დამანახვეთ ერთი! — გაისმა ბოხი ხმა, თუმცა ჯერჯერობით ხმის პატრონი ვერსად დავინახე.

აქეთ-იქით მიმოვავლე თვალი. უეცრად... რომ არა მომენტალური რეაქცია, ალბათ ჩემი სახის ანაბეჭდი სამუდამოდ დარჩებოდა მათ „საგვარეულო“ იატაკზე, კინაღამ ცხვირით შევეჯახე ვიღაცას და ავყირავდი. უხილავმა უცნობმაც მძლავრად ჩამავლო ხელი, რომ არ წავქცეულიყავი და ახლაღა შევამჩნიე, რომ გვერდიდან ჩრდილი დამეცა. ავიხედე და...

ადგილზე გავქვავდი! ვინანე, რომ არ დავეცი. ჯობდა, ცხვირ-პირი დამემტვრია, ვიდრე პირი დამრჩენოდა ღია... რადგან მსგავსი სილამაზის მამაკაცი არასდროს მენახა. ჩემთან შედარებით ბავშვი იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი, ისეთი, ისეთი...

— გამარჯობა! — მომესალმა და გაღიმებულს კიდევ უფრო ლამაზი... კბილები გამოუჩნდა, ერთნაირად ჩაწიკწიკებული.

ნეტავ, თავისია თუ ჩასმული აქვს? ვითომ რატომ უნდა ჰქონდეს ჩასმული, რა, ჰოლივუდის ვარსკვლავია? თავისია ალბათ!

— გაგიმარჯოს, — ძლივს ჩავილაპარაკე და, როგორც კი ხელი შემიშვა, მაშინვე დავკარგე წონასწორობა.

— შენ ანა ხარ, ხომ?

კიდევ კარგი, კაცებზე გართულება არ მაქვს, თორემ „მსუქანი“ უსიამოვნებები არ ამცდებოდა. ძლიერი სქესის ეს წარმომადგენელი ისე მომაკვდინებლად ლამაზი იყო, ნებისმიერ ქალს წასძლევდა სული. რა ტუჩები ჰქონდა თან! უფფფფ!

— დ...დიახ, ანა ვარ... — ამოვღერღე.

— რა საზიზღარი ბიჭი ხარ, ასე უნდა შეაშინო ადამიანი? რა შენ და რა მისტერა! — უსაყვედურა ნანამ ძმას. — ამ გოგომ ჩვენ ცხოვრება უნდა შეგვიმსუბუქოს, შენ კიდევ აშინებ! წადი რა, ნუკრი, მისტერა გაასეირნე ბაღში!

ნუკრიო... ურუანტელმა დამიარა. ახლაღა დავუკვირდი, რომ „ჩემი ოჯახის“ ყველა წევრის სახელი ასო ნ-ზე იწყებოდა. ეს, ალბათ, დედაჩემის ოინებია! არ შეიძლება, უბრალო დამთხვევა იყოს!

— მალაპარაკე ადამიანთან, არ შეიძლება? ძაღლი მოიცდის! — მისტერასავით „აწკმუტუნდა“ ნუკრი და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაზე პატარა ყოფილიყო ოჯახში, რომელსაც ყველა ჩაგრავდა.

— მერე, მერე, საუზმეზე, ახლა მიდი და გააკეთე, რასაც გეუბნები! — ხელი უბიძგა ნინომ ძმას და ძალით გააგდო კარში.

მისტერა ყეფით დაედევნა ნუკრის უკან. ღიმილი ვერ შევიკავე.

— ლამაზი ძმა გყოლია, — ვთქვი.

— ნუ იტყვი! თავში აქვს ავარდნილი თავისი სილამაზე! დღეში ასი ქალი ურეკავს. ესეც ყველას ეღლაბუცება.

— რა გასაკვირია.

— შენ ინტერნეტში უნდა ნახო, რა ხდება. მგონი, ფეისბუკზე ამაზე მეტი მეგობარი თვით ცუკერმანსაც არ ჰყავს.

საერთოდ არ ვიცოდი, ვინ იყო ცუკერმანი, მაგრამ მაინც გავუღიმე, არ შევიმჩნიე, რომ ამ სფეროში უვიცი ვიყავი. ფეისბუკი არც მქონია და არც არანაირი სურვილი მამოძრავებდა, მქონოდა... არასდროს.

— საშინელი რამეა ეს სოციალური ქსელები, — მიხსნიდა ნანა, თან ახალგამომცხვარ ქადებს ალაგებდა თეფშზე, — ოჯახები დაანგრია! ერთი პერიოდი მეც ჩამითრია და ბოლოს გავაუქმე. არ მაქვს მაგის ნერვები. ათასი ვიღაც შემოდის, უცნობი, ნაცნობი... მომბეზრდა. შენ არ ხარ გაწევრებული?

— არა, არც მე მიზიდავს მაინცდამაინც, — საქმიანი კილოთი ჩავილაპარაკე, ვითომ ჩემთვისაც მოსაბეზრებელი იყო ეს რაღაც ფეისბუკი, — ვერ მოვიხერხე.

— ვაი! რა კარგი სიტყვა იხმარე! სხვებივით ვერ დავამუღამეო, არ თქვი. კარგი გოგო ხარ!

— ჰო, რა ვიცი... — დავიმორცხვე.

— ახლა ვისაუზმოთ და მერე დაიწყე საქმე, კარგი?

— მე უკვე ვისაუზმე.

— არა უშავს, ისეთი ქადები დავაცხვე, რომ არ გასინჯო, არ იქნება! თან უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს.

— რაღაც მინდა გითხრათ... ნანა, — ძლივს წარმოვთქვი მისი სახელი და უზარმაზარი ნერწყვი გადავაგორე განერვიულებულმა.

— მითხარი, რა პრობლემაა, — ძალიან უშუალო გოგო იყო, თბილი, თბილი.

— იცი? გადავწყვიტე, კვირაში ორჯერ მოვიდე, თუ თქვენთვისაც მოსახერხებელი იქნება.

— მართლა? რა კარგია?! ჩვენთვის უკეთესია, რა თქმა უნდა, დედასაც მიხედავ.

— მე ფულს ვგულისხმობ...

— ფულზე არ იფიქრო. მაგის პრობლემა არ არის. შენ ოღონდ მოდი და... თუ გინდა, ყოველდღე იარე.

— და ყოველდღე გადამიხდით? — გავიხუმრე.

— აბა რას ვიზამთ! — ისე სერიოზულად მიპასუხა, თვალები დავაჭყიტე გაოცებულმა.

— არა... ყოველდღე ვერ ვივლი, — შეშინებულმა ვიუარე, ყოველდღე რა შეხედავს დედამისს... თუ დედაჩემს?

ეს რა შარში ჩავიგდე თავი. თუ აქ მუშაობა ინტენსიურად დავიწყე, როდისღა უნდა ვუთხრა, ვინ ვარ? რაში მჭირდებოდა ეს მასკარადი? ასე ხომ შევეჩვევი ყველას? მერე? როცა ჩემს სათქმელს ვიტყვი, ხომ შეიძლება, ამან ყველა გააღიზიანოს? რომ არ მაღიარონ? სად წავიდე? რა ვქნა? ხომ გამისკდება გული? არა, არ უნდა წამომეწყო ეს ყველაფერი! ნამდვილი სულელი ვარ... სამაგიეროდ, ძალიან საყვარელი სულელი — გამახსენდა საშკას ქათინაური და გამეღიმა.

ამ დროს კარი გაიღო, მისტერა ყეფით შემოვარდა სამზარეულოში და პირდაპირ მე შემომახტა თათებით. ისეთი ვიკივლე, გავაყრუე იქაურობა. მეშინოდა ძაღლების. ერთხელ ბარძაყზე მიკბინა ერთმა ნაგაზმა და 8 ნემსი

დამარჭვეს მუცელში. მას შემდეგ ვერ ვეკარები ძაღლებს.

— ნუ გეშინია, არ იკბინება, — აკისკისდა ნანა.

— მისტერა, მოდი აქ! — გაისმა ნუკრის და ტაშის კვრის ხმა ერთდროულად.

ძაღლი ახლა მისკენ გაქანდა. ნუკრიმ გაიყვანა და ცოტა ხანში კვლავ შემობრუნდა.

— კაბინეტში შევამწყვდიე.

— კარგი, რა, ნუკრი, ცოდოა... ყმუილით აგვიკლებს ახლა.

— მერედა, რას მოგყავდა, ვერ დატოვე სახლში? — არ დაუთმო ძმამ დას.

— ვისთვის დამეტოვებინა, ადამიანო? შინ არავინ იყო, თორემ მე რა, მეხალისებოდა?

— უჰ, რა სურნელი ტრიალებს! მომენატრა ქართული სასუსნავები. იქაურ საჭმელს ვერც გემო ჩავატანე და სუნი ხომ საერთოდ... არც კიტრი იყო სურნელოვანი, არც პომიდორი, არც არაფერი.

— ჩემნაირ ქადებს თბილისში ვერავინ აცხობს, გენაცვალე! ეგრე კი არ არის, — დაიტრაბახა ნანამ.

— უფ! გეგონოს! დედას უფრო გემრიელი ხელი აქვს! — ნუკრიმ ნიშნის მოგებით რამდენჯერმე სწრაფად შეათამაშა წარბები — ასწია, დასწია, ასწია, დასწია.

— ნუ მაიმუნობ! ხელები დაიბანე და დაჯექი.

— ტასო მოვიდა?

— ჯერ არა. მოვა, საცაა.

— ანა, შენ თუ აცხობ ნამცხვრებს? — ნუკრიმ შემომხედა.

— არა, ნამცხვრები არ გამომდის, — გულწრფელად ვაღიარე, — კერძები კი. მგონი, გემრიელიც... — უხერხულობისგან გავწითლდი.

— აი, ნანა გასწავლის. მაგას უყვარს, როცა ვინმეს რამეს ასწავლის, — ნუკრიმ ენა გამოუყო მისკენ ზურგით მდგარ დას და მე თვალი ჩამიკრა.

— ენა დაიმოკლე, საძაგელო! შენი საშაყირო ვარ მე-ე? შენს ლაწირაკ გოგოშკებს უთხარი ეგრე! მიდი, ხელები დაიბანე!

— დავიბანე, ქალო, რა გინდა! — ნუკრიმ ხელისგულები ამოიტრიალა და პატარა ბავშვივით დაიხედა ზედ.

— მაშინ დაჯექი და ჭამე!.. მოდი, ანა, შენც დაჯექი, — მიმიპატიჟა ნანამ და უზურგო სკამი მოხერხებულად დამიდგა.

— ამისთანა ლამაზი გოგო დამლაგებლად რატომ მუშაობ? — მოულოდნელად დამაჯახა ნუკრიმ.

გავწითლდი და თან როგორ! გადამწიფებულ ხურმას დავემსგავსე.

— რა ვიცი... ცხოვრებამ მოიტანა, — ჩავილუღლუღე და ქადისკენ გაწვდილი ხელი უკან ჩავიბრუნე, კალთაში.

— ნუკრი! ნუ იცი შენ უაზრო შეკითხვების დასმა. რა შეაღონე გული! აცალე ქალს ჭამა! — დაუცაცხანა დამ ძმას და თვალებიც დაუბრიალა.

მერე ნანამ თვითონ გადამიღო ორი ცალი ქადა, ხელზე ხელი დამადო, მაგას არ უსმინოო, დამიყვავა და ჩაიც დამისხა.

დღე გემრიელად დაიწყო... თბილი დით, ლამაზი ძმით და ტკბილი ქადით...

ის იყო, საუზმეს მოვრჩით, რომ ტასოც მოვიდა და ჩემი „ახალშეძენილი“ და-ძმაც აჩქარდა, წასასვლელად გაემზადა.

ისე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, თითქოს ძალიან ახლობელი ვყოფილიყავი მათთვის, თითქმის ისე, როგორც და ემშვიდობება დას ან ძმა — დას...

არადა, სინამდვილეში ხომ მართლაც ასე იყო...

ტასომ 50 ლარი ჩამახუტა და გამომისტუმრა. დღე უკვე მთავრდებოდა. ძალიან გადავიღალე. მაინცდამაინც არ ვიყავი ფიზიკურ დატვირთვას მიჩვეული. არ გინდა, ერთ დღეში ამხელა სახლის დალაგება? ოჰ, როგორ დავიძინებ ახლა... მკვდარივით. მთავარია, ჩემს ბინამდე მივაღწიო!

ნეტავ იქ რა ხდება? აბა, თუ მიხვდებით, სად? ვასიკოს ბიძის სახლში, რა თქმა უნდა. თქვენ რა იფიქრეთ? საშკა? არა, საშკას არც კი ვახსენებ! ძალიან ვარ მასზე გაბრაზებული!

ამწუთას მე ნეანდერტალელი „დემონი“ უფრო მაინტერესებს. ძალიან დამაინტრიგა მაგ ტიპმა. როგორი იდუმალებით მოცული ვინმეა! ერთი კვირა გავიდა ჩვენი შეხვედრიდან და ახლა უკვე სიზმარივით მაგონდება ის საშინელი დღე, ცუდი სიზმარივით. ერთი რამ არ მაძლევდა სულიერად მოსვენებას — ვასიკო. ნეტავ, სად არის ბავშვი, რა უქნეს? როგორ არის? ისევ უკან ხომ არ გაგზავნეს, ბავშვთა სახლში? თვითონაც ვერ ვხვდებოდი, რატომ მივეჯაჭვე მაგ ბავშვს ასე, თითქოს ჩემი შვილი ყოფილიყოს, ისე მჩხვლეტდა გული მის გახსენებაზე. იმ სახლში ის ბავშვი ვერასდროს იგრძნობს თავს სრულფასოვან ადამიანად. დატანჯავენ, ვიცი.

სწორედ ამაზე ვფიქრობდი, რომ დამეძინა. ამდენი ღამის უძინარი ისე გავითიშე, მთელი ღამე ფეხი არ გამიქნევია.

ალბათ შუადღემდე გაგრძელდებოდა ჩემი ძილი, ზარის ხმას რომ არ გაველვიძებინე დილით. თვალების ფშვნეტით გავემართე კარის გასაღებად. გავაღე და... მოულოდნელობისგან სახტად დავრჩი. არა, უარესი... გავქვავდი... სადარბაზოში ვასიკო იდგა თავის შეშინებული მზერით. დამინახა თუ არა, ღიმილმა გაუნათა სახე, მერე ხელები გაშალა და ჩამეხუტა.

— ანა, — ზედ ყურთან მიჩურჩულა და პატარა ხელები თმაზე მომხვია.

— ოღონდ არ მითხრა, რომ ისევ გამოიქეცი, — მხრებში ჩავავლე ხელი და თვალებში ჩავხედე.

— არა, ლევანმა მომიყვანა, — თავი მხიარულად გაიქნია და გვერდზე მიიხედა.

ახლაღა შევამჩნიე ქერათმიანი ლევანი, რომელიც რატომღაც, მოფარებულში დამდგარიყო. ალბათ ჩვენი შეხვედრის სცენას არ შეუშალა ხელი და ერთმანეთით „დატკბობა“ გვაცალა.

უკმაყოფილო გამიხდა გამომეტყველება. წამში გამირბინა თვალწინ ერთი კვირის წინანდელმა სცენამ და ღრმად ამოვიკვნესე.

— რა ვქნათ, ახლა, ლევანი გარეთ დავტოვოთ თუ შინ შემოვუშვათ? — გავიხუმრე.

ვასიკომ ჯერ მე შემომხედა, მერე ლევანს, მერე ისევ მე.

— იქნებ შემოვუშვათ ისიც? არც ისე ცუდი ბიჭია, რომ იცოდე, — ეშმაკურად შემომხედა.

— მაშინ, ჰო, — მეც ავყევი „ეშმაკობაში“ და ორივე შინ შემოვიპატიჟე.

— ჩაის დალევთ? — მივმართე ლევანს.

— კი, — თავი დამიქნია „დემონის“ თანაშემწემ და სავარძელში „ჩაიშხლართა“, თან გასაღებების აცმას გულის გამაწვრილებელი ჩხაკუნით ათამაშებდა საჩვენებელ თითზე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. დაიწყო შვებულებების სეზონი და იმედია, თქვენც კარგად ისვენებთ, თან „გზის“ კითხვაზეც არ ამბობთ უარს. რა სჯობია, ჩრდილში, ჰამაკში წამოწოლილი რომ გადაშლი ჟურნალს და უამრავ საინტერესო ამბავს გაეცნობი... უჰ... მეც მომინდა დასვენება... მაგრამ ნუუურას უკაცრავად... ჩემს შემთხვევაში სურვილი და შესაძლებლობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე რომ... მომიწევს ალბათ ამ ზაფხულს წყალში სიზმრად ლივლივი და სამსახურის კომპიუტერის დესკტოპზე ფონად დაყენებული ზამთრის პეიზაჟის ყურება.

ნიჭიერი და ზარმაცი შუმახერა

„ბავშვობიდან იმას მეუბნებოდნენ, ნიჭიერი ხარ, მაგრამ ზარმაციო. მართლაც, ჩემს თავს ვატყობდი, რომ ვზარმაცობდი. სწავლაც მეზარებოდა, საქმის გაკეთებაც. დედა თუ რამეს დამავალებდა, არასოდეს ვაკეთებდი და ამის გამო სულ ჩხუბი იყო სახლში. სიზარმაცის გამო სკოლაში მაჩანჩალა მოსწავლედ მივიჩნეოდი. მაღალი ნიშნები მესამე კლასის მერე არ მქონია. მერვე კლასში ვიყავი, როცა ჩემმა მეზობელმა, 23 წლის გოგონამ მანქანა იყიდა. ისეთი ლამაზი იყო და ისე მომწონდა, ვეხვეწებოდი, ჩამსვი-მეთქი. ერთხელ ვკითხე, ფული ვინ მოგცა მანქანის საყიდლად-მეთქი? 1 წლის წინ კარგი სამსახური ვიშოვე (ბანკში მუშაობდა), ცოტა ფული მოვაგროვე, ბანკიდან სესხი ავიღე და ისე ვიყიდეო. ისე მომინდა, მეც მყოლოდა ავტო, რომ იმ დღიდან დავიწყე ამაზე ფიქრი. იმისათვის, რომ მანქანა ვიყიდო, კარგი სამსახური მჭირდება, კარგ სამსახურს — შესაბამისი ცოდნა და დიპლომი. გამოდის, რომ უნდა ვისწავლო, ოცნება რომ ავისრულო-მეთქი. ჰოდა, მეორე დღიდან ჩავუჯექი წიგნებს. იოლი არ აღმოჩნდა გაცდენილი წლების ანაზღაურება. მივხვდი, დამოუკიდებლად ვერ მოვერეოდი და დედას ვთხოვე, მასწავლებლებთან მივეყვანე მოსამზადებლად. გაოცდა ქალი, მაგრამ არაფერი უთქვამს. თხოვნა კი შემისრულა. რამდენჯერმე გავიგონე, მამაჩემს რომ ეუბნებოდა, — რა დაემართა ამ გოგოს, ავად ხომ არაა ნეტავ, ადრე შინ ვერ შემომყავდა, სულ გარეთ დაწანწალებდა, წიგნს ხელს არ ჰკიდებდა, ახლა კი თავს არ იღებს, მეცადინეობს, გარეთ კი საერთოდ აღარ გადისო. ჩუმ-ჩუმად მეღიმებოდა ამის გამო და ჩემს სანუკვარ საიდუმლოს არ ვამხელდი. წლის ბოლოს დავეწიე ჩემს თანაკლასელებს და სასწავლო წელი საკმაოდ მაღალი ნიშნებით დავამთავრე. შემდეგ წელს კი ათიანების გარდა სხვა ნიშანი არც მიმიღია, რადგან ზაფხულიც მეცადინეობაში გავატარე და რაც გამოტოვებული მქონდა, ისიც ავანაზღაურე. მოკლედ, სკოლა დავამთავრე და იმავე წელს სტუდენტი გავხდი. სხვადასხვა ტურსა და კონკურსში ვმონაწილეობდი, საკუთარ თავსა და ცოდნას ვამოწმებდი. ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი ვიყავი. სამსახურის შოვნაც არ გამჭირვებია და... ჩემს ოცნებასთან უკვე ერთი ხელის გაწვდენაზე ვიყავი. ცოტაოდენი ფული მოვაგროვე თუ არა, მაშინვე მანქანის ყიდვა გადავწყვიტე. ვიფიქრე, მთავარია, მანქანა იყოს, ცოტა ძველი თუ იქნება, რა უჭირს, ვისწავლი მართვას, მანამდე ცოტაოდენ თანხას კიდევ მოვუყრი თავს, ძველს გავყიდი, დავამატებ და კარგ მანქანას ვიყიდიმეთქი. მართვის მოწმობაც ავიღე და ერთ მშვენიერ დღეს „ფორდის“ პატრონიც გავხდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი, მაგრამ რად გინდა? წარამარა მიფუჭდებოდა, მაწვალებდა და ხშირად ისე ხდებოდა, რომ გზაშიც კი ვრჩებოდი ხოლმე. მამაჩემს ვურეკავდი და „ბუქსირით“ მიმათრევდა შინ. ერთხელ, მწარედ მახსოვს, შუა ტალახში გამიჩერდა და მე და ჩემმა დაქალმა ძლივს ამოვიყვანეთ. ასე ვიწვალე წელიწად-ნახევრის განმავლობაში. ბოლოს, საჭირო თანხა მოვაგროვე, ჩემი „ბებერი ლურჯა“ გავყიდე და ახალი მანქანა ვიყიდე. აი, ასე ვიბრძოლე ბედნიერებისთვის და თუ ვინმე მეტყვით, რომ ეს არაა ბედნიერება, ძალიან ცდებით, რადგან ჩემი მიზანი ეს იყო და ჩემით მივაღწიე. გკოცნით, შუმახერა“.

ჭირვეულის მორჯულება ქართულად

„ირაკლის 16 წელი რომ შეუსრულდა, იქიდან მოყოლებული, შეყვარებულია. საახლობლოში ერთი გოგო არ დაუტოვებია, რომ არ გაარშიყებოდა. ხან ვინ უყვარდა, ხან — ვინ. მშობლები წუხდნენ, რაღა ვქნათ, ამ პატრონსაკვდავს (ზუსტად ასე) კარგი პირი არ უჩანსო. მეზობლები ისე ანუგეშებდნენ, როგორც შეეძლოთ — შე კაცო, კაცები ხომ არ მოსწონს, რა განერვიულებთო? ნერვიულობას თავი დავანებოთ, ამდენი მიტოვებული და აბუჩად აგდებული გოგოს მშობლებს მოგერიება არ უნდოდა? დრო ოხერი რამააო... ირაკლიც საგრძნობლად შეცვალა და 22 წლის ასაკში, აღარც ისეთი მექალთანე იყო, როგორიც უწინ. დრომ და ამდენმა „ჩაფუშულმა“ რომანმა ერთგულებაც ასწავლა და მისი შეცვლა (თანაც — საგრძნობლად) მაშინ უნდა გენახათ, როცა

ერთი ქერაკულულება, პატარა გოგო ჩაუვარდა გულში. გააგიჟა და გადარია სიყვარულმა... იმ გოგოს დღე და ღამე კუდში დასდევდა, თუმცა თაყვანისმცემლებით განებივრებულ მარიას სულ იმ ლამაზ ფეხებზე ეკიდა ეს ჩვენი ირაკლი. ერთი წელი სდია, არც საჩუქრები დააკლო, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა და დარჩა ასე კუდამოძუებული ირაკლი. ერთ დღეს კი ყელში რომ ამოუვიდა, გაიფიქრა, მე შენ გიტირებ ყოფასო და ძმაკაცთან ერთად მისი მოტაცება განიზრახა. საღამოს მარიას ბინასთან ეახლა და დაურეკა, ქვემოთ ჩამოდი ახლავე, შენი ბედი წყდებაო და გათიშა. არ გასულა რამდენიმე წუთი და ეს კუდაბზიკა მარია ჩამონარნარდა. პირის დაღებაც ვერ მოასწრო, ისე ააფარეს ხელი და მანქანაში ჩატენეს. ბუნებრივია, აწივლდა, აკივლდა, ავიშვიშდა და ერთი ამბავი დაატრიალა მარიამ მანქანაში. საგანგებოდ დავარცხნილი თმა ყალყზე დაუდგა. ირაკლიმ რომ ვეღარ მოითმინა, უთხრა: ამ პატარა ქალს, ე რამოდენა ხმა გქონიაო? პატარა ქალი ეძახე შენ, ისე სტკიცა სახეში, ლამის ყბა მოუქცია გვერდზე. — არ მიყვარხარ, რას გადამეკიდე? — შეგიყვარდები! — არ შემიყვარდები-მეთქი. — შეგიყვარდები! — ჰმ, არა-მეთქი! — ანგელოზივით ბიჭი ვარ, როგორ არ შეგიყვარდები, გოგო? — ანგელოზიიი?! ჰმ, ფრთები გაკლია. — ჰოდა, შენ იქნები ჩემი ფრთები... მოტაცება არ გასჭირვებია ისე ირაკლის, როგორც მისი მანქანიდან გადმოყვანა. გაჭიმა მარიამმა ფეხები და სანამ მოძალადეთა ჯგუფს ირაკლის დედ-მამა არ შეუერთდა, მანამდე ძვრაც ვერ უყვეს. გაიმართა ქეიფი. პატარძალი კი სულაც არ ყოფილა საზეიმო განწყობილებაზე. იმ ღამეს ახალშეუღლებულმა ცოლ-ქმარმა ბევრი იკამათა და დაძმასავით, ცალ-ცალკე ოთახებში დაწვა. მთელი 3 კვირა იყვნენ ასე, ძაღლსა და კატასავით. ირაკლი ცოლის ჭირვეულობამ დაღალა და მშობლების რჩევით, მთელი დღე მისკენ არც კი გაუხედავს. ეს ჩვენი მარია კი შიშმა შეიპყრო, მთელი დღე ელოდა, ხმას როდის გასცემდა, მაგრამ უშედეგოდ. ის დღე ასე დამთავრდა. მარია სიბნელეში ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან და ქმრის ოთახის კარი ჩუმად შეაღო. ირაკლი საწოლზე იჯდა, თავი ჩაქინდრული ჰქონდა. მარიას გული აუჩუყდა და ცრემლმორეული მიუახლოვდა ქმარუკუნას... აი, იმ წუთიდან დაიწყო მათი ბედნიერება. აი, ასე იბრძოლა ირაკლიმ და ბედნიერებაც მოიპოვა და არა მარტო თვითონ, ერთი პატარა გოგოც გააბედნიერა, რომელიც მის გარეშე წამითაც ვეღარ ძლებს. ნამდვილ მგზავნელებს მოკითხვა. განძის მაძიებლის მაძიებელი“.

შხამიანი დედამთილისა და დაჩაგრული რძლის ამბავი

„უბრძოლველად რომ არაფერი მოდის, ამაში ყველა დამეთანხმებით. ნუცა 16 წლის ასაკიდან ელოდა ოცნების პრინცს. ძალიან რომანტიკული და მგრძნობიარე გოგოა, ამის გამო უამრავი იმედგაცრუება ხვდა წილად. მის გრძნობებზე ბევრმა უგულოდ ითამაშა. მისი მიამიტობით ბევრმა ისარგებლა. ბოლოს კი, როგორც ხდება ხოლმე, ხელი ჩაიქნია, დეპრესიაში ჩავარდა და კაცთა მოდგმაზე გულმოსულს, კაცის სახელის გაგონებაც აღარ უნდოდა. 1-მა წელმა ისე განვლო მის ცხოვრებაში, არც არავისთვის შეუხედავს სერიოზულად და ამის სურვილიც არ ჰქონია. მერე კი... ნუცას გადაავიწყდა, მის მიმართ მამაკაცების უსულგულო საქციელი და მის ცხოვრებაში უკითხავად შეჭრილ ყმაწვილკაცს გულის კარი გაუღო... ბოლოს მათი სასიყვარულო ურთიერთობა ქორწილით დაგვირგვინდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს მშვენივრად შეეწყო. ნუცა ბედნიერი იყო, მაგრამ მისმა სიხარულმა დიდხანს ვერ გასტანა. დედამთილი ავი ქალი აღმოჩნდა. შვილს ნუცას წინააღმდეგ ამხედრებდა. ყოველდღე, მალულად, ათას რამეს ეუბნებოდა ნუცაზე. ლადოსაც ტვინი გადაუტრიალდა და დედის გავლენის ქვეშ მოექცა. ნუცას ყოველღამე ეჩხუბებოდა, სისხლს უშრობდა. მერე სასმელსაც მიეტანა და სწორედ მაშინ გამოავლინა „მჟავე“ ხასიათი. ნუცას ფიზიკურადაც კი უსწორდებოდა. საბრალო გოგო ტირილში ათენებდა და აღამებდა. მერე კი შეეცოდა დედამთილს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ლადოს მობრუნება ძნელი აღმოჩნდა. ნუცა კარის მეზობელ ქეთის ძალიან ეცოდებოდა. როცა მისი სახლიდან ჩხუბის ხმას გაიგონებდა, მასთან გარბოდა და ნუცას გვერდში ედგა. საუკეთესო გამოსავალი ქმართან განშორება იყო, მაგრამ ნუცას ძალიან უყვარდა ლადო. ჭირს ჭირი დაემატა და ლადო ციხეში აღმოჩნდა. შვილის უბედურებით გამწარებულმა ნათელამ რძალი სახლიდან გააგდო: თუ ჩემი შვილი აქ არ იქნება, შენ რაში მჭირდებიო?! ნუცა ორსულად იყო, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ნათელა. მთელი ღამე ცივ ქვაზე იჯდა, ვერც ქეთი შეაწუხა, მოერიდა მასთან მისვლის. მეორე დღეს მუცელი მოეშალა, ბავშვი დაკარგა. 1 წლის შემდეგ, ლადოც გათავისუფლდა ციხიდან. სახლში რომ არ მივიდა, ნათელა მიხვდა, ნუცასთან მივიდოდა და იქ ისე მიბრძანდა, ნამუსს არც კი შეუწუხებია. ლადოს მუხლებში ჩაუვარდა და სთხოვა, შინ დაბრუნებულიყო. ლადო დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ნუცასაც თან წაიყვანდა და რძალს აღარაფერს ეტყოდა. ნუცა იმ ადამიანთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას დათანხმდა, ვის გამოც შვილი დაკარგა. ლადო ცოლს აღარ ერჩოდა, მაგრამ ახლა დედამისს უმწარებდა სიცოცხლეს, ეჩხუბებოდა და სულ საყვედურობდა, შვილი შენ გამო დავკარგეო. ნათელაც ისევ დაიბოღმა და ნუცას შვილისგან მალულად მაინც შხამავდა მწარე სიტყვებით. ნუცა ხმას არ იღებდა, არ უნდოდა, ქმარს ისევ ეჩხუბა, ყველაფერს იტანდა ამის გამო. ერთ დღეს ლადომ შემთხვევით მიუსწრო, დედამისი ნუცას რომ ეჩხუბებოდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. ყველაფერს მიხვდა. მეორე დღესვე საცხოვრებლად სიმამრის ოჯახში გადავიდნენ. ნუცა ისევ დაფეხმძიმდა, გოგონა შეეძინათ და ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერები არიან. ლუნა“.

,გზამ“ კიდევ ერთ მკითხველს მამა აპოვნინა

„გზაში“ ხშირად დაწერილა იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ცხოვრების სიდუხჭირის გამო მეგობრები, ნათესავები, დედმამიშვილები, მშობლები დაკარგეს... ხშირად, მათი უკანასკნელი იმედი ჩვენი ჟურნალია. ისეთი ფაქტებიც გვახსოვს, როცა დიდი ხნის დაკარგულმა მეგობრებმა, დედა-შვილმა ან სულაც ნაცნობებმა იპოვეს ერთმანეთი... დღეს ბედნიერი ვარ, რომ ერთ ასეთ ამბავს უნდა მოგიყვეთ: შეგახსენებთ, რომ „გზის“ მე-16 ნომერში დაიბეჭდა გზავნილი — „უპატრონო“, სადაც მოგითხრობდით დედის საქციელით გულნატკენი ბიჭის ამბავს, რომლის მთავარ მიზანსაც დაკარგული მამის პოვნა წარმოადგენდა. ბექას დედა თბილისში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ოჯახის შვილი იყო... ძალიან პატარას, სოფლელი, ღარიბი ბიჭი შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა... რამდენიმე თვის ორსული იყო, როცა გააცნობიერა თავისი ნაბიჯი და სოფლური ყოფით თავმობეზრებულმა, წასვლის, დამოუკიდებლად ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღო. ბექა უკვე დიდი იყო, როცა დედის უკრაინაში გათხოვების გამო მიუსაფარ ბავშ-

ვთა სახლში ჩააბარეს. მის სანახავად მხოლოდ ბებო მიდიოდა ხოლმე, რომელიც სისტემატურად აწვდიდა ამბებს დედის უკრაინული ცხოვრების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას კი ბექას დის, თათიას დაბადება აცნობეს. უამრავჯერ გაიქცა ბავშვთა სახლიდან და უამრავჯერ დააბრუნეს... მორიგი გაქცევისას კი, უკვე მოზრდილმა, ცოლის მოყვანა გადაწყვიტა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვით: დედას ყველაფერი აპატია, თათია მთელი გულით შეიყვარა, სახლისა და გულის კარი გაუღო, ბავშვიც შეეძინა... ერთი შეხედვით ბედნიერ კაცს, მამის გაცნობა აკლდა... სწორედ ამ მიზნით გამოვაქვეყნეთ ზემოხსენებული ამბავი „გზაში“ და გულის ფანცქალით დაველოდეთ გამოხმაურებას. მალევე ერთ-ერთმა გოგონამ ინფორმაცია მოგვაწოდა რევაზ ბოტკოველზე... გვიამბო მისი გერმანიაში წასვლის, ახალი ოჯახის, სამსახურის, საქმიანობის შესახებ. აღდგომის დღეებმა ჩაიაროს, შევხვდეთ და უფრო დეტალურად აგიხსნით ყველაფერსო, დაგვპირდა. უსასრულოდ გაიწელა დღეები მისი ზარის მოლოდინში... ბექამ იმედიც კი დაკარგა, მაგრამ მალე კარგი ამბავი ამცნეს: მამაშენი გერმანიაში ცხოვრობს, ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში მუშაობს და ახლა, შვილებთან, შენს ნახევარძმებთან ერთად, საქართველოშია ჩამოსული, არდადეგებს მთებში ატარებსო... ახლა, როცა ოცნება აუხდა, როცა თავის მიზანთან ასე ახლოს იყო, არ იცოდა, რა ექნა... სად შეხვედროდა, რა ეთქვა, ხელი ჩამოერთმია თუ გადახვეოდა, დაერეკა თუ პირდაპირ ჩასულიყო, ესაყვედურა თუ სიყვარულში გამოსტყომოდა... როცა დანიშნულების ადგილს მიუახლოვდა, ყველა ის გეგმა ამოუვარდა თავიდან, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ადგენდა... გონს მოსულმა გააცნობიერა, რომ ბავშვობის ოცნებას — მამას ეხუტებოდა... ირგვლივ ნათესავები, ძმები, ბიძაშვილები... სუფრა გაიშალა, სადღეგრძელოები ითქვა... — მეგონა, დედაშენი არ დამრთავდა ნებას, მენახე... დღეიდან, ყველაფერი სხვანაირად იქნება... აღარასდროს დაგტოვებ, შვილოო...

P.S. ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთმა დაკარგულმა შვილმა იპოვა მამა, ისიც მახარებს, რომ ეს „გზის“ მეშვეობით მოხდა და, რაღა თქმა უნდა, ისიც, მცირე წვლილი მეც რომ მიმიძღვის ამაში.

P.P.S. ვიცი, გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც ამ ყველაფერს ჩემს ფანტაზიას მიაწერს. მინდა, მათ გასაგონად ვთქვა: შეგიძლიათ, მოძებნოთ ჩემს მეგობრებში თავად ბექა და ჰკითხოთ ყველაფერი ან ლაკვასტს დაეკითხოთ, რომელიც ბოტკოველის უახლოესი მეგობარია... ჩემი აზრით, დღევანდელი გზავნილი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბედნიერებისთვის უნდა იბრძოლო... შეიძლება, ბექას მსგავსად, 28 წელი მოანდომო ცხოვრების მთავარ კარში გოლის გატანას, მაგრამ შედეგი დაუვიწყარ სიხარულს მოგანიჭებს... გამარჯვებას გისურვებთ! რუისპირი (GREEN)“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ბედნიერება უცნაური გრძნობაა. რა არის იგი? რაზეა დამოკიდებული? არსებობს ადამიანი, რომელიც არასდროს ყოფილა ბედნიერი? ჩემი აზრით, ბედნიერება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, როგორ აღიქვამს ადამიანი ცხოვრებას, რა ღირებულებები აქვს და რა არის მისთვის მნიშვნელოვანი. უფლის მადლობელი ვარ, რადგან თავს ბედნიერად მივიჩნევ. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ მყავს საყვარელი და თბილი ოჯახის წევრები, რომლებიც ყველა სურვილს მისრულებენ. მყავს არაჩვეულებრივი მეგობრები. ჩემთვის ბედნიერება ისიცაა, რომ კარგად ვსწავლობ და მაქვს მიზანი. ჟურნალისტობა მსურს. ამისთვის კი წელს ერთ-ერთ საბავშვო სატელევიზიო პროექტში გადავწყვიტე მონაწილეობა. დარეგისტრირების შემდეგ ტესტირებაზე დამიბარეს. მეც ამაყად გავემართე დანიშნულების ადგილისაკენ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ვნერვიულობდი. პირველი ტურის პასუხები რომ შევიტყვე, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულებოდა. ასეთივე წარმატებით გავიარე მეორე ტურიც და შემდეგ უკვე დაიწყო 5-დღიანი ტრენინგები. დაძაბული სამუშაო რეჟიმი, თემების მოფიქრება, რუსთაველზე თავპირისმტვრევით სირბილი სიუჟეტის მოსამზადებლად... საინტერესო ადამიანებისა და მათი ამბების ძებნა. ამ 5 დღეში სულ სხვანაირად დავინახე თბილისი, მისი მთავარი ქუჩა — რუსთაველი და ის ადამიანები, რომლებიც განსხვავებული ტიპაჟების მიუხედავად, ერთნაირი საქმიანი და ამაყი ნაბიჯებით მოძრაობდნენ. ჩემი აზრით, მე ამ ტრენინგებზე ადგილი ბრძოლით მოვიპოვე. შეიძლება ამ გადაცემაზე ვერ ვიმუშაო, მაგრამ ეს იყო ჩემთვის უდიდესი გამოცდილება და პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში. ეს დაძაბულობა, ნერვიულობა და 5-დღიანი გიჟური რეჟიმი არასდროს დამავიწყდება. ყველას ვურჩევ, იბრძოლოს თავისი ბედნიერებისთვის. პარასკევა“.

„მთელი ცხოვრება ბედნიერებისთვის ვიბრძოდი. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ჩემთვის ბედნიერება აღარ არსებობდა. ასე გავიდა დაახლოებით 1 წელი, როცა იმედგაცრუებული, შემთხვევით ჩემს მეგობარს გადავეყარე ინტერნეტში (ჩემი მეგობრის ძველ შეყვარებულს, ოღონდ ის მეგობარი უკვე გათხოვილია). ერთმანეთის ნახვამ უზომოდ გაგვახარა. ძალიან მეგობრული შეხვედრა გვქონდა, დავლიეთ ცოტა, მეორე დღესაც შევხვდი და ღამის 4 საათამდე კუს ტბაზე ათას თემაზე ვისაუბრეთ. ისე დაგვათენდა, ვერც გავიგეთ. მეორე დღეს მე დასასვენებლად წავედი, მაგრამ ყოველდღიური მესიჯებით ისე დამეხვა თავბრუ, ვერ ვაცნობიერებდი, რას ვგრძნობდი. ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ვისით? მეგობრის ძველი შეყვარებულით... ვიტანჯებოდი, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი. 22 დღე გაგრძელდა ასე და რომ ჩამოვედი, პირველი ბედნიერი პაემანიც შედგა. 9 ულამაზესი და უბედნიერესი თვე გავიდა და მარტო მე ვიცი, რა ბედნიერი ვარ და რა ტანჯვის შედეგია, მაგრამ ღმერთის წყალობით, უბედნიერესი წყვილი ვართ და მალე ბედნიერად დაგვირგვინებას ვაპირებთ. მარიამი“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ადამიანი ან მოვლენა, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე გავლენა იქონია“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ან მიმწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

„თუ დაიკოს „იგნორს“ გაუკეთებ, გულს უფრო ატკენ“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა მუსუსას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ გოგონა, რომელმაც მას თავი შეაყვარა, მისივე და აღმოჩნდა. „როცა სიყვარული ავუხსენი და ისიც გამომიტყდა, — მეც მიყვარხარო, ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. შეყვარებულობის პერიოდმა 2 წელიწადს გასტანა. ბოლოს, მის დაბადების დღეზე მისულმა ისეთი ამბავი გავიგე, შოკში ჩავვარდი: ჩვენ რაღაცებზე ვლაპარაკობდით და უცებ, დედამისს ფერი ეცვალა; ის ქალბატონი მოგვიანებით გამომიტყდა, რომ მისი ქალიშვილი ჩემი და გახლდათ...“ თურმე, მას შემდეგ, რაც მუსუსამ სიმართლე გაიგო, 1 წელი გასულა და მთელი ამ დროის მანძილზე, ის ყოფილ „ლოვეს“ სიმართლეს უმალავდა, დაშორების მიზეზს არ ეუბნებოდა: „არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა. როგორ ავუხსნა, რომ ჩემი დაა?..“

„ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე სჯობია“

ნიკოლო:

„არ ვიცოდი, საქართველოში ამდენი გაშვილებილ-მიტოვებულ-დაკარგული და-ძმა თუ არსებობდა და თან, ყველას ერთმანეთი თუ უყვარდებოდა. ეს ყველაფერი საეჭვოა, მაგრამ რჩევას მაინც მოგცემ: ტყუილად ნერვიულობ. დედამისი მთელი ცხოვრება ატყუებდა და რა მოხდა, შენ სიმართლეს მხოლოდ ერთი წელი თუ უმალავდი? შინ ესტუმრე და ის ქალი (დედიკო) ფაქტის წინაშე დააყენე; აიძულე, შვილს სიმართლე უთხრას“.

ლუნა:

„ჩემო კარგო, მას უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. აუცილებლად უნდა უთხრა, რომ მისი ძმა ხარ. არ მესმის, მშობლების შეცდომების გამო შვილები რატომ უნდა იჩაგრებოდნენ? მშვიდ ცხოვრებას გისურვებთ შენც და შენს დაიკოსაც“.

კესო:

„ვაიმე, რას გადაეკიდნენ ეს და-ძმები ერთმანეთს? ბოდიში, მაგრამ შენი არ მჯერა და მომკალი. აბა, როგორ შეიძლება, ასეთი ამბავი გაიგო და ამაზე „ხმამაღალი“ რეაქცია არ გქონდეს? შენს ადგილას იცი, რას ვიზამდი? „ლოვეს“ სიმართლეს იმ დღესვე ვეტყოდი, როგორც კი დედამისი დაგელაპარაკა, მერე კი აუცილებლად, მშობლებს მოვთხოვდი პასუხს...“

გიო:

„დარწმუნებული ხარ, რომ ის გოგო შენი დაიკოა? იქნებ ეს ყველაფერი დედამისმა მოიფიქრა, რათა არასასურველი სასიძო თავიდან მოეშორებინა? ამ ამბავთან დაკავშირებით მშობლებს რაიმე ჰკითხე? გირჩევ, თავი არავის მოატყუებინო. ვიდრე იმ გოგოს გულს გაუხეთქავ, სიმართლე გაარკვიე და მერე გადაწყვიტე, როგორც უნდა მოიქცე. გამძლეობას გისურვებ!“

მარიამი:

„საინტერესოა, შენ და შენი დაიკო რამდენი წლისანი ხართ? ისე, ეგ ყველაფერი თქვენი ბრალი ნამდვილად არაა. ვფიქრობ, არც ის გოგო იმსახურებს გაურკვევლობაში ყოფნას. დედამისს სთხოვე, შვილს დაელაპარაკოს ან თავად აუხსენი ყველაფერი“.

ლიზი:

„აუცილებლად, ყველაფერი უნდა უთხრა, თანაც — ეს დედამისის თანდასწრებით უნდა გააკეთო. თუ დაიკოს „იგნორს“ გაუკეთებ, ამით მხოლოდ გულს ატკენ. იცოდე, ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე სჯობია“.

უცნობი:

„ამდენი სერიალის ცქერით გადაიწვები. ტვინი ცოტა ხნით მაინც დაასვენე, თორემ ცოდო ხარ, ცოდოოო“.

SHAMANKA:

„მგონი აჯობებს, თუ ყოფილ „ლოვეს“ სიმართლეს ეტყვი. შესაძლოა, წმინდა დაძმური ურთიერთობა ველარ ჩამოგიყალიბდეთ, მაგრამ გაითვალისწინე — მას უფლება აქვს იცოდეს, რომ შენი დაა. წარმატებები!“

რუსანი (GREEN):

„როცა გაიგე, რომ ის გოგო შენი და იყო, რატომ მაშინვე არ უთხარი ყველაფერი? საინტერესოა, დაშორებისას რა მოიმიზეზე? ჩემი აზრით, მას მხარში უნდა ამოსდგომოდი, მისთვის ყველაფერი უნდა აგეხსნა და თავს დამტყდარ უბედურებასაც ერთად გადაიტანდით. რაც უნდა იყოს, ის შენი სისხლი და ხორცია. ჰოდა, შენი თანადგომა თუ დაცვა მთელი ცხოვრების მანძილზე დასჭირდება. მშობლების შეცდომებზე პასუხი თქვენ არ უნდა აგოთ“.

უცნობი:

„აუცილებლად, სიმართლე უნდა უთხრა, ოღონდ, მარტომ არა — მარტოს ამხელა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება გაგიჭირდება. იმ გოგოს შინ ესტუმრე და დედამისთან ერთად, ყველაფერი აუხსენი“.

ნაფნაფა:

„ყველაფერი უთხარი მანამ, ვიდრე ამას სხვა გააკეთებს. იცოდე, სიმართლეს სხვისგან თუ გაიგებს, მერე შესაძლოა, ხმაც აღარ გაგცეს (მის ადგილას, მე ასე მოვიქცეოდი)“.

აურა:

„ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ, — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. მიდი, გაბედე და უთხარი, რომ მისი ძმა ხარ...“

უცნობი 2:

„შენი ნამდვილად არ მჯერა და იცი, რატომ? დავიჯერო, დედამისს სხვა დროს არასდროს შეხვედრიხარ? როგორ შეიკავე თავი ყვირილისგან, როცა სიმართლე გაიგე? რა უთხარი ყოფილ „ლოვეს“, რის გამო გშორდებიო? 1 წლის განმავლობაში როგორ არ გაგიჩნდა სურვილი, ნაპოვნი დაიკოსთვის სიმართლე გეთქვა და რაღაც-რაღაცების გამო ბოდიში მოგეხადა? როგორ არ გაგიჩნდა სურვილი, ბიოლოგიური მშობლისთვის საყვედური გეთქვა? არა, რა, ასე მგონია, ჩვენი გაშაყირება დაისახე მიზნად და ამიტომაც, შენთვის რჩევის მოცემა ჩემთვის ზედმეტი ბარგია...“

ფრანკო:

„ვერ გავიგე, რა დაგერიათ, ხალხო? უკვე მერამდენე გვწერს, რომ მისი „ლოვე“ მისივე დედმამიშვილი აღმოჩნდა?.. შენი და იმიტომ შეგიყვარდა, რომ ბევრი რამ გაქვთ საერთო. მას ყველაფერი უნდა უთხრა. იცოდე, სიჩუმით გულს უფრო ატკენ, სიმართლეს კი როგორმე გადაიტანს“. ■

„გეი ძმაკაცთან მეგობრობა უნდა შეწყვიტო“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ჰყავს ახლო მეგობარი, რომელიც თურმე გეია. „ეს ამბავი ჩემი მეუღლის ყურამდეც მივიდა და ახლა, მას ღრღნის ეჭვი, რომ მე და იმ ბიჭს მეგობრობის გარდა, სხვა რაღაცაც გვაკავშირებს ანუ ჰგონია, რომ ის ჩემი საყვარელია, არადა, მერწმუნეთ, ეს ამბავი ჩემთვისაც შოკის მომგვრელი სიახლე იყო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? როგორ დავარწმუნო მეუღლე იმაში, რომ მეგობართან სექსუალური ურთიერთობა არ მქონია?..“

„შეიშალა, შეიშალა, შეიშალა ეს მსოფლიო!“

ატარეძსა:

„ქალს, რომელსაც გვერდით ნამდვილი მამაკაცი ჰყავს, ქმრის ორიენტაციის შესახებ ეჭვი არასდროს გაუჩნდება. და კიდევ, ნამდვილ ვაჟკაცს „პიდარასტი“ ძმაკაცი ვერ ეყოლება. ასე რომ, დაფიქრდი — ვინ ხარ შენ?“

რუსანი (GREEN):

„ცოლს ქმრის ორიენტაციაში ეჭვი რა პონტში უნდა ეპარებოდეს? ერთადერთი, რაც შემიძლია გირჩიო, ისაა, რომ მეუღლეს დაუვიწყარი ღამე უნდა აჩუქო და ყოველგვარი ეჭვი გაუფანტო. წარმატებები!“

სვანი:

„კარგი, რა, შენს ცოლს თავში ტვინი არა აქვს? აბა, როგორ შეუძლია, ასეთი რამ გითხრას? ბოლოს და ბოლოს, კაცები რომ მოგწონდეს, მას ხომ არ შეირთავდი ცოლად? P.S. თუმცა, რა იცი, იქნებ სწორედ ცოლის მოყვანის შემდეგ მიხვდი, რომ შენივე სქესის ადამიანები მოგწონს? რა ვიცი, რა ვიცი, ისეთი დრო დაგვიდგა, ყველასგან ყველაფერი მოსალოდნელია!“

გიო:

„შე კაი ადამიანო, თუ ეს ამბავი შენთვისაც შოკის მომგვრელი იყო, როგორ შეგიძლია მასთან ძველებური ურთიერთობა შეინარჩუნო? გეი ძმაკაცთან დაშორებით ერთდროულად, ორ კურდღელს დაიჭერ: ასე ხალხის დაცინვის ობიექტიც არ იქნები და ცოლსაც დაუმტკიცებ, რომ ცისფერები არ გიზიდავს. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!“

კისა:

„რაიო? ჩემი ძმაკაცი გეიაო და ცოლი ეჭვიანობსო? ვაი ჩვენს თავს და უი შენ, უბედურ დღეზე გაჩენილო. ქართველ ვაჟკაცს არც ცისფერობა შეშვენის და არც ფერადი, გაურკვეველი სქესის ადამიანთან მეგობრობა. თუ შენს ძმაკაცს კაცები უყვარს, შენს ცოლს ჰქონია ეჭვიანობის საბაბი და ეგაა. დამიჯერე, იმ ტიპს შენდამი რაღაც გრძნობები აუცილებლად ექნება — ქალისა და მამაკაცის მეგობრობის იმიტომ არ მჯერა, რომ შესაძლოა, მათ შორის სხვა გრძნობები გაჩნდეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კაცს ქალი იზიდავს და ქალს — კაცი. ჰოდა, მერწმუნე, გეისთან მეგობრობა კაცისთვის ასევე საშიშია — შეიძლება, გაცდუნოს კიდეც. ასე რომ, სჯობს მასთან ურთიერთობა შეწყვიტო, თორემ უსაფუძვლო თუ საფუძვლიანი ეჭვიანობის ნიადაგზე შესაძლოა, ოჯახი მართლა დაგენგრეს“.

ჭინჭარა:

„ხომ ხარ ღირსი, კარგად გაგტისკო? აბა, ცოლს კაცის გამო როგორ აეჭვიანებ? კაცო, ამქვეყნად ქალები დაილია, კაცებს რომ არ ესიყვარულოთ? ხომ გაგიგონია: ცეცხლი კვამლის გარეშე არ ჩნდებაო (თუ როგორცაა)? ჰოდა, მეც ღრმად მწამს, რომ შენს ცოლს ეჭვიანობისთვის რაღაც მიზეზი ექნება“.

ბამბუჩა:

„მომიტევე, მაგრამ ასე მგონია, დაგვცინი. გადახრების მქონეებს, უხეშად რომ ვთქვა, ყოველთვის აქვთ ისეთი „დეფექტი“, რომელსაც მათი „არაორდინარულობა“ სააშკარაოზე გამოაქვს და შენმა მეუღლემ გუშინ გაგიცნო? ნუთუ ვერ ხვდება, გაქვს თუ არა „მოგადახრო“ რაღაცები ან დავიჯერო, წლების განმავლობაში მეგობარს თავად ვერაფერს ამჩნევდი? არა, რა, ან მართლა დაგვცინი, ან ნამდვილად შეიშალა, შეიშალა, შეიშალა ეს მსოფლიო!“

ხათო:

„მეუღლეს რომანტიკული საღამო მოუწყვე, საჩუქრებით აავსე და მიახვედრე, რომ მის გარდა ამქვეყნად არავინ გაინტერესებს. ან კიდევ, უკეთესი: ქუჩაში რომ გახვალთ, ქალებს ვნებიანად მიაშტერდი, ყველას „ჩახადე“. ჰოდა, შტერი თუ არაა, მიხვდება, რომ კაცები კი არა, ქალები უფრო გაინტერესებს და გეებზე აღარ იეჭვიანებს. წარმატებებს გისურვებ! იმედია, ჩემი რჩევა გამოგადგება“.

ნია:

„რა სისულელეა? შენს ცოლს ხომ არ აკლია? აბა, როგორ შეუძლია, ქმარზე უმიზეზოდ იეჭვიანოს (ქალზე მაინც ეჭვიანობდეს, რა)?.. ისე, საინტერესოა, ძმაკაცი თავის ორიენტაციას ასე მაგრად როგორ „ფუთავდა“? აქამდე მისთვის არასდროს არაფერი შეგიმჩნევია?.. არა, რა, ახლა გასათხოვარმა გოგომ ის კი არ უნდა იკითხო: ეს ბიჭი ნარკომანი ხომ არააო, არამედ მისი ორიენტაცია უნდა გამოიკვლიო. ქალებო, დავრჩით გაუთხოვრები და ეგაა...“

უცნობი:

„ალბათ, საბაბი მიეცი, თორემ სულელი ხომ არაა, კაცზე იეჭვიანოს? იქნებ, შენ მართლაც გეი ხარ და ცოლი მხოლოდ იმიტომ მოიყვანე, რომ ორიენტაცია დამალო? ალბათ, ახლა ბევრი შემედავება: ასე რომ იყოს, მესიჯს ჩვენ ხომ არ მოგაწერდაო? რა იცი, ამქვეყნად ყველაფერი ხდება. იქნებ ამ კაცმა ახლაც იეშმაკა: შესაძლოა, მისი ცოლი „გზის“ მკითხველია და ამ ჟურნალის დახმარებით ცდილობს, მეუღლეს გზაკვალი აუბნიოს?..“

გაგა:

„შენ ადგილას ან თავს მოვიკლავდი, ან მეუღლეს გამოვჭრიდი ყელს. იმას ვერ ვიტან, ჩემი ცოლი უსაფუძვლოდ, ვიღაც ქალებზე რომ ეჭვიანობს და კაცზე რომ მკითხოს, — ის შენი საყვარელი ხომ არააო, ხომ ამოვხდი ცემაში სულს? ფუჰ, კაცს კაცობა აღარ აქვს და ქალებმა კიდევ, სულ აიშვით, რა“.

ლუნა:

„მოკლედ, ეს ხალხი გადამრევს, რა. მესმის, ცოლმა ქალის გამო იეჭვიანოს, მაგრამ კაცის გამო?.. ვახ! თუმცა, ცოლსაც ვერ გავამტყუნებ. ისე, შენს კაცობაში თუ დარწმუნებულია, არ უნდა ეჭვიანობდეს. აბა, რა ვიცი, სხვა რა გითხრა და გირჩიო? ჰო, შენი ცოლი მართალია: გეი-ნაშები სანდონი არ არიან და მეგობარს თავადაც უნდა აარიდო თავი. აბა, შენ იცი. გაკოცე (იმედია, შენი ცოლი არ იეჭვიანებს)“.

ნიკოლო:

„თვალები მიხატული ხომ არ გაქვს? აბა, როგორ შეიძლება, ძმაკაცს ეგ რაღაც მომენტში მაინც ვერ შეატყო? ცოლს ამ დონის უტიფარი თუ ჰგონიხარ, ვერ ყოფილა შენი საქმე კარგად. მერწმუნე, შენს ადგილას მას არაფრის მტკიცებას არ დავუწყებდი, ეგრევე ჯანდაბაში გავამწესებდი. P.S. ამ შემთხვევაში, შენი გეი ძმაკაცის ბრალეულობას ვერაფერში ვხედავ, მაგრამ თუ არ გინდა, აუტკივარი თავი აიტკიო, მასთან მეგობრობა უნდა შეწყვიტო“.

უცნობი:

„ჩვენი გაშაყირება გადაწყვიტე, არა? აბა, ვერ ვხვდები, „პიდარასტთან“ მეგობრობა როგორ შეგიძლია? ვერა, ვერ გაგიგებ და თუ გინდა, მომკალი! შენი მესიჯის კითხვისას სულ ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ მეც მყავს გეი მეგობარი და... ვერა, ძმაო, ეგეთი ძლიერი ნებისყოფისაც არა ვარ, რა“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ 20-დან 24 წლამდე ბიჭს. ნორმალურს, რა თქმა უნდა, თუ დარჩა ასეთი საქართველოში.

2. მინდა გავიცნო 18-დან 20 წლამდე ასაკის, ზრდილობიანი, სიმპათიური ბიჭი. ვარ 18 წლის. ციცქნა.

3. არ ვარ ბებერი, მაგრამ არც ახალგაზრდა ვარ. :) მართლა, მართლა, არ გამეცნობა კაი ოჯახის ბიჭი? ზრდილობიანი, კეთილი, თბილი და მხიარული? მე 17 წლის ვარ. გულთამპყრობელი.

4. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო მამაკაცი. გახლავართ 25 წლის. ნინო. გთხოვთ, არასერიოზულებმა თავი შეიკავოთ. გახლავართ მარტოხელა გოგო.

5. გთხოვთ, მისცეთ გზა №26 (577), მე-19 მესიჯის ავტორს ეს ნომერი. ვარ 34 წლის, მედდა, ვმუშაობ რაიონის საავადმყოფოში. მინდა პატიოსანი ოჯახის შექმნა.

მამაკაცები

6. ვარ 35 წლის, ცოლს გაშორებული, თბილისელი, ვმუშაობ, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, 28-36 წლამდე, განქორწინებულს, უშვილოს. შემეხმიანეთ.

7. ვარ 23 წლის, დასაქმებული, იმერელი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მეოჯახე, იმერელ გოგოს, 18-დან 22 წლამდე. გასართობად ნუ მომწერთ. დამიკავშირდით საღამოს.

8. აქ პირველად ვამესიჯებ. მინდა გავიცნო წესიერი და სერიოზული გოგონა, 22 წლამდე, ვისაც ოჯახის შექმნა უნდა. მხოლოდ ქუთაისელმა მომწეროს. ვარ 23 წლის. დასაქმებული.

9. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №24-ის პირველი მესიჯის ავტორი ქალბატონის ნომერი.

10. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 20-დან 35 წლამდე, ლამაზ ქალბატონს. ვარ სიმპათიური, დასაქმებული და განათლებული.

11. ვეხმაურები „გზა“ 25, მე-11 მესიჯის ავტორს. მსურს თქვენი გაცნობა ოჯახის შექმნის მიზნით. თუ გამომეხმაურებით, დამიტოვეთ თქვენი ნომერი.

12. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 20-დან 35 წლამდე ასაკის, ლამაზ ქალბატონს. ვარ სიმპათიური, დასაქმებული და განათლებული.

13. გავიცნობ მანდილოსანს. ვარ 35 წლის, ბათუმელი.

14. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს. ვარ სიმპათიური, სპორტული გარეგნობის მამაკაცი, 30 წლის. დავითი.

15. მინდა გავიცნო ჩემთვის სასურველი მანდილოსანი.

16. ვარ 23 წლის, 178 სმ სიმაღლის, 75 კგ, სიმპათიური ახალგაზრდა. მინდა გავიცნო ისეთი მანდილოსანი, ვისაც სითბო და ალერსი აკლია, ვინც თავს მარტოდ გრძნობს და უნდა გვერდით ერთი მამაკაცი ჰყავდეს. ვინც დამეხმარება ფინანსურად, ვინც გამიგებს და გვერდით დამიდგება, მისი ერთგული ვიქნები.

17. ვარ 24 წლის, დასაქმებული, 193 სმ სიმაღლის, 95 კგ; თეთრი კანით, შავი თმითა და ღია მწვანე ფერის თვალებით. გავიცნობ სასიამოვნო მანდილოსანს, სამეგობროდ, მხოლოდ რეალურს.

18. ვეხმაურები „გზა“ 23, მე-2 მესიჯის ავტორს, გულოს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი.

19. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ, თავმდაბალ ქალს, 34-დან 40 წლამდე. ვარ 46 წლის, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. 18 საათის შემდეგ შემეხმიანეთ.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №21, მე-8 მესიჯის ავტორის ნომერი.

21. მაინტერესებს „გზა“ №25, მე-3 მესიჯის ავტორის, მარიკას ნომერი.

22. გთხოვთ, მომცეთ 26-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი.

23. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №26-ში გამოქვეყნებული, 1-ელი და მე-3 მესიჯების ავტორების ნომრები. წინასწარ მადლობა. ზურაბა.

24. ვარ 25 წლის. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის გოგოს, ლამაზი ურთიერთობისთვის, ვარ სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. მურიკო.

25. ვარ 36 წლის, სიმპათიური, განათლებული და მოსიყვარულე მამაკაცი. ვისაც ერთხელ არ გაგიმართლათ სიყვარულში და გული გაქვთ ნატკენი, მომწერეთ, იქნებ ახლა გაგვიმართლოს?!

26. გთხოვთ, მომცეთ 26-ე „გზის“ მე-9 ნომრის, გულთამპყრობლის ნომერი. მადლობა.

27. ვეხმაურები ციცქნას. როგორ დავუკავ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

შირდე? ვარ 22 წლის, საქმიანი ბიჭი და მინდა გავიცნო გოგო.

28. გთხოვთ, მომცეთ 26-ე ნომრის მე-5 და მე-8 მესიჯების ავტორების ნომრები. წინასწარ გმადლობ.

გისოსებს მიღმა

• პატარავ, შემოგეკვლოს ჩემი სიცოცხლე. ახლა რომ გნახე, უფრო იმედიანად წამოვედი. თვალები ძველებურად გიციმციმებდა, დე... იმედიანად იყავი უფრო... მეც იმედი მომეცა... პირველი შემთხვევა იყო, რომ არ ვიტირე. ჩემი პატარა ბიჭუნა... როგორ გზრდიდი, სულს გიბერავდი, არ მოშივდეს, არ დასცხეს, არ შესცივდეს-მეთქი. ახლა კი უჩემოდ ხარ მანდ, მაგრამ უკვე დიდი კაცი ხარ, დედას სიხარულო და დიდი გამოცდილებაც შეიძინე. ამიტომ მაქვს შენი იმედი. მარტო ახლა კი არა, ღმერთი შენს თავს ისევ რომ დამიბრუნებს, მაშინაც მექნება. ვიცი, რომ დედა გიყვარს და არ გინდოდა, ყველაფერი ასე მომხდარიყო, მაგრამ მაინც ასე გამოვიდა. ახლა მეც ვიტანჯები, შენც და კიდევ სხვებიც. ხანდახან, მარტო რომ დავრჩები და ყველაფერს გავიხსენებ, გული ისე მეწურება, თითქოს სისხლის ბოლო წვეთისგანაც უნდა დაიცალოსო. ნეტავ სულ გაჩერდებოდეს, დე... მაგრამ გახსოვს, ადრე, შენ და ბესო პატარები რომ იყავით და მკითხეთ, გაზაფხული რატომაა ლამაზიო? მე გითხარით, იმიტომ, რომ თქვენ გგავთ-მეთქი, — არა, გაზაფხული შენ გგავსო, შენ მითხარი. მერე გაზაფხულზე ლეგენდა მოგიყევით და ბოლოს გითხარით, მე გაზაფხული ძალიან მიყვარს და აუცილებლად გაზაფხულზე მოვკვდები, ოღონდ თქვენ ორივე ჩემ გვერდით უნდა იყოთ, თქვენი ხელები უნდა მეჭიროს და ისე მოვკვდე; იმის მერე, როცა გაზაფხული მოვა, გეცოდინებათ, რომ ის გაზაფხული მე ვარ და გაგათბობთ-მეთქი. შენ და ბესომ იმდენი იტირეთ, ბოლოს შემეცოდეთ და გითხარით, უკვდავების წამალი ვიცი, დავლევ და არასოდეს მოვკვდები-მეთქი. მერეღა დამშვიდდით. მერე ლამის ყოველდღე მეკითხებოდით, დალიე უკვდავების წამალი თუ არაო? მაშინ რომ ასე განიცდიდით, ახლა ნელ-ნელა მკლავთ და ვითომ არაფერი? მართლა კი არ დამილევია უკვდავების წამალი, დე... მოგატყუეთ მაშინ... შენ იცი, დედი, როგორ ჭკვიანად მოიქცევი... იმედიანად ვარ, იმიტომ, რომ სერიოზულ, შენზე უფროს ადამიანებთან ხარ მანდ, შენხელა შვილები ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, შვილივით მოგექცევიან. ღმერთს ვთხოვ, კიდევ ერთხელ მაჩუქოს შენი თავი, როგორც მაშინ, 21 წლის წინ... შემოგეკვლოს ჩემი სიცოცხლე, რომელიც ისევ და ისევ თქვენთვის მინდა. ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ცისფერი თვალებს. დედა.

• ჩემო სიცოცხლევ, ნეტავ, როგორ ხარ? ძალიან მიყვარხარ და სიგიჟემდე მენატრები. რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უშენობა. ნეტავ, როდის დაგვიბრუნებს ღმერთი შენს თავს? რომ გნახულობ, ცოტა ხანს მყოფნის, მერე ვნერვიულობ და ველოდები შენს წერილებსა და ზარს, რომ შენი ხმა გავიგონო. ახლაც ველოდები შენს წერილებს და წავალთ მერე რაჭაში. გული მწყდება, შენს საყვარელ სოფელში უშენოდ რომ მივდივართ. საბა ისეთ რაღაცეებს გვეუბნება, რომ გვაგიჟებს. როცა გაბრაზდება, — სახლიდან წავალ და აღარ მოვალო, — გვეუბნება. დიდ მანქანას ელოდება, მამიკომ უნდა მიყიდოსო. კარგი, ჩემო სიცოცხლევ, თავს გაუფრთხილდი, ბევრს ნუ იდარდებ. კარგად კი გამოიყურები და მეშინია, გოგონებმა არ მომტაცონ შენი თავი. :) შენს ნახვამდე ჩამოვალ და წერილებს აქ მოგწერ. მიყვარხარ ყველაზე მეტად. გკოცნი ბევრს, ჩემო ხატორავ.

• გია-66, გილოცავ, შვილო, შენი ძმისშვილის, თეკლეს დაბადების დღეს. ყოველთვის ამბობდი, ამდენ კაცს ეს ერთი გოგონა გვყავსო. შვილო, გთხოვ, ჯანმრთელობასა და ნერვებს გაუფრთხილდი შენი პირადი, მომავალი ცხოვრებისთვის; შენი საყვარელი, მომავალი თაობისთვის ყურადღების მისაქცევად. შენ ყველას გვჭირდები და ძალიან გვაკლიხარ. გული არ გაიტეხო, ეს ასე უნდა ყოფილიყო. ყველანი კარგად არიან. უფალი გფარავდეს. გკოცნის შენი დედა.

• იკა, როგორ ხარ, დე, მე ძალიან მენატრები. როდის დამთავრდება ეს კოშმარი, ღმერთო. რწმენაში განმტკიცება გვჭირდება, შვილო და დედა ღვთისმშობელი შენს თავს დამიბრუნებს.

• 3.198გი, გნახე და ვიგრძენი, კიდევ მეტად როგორ მომნატრებიხარ. არ მინდა უშენოდ ცხოვრება. რაც უნდა იყოს, მე მუდამ შენთან ვარ და ვიქნები. გკოცნი. გეხვევი. თეე.

• 3.198გი, მივდივარ და მიმყვება უშენობის ტკივილი და დარდი. მაქსიმალურად ვეცდები, ვიზრუნო შენს ჯანმრთელობაზე. გთხოვ, თავს მიხედე. უშენოდ მე არ ვვარგივარ, ბუუს. თეე.

• 3.198გი, წავედით მე და დიტო, დაგტოვე ჩემი გული, სული. ჩემი ფიქრი, ოცნება და ცრემლიანი მონატრება ხარ. როდის გავა კიდევ 1 თვე. ძლიერად იყავი. გკოცნი უთვალავჯერ. თეე.

• 3.198გი, მივდივართ მე და დიტო და ვიხსენებთ, ზამთარში რამდენი ვიწოწიალეთ ამ გზაზე, თოვლსა და ყინვაში. უჯაჭვოდ რომ არ გვიშვებდნენ და ძალლის დასაბმელი ჯაჭვის შემოტარება დაიწყო დიტომ საბურავზე. ახლა გვეცინება. რა ვიტანჯეთ. შენთვის თავს დავდებთ. მიყვარხარ, ბუუს. თეე.

• მიხა, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, როგორ ხარ? შენ რომ დამაბარე, არ შეიძლება, ვერაფრით გამოგიგზავნი. სოფელში ვიყავი და ყველა შენ გკითხულობდა. მოგვენატრე.

• მიხა, ლიკა ვარ. მაგრად მომენატრე. მთელმა ჩემმა ოჯახმა მოგიკითხა. შენი დისშვილი ლიკუნაც სულ შენ გკითხულობს. ყველას გვენატრები. თავს გაუფრთხილდი. ღმერთი გფარავდეს.

• 3.198გი, ნეტავ, როგორ ხარ? უშენოდ უხალისოა ყველაფერი. შენზე ფიქრით მიღამდება და მითენდება. მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მიყვარხარ ბუუს. გკოცნი. თეე.

სხვადასხვა

• როგორ მიყვარხარ, იცი? თვით სიცოცხლეზე მეტად. ჩემი სიცოცხლე ხარ, ვახო, ჩემი უკუღმართი. მიიყვარხაარ.

• კობა გუგუტიშვილო, გმადლობ, რომ ასეთი სიყვარული მაპოვნინე ვახოს სახით. დღეს ის ჩემი სიცოცხლეა და შენ მოგკლა ჩემში. უბედნიერესი ვარ.

• არ ვიცი, რომელ „გზაში“ დაბეჭდავთ ან თუ დაბეჭდავთ საერთოდ, მაგრამ ვეტყვი ნანიკოს, სიყვარულზე მაგარი ლექსი იყო „გზა“ 25-ში. ხუთიანი. ფშაველა.

• ატარექსია, :) ისე გამოგივიდა, თითქოს მე ვინ შენი ფეხები ვარ, როცა სხვებსაც არ იცნობ, არა? მე არ ვბრაზდები, პირიქით, მიყვარს შენისთანა უტაქტო სკეპტიკოსები. ნიკოლო.

• ნაომი, შენი მოკითხვა მიღებულია, გმადლობ! :) „დინამოს“ თამაშს ველოდები ახლა და ლამისაა გული გამისკდეს. „ლივერპულში“ არ მიმართლებს და ამათ მაინც მოიგონ, რა. ტალკერ.

• ნაომი, სიმაღლე არაფერია, თუ სიმპათიური არ ხარ ადამიანი. სიმპათიურობაც უბრალოდ პლუსია, კარგი უნდა იყო. ისე, მაინტერესებს, ვიზუალურად როგორი ხარ. კუნკულა.

• დამიჭირეს, ტანჯვის მახეს გავები, ბნელ საკანში ჩამსვეს განაწამები. გული მტკივა, არვის არ ვებრალები, სად ხარ კარგო, მოდი, გემუდარები. მოდი ტურფავ, გამიხარე მე გული, გითხრა სიტყვა ქართული თუ რუსული, თანამიგრძენ, გახდი ჩემი ერთგული, შენი ტრფობის ალში ვარ მე გდებული. ან სულ მომკალ, გულს მაყარე ლოდები, სამარეში ჩავალ, ტანჯვა-გოდებით, მაგრამ კარგო, იქაც მომაგონდები, შენგან პასუხს იქაც დაველოდები. მოდი, ტურფავ, სათქმელი მაქვს მრავალი, შენ მაგონო მე ჩემი მომავალი, გზა მასწავლე, შენ გულისკენ მავალი, გაგიმხილო გულში ტრფობა ნამალი. მოდი, კარგო, მითხარ რა ვარ, ვინა ვარ, რა გული მაქვს, ფოლადი თუ რკინა ვარ, პროფესიით შოფერი თუ ვინა ვარ, სიწმინდით კი ხელუხლები მინა ვარ. ნუ შეგაცდენს ლექსის წერა, მწერლობა, შოფერი ვარ, შოფრობა მაქვს ხელობა. რა ვქნა, კარგო, ბედი ასე მწერია, ციხე-ციხე გულს ჭირი გამჩენია. მაგრამ შენ ეს ნუ შეგაკრთობს, ლამაზო, გულის კარი, გთხოვ, რომ აღარ ჩარაზო, ნუ გამირბი, ნუღარ ჰბაძავ მონაზონს, გთხოვ მიიღო, მე რომ ტრფობას გთავაზობ. ტანჯული ვარ, ნუთუ არ გებრალები, რად მარიდე მოციმციმე თვალები, რად დაკეტე ნორჩი გულის კარები, სად ხარ, კარგო, მოდი, გენაცვალები (პროსტო, ბიჭების ამბავში დაბეჭდე, რაა).

• ჯ.ხავი, ჩემი სოფელი ახმეტის რაიონს ეკუთვნის და ჩაბინაანი ჰქვია. იქ მხოლოდ აგვისტოს 2 კვირას ვატარებ ხოლმე, წლის განმავლობაში. :-) მოვიკითხავ ნაომის. ბამბუჩა.

• მოვიკითხავ ყველას. განსაკუთრებით — ტირიფი73-ს და მადლობას ვეტყვი თბილი სიტყვებისთვის. ჩემი თხოვნა იქნება, რომ ჩემ მიმართ არასწორად საუბარს შევეშვათ. გამგები გაიგებს, ვისზეც არის ლაპარაკი. განა რომელიმე თქვენგანში ვიწვევ აგრესიას? თუ — კი, მაშინ მითხარით, რატომ? თუ — არა, მაშინ მიხედეთ საკუთარ პათეტიკას. არის ასეთი გამონათქვამი: სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო, ჰოდა, ჩემო კეთილო ხალხო, ნუ ცდილობთ, რომ ის ტკბილი კენწერო მე მოგიმტვრიოთ. ჰოლმსი.

• ჩემი გულითადი სალამი და მოკითხვა ყველა კეთილ მგზავნელს და მათ ერთადერთ ფერიას, ტირიფი73-ს. ნურავინ მოითხოვს ჩემს ნომერს. მოდი, დარჩეს ისე, როგორც არის. ჰოლმსი.

• კუსი22, მადლობა. ლი23, ვწუხვარ, შენი ნომერი ვერ გავიგე და... „ოდნო“ ან ფეისბუქი? აქ თქმა არ მინდა... რომელი მგზავნელის მეგობრებში ხარ? აუ, მინდა ექსკურსიაااა... WANDERER.

• ნუ უფათურებთ რუისპირს სულში ხელებს, ხალხოოოო. რა თქვენი საქმეა, რუის გადახრები აქვს თუ არა? სულაც არაა ცუდი ბავშვი. ჯერ გაიცანით და მერე კომენტარები. WANDERER.

• ლიზი (ლი23), აბა რა! ვიმეგობროთ. :) ჩემი აქაური ნიკით „ფეისზე“ მომძებნე. ამოგიგდებს რაღაცებს და ვიღაცებს, ლაშასაც დაინახავ და ეგ ვარ. ნიკოლო.

• რატომ ეგრე? სულ მინდა, ლაკვასტ, შენთან ცხარე დებატები გავმართო. ახლა, აქ რომ დავიწყო შენი ბოლო ნააზრევის გარჩევა-ანალიზი-კრიტიკა და კონტრარგუმენტებიც მოვაყოლო, ბალანსზე ათი ლარით მეტი უნდა მქონდეს. :) ერთი, რასაც აშკარად ვხედავ, ჭკვიანი და საინტერესო გოგო ხარ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად არ გეთანხმები ხოლმე. ნიკოლო.

• გუშინ აზრს შევხვდი. ვსეირნობდი, ისევ უკან ვაპირებდი დაბრუნებას, მომშივდა. გარდა ამისა, მოიღრუბლა და ვიფიქრე, წვიმა დაიწყება-მეთქი. და, როგორც მოგახსენეთ, აზრს შევეფეთე, ზუსტად არ მახსოვს, რა ადგილზე — იქ, სადაც ქარი შეწყდა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, როცა გამიარა და შემომხედა. უნებლიეთ შევდექი, ასეთი ლამაზი ჯერ არაფერი მინახავს. გოაცებისაგან თავიდან ნაბიჯი ვერ გადავდგი. აზრმა ჩამიარა, დავედევნე, მაგრამ ვერსად ვნახე. უკვე წასულიყო. შეიძლება ასე გამოშტერდე და ასეთი ლამაზი აზრი დაგავიწყდეს?!. გონება დავძაბე, შეიძლებოდა ისევ მოსულიყო, მაგრამ არა, არ მოსულა. სხვა აზრებთან ვეძებდი, მომხიბვლელი, არამომხიბვლელი, საზიზღარ აზრებთან, ამ დროს ახალი აზრები მოდიოდნენ, სხვებსაც შევხვდი, შორს იყო ჩემგან. ვიცოდი, რომ მჭირდებოდა. ამ აზრს დიდი ხანია, ველოდი!.. არ შეიძლება ასე!.. ბოლო იმედი, გავესაუბრე სხვა აზრებს; აზრებს, რომლებიც შნაპსისგან, ღვინისგან, ლუდისგან, მწვადისა და მაღალი ეკლესიის გავლენისგან გებადება. მაგრამ ჩემში იმ დიდი აზრის მონატრება ფხიზლობდა, რომელიც დავკარგე. ნეტავ თუ შევხვდები კიდევ? ზოგჯერ მეგონა, ისევ მოვიდა, მაგრამ ყველაფერი ტყუილი იყო. შეიძლება რაღაც მსგავსება ჰქონდათ ერთმანეთთან, მაგრამ ეს ის არ იყო, უფრო და უფრო მწყდებოდა გული მშვენიერ აზრზე. ვიცოდი, თუ დამიბრუნდებოდა, ისევ შემიყვარდებოდა სამყარო. ყველა მოვიხმე... შეგრძნება? არ გამაცინო! შენც არ გაიცინო! ხშირად ვერ ასხვავებენ. არსებობს ზღვარი, ადამიანს ჰგონია, რომ გრძნობს, მაგრამ ამ დროს მხოლოდ აზროვნებს, აზრი კი ამ დროის შეგრძნებაა... არ გეთანხმები, შემიძლია ერთმანეთისგან შეგრძნებისა და აზრის გარჩევა... მოიცა! მაგალითად, მე რა ვარ?.. არ არსებობს მთლიანად წმინდა აზრი, მასში ყოველთვის არის დამალული გრძნობის რაღაც პროცენტი და პირიქით. მაგრამ აზრი, რომელსაც მე შევხვდი და რომელიც დამავიწყდა, წმინდა აზრი იყო და ამიტომაც მენატრება ასე, მთელი გულით... ის კვდებოდა და როცა მოვიდა სიკვდილის ანგელოზი, თქვა: შენ ხარ ჩემი აზრი, თავში უნდა იცე ხელები, მე სიცარიელე ვარ. ამიტომაც დაგავიწყდი, რადგან სიცარიელეს ვერ შეინარჩუნებ... ლაკვასტი.

• თითქმის ყველა სისულელე დედამიწაზე სერიოზული გამომეტყველებით კეთდება, ამიტომ გაიღიმეთ, ქალბატონებო და ბატონებო. :) ახლა ერთ სისულელეს მეც გავაკეთებ! მალიშა.

• სალამი ყველას, მინდა ჩალაძე ოქროპირს მივმართო: შენ შემთხვევით ფრენასაც ხომ არ ასწავლი?

• პარასკევა, კაი გოგო ჩანხარ და მომეწონა შენი სიზმარი. მეც ვწერდი ეგეთებს და უფრო მეტსაც, მაგრამ მომავალი არ ჰქონდა და მივატოვე, ახლა ობლად აწყვია ჩემი ნაწერები მაგიდის უჯრაში და იქიდან გაღწევა არ უწერია. :(მინდოდა მთელ ქვეყანას წაეკითხა, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა. ბუცა.

• ყველა სევდიან ადამიანს რატომღაც ვეტრფი, ყველა სევდიანს, ასე მგონია, ნაზი აქვს გული, ყველა სევდიანს მსურს მოვეფერო და ვანუგეშო, სევდიან თვალებს რომ ვუყურებ, მეც მტკივა გული. ალბათ რამდენი რამე არის მიზეზი სევდის, თქვენ იცინით, ხოლო მე კი მომიცავ სევდამ; მაშ, გაუმარჯოს სევდიან თვალებს ამ ქვეყანაზე, გულწრფელ სიყვარულს ხომ ყოველთვის სევდა თან სდევდა?!.. სევდიანი ქალი.

• დამიტირებენ თავდავიწყებით, დრო წაშლის ყველა სევდას და ვარამს, ვინ იცის, მერე როდის მივწვდებით, რაც წაუშლია ბნელსა და წკვარამს? მე ვიცი, რომ შენ ყველაზე უფრო დაგაჩნდები და გამოგაკლდები, დარჩები როგორც ჩიორა უფრთოდ და აგეშლება სევდის ნაკვთები. მე ეს მეყოფა, თუკი დაგაჩნდი, თუკი შენს ფიქრთან ვიქნები ახლოს, თუ შემიკედლებ ლანდსა და აჩრდილს, მე არ ვინატრებ სხვა სამოსახლოს! სევდიანი ქალი.

• როცა გაქრება ყველა იარა და შეადნება ცრემლი წამწამებს, როცა ლურჯი ცის ფერი კი არა, დაეფინება ნისლი ამ თვალებს. როცა ჩადგება სულში დუმილი, ჩაწყდება ჩუმი ოცნების ფრენა, როცა დაცხრება ყველა სურვილი, დამიამდება ტკივილი ყველა. როცა ლანდები გარდასულ დღეთა თვალწინ გამირბენს გულის დამწველი, ო, ეს იქნება, ძვირფასო, შენთან გამოთხოვება უკანასკნელი! სევდიანი ქალი.

• GREEN GIRL, საყვარელო! თუ გაინტერესებს, გეტყვი, რატომ მაქვს ასეთი ნეგატიური ნიკი. იმიტომ, რომ გული ძალიან დიდი ტკივილითა და უზომო სევდით მაქვს სავსე, რომელსაც ვერც დრო და ვერც ვერაფერი ვერც კურნავს და ვერც შველის. პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეძატება სევდა და ტკივილი. ამიტომაც მქვია, საყვარელო, სევდიანი ქალი.

• მოკლედ, ფლამინგო სულ „მშიას“ გაიძახის. :) კუჭი არა აქვს, მგონი. :) ბორიალა. :) გადარეული.

• მარიამულ, როგორ ხარ? როგორ გამახარე, ვერ წარმოიდგენ. მართლა კარგი ხარ, რომ ჩემი ტკივილი გულთან ახლოს მიგაქვს. ღმერთი გადაგიხდის სიკეთით. მადლობა. პატივისცემით, ქვრივი.

• ბუცა, ჩემო კარგო, პირველ რიგში მოგიკითხავ, როგორ ხარ? წავიკითხე შენი მესიჯი და მოდი, ახლა შენზე ვილაპარაკოთ. შენ ხარ ბედნიერი ადამიანი იმიტომ, რომ შეგიძლია სიყვარული, მის გვერდით ხარ. სიყვარული ერთადერთი უპირობო იმპულსია ადამიანისთვის, აუცილებელი. აბა მე რაღა ვქნა, ჩემო ბუს? არ მინდა წუწუნი დავიწყო და ვინმეს თავი მოვაბეზრო. იმაზე იფიქრე, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც შენზე მეტად სტკივა ეს ცხოვრება. გაიღიმე და გაიხსენე, შენ ხომ საყვარელი ადამიანი გყავს გვერდით, ვისაც უყვარხარ და გიყვარს, მეტი რაღა გითხრა, ამ შორი მანძილიდან მხოლოდ ეს შემიძლია. ქვრივი.

• ნუგო30-ს მინდა მივმართო: ზუსტადაც რომ ქალის წარსული უნდა გაინტერესებდეს, ამ წარსულით უნდა აკონტროლო. რატომ? იმიტომ, რომ იგივე შეცდომა აღარ დაუშვას. რაც შემეხება მე, ჩემს ცხოვრებაში არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. მოძებნე, ვინც გაუთხოვარი და უშვილო იქნება, ვინც გაგიგებს და გვერდით დაგიდგება, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს. წარმატებებს გისურვებ და ღმერთმა გაგაძლიეროს. ქვრივი.

• სევდიან ქალს მეც მოვიკითხავ დიდი პატივისცემით. მსიამოვნებს შენი ნაწერების კითხვა. ღმერთმა დაგლოცოს. ლაკვასტი.

• ლი23, დარწმუნებული იყავი, რომ ჩემგან ეს არ გემუქრება. უფალის წყალობით, მეგობრობის არსი მესმის. გელოდები. ქაჯების დედოფალი.

• გადარეულო, რით ვერ დამშვიდდი? რა ჯანდაბას გვერჩი, რა გინდა? შენთან საჭორაოდ რომ არ მეცალა, ამაზე აკრიფე? ნაომისგან არაფრით განსხვავდები. ქაჯების დედოფალი.

• მენატრები, ნოდო, როგორ ხარ? ვერ გივიწყებ. რაც უფრო ვცდილობ, რომ დაგივიწყო, ვხვდები, რომ უფრო მიყვარდები. ლიზი123.

• რა იყო და რაღა დარჩა/ სიყვარული თამაშს აჰყვა/ რაც კი წმინდა რამე იყო/ ყველაფერი წარსულს გაჰყვა.../ რა იყო და რაღა არის/ მოგონებაც აღარ არის/ გამაგიჟებს ალბათ მალე/ მონატრება შენი თავის.../ ის რაც იყო, აღარ არის/ სად წავიდა ან სად არის?/ რა ყოფილა, რარიგ რთული/ მონატრება ერთი წამის.../ ყველაფერი ისე გაქრა/ ისე მალე, ისე სწრაფად/ გაფიქრებაც ვერ მოვასწარ/ გადაიქცა უცებ ზღაპრად.../ რა იყო და რაღა

დარჩა,/ ერთი წამიც არ გადარჩა,/ რა ყოფილა ღმერთის ნება,/ რა იყო და რაღა დარჩა... P.S. ნანი ბებოს, კამის, მამუს მოვიკითხავ. P.P.S. მემიტავ, გამიხარდი. ლუნა.

• ეჰ, მე საწყალი, დიდი ამბით გავემზადე საბერძნეთში წასასვლელად. გათენდა 13 და წამოვედით. 14-ში კი საზღვარზე დაგვიჭირეს 13 ქართველი და იცით, სად ვიყავით? — ავტობუსის ჭერში. პოლიციამ ჭერი ამოჭრა და ყვირის, მოდით, ნახეთ, როგორ კუპატებივით არიან ჩაწყობილებიო. ეჰ, არასდროს დამავიწყდება ჭერიდან ხტუნაობა, ბორკილების დადება და ციხეში ზანგებთან წოლა იატაკზე და 3 ციხის გამოცვლა. დაუვიწყარი დღე იქნება ჩემთვის. ახლა კარგად ვარ. ირმა, ათენი.

• ჩემი ყველაზე დაუვიწყარი დღე იცით, რა იყო? ზოგიერთმა რომ ჩამაშპიონა; ჩემს ცხოვრებაში უხეშად რომ ჩაერივნენ, თვითონ კი ისეთ რამეს აკეთებდნენ, რასაც კარგი ადამიანი არ იზამდა. მე კი ერთი შეცდომა არ მაპატიეს. ყველას სამაგიეროს გადავუხდი, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ბოროტებას ბოროტებით უნდა უპასუხო! არა, ბოროტებას სიკეთე ვერასოდეს აჯობებს, მე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე და ძალიან ვნანობ, რომ ულირს ადამიანებს სიკეთე გავუკეთე. მე თუ ერთი შეცდომა არავინ მაპატია, არც მე ვაპატიებ სხვებს ერთ შეცდომას და ყველას დამსახურებისამებრ გადავუხდი! ალბათ მიცნობს ის, ვინც ამას წაიკითხავს, მაგრამ არ მენაღვლება! მე გული მატკინეს და ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთია! სწორედ მათ გასაგონად ვიტყვი, რომ პიჟონური საქციელი გამოუვიდათ! თუ ადამიანი პირში ვერ გეუბნება რამეს და ზურგს უკან ლაპარაკობს, პიჟონია, აბა რა არის? სამწუხაროდ, სიკეთე ვერ იმარჯვებს ბოროტებაზე! სისხლი სისხლით უნდა ჩამორეცხო! სწორედ ასეა! სიკეთეს არავინ დაგიფასებს! კარგისთვის კარგი არავის უქნია! მე გემშვიდობებით!

• მინდა, ბიჭებს მივმართო: დამერწმუნეთ, არც ერთი გოგო არ ღირს ჩვენი სისხლის ღვრისა და ჩხუბის ფასად! ამიტომ სანამ არ დარწმუნდებით საკუთარ გრძნობებში, მანამდე ნუ აუხსნით სიყვარულს! და ნურც გოგონების გამო იჩხუბებთ! რადგან ამქვეყნად შეუცვლელი არავინაა! მჯობნის მჯობნი არ დაილევა! ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით! დამიჯერეთ, ეს ასეა! გოგო რაც უნდა ლამაზი და კარგი იყოს, მასზე უკეთესი ყოველთვის გამოჩნდება! მე ბიჭი ვარ, არც ლოვე მყავს, და თავს ძაან კარგად ვგრძნობ! ასევე მივმართავ გოგონებსაც: ნურც ერთ ბიჭს კისერზე ნუ ჩამოეკიდებით და ნუ გგონიათ ის ერთადერთი და განუმეორებელი; ნუ იტანჯავთ თავს, როცა ლოვეს შორდებით. დამერწმუნეთ: მასზე უკეთესი ყოველთვის არსებობს! და იარსებებს კიდეც! DEVIL LION.

• გამარჯობა, მგზავნელებო. ძალიან მიყვარხართ. არასდროს დამიმესიჯებია. იმედია, ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებთ. გმადლობ. დონ ლუკა.

• გამარჯობა, საყვარელო მარი. როგორ ხარ? მე ძალიან ცუდად ვარ, რადგან ჩემი გზავნილები არ დაბეჭდე. არადა, როგორი იმედი მქონდა?! გული მართლაც ძალიან დამწყდა. ერთი მაინც დაგებეჭდა, შე ქალო, რატომ დამბლოკე? მაინც მიყვარხარ! ჯიგარი ხარ! სევდიანი ქალი.

• ისევ და ისევ შენს წიაღში გული მიმიწევს, გარდასულ დროთა გადმონაშთო, სათნო თქმულებავ, შორიდან შენი სიღრმეები გულს მიჩქროლებენ, შენით ვიცინი, შენით ვოცნებობ, შენით ვტირივარ. დროთა სიღრმიდან ამოთქმული ჯადოსნური ხმა გულისთქმას ჩემსას იდუმალი ნისლებით მოსავს და მეჩვენება სიმთვრალით და ზმანებით მოცულს შორიდან მიხმობ, უსასრულოდ მიხმობ შორიდან... ლაკვასტი.

• სიცოცხლის ზღაპარი, ადამიანურ გრძნობათა შორის დედობრივ სიყვარულზე ძლიერი არც ერთი არ არის. დედისთვის უმთავრესი მიზანი შვილია. დედა ყოველთვის შვილის ცუდ საქციელზე ცრემლს ღვრის, მაგრამ ზურგს არ აქცევს. უგუნური შვილი დედის სევდააო, ნათქვამია. დედა არის ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე შვილებს უძღვნის, დედის რჩევაზე უკეთესი არა არის რა... თუნდაც რამდენი რამ გადაუტანია დედას ჩვენ გამო, როგორი სიფრთხილით გვატარა ცხრა თვე მუცლით, როგორი მტანჯველი ტკივილებით გვშვა, რამდენი უძილო ღამე გაუთენებია ჩვენთვის. რა ტკბილია დედის ლოცვა. სუნიც კი ტკბილია დედის... მე თვალს ვადევნებ მწვანეთვალებას დედის წერილებს, „მობილი-ზაციაში“ — მხოლოდ დედას თუ შეუძლია, ასეთი სათნო, თბილი და ყურადღებიანი იყოს, მხოლოდ დედის თბილ, ტკბილ დამოკიდებულებას შვილისადმი თუ შეუძლია შვილის გაძლიერება... ჩემთვის პირადად განსაცდელის ჟამს, დედის ერთ თბილ და კეთილგონივრულ სიტყვას შეუძლია, ყველაფერი ცუდი დამავიწყოს და მომავალი ნათელ ფერებში დამანახვოს. მადლობა ამისთვის, დე... შეხედეთ ფუტკრებს, ამბობს დეკანოზი ნაუმოვიჩი, ისინი მაშინ კი არ მიატოვებენ საკუთარ დედას, როცა მას უკვე აღარაფერი შეუძლია და დაუძლურებული, სკის ძირში ეცემა. ზედ ევლინებიან და ყოველი ღონით ცდილობენ, აიყვანონ ზემოთ. ერთმანეთს გადაებმებიან, ერთგვარ კიბეს ააწყობენ, რომ დედა ამ კიბით ზემოთ ავიდეს, სადაც მას ყველაზე ბეჯითი მსახურები ელიან. თუ ის ისეა დაუძლურებული, რომ ზევით ველარ ადის, მასთან რამდენიმე ფუტკარი რჩება, თაფლით. ასე კვებავენ დედას, ათბობენ. წარმოიდგინეთ, მაშინაც კი არ მიატოვებენ, როცა მოკვდება. ზედ დაჰფარფატებენ და უნიავებენ, რომ როგორმე გააცოცხლონ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ დედა უკვე მოკვდა, საცოდავი ბზუილით გაეცლებიან იქაურობას... ყოველივე ამის შემდეგ უნებურად ვფიქრობ: მოდი, გონიერო არსებავ, შეხედე ფუტკარს, ისწავლე მისგან შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა, შვილზე ზრუნვა, დედის მოფრთხილება. ჩვენ ხომ ველურები არ ვართ, არც წარმართები და არც უღვთო ხალხი. ჩვენ ხომ დედაეკლესია გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლის პატივისცემას. მოვიკითხავ ყველა ღირსეულ დედას. ლაკვასტი.

• მოვიკითხავ ქვრივს, ჯიუტ-სთარს და ლი-23-ს. ჩემო კარგებო, როგორ ხართ? იმედია, კარგად იქნებით და სულ კარგად და მაგრად გამყოფოთ უფალმა. რადგან სხვა გამოსავალი არ არის, ჯერჯერობით, სანამ პატიმრობაში ვარ, თქვენთვის ვგზავნი წერილებს და მარი ჯაფარიძეს გამოართვით. მე მგონი, მეც დაგტოვებთ მალე, რადგან არავინ მაქცევს ყურადღებას და სუყველა მხოლოდ ერთობა. მარის ვისაც ნომერი ვთხოვე, არ მომცა. რა ხდება ვერ გავიგე! პატ. ნუგო-30.

• გამარჯობა, მის რეალ. როგორ ხარ, მეგობარო, სად დაიკარგე? შენ რომ არ ჩანხარ მობილიზაციაში, ძალიან დაგრუზული ვარ. მარის გამოართვი ჩემი მისამართი და აუცილებლად მომწერე წერილი. კარგად იყავი. პატ. ნუგო-30.

• ჯიუთ სთარ, გამარჯობა, ჩემო უცნობო მეგობარო! ნამდვილად არ ვიცი, როგორ მიიღებ შენ ჩემს წერილს, ერთი იცოდე, რასაც ამ წერილში ვწერ, ეს არის გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვები. დავიწყებ იმით, რომ როგორც სუყველა ქალი, ანალოგიურად სუყველა მამაკაცი ერთნაირი არ არის. თუ კარგად დაფიქრდები, აუცილებლად დამეთანხმები. ერთ შეკითხვას დაგისვამ: გჯერა თუ არა ნამდვილი, ერთგული, უღალატო სიყვარულის? მეც მჯეროდა და მჯერა. მოკლედ, როცა დამიჭირეს, იმ პერიოდში მყავდა ადამიანი, რომელსაც ვაღმერთებდი და თვითონ როგორც ამბობდა, სიგიჟემდე ვუყვარდი. როცა მომისაჯეს, საღამოს დავურეკე და ვუთხარი, თუ ვერ შეძლებ, რომ დამელოდო, დავშორდეთ-მეთქი. თავი გაიგიჟა, რას ამბობ, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდებიო. მერე ყველაფერი აირია. თავისიანებთან ცუდი ურთიერთობა მქონდა იმის გამო, რომ ვერ ვიტან ოჯახში უსამართლობას და რასაც ვფიქრობ, ყოველთვის პირში ვეუბნები. ეს არ ესიამოვნათ და ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენს დაშორებას. მიაღწიეს კიდეც. ჩემო კარგო, ერთეულებს შეუძლია პატიმრის ცოლობა. არ ვიცი... მე მსურს შენი გაცნობა, რა თქმა უნდა, თუ წინააღმდეგი არ ხარ, მაშინ ყველაფერი მომწერე შენ შესახებ; გამომიგზავნე შენი სურათი და მისამართი. პატ. ნუგო30. „გზის“ მეშვეობით მაცნობე, გამომიგზავნი თუ არა წერილს.

• თამუნა მიქელაძეს: თამუნა, ველოდები შენგან წერილს, სურათთან ერთად. შენი ტელეფონის ნომერი მომწერე აუცილებლად და მისამართი, სადაც შეიძლება რომ გამოგიგზავნო წერილი. ყველაფერი მომწერე შენ შესახებ და რაც შენ გაინტერესებს, მკითხე და გულახდილად გიპასუხებ. ოღონდ იცოდე, არაფერი ჩვენ შორის არ უნდა იყოს დამალული, ტყუილს ვერ გაპატიებ. მინდა, უსიტყვოდ გვესმოდეს ერთმანეთის. თუ დამივჯერებ, უბედნიერესი იქნები. თამუნია, სანამ გადადგამ ნაბიჯს, კარგად დაფიქრდი.

• ლი-23-ს: გამარჯობა, ჩემი კარგო! ჩემო პატარავ, მარიმ შენი ნომერი არ მომცა და სხვა გზა არ დამრჩენია, იმიტომ გწერ წერილს. შენ თუ ნამდვილად გსურს ჩემთან მეგობრობა და ა.შ. მაშინ მომწერე ყველაფერი შენ შესახებ და წერილი სურათთან ერთად გამომიგზავნე. მისამართი მარის გამოართვი და მომწერე შენი ტელეფონის ნომერი და მისამართი, რომელზეც შევძლებ, წერილები მოგწერო. იმ ასაკში ნამდვილად არ ვარ, გართობის მიზნით რომ შეგაწუხო. დანარჩენზე შენ თვითონ კარგად დაფიქრდი. მოუთ-

მენლად ველოდები შენს წერილს, სურათთან ერთად. მე კი დროებით გემშვიდობები. გისურვებ ყველაფერ კარგს და საოცარს. „გზის“ მეშვეობით მაცნობე, წერილს გამომიგზავნი თუ არა. გკოცნი.

• მიყვარს მზე ამომავალი, მისი სხივები ბროლისა, ნეტავ თუ კიდევ არსებობს, კოსმოსი იმის გორისა, იგია ჩემი სიცოცხლე, ჩემს გულში შეძრავს ხალისსა, მხოლოდ ვარსებობ, იმედი არ მაქვს მთვარისა. იერი ვაჟკაცისა გაქვს, სინათლე ტურფა ქალისა, სხვისას არაფერს ინდომებ, გადახდა იცი ვალისა, დღისით შენა ხარ ხელმწიფე, მთვარე, ბატონი ღამისა... შალვა ბაციკაძე.

• დღე მშვიდობისა, ძილი ნებისა, ერთადერთი ხარ, შვილი დედისა, როგორ მახარებს ნაზარდი ყლორტი ჩემი ფესვისა. შრომა დაფასდა შენი დედისა, რასაც ვნატრობდი, უკვე მეღირსა, ამბავი მომდის შენი ქებისა... შალვა ბაციკაძე.

• პატარა რომ ვიყავი, დედა ერთ-ერთ თქმულებას გვიყვებოდა: და-ძმანი ტყეში წავიდნენ, სოკოს საკრეფად. ძმას გზა აერია და ერთმანეთს ასცდნენ. გოგონა დაღონებული ჩამოჯდა ქვაზე და ჩიტად გადაქცევა ინატრა, — ასე ყველგან მოვძებნი და თან გამიადვილდება საქმეო. მართლაც, სასწაული მოხდა და გოგონა ჩიტად გადაიქცა, დაიწყო ფრენა და თან თავის ძმას ეძახდა — ბიჭო, გიო! დღეს ამ ფრინველს იადონი ჰქვია და თუ მოუსმენთ მის ხმას, დღესაც დაფრინავს და „ბიჭო, გიოს“ გასძახის... ამ თემაზე მინდა ლექსი შემოგთავაზოთ: და-ძმანი ტყეში წავიდნენ, სოკოს დავკრეფთო ბევრსაო, სოკოს კრეფაში გაერთნენ და ასცდნენ ერთმანეთსაო, შეშინებული იწყებენ, ერთმანეთისა ძებნასა, სულ აერიათ გზა-კვალი, ველარ მიაგნეს ძველ გზასა. ქანცგალეული გოგონა ჩამოჯდა ხისა ძირასა, და ერთი აზრი მოუვა, გულამოსკვნილსა, მტირალსა. ნეტავი ჩიტად მაქცია, გადავიფრინო მთებიო, ძმისა ძებნაში გავლიო, წუთისოფელი ჩემიო. ეს თქვა და ჩიტად გადიქცა, მხრებზე დაესხა ფრთებია და უცებ ცაში აიჭრა, გადაიფრინა მთებია. მას აქეთ ძმასა დაეძებს, ვერსადა ჰპოვა საწყალმა, შედეგი ვერ გამოიღო, მისმა ამდენმა ნაწვალმა. სულ მოიარა ტყეები, განა გზას ადგას იოლსა, დაკარგულ ძმასა დაეძებს, გასძახის „ბიჭო გიოსა“... შალვა ბაციკაძე.

• მომდევნო კვირის თემა რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, მომეწერა. არ ვიცი, რამდენად სწორი მიმართულება მივეცი ნაწერს და რამდენად შეეფერება თემის სათაურს... ცხოვრება მიდის, მიისწრაფვის... თითქოს სადღაც ეჩქარება. ჩვენი ცხოვრების ღამაზი წუთებიც მასთან ერთად ქრება, ნელ-ნელა ვკარგავთ ჩვენს საყვარელ ადამიანებს, ისინი რიგრიგობით გვემშვიდობებიან და სამუდამოდ გვტოვებენ... ჩვენ კი ვაგრძელებთ ცხოვრებას, რომელიც გვახსენებს ჩვენს ძვირფას ადამიანებს: ამ ჩიბუხით მამა ეწეოდა... ამ სავარძელში დედას უყვარდა მოსვენება... ამ ოთახში ჩემი პირველი შვილი დაიბადა... კი, მაგრამ სად გაქრნენ ისინი? დრო დაუნდობელია, ცხოვრება კიდევ უფრო სასტიკი. ერთი ხელის მოსმით შეუძლია, გაანადგუროს ბედნიერება, სიხარული. თუმცა ადამიანი უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და აგრძელებს ბრძოლას ბედნიერებისთვის; ყველაფრის მიუხედავად, აგრძელებს არსებობას, ცდილობს, ახლებურად მოიწყოს ცხოვრება. სასოწარკვეთას არ მიეცეს, რადგან ცხოვრება გრძელდება და იგი მშვენიერია... ცხოვრება მშვენიერია. რა კარგად ჟღერს, არა? ყველა ადამიანს ერთი რამ აერთიანებს — დასასრული. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ასევეა ადამიანიც. თითოეული ჩვენგანი განსხვავებულად ცხოვრობს და ყველა ჩვენთაგანის ცხოვრება ბედნიერებისთვის ბრძოლაა. დამარცხდა იგი მეფისტოფელთან, მაგრამ მან სამუდამო ბედნიერება მოიპოვა, რადგან დამარცხებული და ნატანჯი ადამიანი ნეტარია. თუ ჩავუღრმავდებით, მიეხვდებით, რომ ხშირად ამქვეყნიური დამარცხება ყველაზე დიდი გამარჯვებაა ნეტარების საფეხურზე... პატივისცემით, ლაკვასტი.

• ბაბი, ვინ ხარ? მადლობა მოლოცვისთვის, გაიხარე, დაბადების დღე ისე გავატარე, რომ მაგრად ცუდად ვიყავი. დამიმესიჯე პირადზე, თუ გიცნობ. მინდა, ვინმე მყავდეს მეგობარი. დიკი ანგელი.

• ნაომ, იცინე და იყავი, შენ „მკიდია“ გოგო ხარ, რა. ახლა მე მკითხე, ორსულად ვარ, მეცინება? ეჰ, ჩემო კარგო, ცოდვა ხარ ძალიან, კარგად იყავი. დიკი ანგელი.

• დილა მშვიდობისა, მარიამულოო, ლამაზ დღეს გისურვებ, ჩემო ტკბილო. მაგრად მომეწონა „გზავნილები“. ნეტავ, როგორ ხარ?

• არ ვიცოდი ლექსის წერა, შემასწავლა გრძნობამ წმინდამ, ახლა კიდევ ყველაფერს ვწერ, რაც მინდა და რაც არ მინდა...

• სულ არ მიჭირს სიტყვის წყობა, რითმა ძილშიც ამიგია, როცა გიყვარს, ლექსის წერაც ადვილია, გამიგია! ახლა უკვე ვპოეტობ და... ვგრძნობ, ჩემი გზაც ნაპოვნია! რომ შევეშვა ლექსის წერას, არ მგონია, არ მგონია! ლუნა.

• დიდი მადლობა ყველას, იუბილეს მოლოცვისთვის. ჩემი სიხარულები და სიყვარულები ხართ. გრუზინკა და მილე, ჩემი გულის პეპლები ხართ. გკოცნით ყველას. თქვენი ტირიფი73.

• ბამბუჩა, თამუნა, ირმა, „გზის“ 25-ე ნომრის განცხადებაში წერია ჩემი ნომერი და შემეხმიანეთ. გაკოცეთ. ჩემებო, მიყვარხაართ! ლუნა.

• კვლავ მოსულა რეალი და მოჰყოლია ლიმონა, მათმა რითმამ ტრიპაჩულმა ვერავინ დაგვიმონა, მოსულან და მოჰყოლიათ ეშმაკების გუნდები, აბა ჩქარა დავუშინოთ, ყველამ ერთად გუნდები. რითმა მარტო თქვენ არ იცით, სხვაც ბევრი გვყავს ლიდერი, თქვენ კი მათთან შედარებით, ორივე ხართ ქინდერი... რა გეწყინათ? ასე სწყინდათ სხვებსაც თქვენი სიტყვები, რაც უნდა თქვათ და დაწეროთ, სულ დარჩებით ბრიყვები.

• აუჰ, გუშინ 1 წელი გავიდა, რაც ვმუშაობ. ამდენ ხანს თუ გავქაჩავდი, არ მეგონა. ყოჩაღ — მე! :) დღეს კიდევ, უფროსობამ უძალიანმაგრესი პიკნიკი მოგვიწყო. CRAZY GIRL.

• საღამო მშვიდობისა, მარ. როგორ ხარ, სიხარულო? მომენატრეეე! აუ, პიკნიკიდან ძლივს მოვლასლასდი სახლამდე, ისეთი დაღლილი ვარ, მაგრამ აშკარად ღირდა! გკოცნი. CRAZY GIRL.

• ერთს ვიტყვი: ახლანდელი ბიჭები ლესბოსელები არიან და ამას ქალზე ამბობენ. ფუ, მაგათი... ტრიპაჩობენ, რა, თავი მაგარი ჰგონიათ.

• გურულები აქანა არავინ ხართ? მოკითხვა ახლებს. პერსონალური მოკითხვა, ნანი დუმბაძეს, SWEET GIRL-ს, ფლამინგოსა და ტირიფს. გურულო.

• მომენატრეთ ყველა. კოზანოსტრა (ბისკვიტი).

• როგორ დავიამო სინანული, სულში შემოიჭრა სიმარტოვე, უკვე მეშინია სიყვარულის, რადგან მიყვარდი და მიმატოვე. თამუნა.

• არის წუთები, როცა რაღაცა გეჯავრება. არის წუთები, როცა სიცოცხლე გეზარება, არის წუთები, როცა სიყვარული გენატრება და ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა ვიღაცა გენატრება.



გილოცავ!

• თეკლე ჩუთლაშვილს, ჩემს ლამაზ, ფერია შვილიშვილს, ვულოცავ 10 ივლისს დაბადების დღეს, 14 წლის იუბილეს. ჯანმრთელი და წარმატებული გოგონა გაზრდილიყავი, იცოცხლე დიდხანს, შენს საყვარელ და ლამაზ მშობლებთან ერთად. უფლის წყალობა და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. შენი ნიაზი ბებია.

• გლახო და ლელა, გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელი და დალოცვილი გამყოფოთ. ჩემი სიცოცხლე და სიყვარულები ხართ. მაია.

• გიორგი დათუაშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 2 ივლისი. ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ყოველივე საუკეთესო. უფალმა გაგაძლიეროს, შვილო. გერასიმე.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ზაიმ-აუზი

ქართული ჭიდაობით მოგებული იაპონური ძიუდო

გოგი ფრანგიშვილი

ოლიმპიური თამაშები, როგორც წესი, სენსაციების გარეშე არ მთავრდება. გამონაკლისი არც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადა იყო. ბავარიის მთავარ ქალაქში სხვადასხვა ქვეყნის ათლეტებმა ფანტასტიკური შედეგები უჩვენეს. ამერიკელმა მოცურავემ მარკ სპიცმა მიუნხენში 7 ოქროს მედალი მოიპოვა; მანამდე ამდენი ოქრო ოლიმპიადაზე არავის მოუხვეჭია. სპიცმა და სხვა მოცურავეებმაც მსოფლიოს 12 რეკორდი დაამყარეს. მსოფლიოს რეკორდები დამყარდა აგრეთვე მძლეოსნობაშიც, საერთო ჯამში — 23. რეკორდების ასეთი სიუხვე გარკვეულწილად ელექტრონულმა ტექნიკამაც განაპირობა, რომელიც პირველად, XX თამაშების დროს გამოიყენეს.

მთავარი სენსაცია მაინც საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვება იყო, რომლებმაც ფინალში აშშ-ის გუნდი დაამარცხეს და პირველად დატოვეს ისინი ოქროს მედლების გარეშე. ოლიმპიური ჩემპიონები მაშინ ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია გახდნენ. კიდევ ერთმა ქართველმა — შოთა ჩოჩიშვილმა მიუნხენში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა — ძიუდოისტთა ტურნირში ქვემძიმე წონით კატეგორიაში დაეუფლა ოქროს მედალს, ამასთან, მან ფინალამდე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იაპონელი ფუმიო სასახარაც დაამარცხა.

მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი გორის რაიონის სოფელ გვლევში იზრდებოდა. ჭაბუკობის წლებიც იქ გაატარა. მამამისი თავის დროზე კარგი მოჭიდავე ყოფილა. შოთაც, როგორც ბევრი ქართელი ბიჭი, ქართულს ჭიდაობდა და ანზორ კიკნაძისა და ანზორ ქიბროწაშვილის მიერ მიღწეულის დარ გამარჯვებებზე ოცნებობდა. ეს ფალავნები იმ დროს უკვე მსოფლიოს ელიტას მიეკუთვნებოდნენ და მათ კარგად იცნობდნენ ძიუდოს სამყაროში. თუმცა მარტო ოცნება რომ არ იყო საკმარისი, შოთამ კარგად იცოდა და გამოცდილ მწვრთნელთან — გურამ პაპიტაშვილთან დაიწყო ვარჯიში გორის ცნობილ ძიუდოს სკოლაში. სწორედ გურამ პაპიტაშვილის აღზრდილი იყო ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანზორ ქიბროწაშვილი. თავად ბატონი ანზორიც უწევდა სპარინგ-პარტნიორობას და სხვადასხვა ილეთსაც ასწავლიდა. ხშირად უყვებოდა მსოფლიოს რანგის შეჯიბრებებისა და ტიტულოვანი იაპონელი ძიუდოისტების ჭიდაობის სტილზე.

ჭაბუკობისას შოთა ჩხირივით გამხდარი იყო, თუმცა ძარღვიანიც გახლდათ, მაგრამ მაშინ ძვირად თუ იტყოდა ვინმე, — ეს ბიჭი ნამდვილი მოჭიდავე დადგებაო.

გურამ პაპიტაშვილს მასთან ბევრი შრომა დასჭირდა. ფიზიკური ძალის განსავითარებლად და ტექნიკის სრულყოფისათვის სპეციალურ ვარჯიშებს ურჩევდა. თავადაც შრომისმოყვარე აღმოჩნდა, სოფლიდან ხალისით დადიოდა გორში, ბატონი გურამის აკადემიაში.

19 წლის პერსპექტიული ძიუდოისტი საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმირ ანდრეევმაც შეამჩნია — მოსკოვში გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ანდრეევს თვალში მოუვიდა ქართველის ჭიდაობა და მაშინვე ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვია. ანდრეევი გამოცდილი მწვრთნელი იყო. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ძიუდოისტები, მათ შორის ანზორ კიკნაძე და ანზორ ქიბროწაშვილი, რამდენჯერმე გახდნენ ევროპის ჩემპიონები. მას წვრთნის თავისებური მეთოდი ჰქონდა. არ უყვარდა იმპროვიზაცია, სისტემას მიჰყვებოდა. სწორედ ორგანიზებულობა და გამარჯვების ჟინი მოეწონა გორელ ფალავანში და თავიდანვე ირწმუნა, რომ ამ ბიჭს შეეძლო მსოფლიოს ჩემპიონატისა თუ ოლიმპიური თამაშების მოგება. არც შემცდარა.

1970 წელს თბილისმა პირველად უმასპინძლა ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ახლა მას თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშება ეწოდება. სწორედ ამ ტურნირში მოიპოვა შოთა ჩოჩიშვილმა თავისი პირველი დიდი გამარჯვება. ქართული ჭიდაობის ფანდებით მან ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თუმცა ანდრეევს არ დასცალდა ჩოჩიშვილის გაყვანა

ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე — რატომღაც იგი გაათავისუფლეს ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტიდან, მაგრამ ქართველი ფალავანი მაინც აგრძელებდა მისი და პირადი მწვრთნელის, გურამ პაპიტაშვილის მეთოდებით წვრთნას. 1971 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში დასავლეთგერმანულ ლიუდვიგსჰაფენში შოთა ჩოჩიშვილს მონაწილეობა არ მიუღია. საბჭოთა ნაკრებმა კი გამოცდილი ვლადიმერ ანდრეევის გარეშე ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვა. როგორც ჩანს, იქ, ზემოთაც მიხვდნენ და ანდრეევი ისევ დააბრუნეს ნაკრებში.

უცნაურია, მაგრამ იმ პერიოდში ძიუდოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები ჯერ კიდევ არ ტარდებოდა; უფრო მეტიც — ძიუდოს დამოუკიდებელი ფედერაციაც კი არ არსებობდა. ჭიდაობის ამ სახეობაში ძირითადად სამბისტები ჭიდაობდნენ. ასე იყო 1957 წელს, როდესაც საბჭოთა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართა ბუდაპეშტში მასპინძელთა გუნდთან. ბიძინა მაზიაშვილმა, შოთა დაუშვილმა, გურამ სიმონიშვილმა და ოთარ შინჯიკაშვილმა ჯერ სამბოში დაამარცხეს მასპინძლები, ხოლო შემდეგ — ძიუდოშიც. ჩვენი პირველი ევროპის ჩემპიონები, კიკნაძე-ქიბროწაშვილიც სამბისტები იყვნენ და ტოკიოს ოლიმპიადის პირველი პრიზიორები, ფარნაოზ ჩიკვილაძე და ანზორ კიკნაძეც ასევე სამბოს ჭიდაობდნენ. ერთადერთი — შოთა ჩოჩიშვილი მოვიდა ძიუდოში ქართული ჭიდაობიდან, თანაც, ოლიმპიურ გუნდში ისე მოხვდა, რომ საქართველოს ჩემპიონის ტიტულსაც კი არ ფლობდა. ანდრეევს საოცრად სწამდა ჩოჩიშვილის. ხშირად ეუბნებოდა, — შენ ჩემპიონი გახდებიო. მაშინაც კი ამხნევებდა, ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე კისრის მძიმე ტრავმა რომ მიიღო და ჩემპიონობა კი არა, თამაშებში მისი მონაწილეობაც სათუო იყო: იჭიდავებ და ჩემპიონიც გახდები! ეს ტრავმა კარგი ნიშანია — 1962 წელს ანზორ კიკნაძემაც მიიღო ტრავმა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, ევროპის ჩემპიონი მაინც გახდაო.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშები 1972 წლის 26 აგვისტოს გაიხსნა. XX ოლიმპიადის დედაქალაქმა მანამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა. იმ დროისათვის ეს ყველაზე ძვირად ღირებული ოლიმპიადა იყო. ორგანიზატორებმა 2 მილიარდი მარკა დახარჯეს, პირდაპირი ტელერეპორტაჟები კი ერთმა მილიარდმა ადამიანმა ნახა. საქართველოდან თამაშებში 16-მა სპორტსმენმა იასპარეზა და მათ 6 ოქროს მედალი მოიპოვეს. არც მანამდე და არც მას შემდეგ ასეთი წარმატება აღარ გვქონია. შოთა ჩოჩიშვილის „ოქროს დღე“ კი 2 სექტემბერს დადგა. ქვემძიმე წონის ძიუდოისტთა ოლიმპიური ტურნირის პირველ წრეში მისი მეტოქე ჩრდილოკორეელი ჩუო დუ იონგი იყო, მაგრამ ორთაბრძოლაზე იგი არ გამოცხადდა და ქართველს გამარჯვება მიენიჭა. ერთი მხრივ, მან ძალები დაზოგა, მაგრამ მეორე მხრივ, ბრძოლის რიტმში ჩაჯდომა ვერ მოასწრო. მეორე წრისათვის ეს არცთუ სახარბიელო უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შემდეგი მეტოქე ქვემძიმე წონის გამოკვეთილი ფავორიტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იაპონელი ფუმიო სასახარა გახლდათ. სასახარამ თავისი პირველი ტიტული 1969 წელს მეხიკოში მოიპოვა, შემდეგ ლიუდვიგსჰაფენშიც გაიმარჯვა და ახლაც უცილობელ პირველობას ყველა მას ანიჭებდა; ყველა — ვლადიმერ ანდრეევისა და შოთა ჩოჩიშვილის გარდა.


ერთადერთი — შოთა ჩოჩიშვილი მოვიდა ძიუდოში ქართული ჭიდაობიდან

შოთა ჩოჩიშვილი იგონებს:

— *სიმართლე გითხრათ, სასახარას შიში ნამდვილად არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ძიუდოისტი იყო, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიც. ზოგი ფიქრობდა, რომ რატომღაც მეტოქის ტიტულებს უნდა დავეთრგუნე, მაგრამ ასე არ ყოფილა. იაპონელებმა იციან ძიუდოს ყადრი. ისინი საკუთარ თავსაც პატივს სცემენ და მეტოქესაც. მათ იციან გახსნილი, ვაჟკაცური ჭიდაობა. რომ იტყვიან, შემოდიან ფანდზე, უკან დახევა არ უყვართ. მეც ზუსტად ეგ მაძლევდა ხელს. ერთნაირად ძლიერი ვიყავი დაცვაშიც და შეტევაშიც, მაგრამ სასახარასნაირ მეტოქესთან მარტო ეს არ იყო საკმარისი. მთავარია რწმენა. გამარჯვება მაშინ შეგიძლია, როდესაც გწამს, რომ შეგიძლია გაიმარჯვო. ეს აუცილებელი პირობაა. ბევრი ფალავანი მინახავს, შედარებით სუსტ მეტოქესთან რომ წაუგია. ჩემი აზრით, მათ იმ მომენტში საკუთარი თავის არ სჯეროდათ. ვლადიმერ ანდრეევმა ჩამინერგა ეს რწმენა. მეუბნებოდა: შენ გაქვს შანსი, ჩემპიონი გახდეო. სასახარა ჩვენს მადლიან ქართულ ფანდზე — კისრულზე „წამოვიღე“ და სულ რაღაც ხუთ წუთში იპონით გავიმარჯვე. თავადვე არ სჯეროდა, რომ ასე ადვილად დავამარცხე.*

შოთა ჩოჩიშვილმა მთავარი კონკურენტი კი ჩამოიცილა გზიდან, მაგრამ მომდევნო წრეში მოულოდნელად ბრიტანელ დევიდ სტარბურგთან წააგო. ახლა მოქმედი წესებით, ჩოჩიშვილი ოქროს მედალს ვეღარ შესწვდებოდა, მაგრამ მაშინ ოქროს მოპოვება ერთი მარცხის მიუხედავადაც შეიძლებოდა, ოღონდ — სტარბურგსაც უნდა გაეგრძელებინა წარმატებით ასპარეზობა. ბრიტანელმა არ „უღალატა“ ქართველს და ფინალამდე დაუმარცხებლად იჭიდავა, ხოლო ჩოჩიშვილი ისევ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ვლადიმერ ანდრეევმა გაამხნევა, — ეს კარგი მარცხი იყო; ახლა სასახარა ვერ მოისვენებს, სტარბურგი მოიგებს შემდეგ ორთაბრძოლებს, ჩემპიონი კი მაინც შენ გახდებიო. ანდრეევი თითქოს წინასწარმეტყველი იყო: „დამამშვიდებელ“ შეხვედრებში ჩოჩიშვილმა მართლაც ჩინებულად იჭიდავა, ფრანგ პიერ ალბერტინის, ამერიკელ ჯეიმს უოლის და დასავლეთგერმანელ პაულ ბარტს — სამივეს — იპონით მოუგო. ამისათვის მას საერთო ჯამში, სულ რაღაც 5 წუთი დასჭირდა. ფინალში იგი კვლავ სტარბურგს შეხვდა.

შოთა ჩოჩიშვილი:

— *ახლა ჩემთვის მთავარი იყო, არაფერში დამეშვა შეცდომა. ასე ახლოს ოლიმპიურ ოქროსთან არც ერთი საბჭოთა ძიუდოისტი არ ყოფილა. თუ გავიმარჯვებდი, მე*

ვიქნებოდი პირველი. ეს ჩემთვის სასიამოვნოც იყო და სანერვიულოც. ბრიტანელს ფინალში გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა — მან ერთხელ უკვე მომიგო. ამიტომ გადამწყვეტი შეხვედრა გონივრულად უნდა წარმემართა. ფინალი კოშმარი აღმოჩნდა, დიდხანს გაგრძელდა. ერთ მომენტში წინა სარმა გამოვდე, ის დაეცა და, როგორც ჩანს, ფეხი იტკინა. ექიმები კარგა ხანს დასტრიალებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა და ბრძოლა გაგრძელდა. ვხედავდი, როგორ ელეოდა ძალა. მეც დავიღალე. ანდრეევი იქვე, ტატამთან იდგა და მოწონებით მიქნევდა თავს. მას ბოლომდე სჯეროდა, რომ გავიმარჯვებდი. პირველ შეხვედრაში სტარბურგმა რომ მომიგო, მხოლოდ ერთი კოკა ამართვა. ამჯერად კი ვერც ეს მოახერხა. როგორც იქნა, დრო ამოიწურა და მსაჯების გადაწყვეტილებას ველოდით.

მოლოდინის ის წამები ალბათ გულის გამაწვრილებელი იყო შოთა ჩოჩიშვილისა და ვლადიმერ ანდრეევისთვისაც, მაგრამ ამასთანავე — დაუვიწყარიც. მსაჯებმა გამარჯვებულად ქართველი ფალავანი გამოაცხადეს და შოთა ჩოჩიშვილი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა საბჭოთა ძიუდოისტებს შორის.

22 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ზეიმით დახვდნენ მშობლიურ გორში. ბედნიერი იყო მისი მწვრთნელიც, გურამ პაპიტაშვილიც, რომლის შეგირდმაც ქართული ჭიდაობით იაპონურ ძიუდოში მარადიული ტიტული მოიპოვა. მიუნხენის ტატამზე პირველი დანის მფლობელმა ჩოჩიშვილმა მეოთხე დანის მფლობელები — სტარბურგი და ბარტი — და მეექვსედანოსანი სასახარა დაამარცხა! ეს საოცარი წარმატება იყო, ხოლო მისი ოლიმპიური ოქროს მედალი სპორტული კარიერის „ევერესტი“ აღმოჩნდა. შემდგომში მან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც იჭიდავა, მონრეალის ოლიმპიურ თამაშებშიც გამოვიდა, მაგრამ მიუნხენის მსგავი გამარჯვება აღარ მოუპოვებია.

1973 წლის თებერვალში შოთა ჩოჩიშვილი კვლავ ჩვეულ სპორტულ ფორმაში იყო და თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მეორედ მოიპოვა პირველობა. აი, რამდენიმე თვის შემდეგ მადრიდში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატზე კი, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. იგივე გამეორდა ევროპის მომდევნო ჩემპიონატზეც, რომელიც ლონდონში ჩატარდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც. რიგაში ჩოჩიშვილი ორ ჯილდოს დაეუფლა: მძიმე წონით კატეგორიაში ვერცხლი დაისაკუთრა, აბსოლუტურში კი — ბრინჯაო. ასევე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ევროპის მორიგ ჩემპიონატებზე, მაგრამ ყველაზე გულდასაწყვეტი მისთვის ალბათ 1975 წლის ვენის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, სადაც აშკარად იმსახურებდა უმაღლესი სინჯის ჯილდოს. ავსტრიის დედაქალაქში ქართველმა ფალავანმა ტურნირი კარგად დაიწყო, ზედიზედ რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში იაპონელ ხარუკი უემურას შეხვდა. იაპონელ ძიუდოისტებთან მას დადებითი ბალანსი ჰქონდა და ახლაც გამარჯვების ეიმედებოდა. ერთ მომენტში დაიჭირა კიდეც მეტოქე და ბეჭებზეც დააგდო. იმდენად ეფექტური გდება გამოვიდა, იფიქრა, იპონით გავიმარჯვებო და ბეჭებზე გადაკოტრიალდა. უემურამ კი ისარგებლა ქართველის წამიერი მოდუნებით და შებოჭვა დაუწყო. მსაჯებმაც ჭიდაობის გაგრძელება ბრძანეს. საბოლოოდ, უემურამ გაიმარჯვა, ის ჩემპიონიც გახდა, ჩოჩიშვილი კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხარუკი უემურა შოთა ჩოჩიშვილისათვის გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. მომდევნო, 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზეც ნახევარფინალური ორთაბრძოლა სწორედ ამ იაპონელთან წააგო, უფრო სწორად — არ წაუგია, მაგრამ მსაჯებმა ასე ჩათვალეს. პირველ წრეში გორელმა ძიუდოისტმა აშკარა უპირატესობით, ვაზარით სძლია იუგოსლავიელ რადომირ კოვაჩევიჩს. შემდეგ ჩეხოსლოვაკიელი ვლადიმირ ნოვაკიც დაამარცხა. აი, მერე კი უემურასთან ვერაფერს გახდა. თუმცა მინიმალური შეფასება — კოკა ვერც იაპონელმა დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაში, მსაჯების გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ ძიუდოისტს ანიჭებენ უპირატესობას და ხარუკი უემურას ხანტეით გამარჯვება მიაკუთვნეს. ოქროს მედალი ამჯერადაც მას დარჩა, ხოლო ჩოჩიშვილმა „ბრინჯაოსთვის“ შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ ჟან-ლიუკ რუჟეს მოუგო და თავისი მეორე ოლიმპიური ჯილდოთი, ამჯერად — ბრინჯაოს მედლით დაასრულა სპორტული კარიერა.

10 ივლისს შოთა ჩოჩიშვილს დაბადებიდან 61 წელი შეუსრულდებოდა... ■

ინდოელი ქალის სილამაზის სიმბოლოები

ინდოელი ქალის სრულ მორთულობას შრინგარი ჰქვია. იგი ვიშნუს ცოლის, სილამაზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ შრი-ლაქშმის უკავშირდება. ინდოელი ქალი ლამაზად მიიჩნევა, თუ მას სილამაზის 16 ნიშანი ამშვენებს, რაც მთვარის ფაზებთანაა დაკავშირებული (თანაც, ინდურ მითოლოგიაში ნახევარღმერთები 16 წლისანი არიან).



• შუბლზე დეკორატიული ხალს ბინდი ჰქვია. მას „მესამე თვალის“ ადგილზე იკეთებენ.

• ქმრის მორჩილი, გათხოვილი ქალი ვარცხნილობის განაყოფს წითელი ფხვნილით იღებავს. პირველად მას ქორწილის დღეს იკეთებენ. წითელი ნაყოფიერების, ძალაუფლებისა და სატის (მსხვერპლშეწირვის რიტუალი) სიმბოლოა. ქვრივის პატიოსნებაში ეჭვი რომ არავის შეეპაროდა, გარდაცვლილ ქმართან ერთად, ცოცხლად წვავდნენ.

• ტიკა სამკაულია, რომელსაც გათხოვილი ქალები ვარცხნილობის განაყოფში იკეთებენ. მისი დაბოლოება შუბლის ცენტრში უნდა მოექცეს. ტიკა ქალის სიმბოლოა, რომელმაც ქმრის ოჯახის ტრადიციები უნდა დაიცვას და მემკვიდრეები გაუჩინოს.

• თვალის გარშემო შავი ფანქრით

შესრულებულ კონტურს კოლი ჰქვია.

• ძველად, ღალატში შემჩნეულ ცოლს ცხვირს აჭრიდნენ. ცხვირში საყურე — დეფლორაციის სიმბოლოა.

• ინდოელ ქალს ყელი მძივით (ჰაარა) უნდა ჰქონდეს დაფარული. მიაჩნიათ, რომ სამკაულს სიყვარულის შენარჩუნება, წარმატების მოტანა და ავი თვალისგან დაცვა შეუძლია.

• საყურეს კარნ პხული (ყვავილი ყურში) ჰქვია. ინდოელების დაკვირვებით, ღმერთებსა და ფილოსოფოსებს გრძელი ბიბილოები ჰქონდათ. ქალისთვის საყურეს ბედნიერება მოაქვს. რაც უფრო ძვირფასი საყურე უკეთია ქალს, მით უფრო ბედნიერია. ზოგჯერ საყურე იმდენად მძიმეა, რომ მას სარჭებით თმაზე იმაგრებენ.

• მეჰენდი ინით შესრულებული ნახატია, რომელიც მხოლოდ რამდენიმე დღე ძლებს. ძველ ეგვიპტეში ქალები ინით მთელ სხეულს იხატავდნენ. XII საუკუნიდან მეჰენდის გაკეთება ინდოეთშიც დაიწყეს. ქორწილის წინადღეს პატარძალს ხელფეხს უხატავენ, დარჩენილ ინას კი მიწაში მარხავენ. რაც უფრო დიდხანს ძლებს ინის ნახატი, მით მყარი იქნება ცოლქმრის სიყვარული. მეჰენდის დღესასწაულებზეც იკეთებენ.

• გათხოვილი ქალი საზოგადოებაში სამაჯურების გარეშე არასდროს ჩნდება. მას ყოველ ხელზე 8, 12 ან 24 სამაჯური უნდა ეკეთოს.

• სილამაზის სიმბოლოდ მიიჩნევა ორნამენტებითა და ძვირფასი თვლებით დამშვენებული სამაჯური მკლავზე. მას ბაჯიუბანდი ჰქვია.

• ცერა თითს — მტევნის მეფეს ეძახიან. ინდოელმა ქალმა ამ თითზე სარკიანი ბეჭედი უნდა ატაროს, ახალგაღვიძებულმა პირველად სარკეში რომ ჩაიხედოს. დანარჩენ თითებზე ოქროს ბეჭდები უნდა ეკეთოს, ერთმანეთთან 5 ძეწკვით მიმაგრებული, ხოლო სამაჯურებთან — სამით.

• თმა სიცოცხლის ენერგიის სიმბოლოა. ძველად ადამიანები ღმერთებს საკუთარ თმას სწირავდნენ. ქალმა ნაწნავი უნდა ატაროს, რადგან სამ ძირითადად ღმერთს მიაგოს პატივი. ინდოელი ქალი გრძელ ნაწნავს (კუშაპაშაჩარაჩინას) ატარებს.

• კამარბანდი სარის დასამაგრებელი ქამარია, გათხოვილი ქალი მასზე გასაღებების აცმას იმაგრებს. ასეთ აცმას დედამთილი რძალს გადასცემს, ამით მიანიშნებს, რომ ოჯახის საქმეებს მას გადააბარებს.

• ინდოელი ქალები ფეხის სამაჯურზე ზოგჯერ ზანზალაკებს იმაგრებენ. ფეხსამკაული შესაძლოა, ფეხის თითებზე წამოცმულ ბეჭდებზე იყოს დამაგრებული.

• ინდური ეროვნული სამოსია სარი. ინდოელი ქალი ვერც კი გაბედავს ევროპული სამოსის ჩაცმას.

■

მძიმეწონიანები

⅄ დედამიწის ყველაზე მსუქანი 181-კგ-იანი გიმნასტი — მეთ ალედინია. წონის მიუხედავად, ის ძალზე მოქნილია და ცირკში სხვადასხვა ნომერს ასრულებს.

⅄ ტერი სმიტი 317 კგ-ს იწონის. ჭარბი წონის გამო ქალბატონს მოძრაობა არ შეუძლია. ტერი ბავშვობიდან მსუქანია — 7 წლისა 70 კგ-ს იწონიდა. სიმსუქნეს არავჯანსაღ საკვებს აბრალებს.

⅄ 272 კგ-იანი ჯორჯ ჯოლისერი 2007 წელს დაეკავეს. რესტორანში ფულის გადახდა არ უყვარდა. მოსამართლემ ციხის ნაცვლად, ის მოხუცებულთა თავშესაფარში გაუშვა, რადგან ციხეში მისი შენახვა უფრო ძვირი დაუჯდებოდა.

⅄ ჩინეთში ყველაზე მსუქანი ბავშვი, 64-კგ-იანი ლუ ხაო ცხოვრობს. საბავშვო ბაღში ის არ მიიღეს, რადგან ჯგუფელებისთვის დისკომფორტი არ შეექმნა. ჩინეთში მას „პატარა იმპერატორს“ ეძახიან. ხაო ძალიან განებივრებულია, დედისერთაა, თანაც — ვაჟი.

⅄ მანუელ ურიბე 317 კგ-ს იწონის და სიმძიმის გამო საწოლიდან ბოლო 6 წელია არ ამდგარა. თუმცა ამ ფაქტს მისთვის დაქორწინებაში ხელი არ შეუშლია. 2001 წელს ურიბე 560 კგ-ს იწონიდა. წონაში დაკლება დიეტოლოგ — ბარი სირსის დახმარებით შეძლო.

⅄ ამერიკის პრეზიდენტებს შორის ყველაზე მსუქანი უილიამ ჰოვარდ ტაფტი იყო. ამბობენ, რომ შხაპის მიღებისას, 159-კგ-იანი პრეზიდენტი რამდენჯერმე გაიჭედა სააბაზანოში და მის ამოსაყვანად ამწეს გამოძახება გახდა საჭირო.

⅄ ახალშობილი ნადია კალინა 7,65 კგ-ს იწონიდა. ყველაზე მძიმეწონიანი (10,8) აშშ-ში 1897 წელს დაიბადა და მხოლოდ 11 დღე იცოცხლა.

⅄ 2007 წელს ამერიკაში ყველაზე მსუქანი ბავშვი — ჯესიკა ლეონარდი ტელევიზიით უჩვენეს. 7 წლის გოგონა 222 კგ-ს იწონიდა. სიმსუქნის გამო გოგონას მეტყველება უჭირდა და ვერც დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა. ჯესიკა 3 წლის ასაკში 77, ხოლო 4 წლისა უკვე 100 კგ-ს იწონიდა. ტელეეთერის შემდეგ გოგონა კლინიკაში მოათავსეს და ექიმების მეთვალყურეობით 140 კილო დაიკლო. დიეტის შემდეგ გოგონას პლასტიკური ოპერაციებიც დასჭირდა, გახდომის შემდეგ დარჩენილი ზედმეტი კანი რომ მოეჭრათ. ერთწლიანი მკურნალობისა და დიეტის შემდეგ გოგონამ მისი ასაკისთვის შესაფერის წონას მიაღწია.

■



ანეკდოტები

***

ჭიჭიკიას მუცელი სტკივა. მივიდა ექიმთან. ექიმი რუსია და ეკითხება:

— ბალიტ?

— არა, მსხალით! — ოხრავს ჭიჭიკია.

***

— ამბობენ, ალკოჰოლი ადამიანს ბევრს ალაპარაკებსო.

— ტყუილია! ჩემი ცოლი საერთოდ არ სვამს.

***

— დაასახელეთ მხურვალე სიტყვა, რომელიც 3 ასოსგან შედგება.

— მზე!

***

ნაწყვეტი ადამიანის უფლებათა დამცველის გამოსვლიდან: „სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ასე ბევრნი არ იქნებოდნენ, ჩვენ მათ ზურგს რომ არ ვაქცევდეთ!“.

***

2 დაქალი საუბრობს:

— როგორ მიდის საქმეები ვასიკოსთან?

— შესანიშნავად. მან ჩემში ქალი გააღვიძა!

— თავისი მაღვიძარათი?

***

— როდის ქორწინდები?

— 21 ივნისს.

— მაგ დროს ხომ ყველაზე მოკლე ღამეა წელიწადში?

— ნამდვილად.

— ლაჩარო!

***

— რა ლამაზი ბარათებია! რა აწერია?

— „ჩემს ერთადერთ სიყვარულს“.

— მომეცით 10 ცალი.

***

საქორწინო ღამეა. პატარძალი ქალიშვილი არ აღმოჩნდა. სიძე ადგილს ვერ პოულობს:

— ეს რა გამოვიდა! ხომ მეფიცებოდი, არავისთან ვყოფილვარ, ქალიშვილი ვარო!

— მართლა ასე გითხარი?!. ვაიმე, რა უხერხულია!..

***

დირექტორმა კლასში ახალგაზრდა ქალი შეიყვანა.

— გაიცანით, ბავშვებო, ეს თქვენი ახალი მასწავლებელია. იმედია, მოგეწონებათ.

ერთ-ერთი მოსწავლე:

— მდაა, ფიგურას არა უშავს.

დირექტორი (ამაყად):

— მე თავად შევარჩიე!..

***

პირველი პაემანი. გაუბედავი ბიჭი შეყვარებულ გოგოს ეკითხება:

— ჩემამდე ბიჭები გყავდა?

— ბიჭები არა... ორი გოგო... ახლა ბებიასთან არიან...

***

— 1 ყური, 1 თვალი და 1 რქა. რა არის?

— ძროხა კუთხიდან იყურება.



***

— მანქანა ვიყიდე!

— რა ფერია?

— ჩემი თმისფერი.

— ვაა, ხუჭუჭა?

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დასახელეთ ორგზის სტალინის პრემიის ლაურეატი ქართული კომპოზიტორი, რომელიც ისე გახდა კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, რომ კომუნისტური პარტიის წევრი არასდროს ყოფილა.

2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, მაგრამ შეუძლებელია, არ დაემორჩილო ძალას“?

3. დასახელეთ ქართული პოეტი, რომელსაც როცა სასმლისათვის ფული არ ჰყოფნიდა, მებუფეტეს ლენინის ოქროს ორდენს უტოვებდა გირაოში.

4. შაო-ლინის მონასტრის ბერები ხელჩართული ბრძოლის დიდოსტატები არიან. ვინ არის, მათი თქმით, ბრძოლის დროს ადამიანის ერთადერთი მოწინააღმდეგე?

5. „თქვენზე ამბობენ, სამხედრო ფორმის შიგნით ჯავშანჟილეტს ატარებსო, მართალია?“, — ჰკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა 1980 წელს ამერიკაში დიპლომატიური ვიზიტით ჩასულ ფიდელ კასტროს. რა უპასუხა „თავისუფლების კუნძულის“ ბელადმა ჟურნალისტს?

6. რატომ მიიჩნევა სქაიდაივინგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სპორტად.

7. რა არის „ერქვანი“?

8. რომის პირველი მეფე და მისი უკანასკნელი იმპერატორი სეხნიები იყვნენ. გაიხსენეთ მათი სახელი.

9. დასრულეთ რუსული გამონათქვამი: „ჩემ ვიშე ზაბორ, ტემ ლუ...“.

10. ვინ არის „მენესტრელი“?

11. დასახელეთ ერთადერთი ადგილი, სადაც ბომბის პლანტაციებიდან გაქცეული ზანგი მონები სრულ თანასწორუფლებიანობას აღწევდნენ.

12. ეს ინგლისელი მწერალი ერთხელ ბუკინისტურ მაღაზიაში საკუთარ წიგნს წაწყდა, რომელიც მან თავის დროზე საჩუქრად მიართვა მაღალი წრის ერთ ქალბატონს. პირველ გვერდზე შემორჩენილი იყო წარწერა: „მეგობრული სურვილებით“. მწერალმა იყიდა წიგნი. პირველ მიძღვნას ქვეშ მიაწერა — „ახალი სურვილებით“ და ისევ უკან გაუგზავნა პატრონს. დასახელეთ იგი.

13. დასრულეთ შოტლანდიელთა გამონათქვამი: „ძველი რომი შვიდ ბორცვზე იდგა, დღევანდელი შოტლანდია კი ...“

***

ხეიბრების შეჯიბრებაა ცურვაში. მოიყვანენ მარტო თავს:

— როგორ იცურებ? — ეკითხება მსაჯი.

— ყურებით, — უპასუხა თავმა.

დაიწყო შეჯიბრება. გადააგდეს თავი წყალში და ეგრევე დაიხრჩო.

— ვინ დაახურა საცურაო ქუდი?!. — აყვირდა მსაჯი.

***

მოსაზრება: ლატარია იღბალზე ნადირობა არ არის. ეს უიღბლოებზე ნადირობაა.

***

— ალო, კოწია ხართ, ხანთაძე?

— დიახ, ბატონო.

— თქვენი ცოლი ჩვენ გავიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია.

— გასაგებია, რა არის საჭირო?

— 20 ათასი დოლარი საღამომდე, თორემ ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ.

***

— ისეთ მცირე ანაზღაურებას მთავაზობთ, შეიძლება, ცოლიც ვერასდროს შევირთო! — შესჩივის ვაკანსიის მაძიებელი შეფს.

— მესმის თქვენი, — უღიმის უფროსი, — არადა, მოვა დრო და შეიძლება ამისთვის მადლობაც გადამიხადოთ.

***

ორი ფერმერი მინდვრიდან ბრუნდება. ხედავენ ღობეში თხაა გაჩხერილი. პირველი ფიქრობს: „ეჰ, ნეტავ, მერილინ მონრო იყოს!“. მეორე ფიქრობს: „ეჰ, ნეტავ, ღამე იყოს!“.

***

— ცხოვრების მანძილზე სულ 3 ტყუილი მექნება ნათქვამი.

— მართალს ამბობთ?

— რა თქმა უნდა!

— ეგეც მეოთხე ტყუილი.

***

ლუდოვიკო XIV ცოლს ეფერება:

— ჩემო საყვარელო, ჩემო ანგელოზო, ჩემო ერთადერთო!

ცოლი ალერსითვე პასუხობს:

— ჩემო საყვარელო, ჩემო ანგელოზო, ჩემო მეთოთხმეტევ!

***

ნაზიკია მასწავლებელი საკარნავალო როლებს ანაწილებს. ჯერი შალიკიაზე მიდგა.

— შენ ვინ იქნები, შალიკია?

— მე, მასწავლებელო, ვერავინ ვიქნები, იმიზა, რო არაფერი ტანსაცმელი არ მაქვს.

— მაშინ მოდი, გაიხადე, მიიფარე პატარა ფოთოლი და ადამი იქნები, — იპოვა გამოსავალი მასწავლებელმა.

— პატარა ფოთოლი არ მეყოფა...

— მაშინ დიდი მიიფარე.

— არც ეგ მეყოფა...

— მაშინ ტაშტი მიიფარე!

— არც ეგ მეყოფა, მასწავლებელო!

— დიდუ, რაღა ვქნა! ჩეიდე მაშინ პირში და იქნები „ბენზოკალონკა“, შე შობელძაღლო შენა! — იკივლა მასწავლებელმა.

***

ელექტროსაქონლის მაღაზიაში ფაშფაშა ქალი გამყიდველს ეკითხება:

— უკაცრავად, დამაგრძელებელი ხომ არა გაქვთ?

— რისი, ქალბატონო? — მიამიტი სახით ეკითხება გამყიდველი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ანდრია ბალანჩივაძე.
2. ნაპოლეონ ბონაპარტს.
3. გალაკტიონ ტაბიძე.
4. „საკუთარი თავი“.
5. კასტრომ პასუხად პერანგი გაიღეღა: „აი, თავად დარწმუნდით, რომ არავითარი ჯავშანჟილეტი არ მაცვია. ჩემს სხეულს მხოლოდ მორალური ჯავშანჟილეტი იცავს!“.
6. ყოველწლიურად 30-მდე სპორტსმენს პარაშუტი არ ეხსნება და ტრაგიკულად იღუპება.
7. „ერქვანი“ და „გუთანი“ სინონიმებია.
8. რომულუსი.
9. „სასედი“.
10. ასე ეძახდნენ მოხეტიალე პოეტ-მუსიკოსს შუა საუკუნეების ინგლისსა და საფრანგეთში.
11. მეკობრეების ხომალდი.
12. ბერნარდ შოუ.
13. „ვისკის შვიდ ქარხანაზე დგას“.

ჩვენი ფოტოგალერეა

ჰოროსკოპი

7-13 ივლისი

ვეძრყა

ამ პერიოდში ბევრი საქმის მოგვარება მოგიწევთ, მაგრამ თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ. კოლეგებთან ცოტა სიმკაცრე გამოიჩინეთ.

ჯუბრი

შესაძლოა ძველი სამსახურის მიტოვება და ახლის დაწყებამ მოგიწიოთ. ადამიანებს ბრმად ნუ ენდობით, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ.

ტყუკი

შეიცვალეთ იმიჯი. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ჯიბრგხიტი

ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში. მეტი დრო მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატარეთ. რამდენიმე დღით ქალაქგარეთაც გაემგზავრეთ და დაისვენეთ.

ლომი

პირად ცხოვრებას სხვათა გასარჩევს ნუ გახდით. შეეცადეთ, თვითონ გაუმკლავდეთ პრობლემებს. სამსახურშიც სხვათა დაუხმარებლად მოაგვარეთ დაგროვილი საქმეები.

ქალწუდი

ემოციურად დაძაბული პერიოდი გელით. შეეცადეთ არ აჰყვეთ ემოციებს. ყველაფერი ცივი გონებით გააანალიზეთ. გახსოვდეთ, რომ პროფესიონალიზმი და საკუთარი თავის რწმენა მწვერვალების დაპყრობაში დაგეხმარებათ.

ხალხწოჩრი

ცოდნის მიღების დროა, რაც მომავალში გამოგადგებათ. ყველაფერი ჩაინიშნეთ, რომ არაფერი გამოგრჩეთ. დასვენების დღეები შინ გაატარეთ და სამომავლო გეგმები ჩამოწერეთ.

ბოჩრიბდი

განმარტოება მოგინდებათ. ეს დრო საკუთარი საქციელის გაანალიზებას დაუთმეთ. ნუ გამოავლენთ აგრესიას. გარშემო მყოფების გაღიზიანება რომ არ გამოიწვიოთ, ცოტა ხნით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

ბუვიდდოსაფი

ზედმეტი ხარჯისგან თავი შეიკავეთ. ნუ აიღებთ ვალებს. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. დასვენების დღეები შინ გაატარეთ.

თხის ჩეკ

საქმიანი შეხვედრები, მოლაპარაკებები და ხელშეკრულებების გაფორმება უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ყურადღებით იყავით, შეცდომა არ გაგეპაროთ.

ბებრწყუდი

რაც უფრო ბუნებრივი იქნებით, გარშემო მყოფები მეტად დაგაფასებენ. კარგი პერიოდია ახალი იდეების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს საყვარელ ადამიანს რომანტიკული პაემანი მოუწყვეთ.

თებეზებტი

სამსახურში ყოველდღიური საქმეები მოაგვარეთ. გრძელვადიან პროექტებს ამ კვირაში ნუ წამოიწყებთ. ყურადღება მიაქციეთ შვილების განათლებას. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეებს მიხედეთ.

ავტომობილის ფერი და მფლობელის ხასიათი

შავი ფერის მანქანა საკუთარ თავში დარწმუნებულ, პრინციპულ, ძალაუფლების მოყვარულ და საკუთარ ძალებში დარწმუნებულ ადამიანს აქვს.

გაწონასწორებული, წყნარი და აკურატული ადამიანი **თეთრი** ფერის მანქანას ყიდულობს.

ცისფერი ფერის მანქანას მორიდებული, მშვიდი, ლოიალური მძღოლი მართავს. კარგი მეოჯახე და ერთგული მეგობარია.

მწვანე ავტოს მფლობელი გაჭირვებაში არ მიგატოვებთ. ბრძენი და ლიდერია.

დინამიკური, არაორდინარული და ოპტიმისტი ადამიანი **ფორთოხლისფერ** მანქანას ირჩევს.

წითელი ავტომობილის მფლობელს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს; მიზანდასახული და ამბიციურია. ფსიქოლოგების აზრით, წითლის მოყვარული ვნებიანი და ცოტათი აგრესიული პიროვნებაა.

ქუჩაში **ვარდისფერ** მანქანას იშვიათად შეხვდებით (მისი მფლობელი — ქალი, თანაც აუცილებლად ქერათმიანი იქნება). მძღოლი ამბიციური და მგრძნობიარეა; ხშირად იღიმის და მუდმივად ზრუნავს საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე.

სიცოცხლის მოყვარულ, მხიარულ ადამიანს **ყვითელი** ფერის ავტომობილი ჰყავს. უყვარს ხალხთან ურთიერთობა, გახსნილი და კაცთმოყვარეა.

შემოქმედი და ამოუცნობი ადამიანი **იასამნისფერ** მანქანას ყიდულობს. ძლიერი ნებისყოფა აქვს და დასახულ მიზნებს ყოველთვის აღწევს.

ოჯახური ტრადიციების მოყვარული ადამიანი **ყავისფერ** ავტოს მართავს. არ უყვარს ავანტიურა და თავგადასავლები. კარგი მეოჯახე და ერთგული მეგობარია.

ოპტიმისტი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მხიარული ადამიანი **ვერცხლისფერ** ავტომობილს ირჩევს. ■

ტაიმ-აუტი

1. ქრისტეშობის თვე
2. კომბინაცია პოკერში
3. გემის მომსახურე პერსონალი
4. საქონლის შემოტანა უცხოეთიდან
5. მამაკაცის სასმელერო ხმა
6. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა
7. თეატრალური თოჯინა
8. პიპინიას ძაღლი
9. დიდი საოკეანო გემი
10. სრული მონური დამოკიდებულება
11. უსახელო ზედა სამოსი
12. თხის ხმიანობა
13. იალქანი
14. ... სტოუნი
15. დროებითი სადგომი
16. პატარა ყუთი
17. ვაზის ბაღი
18. მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი
19. სახელმძღვანელო იდეა
20. ხასიათი
21. ჭურჭელი რისამე შესაწვავად
22. ხერხემლის ძვალი
23. გადასახურავი მასალა
24. როკ-ენ-როლის მეფე
25. ზნეობა
26. მხარე იმერეთში
27. ფრანგული ვაზის ჯიში
28. ამერიკის შტატი
29. ღვინის დეგუსტატორი
30. ვიწრო და ღრმა ხეობა
31. საბნის შალითა
32. ბატის ხმიანობა
33. უაზრობა, სისულელე
34. თანამედროვე ბრაზილიელი მწერალი
35. ისტორია
36. ქვეყანა ევროპაში



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. კონსპექტი; 2. ნოველა; 3. ერბო; 4. ქნესეთი; 5. ოტელო; 6. მავნებელი; 7. რალი; 8. ტემპი; 9. კათხა; 10. ხორხოცი; 11. გონდოლა; 12. იანუსი; 13. გაჯი; 14. ლობიო; 15. ასკილი; 16. ასთანა; 17. კეიტ; 18. რუ; 19. ჯაფა; 20. ტბა; 21. კაპიტალი; 22. ინდი; 23. ნესტო; 24. უხა; 25. ირლანდია; 26. გეტა; 27. ციგა; 28. პიკასო; 29. კასტრო; 30. გაჟიალი; 31. ანტიპოდი; 32. ბილიკი; 33. ბადრიჯანი; 34. ილიადა; 35. სლოვენია; 36. სე; 37. აბაშიძე.

სურათებზე: კამერონ დიასი; ლეონარდო დიკაპრიო.

სპეციალური კროსვორდი

ა	რ	დ	ა	გ	ა	ვ	ი	წ	ყ	დ	ე	ს	ჟ	უ	რ	ნ	ა	ლ	გ	ზ	ი	ს	შ	ე	ძ	ე	ნ	ა
	ი	ო	ი	ე	ა	ა		ი	რ	მ	ე	ე	ე	ი	რ	ი	ი	ე	ა	ა	ნ	პ	ვ	რ	ი		ა	ი

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

ა. ცელქი, მოუსვენარი; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **დ**. სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის, შემდეგ კი გავგამელას ბრძოლაში დაამარცხა; **ა**. გამოუწვავი აგური; **გ**. გერმანელი მწერალი, „ფაუსტის“ ავტორი; **ა*. ქვითკირის სამარე; **ვ*. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში? **ი*. მადა, სურვილი, ნდომა; **წ*. ქალაქი სიღნაღის რაიონში; **ყ*. რა ერქვა ამირანის სატრფოს? **დ*. ფულის ერთეული საბერძნეთში (ევროს შემოღებამდე); **ე*. ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **ს*. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ჟ*. რა ერქვა ანჟელიკას მეუღლეს, გრაფ დე პეირაკს ან და სერჟ გოლონების რომანში „ანჟელიკა“? **უ*. ძველი, ქართული, ტრადიციული ტრანსპორტი სოფლად; **რ*. რა ერქვა კომპოზიტორ ვაგნერს, რომელსაც აღმერთებდა ადოლფ ჰიტლერი? **ნ*. დედალი ღორი; **ა*. სიმინდის სამშობლო; **ლ*. შვეიცარის ან ლაქიას მოსირმული სამოსელი; **გ*. სახელმწიფო კარიბის ზღვაში; **ზ*. მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც იმ კაცს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **ი*. მგალობელი ფრინველი; **ს*. თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **შ*. სანიმუშო ნაწარმოები, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; **ე*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ძ*. რა იყვნენ ერთმანეთისთვის „პუმისა“ და „ადიდასის“ დამაარსებლები? **ე*. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **ნ*. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ა*. ძველეგვიპტური ღმერთი, რომლის შვილადაც აცხადებდა თავს ალექსანდრე მაკედონელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გაყოფა; **ა*. აკვანი; **ე*. ელეგია; **რ*. რელიეფი; **თ*. თხა; **ე*. ესკიმო; **დ*. დიანა; **ა*. ანცი; **დ*. დოინჯი; **ა*. ასთმა; **ი*. ილაჯი; **ს*. სევანი; **ვ*. ვაიმარი; **ე*. ეუსებიო; **ნ*. ნობელი; **ე*. ელენე; **ჩ*. ჩადრი; **ვ*. ვოიაჟი; **ე*. ექსცესი; **ნ*. ნამაზი; **თ*. თიკუნი; **ა*. ამერიკა; **ნ*. ნარცისი; **ე*. ელარჯი; **რ*. რევერსი; **თ*. თეირანი; **ა*. ათაბაგი; **დ*. დიოგენე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ყველა კაცი თავის ბედის მკერავიაო

იაპონური სენსაციია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	9	3	5	7	1	8	2	4
8	7	4	3	2	6	5	9	1
5	2	1	4	8	9	3	6	7
2	3	6	7	4	8	1	5	9
7	1	8	2	9	5	4	3	6
9	4	5	1	6	3	7	8	2
3	5	2	9	1	4	6	7	8
1	8	9	6	5	7	2	4	3
4	6	7	8	3	2	9	1	5

7	4	6	8	1	5	9	2	3
8	5	3	7	9	2	1	6	4
1	9	2	4	6	3	5	7	8
3	6	9	2	5	1	4	8	7
4	8	5	3	7	9	6	1	2
2	7	1	6	8	4	3	9	5
5	2	8	9	4	6	7	3	1
9	3	4	1	2	7	8	5	6
6	1	7	5	3	8	2	4	9

7	5	3	8	9	2	4	6	1
4	8	9	6	1	7	5	2	3
2	6	1	4	5	3	7	8	9
3	9	2	7	4	5	6	1	8
6	1	5	2	8	9	3	7	4
8	4	7	1	3	6	2	9	5
1	7	4	3	2	8	9	5	6
5	3	6	9	7	1	8	4	2
9	2	8	5	6	4	1	3	7

* მარტივი

		8		3				5
9					2		8	
5	2		7			1		
2			3			7		1
6					4			8
1		3						2
		6			8		3	9
	1		9					4
3				4		8		

** საშუალო

	3		2			5		
6				8			2	4
8			7				3	
	5		3	1			9	
	6				4		8	
	4				6		7	
	1				5			3
5	7			3				2
		4			2		5	

*** რთული

9				5			6	
				3			1	
7			9				3	
8			2			7		
1				8	6			3
		4			1			6
	4				2			5
	9			1				
	5			7				2

ფოტოკუჩიოზები

ჟურნალი მხოლოდ ქალებისთვის
ფასი 2 ლარ
ყოველთვე ჟურნალ „და ქალთან“ ერთად
ივლისი
გამოდის თვის დასაწყისში
ქენდის ბუშნელის ბესტსელერები
ერთად შეგიძლიათ შეიძინოთ ქენდის ბუშნელის ბესტსელერი
„მეხუთე ავენიუ“
ტომი II
წიგნის ფასი 3 ლარი, ჟურნალთან ერთად 5 ლარი
ქენდის ბუშნელი
მეხუთე ავენიუ
სახლი №1
ნაწილი მეორე
წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 5 ლარი)
ივლისში
მთავარი თემა
დასვენების სეზონი

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

ბიორგი სააკაძე

8 - დან 15 ივლისამდე

მალე გამოვა:

11 კოტე მარჯანიშვილი
12 ნიკოლოზ ბარათაშვილი
13 დავით აღმაშენებელი
14 ზაქარია ფალიაშვილი
15 გრიგოლ ხანძთელი
16 სულხან-საბა ორბელიანი
და სხვა დიდი ქართველები

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

შემდეგი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, № 9 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნი

50

რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

25 ივლისიდან 1 აგვისტომდე



ჯონსტანტინე
გამსახურდია

8-დან 15 აგვისტომდე



სერვანტესი
(ტომი I)

წიგნი 16
მარკ ტვენი

11-დან – 18 ივლისამდე

წაიკითხე წიგნები
უკეთესად იცხოვრე!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

8 000 მომხმარებელს- მოსწონს ეს

მაჩვენე 180-ვე კომენტარი

ანი ჯორბენაძე – ძალიან მომწონს, თან რა ლამაზი გამოვიდა! მართლა კარგად შევარჩიეთ...